

სსიპ აჭარის მუზეუმი

LEPL Ajara Museum



მუზეუმი და გლობალიზაცია

სამეცნიერო ჟურნალი

II

Museum and Globalization

Scientific Journal

ISSN 2960-9526

ISSN 2960-9518

ბათუმი

2023

Batumi



მუზეუმი და გლობალიზაცია
სამეცნიერო ჟურნალი II
მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალების კრებული (2023)

**Museum and Globalization
Scientific Journal II
Proceedings of the Third International
Scientific Conference (2023)**

ბათუმი
2023
Batumi

UDC (უკ) 069: 327 მ-91

მთავარი რედაქტორი: თამარ შალიკაძე

სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული პედაგოგი)

Editor-in-Chief: Tamar Shalikadze

Curator of Scientific and Publishing Affairs, LEPL Ajara Museum; Invited Lecturer, Batumi Shota Rustaveli State University

სარედაქციო კოლეგია:

თ. ზოიძე – სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი

T. Zoidze – Director, LEPL Ajara Museum

ო. გოგოლიშვილი – სსიპ აჭარის მუზეუმი - ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის მმართველი

O. Gogolishvili – Head, Khariton Akhvlediani Museum of Ajara, LEPL Ajara Museum

ე. კახიძე – სსიპ აჭარის მუზეუმი – ამირან კახიძის სახელობის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი

E. Kakhidze – Head, Amiran Kakhidze Archaeological Museum of Ajara, LEPL Ajara Museum

თ. შალიკაძე – სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული პედაგოგი)

T. Shalikadze – Curator of Scientific and Publishing Affairs, LEPL Ajara Museum; Invited Lecturer, Batumi Shota Rustaveli State University

თ. ლომთათიძე – სსიპ აჭარის მუზეუმი – ამირან კახიძის სახელობის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის დოქტორი

T. Lomtadze – Researcher, Amiran Kakhidze Archaeological Museum of Ajara, LEPL Ajara Museum; PhD in History

ISSN 2960-9518

ISSN 2960-9526

სარჩევი Table of Contents

ნინო ლიპარტელიანი

თანამედროვე მუზეუმების მართვის სირთულე და კრეატიულობა.....

Nino Liparteliani

The complexity and creativity of modern museum management.....

თამარ გოგოლაძე

ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის 2000 წლის ერთი საინტერესო გამოცემა და მისი
მნიშვნელობა.....

Tamar Gogoladze

An interesting Edition of 2000 of the State Museum of Literature and its
meaning.....

ნინო ხარჩილავა

იძულებით გადაადგილებულთა ახალ რეალობასთან ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი
(ბათუმისა და გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).....

Nino Kharchilava

Some aspects of the integration of refugees with new reality
(based on Batumi and Gali ethnographic materials).....

გიორგი ბაციკაძე

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცვლილება მეფისნაცვალ ვორონცოვის
მმართველობის შემდეგ.....

Giorgi Batsikadze

The Shift in Georgian Socio-Political Thought After the Rule of Viceroy Vorontsov.....

ქეთევან დეკანაძე

მაღალმთიან აჭარაში გავრცელებული საყოფაცხოვრებო ნივთები
(2023 წლის სსიპ აჭარის მუზეუმის ორგანიზებით განხორციელებულ ექსპედიციაში
შეგროვებული მასალების მიხედვით).....

Ketevan Dekanadze

Household items commonly found in the highland Ajara
(According to the materials collected during the 2023 expedition organized by LEPL Ajara
Museum).....

თეონა ზოიძე

გასტრონომიული კულტურა, ტურიზმი და მისი მნიშვნელობა აჭარის რეგიონში.....

Teona Zoidze

Gastronomic Culture, Tourism and Its Significance in the Region of Ajara.....

ზურაბ სანაძე, ეკატერინე მუმლაძე

მუზეუმის როლი თანამედროვე სასკოლო განათლებაში.....

Zurab Sanadze, Ekaterine Mumladze

The role of the museum in modern school education.....

ნინო სულავა, ინგა ესვანჯია

ფიბულებიანი სამარხები ბრილის სამაროვნიდან

(ისტორიული მთიანი კოლხეთი, რაჭა).....

Nino Sulava, Inga Esvanjia

Burials with fibulas from the Brili cemetery

(Historical mountainous of Colchis, Racha).....

გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე, ნანა ხახუტაიშვილი

კოლხეთის უძველესი რკინის მეტალურგიული წარმოების

ძეგლების ტექნოლოგიური ანალიზი.....

Givi Inanishvili, Nodar Poporadze, Nana Khakhutaishvili

Technological analysis of the ancient iron metallurgical production

monuments of Colchis.....

ნანა ხახუტაიშვილი

მეტალურგიული წიდა და მისი მნიშვნელობა ლითონწარმოების ტექნოლოგიების

რეკონსტრუქციის პროცესში.....

Nana Khakhutaishvili

Metallurgical Slag and its Importance in the Reconstruction Process

of Metallurgical Technologies.....

ემზარ კახიძე

ფიჭვნარის ძვ.წ IV ს კოლხური სამაროვანი (2022-2023 წწ).....

Emzar Kakhidze

Pichvnari 4th century BC Colchian cemetery: 2022-2023.....

რადოსლავ კარასიევიჩ-შჩიპიორსკი

ლათინური წარწერის ფრაგმენტი რომაული ციხესიმაგრის (აფსაროსის) შტაბის შენობიდან

(პრინციპია) გონიოში, საქართველო.....

Radosław Karasiewicz-Szczypiorski

Fragment of a Latin inscription from the headquarters building (*principia*) in the Apsaros fort (Gonio,

Georgia).....

კახაბერ ქამადაძე, თათული მოწყობილი

კოლხური კერამიკა გონიო-აფსაროსის ციხიდან.....

Kakhaber Kamadadze, Tatuli Motskobeli

Colchian Pottery from Gonio-Apsaros Fort.....

ელისო ბაღათურია-კნერ

წრიული მოტივები: გამოწვევები კოლხურ დეკორატიულ რეპერტუარში.....

Eliso Baghaturia-Kner

The circle motives: challenges in Colchian decorative repertoire.....

თამარ შალიკაძე, იზოლა დუმბაძე

მახუნცეთის მარანი.....

Tamar Shalikadze, Izolda Dumbadze

The Wine Cellar of Makhuntseti.....

გურამ ჩხატარაშვილი

მდინარე კინტრიშის ხეობა ადრე ჰოლოცენის ხანაში (უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ინტერდისციპლინური კვლევების მიხედვით).....

Guram Chkhatarashvili

Early Holocene Occupation of the Kintrishi River Valley: Insights from Recent Archaeological Discoveries and Interdisciplinary Investigations.....

რუსუდან კობრავა

სასტუმრო სახლის კულტურა აჭარაში

სოფელ ზუნდაგას ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.....

Rusudan Kobrava

The Culture of Guest Houses in Ajara:

Based on Ethnographic Materials from the Village of Zundaga.....

ნარგიზ სურმანიძე, ნინო ძნელაძე, მირანდა თურმანიძე

რკინის ხანის სამაროვნები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან.....

Nargiz Surmanidze, Nino Dzeladze, Miranda Turmanidze

Iron Age Cemeteries from Southwestern Georgia.....

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის ოლქი 1914-1916 წლებში.....

Otar Gogolishvili

The Batumi District in 1914–1916.....

ნინო ლიპარტელიანი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
Nino Liparteliani
Professor of Gori State Teaching University
nliparteliani69@gmail.com
nliparteliani69@gmail.com

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.002>

თანამედროვე მუზეუმების მართვის სირთულე და კრეატიულობა
The complexity and creativity of modern museum management

აბსტრაქტი

მუზეუმის მენეჯმენტი ერთი მხრივ მოიცავს მუზეუმის მართვის ყველა ასპექტს - ვიზიტორთა საჭიროებების მართვას, კოლექციების დამუშავებას, რესტავრაციას და სამუშაოს ადმინისტრირებას, კატალოგიზაციის პრაქტიკას, ექსპოზიციის შერჩევას მხატვრული და კულტურული მნიშვნელობით და ა.შ. მეორე მხრივ გულისხმობს ფინანსურ (ბუღალტრული აღრიცხვა, მმართველობითი კონტროლი, ფინანსები) და იურიდიულ პასუხისმგებლობას, უსაფრთხოებას, პერსონალის მართვას და მარკეტინგს. მუზეუმის მართვის მეთოდოლოგია თავის თავში აერთიანებს: „მუზეუმის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, კორპორაციულ კულტურას, დაგეგმვას, ბაზრის ანალიზს, მარკეტინგის სტრატეგიას, პერსონალთან მუშაობის გეგმას, დამთვალეირებელთა ვიზიტის ხარჯების და შემოსავლების გეგმას, დაფინანსების სტრატეგიას, სამუშაოების შესრულების გრაფიკს, საგანგებო ვითარების დროს ქმედების ინსტრუქციას, სხვა მუზეუმებთან ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკას, უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან და სკოლებთან ურთიერთობას, ტურიზმის ინდუსტრიასთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის პოლიტიკას, ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის მაღალ დონეს, კოლექციების (ფონდების) მართვას, მუზეუმის საინფორმაციო პოლიტიკას, საზოგადოებაზე ორიენტირებული პროგრამების მართვას, გასვლითი პროგრამების შემუშავებას, მუზეუმის უძრავი ქონების მართვა და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, მარკეტინგი, კონკურენცია, კრეატიულობა, სტიმულირება, პასუხისმგებლობა, ვებინარი, ვიქტორინა, ჩატბოტი, პოდკასტი.

On the one hand, museum management includes all aspects of museum management - management of visitor needs, collections management, restoration and works management, cataloging practices, selection of exhibitions of artistic and cultural significance, etc. On the other hand, it involves financial (accounting, management control, finance) and legal responsibility, security, human resources and marketing. Traditionally, museums perform the function of collecting, storing and transmitting cultural values, and new trends mean the transformation of museums into cultural, historical and recreational centers. Important is not only creating an exposition or holding exhibitions, but also the development of recreational infrastructure during the visitor's stay in the museum.

In the arts and culture sector, attracting potential visitors is a priority. How should we influence visitors to come back to our museum? Museums should be focused on the needs of visitors, because it is this audience that forms the vector of their development. At the present stage, there are several methods of interacting with visitors, which are divided into standard and digital offers. By standard methods we mean: thematic excursions, workshops, movies, meetings with artists and scientists, educational games, etc. Standard methods involve interacting with museum visitors in an offline environment. And digital (online) relationships include webinars, thematic online quizzes, podcasts, etc. At the beginning of the 20th century, training programs for museum management and marketing were created, and many employees of American and European museums received management and marketing training organized by the Getty Leadership Institute (USA) and the Clore Leadership Program (UK). It is necessary to maintain an intellectual balance between the core mission of museums and economic reality, we can use a model of two managers: a director and a creative director, where a shared vision and effective communication will be guaranteed. We can use one of the common forms of museum management - the idea of self-organization, which is a phenomenon of group work where hierarchical structures are minimized and decisions are made at the local level. Informal leaders are being formed who deserve the respect of museum leaders; they exist in every museum as an essential component of effective self-organization.

Keywords: management, marketing, competition, creativity, motivation, responsibility, webinar, quiz, chatbot, podcast.

არსებული სტერეოტიპით მუზეუმი იდეალური სამუშაო სივრცეა მშვიდი, ელეგანტური, სუფთა და არაფერი აქვს საერთო „რეალური სამუშაო ადგილის“ მკაცრ წარმოსახვასთან. თუმცა არა სამუზეუმო სამყაროს გაცეზებულს დავტოვებთ, თუ კარგად ავუხსნით სამუზეუმო მუშაობის სირთულეებს და მოთხოვნებს. ამ სირთულეების დიდი ნაწილი მუზეუმების სპეციფიკიდან გამომდინარეობს, ამიტომ მუზეუმების მენეჯმენტსა და მარკეტინგის როლზე საუბარი უნდა დაიწყოს ამ სირთულეების მიმოხილვით. იმ საკითხების და პრობლემების სპექტრი, რომელსაც აწყდება მუზეუმი XXI საუკუნეში არაფრით ჩამოუვარდება ორგანიზაციული ცხოვრების ნებისმიერ სექტორს. „გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ მუზეუმის მენეჯერები მართავენ არასაკმარისი ფინანსური რესურსების მქონე ორგანიზაციას, იშვიათად ახერხებენ დეფიციტური ბიუჯეტის შევსებას კვლევებისა და განვითარებისათვის, მაშინ, როდესაც მუზეუმის დაბალანსებად პერსონალი და მოხალისეები მოტივირებულნი უნდა იყვნენ იმუშაონ მაღალი პროფესიული სტანდარტებით.“¹ ხშირია შემთხვევები, როდესაც შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების თანამშრომლები ექვემდებარებიან მენეჯერს, რომელსაც არაფერი გაეგება არც სახვითი ხელოვნების და არც კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მუზეუმებმა და გალერეებმა სიამოვნება უნდა მიანიჭოს უდიდეს აუდიტორიას სოციალური ღირებულებების ცვლილებების კონტექსტის გათვალისწინებით.

„დამატებითი შემოსავლის მიღება სერიოზული შვებაა კონკურენტულ გარემოში, თუმცა რთული და დამაბნეველი. სწრაფად ცვალებად სამყაროში ამ სირთულეების მართვამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოითხოვა მუზეუმების მენეჯმენტში. ეს

¹ს.ცისკარიშვილი. მუზეუმის მართვის პრინციპები. 2021 წ.

გულისხმობს როგორც მენეჯმენტს, ასევე მარკეტინგს.² დღევანდელ სიტუაციაშიც, სამწუხაროდ, მუნიციპალური მუზეუმებისათვის, როგორც არაკომერციული ინსტიტუციებისათვის ბიზნესის პრაქტიკის მიღება პანაცეა ან უბედურების მომტანი, ჩნდება პოლარიზებული აზროვნება. ერთი შეხედვით ჩანს, რომ მუზეუმებს არაფერი აქვთ საერთო თანამედროვე საზოგადოების ორ დომინანტურ ძალასთან: კომერციასთან და პოლიტიკასთან. ასეა თუ ისე, მუზეუმებმა უნდა დაძლიონ წინააღმდეგობა საბაზრო მოთხოვნებსა და ტრადიციულ სამუზეუმო ფასეულობებს შორის, იმის გაცნობიერებით, რომ ამ წინააღმდეგობას შეუძლია კრეატიულობისა და ახალი აზროვნების სტიმულირება.

„მუზეუმის მენეჯმენტი ერთი მხრივ მოიცავს მუზეუმის მართვის ყველა ასპექტს-ვიზიტორთა საჭიროებების მართვას, კოლექციების დამუშავებას, რესტავრაციას და სამუშაოს ადმინისტრირებას, კატალოგიზაციის პრაქტიკას, ექსპოზიციის შერჩევას მხატვრული და კულტურული მნიშვნელობით და ა.შ. მეორე მხრივ გულისხმობს ფინანსურ (ბუღალტრული აღრიცხვა, მმართველობითი კონტროლი, ფინანსები) და იურიდიულ პასუხისმგებლობას, უსაფრთხოებას, პერსონალის მართვას და მარკეტინგს.“³ მუზეუმის მართვის მეთოდოლოგია თავის თავში აერთიანებს: „მუზეუმის პოლიტიკის ჩამოყალიბებას, კორპორაციულ კულტურას, დაგეგმვას, ბაზრის ანალიზს, მარკეტინგის სტრატეგიას, პერსონალთან მუშაობის გეგმას, დამთვალიერებელთა ვიზიტის ხარჯების და შემოსავლების გეგმას, დაფინანსების სტრატეგიას, სამუშაოების შესრულების გრაფიკს, საგანგებო ვითარების დროს ქმედების ინსტრუქციას, სხვა მუზეუმებთან ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკას, უნივერსიტეტებთან, კოლეჯებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან და სკოლებთან ურთიერთობას, ტურიზმის ინდუსტრიასთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის პოლიტიკას, ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის მაღალ დონეს, კოლექციების (ფონდების) მართვას, მუზეუმის საინფორმაციო პოლიტიკას, საზოგადოებაზე ორიენტირებული პროგრამების მართვას, გასვლითი პროგრამების შემუშავებას, მუზეუმის უძრავი ქონების მართვა და ა.შ.“⁴

„ხელოვნების და კულტურის სფეროში, პოტენციური ვიზიტორების მოზიდვა, ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. სწორედ ეს აუდიტორია აყალიბებს მათი განვითარების ვექტორს. თანამედროვე ეტაპზე არსებობს ვიზიტორებთან ურთიერთობის რამდენიმე მეთოდი, რომელსაც ყოფენ სტანდარტულ და ციფრულ შეთავაზებებად.“⁵ სტანდარტულ მეთოდებში ვგულისხმობთ: თემატურ ექსკურსიებს, ვორქშოპებს და მასტერკლასებს, ფილმების დემონსტრაციას, ხელოვნების მოღვაწეებთან და მეცნიერებთან შეხვედრას, შემეცნებით თამაშებს და ა.შ. რაც შეეხება შემეცნებით თამაშებს, მუზეუმი უნდა იყოს ის განსაკუთრებული სივრცე, სადაც ნამდვილი აღმოჩენები ხდება, ესაა საინტერესო მოგზაურობა საუკუნეების სიღრმეებში, სადაც თითქმის ყველაფერს ეხდება ფარდა. უბრალოდ საჭიროა უჩვეულო სცენარების მოფიქრება, რომელსაც გაყვებიან თქვენი ვიზიტორები. ინტერაქტიული თამაშების მექანიზმების გამოყენება სახელდება ტერმინით-გეიმიფიკაცია, მისი სიძლიერე მდგომარეობს Y თაობის მახასიათებლებში, რომლებსაც

² Ed.Heini Sarakovo, Aboa Vetus and Ars Nova, DEVELOPING AND EVOLVING IN MUSEUMS. Innovation Workbook. Humak University of Applied Sciences Publikations. 2019. P. 5-11

³ Museum Management and Marketing Edited by Richard Sandell and Robert R. Janes. Leicester Readers in Museum Studies. 2007. P. 101-112

⁴ ბ.ლორდი, გ.დ.ლორდი. სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი. გვ 59-64. 2006 წ.

⁵ Museum Management, edited by Kevin Moore. Leicester Readers in Museum Studies. London and New York. P. 213-229

სამყარო ვერ წარმოუდგენიათ ციფრული ტექნოლოგიების გარეშე.⁶ ციფრულ (Online) ურთიერთობებში იგულისხმება ვებინარები/პირდაპირი ეთერი, ვიქტორინა ჩატბოტები⁷, თემატური online მოედნები,⁸ პოდკასტები⁹ და ა.შ.

- მაშინ, როდესაც სამუზეუმო სივრცეში სადისკუსიო სესიის ფორმატში მოწვეული გვყავს ხელოვნების და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები, პარალელურად ონლაინ შეგვიძლია პირდაპირ ეთერში გავაშუქოთ ეს შეხვედრა, ამით, იმ ვიზიტორებს, რომლებმაც ვერ შეძლეს მოსულიყვნენ მუზეუმში, ექნებათ საშუალება მოისმინონ ლექცია და ტრანსლიაციის პროცესში დასვან შეკითხვები ჩატში.
- ჩატბოტის ვიქტორინები ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდია მუზეუმებისათვის, ესაა პროგრამა მესენჯერისათვის, რომელიც მომხმარებელს უზავენის მისთვის საინტერესო კონტენტს (ტექსტი, გრაფიკა, მულტიმედია), ამიტომ საჭიროა შევიმუშაოთ სინტერესო ვიქტორინა, რომელიც დაეხმარება ჩვენი მუზეუმის ვიზიტორებს ონლაინ ფორმატში ამოხსნან მუზეუმთან დაკავშირებული თავსატეხები.
- პოდკასტი აუდიოგადაცემა კონკრეტულ თემაზე, თანამედროვე ეტაპზე ონლაინ სივრცეში უამრავი სამუზეუმო პოდკასტია სხვადასხვა თემაზე. რადიოსაგან განსხვავებით, რომელიც პირდაპირ ეთერში გადის, თითოეული მსმენელი დამოუკიდებლად ირჩევს პოდკასტების მოსმენის დროს. არსებობს პოდკასტინგის მრავალი მოსახერხებელი სერვისი, სადაც შეგვიძლია შევქმნათ, გავავრცელოთ და გავანალიზოთ ჩვენი ინფორმაცია.
- „თემატური online მოედნები, ესაა სივრცე, სადაც მუზეუმებს შეუძლიათ განათავსონ არა მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია, არამედ ციფრული კოლექციები, სტატიები, აუდიო და ვირტუალური ტურები, ისაუბრონ მოვლენებზე, რომლებიც გაიმართება მუზეუმში. online მოედნების ბონუსი არის ის, რომ მნახველს უყალიბებს გარკვეულ წარმოდგენას მუზეუმზე და ონლაინ ნახვის შემდეგ უჩენს მოტივაციას გაეცნოს ექსპოზიციას რეალურ დროში.“¹⁰

„იმისათვის, რომ მუზეუმის მართვამ უზრუნველყოს მუზეუმის მისიის შესრულება, უფლებამოსილების შესაბამისობა, მიზნების მიღწევა და ამოცანების გადაწყვეტა, იგი კარგად უნდა ასრულებდეს ერთდროულად ხუთ როლს: შთაგონოს მუზეუმს საკუთარი მისიის მნიშვნელობა, განმარტოს მუზეუმის უფლებამოსილება, მართოს მუზეუმში მიზნების მისაღწევად, გააკონტროლოს მუზეუმის ამოცანების შესრულება, შეაფასოს მუზეუმის მიერ ფუნქციების შესრულების ხარისხი.“¹¹

⁶ Y თაობაში იგულისხმება 1981 წ-დან 1996 წ-მდე დაბადებული ადამიანების თაობა, მათ უწოდებენ მილენიალებს, გამოიყენება ტერმინი Yllo (Young Liberty Love), თეორიის ავტორები არიან უილიამ შტრაუსი და ნილ ჰოუ, ამ თაობის ნდობით აღჭურვილი პირი არის ინტერნეტი, როგორც კომუნიკაციის უნივერსალური ინსტრუმენტი, ურჩევნიათ გამოიყენონ ისეთი სერვისები ინტერნეტში, როგორიცაა LiveJournal, FaceBook, Twitter, YouTube და ა.შ.

⁷ ჩატბოტი რის კომუნიკაციის ინოვაციური ფორმა, მისი ჩაშენება შესაძლებელია მაგ. Facebook Messenger-ში, რომელსაც გამოვიყენებთ ნებისმიერ საქმიანობაში

⁸ სადაც მუზეუმებს შეუძლიათ განათავსონ ინფორმაცია და დააანონსონ მოვლენები

⁹ ეს არის აუდიო ფაილი, რომელიც განთავსდება სერვერზე და შესაძლებელი იქნება მისი მოსმენა ინტერნეტით, მისი წარმოება მარტივია, მას არ ჭირდება დიდი ინვესტიცია, შედეგი შეიძლება იყოს მოსალოდნელზე დიდი.

¹⁰ Plinning and Managung Museum Collections. Interntional Conference on Development of the Ho Chi Minh City Natural History Museum. September 2007.

¹¹ ბ.ლორდი, გ.დ.ლორდი. სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი. გვ 9. 2006 წ.

შეკითხვები მენეჯმენტისა და მარკეტინგის შესახებ აქვს ყველა მუზეუმს, განურჩევლად ზომისა და ისტორიისა. XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სამუზეუმო მენეჯმენტის და მარკეტინგის სატრენინგო პროგრამები, ამერიკული და ევროპული მუზეუმების ბევრმა თანამშრომელმა გაიარა Getty Leadership Institute (აშშ) და Clore Leadership Program (დიდი ბრიტანეთი) ორგანიზებული ტრენინგები მენეჯმენტსა და მარკეტინგში. ნებისმიერ მუზეუმში შეიძლება აღმოჩნდეს თანამშრომელი, რომელიც კარგად აუღებს ალღოს მარკეტინგულ ტექნიკას სამუზეუმო კონტექსტში და საზოგადოებრივი ღირებულების გათვალისწინებით შექმნის ისეთ ბრენდს, რომელიც წარმოქმნის ემოციურ იდენტობას ვიზიტორში.

„მუზეუმები ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, ესაა დიდი ინდუსტრია-ისინი ყიდულობენ ექსპონატებს და თავიანთი წვლილი შეაქვთ ფულის მოძრაობაში, უზრუნველყოფენ ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობენ ადგილობრივ საწარმოებს ან ქმნიან შვილობილ საწარმოებს (სახელოსნოებს), იზიდავენ ვიზიტორებს, შედეგად ზრდიან შემოსავალს ერთ სულ მოსახლეზე და აუმჯობესებენ ცხოვრების დონეს.“¹²

მსოფლიო მასშტაბით ცნობილი მუზეუმები, უმდიდრესი კოლექციებით, ფუნდამენტური ფუნქციების შესრულებასთან ერთად, მუშაობენ იმიჯის შენარჩუნებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან. სწორედ ამ მიზნით მუზეუმში ფუნქციონირებს მარკეტინგის განყოფილებები, რომელიც აგროვებს, ამუშავებს, ანალიზებს და ინახავს ინფორმაციას მუზეუმის მუშაობის, ექსპონატების, გამოფენების შესახებ, რათა გამოავლინოს ვიზიტორთა ქცევის სხვადასხვა ტენდენციები, გამოავლინოს შესაძლო სუსტი წერტილები და ჩამოაყალიბოს სამომავლოდ საკომუნიკაციო პოლიტიკის განვითარების სტრატეგია. სამიზნე აუდიტორია მოიცავს მოსახლეობის ყველა სეგმენტს, არა პერსონიფიცირებულ საზოგადოებას, რომელიც ძნელია დააინტერესო რაიმე კონკრეტული შეთავაზებით, რადგან მათი საჭიროებები ძლიერ განსხვავებულია. ამიტომ ხდება დაჯგუფება, სოციალურ-კულტურული აქტივობები სკოლის მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის, ახალგაზრდებისა და მოზარდებისათვის (ასაკის მიხედვით), NEET ახალგაზრდებისათვის,¹³ მარტოხელა ვიზიტორებისათვის, საექსკურსიო ჯგუფებისათვის, ოჯახებისათვის და ა.შ.

დასკვნა:

მუზეუმის მენეჯმენტი უნდა მოიცავდეს მუზეუმის მართვის ყველა ასპექტს-ვიზიტორთა საჭიროებების მართვას, კოლექციების დამუშავებას, რესტავრაციას და სამუშაოს ადმინისტრირებას, კატალოგიზაციის პრაქტიკას, ექსპოზიციის შერჩევას მხატვრული და კულტურული მნიშვნელობით, ფინანსურ (ბუღალტრული აღრიცხვა, მმართველობითი კონტროლი, ფინანსები) და იურიდიულ პასუხისმგებლობას, უსაფრთხოებას, პერსონალის მართვას და მარკეტინგს. საჭიროა შენარჩუნდეს ინტელექტუალური ბალანსი მუზეუმების ძირითად მისიასა და ეკონომიკურ რეალობას

¹² კ.დიმიტრიოს, კ.ნიკოლას, ლ.ცომბანოლუ. სახელმძღვანელო მუზეუმის მენეჯერთათვის. გვ.14.

¹³ ახალგაზრდები, რომლებსაც არა აქვთ სწავლისა და მუშაობის შესაძლებლობა და არ არიან ჩართულები ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში (not in employment, education or training - NEET)

შორის. შეგვიძლია გამოვიყენოთ ორი მენეჯერის მოდელი: მმართველი დირექტორი და კრეატიული დირექტორი, სადაც გარანტირებული იქნება ერთობლივი ხედვა და ეფექტური კომუნიკაცია. დიდი ხელოვნება ხშირად იმალება ნაკლებად ცნობილ ადგილებში, ეს პატარა ძვირფასეულობები ორიენტირებულია ხარისხზე და არა რაოდენობაზე. მცირე მუზეუმებს ხშირად აქვთ საამაყო, ბრწყინვალე და ზოგჯერ შეუმჩნეველი კოლექციები, ამიტომ ვიზიტორს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ განსაკუთრებულ საიდუმლოს ვუშხელთ. ლუვრის მსგავსი ადგილები „ყველას უყვარს“, მაგრამ ასეთ მუზეუმებში კილომეტრების გავლა ხშირად იწვევს სამუზეუმო დაღლილობას. ამის საპირისპიროდ მცირე მუზეუმებში შესანიშნავი ექსპოზიცია დაღლილობის შეგრძნებას გვიკარგავს, აქ სიმშვიდეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს.ცისკარიშვილი. მუზეუმის მართვის პრინციპები. 2021 წ.
2. ბ.ლორდი, გ.დ.ლორდი. სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი. 2006 წ.
3. კ.დიმიტრიოს, კ.ნიკოლას, ლ.ცომბანოლუ. სახელმძღვანელო მუზეუმის მენეჯერთათვის. 2003. გვ.14.
4. Ed.Heini Sarakovo, Aboa Vetus and Ars Nova, DEVELOPING AND EVOLVING IN MUSEUMS. Innovation Workbook. Humak University of Applied Sciences Publikations. 2019. P. 5-11
https://www.ecsite.eu/sites/default/files/developing_and_evolving_in_museums_workbook.pdf
5. Museum Management and Marketing Edited by Richard Sandell and Robert R. Janes. Leicester Readers in Museum Studies. 2007. P. 101-112
<http://repo.darmajaya.ac.id/4811/1/Richard%20Sandell%20-%20Museum%20Management%20and%20Marketing%20%28Leicester%20Readers%20in%20Museum%20Studies%29%20%282006%29.pdf>
6. Museum Management, edited by Kevin Moore. Leicester Readers in Museum Studies. London and New York. P. 213-229
<https://handoutset.com/wp-content/uploads/2022/06/Museum-Management.pdf>
7. Plinning and Managung Museum Collections. Interntional Conference on Development of the Ho Chi Minh City Natural History Museum. Septenber 2007.
https://repository.si.edu/bitstream/handle/10088/17231/opanda_CMVietnam070913.pdf?sequence=1&isAllowed=y

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმ. ფაკ. პროფესორი
ფილ. მეცნ. დოქტორი
Tamar Gogoladze
Gori State University
Professor of Faculty of Humanities
Doctor of Philology
DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.003>

**ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის 2000 წლის ერთი საინტერესო გამოცემა და მისი
მნიშვნელობა**

An interesting Edition of 2000 of the State Museum of Literature and its meaning

აბსტრაქტი

2023 წელს სრულდება (30 წელი მწერალ სერგო კლდიაშვილის (1893-1968) დაბადებიდან. მისი შემოქმედება (რომანები, ნოველები). გასულ საუკუნეში წარმოადგენდა საყვარელ საკითხავს. დიდი მწერლის შთამომავალს, ბავშვობიდანვე ჰქონდა ურთიერთობა სხვადასხვა დროისა და მიმართულების მწერლებთან, პოეტებთან, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადღეისოდ მისი მოგონებანი თუ ჩანაწერები, რასაც თავი მოუყარეს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა მისი მაშინდელი დირექტორის იზა ორჯონიკიძის მეთაურობით და გამოსცეს პატარა, არცთუ ისე სტანდარტული ზომის „სერგო კლდიაშვილი. უბის წიგნაკი“ (გამომცემლობა „ლიტერატურული მატრიანე“).

ცნობილია, რომ გიორგი ლეონიძის სახელს უკავშირდება ლიტერატურული მუზეუმის დაარსება (1940 წელს), მუზეუმი გარდა შემკრებლობითი-საგამოფენო საქმიანობისა, წლების მანძილზე ახდენდა არამარტო მის ფონდებში არსებული მასალის მეცნიერულ დამუშავება-კატალოგიზაციას, არამედ მის გამოქვეყნებასაც სპეციალური აღმანახის „ლიტერატურული მატრიანის“, ფურცლებზე (გამოდიოდა 1940-1952 წლებში), რომლის განახლებაც მოხდა 1982 წელს, ასევე ქართველ მწერალთა საარქივო მონაცემების შემეცნებით-საგანმანათლებლო კრებულს. მას გააჩნდა საკუთარი გამომცემლობაც „ლიტერატურის მატრიანის“ სახელწოდებით ჭანტურიას ქუჩაზე, სადაც იბჭდებოდა გამოცემების სერიით: „ძვირფასი ავტოგრაფები“, „უბის წიგნაკები“ და სხვ. საინფორმაციო ცნობით, იქ დაბეჭდილი იყო ასზე მეტი წიგნი.

საყურადღებოა მორიგი 2000 წლის გამოცემა „უბის წიგნაკის“ ეგიდით, რომელიც მიეძღვნა სერგო კლდიაშვილის ჩანაწერებს.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნს არ გააჩნია მეცნიერული აპარატურა და წარმოადგენს მოგონებებიდან ამოკრებილი აზრების ერთობლიობას, იგი უმდიდრეს ინფორმაციას იძლევა ორი

საუკუნის მწერალთა (ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით კლდიაშვილი „ცისფერყანწელები“, სიმონ ჩიქოვანი და სხვათა შესახებ.

საინტერესოა „უბის წიგნაკში“ წარმოდგენილი სერგო კლდიაშვილის ნააზრევი ლიტერატურულ მიმართულებებზე, „ცისფერყანწელებზე“, მის თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე.

საკვანძო სიტყვები: სერგო კლდიაშვილი, „უბის წიგნაკი“, „მოგონებები“.

2023 marks the 130th anniversary of the birth of writer Sergo Kldiashvili (1893-1968). His creations (novels, short stories) were favorite reading in the last century. The descendant of the great writer had relations with writers and poets of different times and directions since his childhood, so his memories and notes are especially important every day. Employees of Leonidze State Museum of Georgian Literature under the leadership of its then director Iza Orjonikidze published a small, not so standard size "Sergo Kldiashvili. A Notebook (publishing house "Literary Chronicle").

Although the book does not have scientific value and it is a collection of paragraphs collected from memories, it provides the richest information about the writers of two centuries (Nikoloz Baratashvili, Davit Kldiashvili, "Tsiferkantselebi", Simon Chikovani, etc.).

The thoughts of Sergo Kldiashvili's about literary directions, "Tsiperkantseli", his modern literary processes, are presented in "A Notebook";

The edition is prefaced by the excellent foreword of the editor, poet Iza Orjonikidze, in which Sergo Kldiashvili himself is characterized as having another grace. Avoiding the immoral games of the Union of Writers, "another source of words and answers and honesty", which is proven by the amazing "prayer" and S. Kldiashvili's warm, heartfelt confession which placed on the cover..

Sergo Kldiashvili. "A Notebook" is a unique summary of his thoughts, which appears to be an important type of documentary prose and makes the poetic world perceived by the writer's eyes even more visible to literary experts and ordinary readers.

ლიტერატურული მიმართულება, მიმდინარეობა, სკოლა სერგო კლდიაშვილისათვის ლიტერატურათმცოდნეობის ორგანული ნაწილია და მისი ხელოვნური შექმნა ან გაუქმება არავის ძალუძს, სხვების სურვილისა და კაპრიზების გამო. „ასე ერთის სურვილის გამო სკოლა არ იქმნება, ძალით ვერ დაამყნი და ვერ ააყვავებ [კლდიაშვილი, 2000:20]. ეს პროცესების (განსაკუთრებით მოდერნიზმთან, რეალიზმთან დაკავშირებით თავად გამოსცადა მწერალმა. ერთ პერიოდში იგი „ცისფერყანწელებს“ უახლოვდება. „ადრიან ახალგაზრდობაში გატაცებული ვიყავი სიმბოლისტური და დეკადენტური ხასიათის მწერლობით როგორც პროზაში, ისე დრამატურგიაში. განსაკუთრებით, პოეზიაში. (სიმბოლიზმის ეპოქიდან ახლაც ბევრი ნაწერი მსოფლიო შედეგებად მიმაჩნია, დეკადენტურიდან კი არც ერთის გადაკითხვა აღარ მინდა) იმ პერიოდში ჩამორჩენილობად და მეორეხარისხოვნად მეჩვენებოდა რეალისტური მიმდინარეობა. მართალია, ბევრს ვკითხულობდი მაშინაც, როგორც ქართველ, ისე რუს და უცხოელ კლასიკოსებს, გულში ძალიან მხიბლავდნენ ისინი, მაგრამ ამას ისევ ჩემს ჩამორჩენილობად ვთვლიდი და საკუთარ თავზე ძალდატანებით ვცდილობდი უარმეყო მათი მომხიბლაობა, უნდა გამოვტყდე ჩემს ცოდვაში, - ასეთი... ერთგვარი გულგრილობით ვუყურებდი „სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორს. ის ხომ წმინდა წყლის რეალისტი იყო“ [კლდიაშვილი, 2000:10]. აქ მწერალი სავსებით გულწრფელია, თუმცა სწორედ

„ცისფერყანწელებს“ მიაკუთვნებდა მათ კოლაუ ნადირაძე და ქართულ სიმბოლიზმზე ერთ-ერთი პირველი გამოკვლევის ავტორი ნელი დუმბაძე: „ასეთებად („ცისფერყანწელებად“) მიგვაჩნია კორპორაციის შემდეგი წევრები: ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, სანდრო ცირეკიძე, შალვა კარმელი (გოგიაშვილი) (ხაზი ჩვენია - თ.გ.) [დუმბაძე, 1973:92].

უფრო ქვემოთ, ახასიათებს რა ორდენის თითოეულ წევრს, სერგო კლდიაშვილს უძღვნის ერთ ქვეთავს, რომელშიც იგი იძლევა ამ წევრის პროზის შეფასებას. ნ. დუმბაძის აზრით, სერგო კლდიაშვილი, რომლის ნოველები („ცისფერყანწელთა“) მეორე ჟურნალში „მეოცნებე ნიამორები“ (იბეჭდებოდა 1919 წლიდან, მათ ე.წ. დეპეშურ სტილად მიიჩნევს, რომლებიც აკვიატებული ჰქონდათ დასავლეთ ევროპულ ექსპრესიონისტებსა და სიმბოლისტებსო“. ასეთებია „მთვრალი საუბარი“, „სტრიქონები მონრებიდან“ რომლებშიც მოჩანს ფარული, ბუნდოვანი თხრობა მსგავსი ფრანგი სიმბოლისტების სტილისა. ნ. დუმბაძის აზრით, „დასკვნისათვის ეს ყველაფერი იგრძნობა 1925-30-იან წლებამდე, როდესაც მწერლის შემოქმედებითი დაოსტატება იზრდება და უფრო რეალიზმისაკენ იხრება. „ოცდაათიანი წლებიდან მის შემოქმედებაში ნოველის ჟანრმა განვითარების ახალ, მაღალ საფეხურს მიაღწიაო“ [დუმბაძე, 1973:170].

თავის ჩანაწერებში სერგო კლდიაშვილი რამდენიმეგან საუბრობს ნოველაზე: სწორია და სავსებით გასაგები ნოველის სპეციფიკის დახასიათებაც: „ნოველა, ისე როგორც პოეზიაში სინიტი და ტრიოლეტი, ერთხელვე დადგენილ ფორმასა და ჩარჩოებს ემორჩილება. ის საკვირველად მოქნილია და ისეთი შემოტრიალება იცის, რომ თითქოს მოულოდნელად, ერთ წუთში გახსნის ადამიანის ხასიათს, მთელ მის ბუნებას“ [კლდიაშვილი, 2000:16].

სწორედ ასეთად ტიპურ ნიმუშად წარმოგვიდგება ს. კლდიაშვილის ნოველა „ტურისტი, რომლის პროტაგონისტი უცხოეთში დაბადებული სვანია, საკუთარი ფუძის სანახავად სვანეთში რომ მიემგზავრება ტურისტად ინგლისელ მეუღლესთან ერთად და აი, ადამიანი, რომელიც ქართულად კი ლაპარაკობს, წინაპრის მონაყოლსაც იხსენებს, მაგრამ მისი გენის გამოღვიძება მოხდება უშგულის გზაზე ცხენით მქროლავ ადამიანის უცნაურ აღმოხდენაში.

ბევრ რამეზე საუბრობს სერგო კლდიაშვილი, იხსენებს რა „ფერფლის“ შექმნისაკენ რამ უბიძგა, როგორ ღვივდება თანდათან დავით კლდიაშვილის შემოქმედებისადმი ღრმა პატივისცემა. აღსარებასავით ყვება ყმაწვილობის პერიოდის შეცდომებს, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ლიტერატურის (სადიდოსა თუ საბავშვოს) მნიშვნელობასა და დანიშნულებას. საინტერესო, გულისამაჩუყებლად მოუთხრობს მკითხველს სიმონ ჩიქოვანის სიცოცხლის ბოლო წლებზე, საყურადღებოა ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადასვენების დროს საფლავის გახსნას. მსჯელობს თეატრსა და კინოზე, მის თანამედროვე მწერალთა ურთიერთუპატივცემლობაზე და, რაც მთავარია, გრძნობს საოცარ მარტოობას, რაც კარგად გამოიხატა მის „ლოცვაში“.

„მეშინია უკვალოდ გავქრე და თუ ჩემთვის სხვა არა გემეტება რა, ოდესმე ერთ ყვავილად გამახარე ბროწეულის ტოტზე, რომ მერე ტკბილ ნაყოფათ გავიზარდო და გზაზე მიმავალ ჩემი ქვეყნის ბავშვს შევერგო“ [კლდიაშვილი, 2000:62].

„უბის წიგნაკი“ ფოტოებითა და სხვადასხვა მწერალთა მოგონებებითაა შევსებული.

გამოცემას წამმდვარებული აქვს რედაქტორ, პროფესორ იზა ორჯონიკიძის შესანიშნავი წინათქმა, რომელშიც დახასიათებულია თავარ სერგო კლდიაშვილი როგორც სხვა მადლის მქონე. მწერალთა კავშირის უზნეო თამაშებს გარიდებული, „სხვა სიტყვა-პასუხისა და პატიოსნების საწყაო“, რაც დასტურდება მწერლის საოცარი „ლოცვითა“ და გარეკანზე განთავსებული ს. კლდიაშვილის თბილი, გულწრფელი აღსარებით.

გამოცემას წამმდვარებული აქვს რედაქტორის, პოეტ იზა ორჯონიკიძისა შესანიშნავი წინათქმა, რომელშიც დახასიათებულია თავად სერგო კლდიაშვილი როგორც სხვა მადლის მქონე. მწერალთა კავშირის უზნეო თამაშებს გარიდებული, „სხვა სიტყვა-პასუხისა და პატიოსნების საწყაო“, რაც დასტურდება მწერლის საოცარი „ლოცვითა“ და გარეკანზე განთავსებული ს. კლდიაშვილის თბილი, გულწრფელი აღსარებით.

დასკვნა. სერგო კლდიაშვილის „უბის წიგნაკი“ თავისებური შეჯამებაა მისი ნაფიქრ-ნააზრევისა, რაც დოკუმენტური პროზის მნიშვნელოვან სახეობად გვევლინება და მწერლის თვალთა ალქმულ პოეტურ სამყაროს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ლიტერატურათმცოდნეებისა თუ ჩვეულებრივი მკითხველისათვის.

ბიბლიოგრაფია

ნ. დუმბაძე, 1973. „ქართული სიმბოლიზმი“, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.

ს. კლდიაშვილი, 2000. „უბის წიგნაკი“, „ლიტერატურის მატთანე“, თბილისი.

ს. სიგუა, 2008. „მოდერნიზმი“, „მწერლის გაზეთი“, თბილისი.

თ. პაიჭაძე, 2008. „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“, თსუ.

ნინო ხარჩილავა

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის
გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი, სასწავლო პროცესებს
მართვის დეპარტამენტის უფროსი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

Nino Kharchilava

Senior Researcher of the Institute of
Ethnology named after Academician
Giorgi Chitaia of the Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences,
LEPL – Batumi Art Teaching
University, Head of Teaching Process
Management Department, Doctoral/PhD

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.004>

იძულებით გადაადგილებულთა ახალ რეალობასთან ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი
(ბათუმისა და გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

Some aspects of the integration of refugees with new reality
(based on Batumi and Gali ethnographic materials)

აბსტრაქტი - პოსტსაბჭოთა პერიოდის პოლიტიკურმა პროცესებმა რადიკალურად შეცვალა საკუთრივ აფხაზეთის ეთნო-კულტურული მოზაიკა და იძულებით მიგრირებულთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების პირობები. ფაქტობრივად მათ ახალი ცხოვრების დაწყება მოუწიათ და გაიარეს ადაპტაციის რთული და საინტერესო გზა.

ახალ საცხოვრებელ გარემოში ადაპტაციის არაერთი საკითხია შემონახული იძულებით მიგრანტთა მეხსიერებაში. მათ ბიოგრაფიაში აისახა ამ ტრაგედიის მნიშვნელოვანი პროცესები, რომელთა შორის ძალზე საინტერესოა იძულებით გადაადგილებულთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ადაპტაციის პრობლემები. დღეს, აფხაზეთის ტრაგედიიდან რამდენიმე ათეული წლის შემდგომ ძალზე აქტუალურია მიგრანტთა მეხსიერების ეთნოლო-გიური კვლევები, რამდენადაც ჯერ კიდევ ცოცხალია ის თაობა, რომელმაც აღნიშნული ტრაგედიის სიმძიმე საკუთარ თავზე გადაიტანა.

იძულებით გადაადგილებულთა ცხოვრების წესი და ტრადიციული ყოფა საკუთრივ აფხაზეთში ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ტრადიციულ გარემოში მიმდინარეობდა.

აფხაზე-თის ომმა ეს გარემო მოშალა და მიგრანტებს ახალ პირობებთან ადაპტაცია მოუწიათ. მიუხე-დავად იმისა, რომ მათი ახალი საცხოვრებელი არეალი ისევ საქართველო, ანუ ისტორიულად ერთიანი ეთნოკულტურული სივრცე იყო, მათ გააჩნდათ საკუთარი ტრადიციული კულტურა და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების წესი. გარდა აღნიშნულისა აფხაზეთის ომმა, ასევე მოშალა სოციალური ურთიერთობები და მიგრანტები იძულებული გახდნენ ეძებნათ ახალი სო-ციალური დასაყრდენი ცხოვრების გასაგრძელებლად.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აფხაზეთიდან იძულებით მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკის კვლევა ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა. აღნიშნული პრობლემა დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას და ამ კუთხით წარმოებული კვლევებში წამყვან როლს მიგრაციის ისტორიული ასპექტების კვლევები იჭერს. ეს რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი მიმართულებაა, თუმცა ამასთანავე მივიჩნევთ, რომ აუცილებელი და აქტუალურია ეთნოგრაფი-ული ხასიათის გამოკვლევები, მათ შორის კონკრეტული ბიოგრაფიები და კონკრეტული პი-როვნებების მეხსიერებაში შემონახული ინფორმაციების კვლევა, რომლებიც იძულებით მიგრაციის პირობებში ცალკეული ოჯახების, ინდივიდების ახალ პირობებში დამკვიდრების სოციალ-ეკონომიკურ ასპექტებს მოიცავს.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს აფხაზეთიდან იძულებით მიგრირებულთა მი-რიტადი განსახლების არეალში გამოვიკვლიოთ მიგრანტთა სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ადაპტაციის კონკრეტული ისტორიები და მოვახდინოთ მათი ანალიზი. წარმო-ვაჩინოთ მიგრანტთა ადაპტაციის ზოგადი და ლოკალური ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, იძულებითი მიგრაცია, ინტეგრაცია, ადაპტაცია.

Abstract - Political processes of the post-Soviet period radically changed the ethno-cultural mosaics of Abkhazia and the social, economic, and cultural life conditions of the refugees. They had to start a new life and take a hard and interesting path of adaptation.

Several issues concerning the adaptation to the new environment are kept in migrants' minds. Their biography reflected significant processes of this tragedy among them the most important are the social, economic, and cultural adaptation problems of the refugees. Today, after several decades of the tragedy of Abkhazia, the ethnological studies of the migrants' memory are topical since the generation who overcame this tragedy is still alive.

The daily and traditional life of the refugees was occurring in the historically developed, traditional environment of Abkhazia. Abkhazia war destroyed that environment and the migrants had to adapt to new conditions. Although their new living area was still Georgia, historically similar ethno-cultural space, they had their own traditional culture and the order of social-economic life. Besides, the Abkhazian war also ruined social relations and migrants had to search for new social support to continue their lives.

Studying issues about the forced migration of refugees from Abkhazia is one of the fascinating directions in Georgian historiography. The mentioned problem preserves topicality till today and historical aspects of migration have the leading role in these types of studies. Of course, it is an essential direction, however, we consider that ethnographic studies of specific biographies and information kept in certain people's memories, including social-economic aspects of adaptation to new conditions for refugee families and individuals are necessary and topical.

The presented paper aims to study and analyze the specific stories of social, economic, and cultural adaptation of refugees from Abkhazia in their main living areas. It also introduces general and local aspects of the adaptation of migrants.

Key word – Abkhazia, forced migration, integration, adaptation.

საბჭოთა კავშირის დანგრევას ეთნიკური კონფლიქტები მოყვა. რუსეთის იმპერიამ ეთ-ნიკური კონფლიქტები საქართველოშიც გააჩაღა, ერთმანეთს ქართველები და აფხაზები და-უპირისპირა. საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდა. ტერიტორიული ერთიანობისა-თვის ბრძოლაში საქართველო რუსეთთან დამარცხდა და ქართველები თავიანთი ძირძველი ტერიტორიებიდან გამოაძევა – მამაპაპათა საცხოვრისიდან აყრილებმა თავი საქართველოს სხვადასხვა მხარეს შეაფარეს. იძულებით ადგილნაცვალ არის პირი, რომელმაც მის წინა საც-ხოვრებელ ადგილზე ეთნიკური დაპირისპირებისა და შეიარაღებული კონფლიქტის გამო იძულებით შეიცვალა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. რადგან მის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოიჩინეს ძალადობა, ან არსებობდა რეალური საშიშროება მისი ეთნიკური კუთვნი-ლებიდან გამომდინარე [თოფჩიშვილი, 2015:294-295].

საინტერესოა კონფლიქტის შედეგად იძულებით მიგრირებულ საზოგადოებას თუ რა ბედი ეწია, როგორ განვითარდა მათი შემდგომი ცხოვრება, სად წავიდნენ ისინი. კონკრეტულად, როგორი იყო მათი განსახლების არეალი ახალ საცხოვრისში. იძულებით მიგრირებულთა დასახლებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ფართოდ არის გაშლილი და მათთან და-კავშირებული ინფორმაცია თაობიდან თაობამდე იშლება მეხსიერებიდან და გადადის კულ-ტურულ მეხსიერებაში. კერძოდ, თაობა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს დევნილობის პერიოდი მცირდება და ამ ცოდნის მოპოვება დროთა განმავლობაში უკვე შეუძლებელი იქნება. აღნიშნუ-ლიდან გამომდინარე, აუცილებელია ჯერ კიდევ გადარჩენილის აღწერა და ფიქსაცია.

მონაცემები ძირითადად მოიცავს ბათუმში დევნილთა დასახლებაში ინდივიდუალურ საველე მუშაობის დროს მოპოვებულ ახალ მასალებს, რომელიც შედარებულია თანამედრო-ვე გალის რაიონში მცხოვრები ქართველების ზეპირ მეხსიერებაში დალექილ მონაცემებს. ველზე დაკვირვებამ მოგვცა ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. დაკვირვების მე-თოდი დაგვეხმარა ბუნებრივ პირობებში შეგვესწავლა რეალური ვითარება. მოცემულ ჭრილში საკითხის შესწავლა და აფხაზეთიდან იძულებით მიგრირებულთა წარსულის თუ დღევანდე-ლობის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის გაც-ნობა, ვფიქრობთ უმნიშვნელოვანესი საქმეა.

იძულებითი მიგრაცია აფხაზეთიდან არ იყო ერთჯერადი ფაქტი, ის გარკვეულ დროში მიმდინარეობდა. მიგრაციის ფაქტები XX საკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე გრძელდება. მათ შექმნეს დევნილთა კომპაქტური დასახლებები. გარდა ამისა ხშირი იყო ფაქტები, განსაკუ-თრებით გალის რაიონის მოსახლეობა, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ეგუებოდნენ ახალ გარემოს და თავიანთ საცხოვრისს უბრუნდებოდნენ. მიუხედავად იმისა, გალის რაიონში ბევრჯერ მოეწყო ქართველების ეთნიკური წმენდა.

რთული იყო ახალ გარემოში დამკვიდრების პროცესი, დროთა განმავლობაში იძულებ-ით მიგრირებულებმა შეძლეს ახალ გარემოსთან ადაპტაცია და ახალ გარემოში ცხოვრების მი-უხედავად, შეძლეს დღემდე მოეტანათ თვითმყოფადობის უამრავი ელემენტი. გვიყვებიან ტრადიციისა და ყოფის მრავალ საკითხებზე, რომლებიც დღესაც შესანიშნავად აქვთ შენარჩუ-ნებული. გამოხატავენ მათ დამოკიდებულებას წარსულისადმი, წინაპრებისადმი, მშობლიური სოფლისა თუ ფუძისადმი. მათ მიერ

გადმოცემული ისტორიები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რთული პერიოდი გამოიარეს. მათ მიერ გადმოცემული მასალები ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია და ხალხის მეხსიერებაშია დალექილი.

ტრადიცია არის თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმები, რომელიც ინდივიდში თავისებურად ვლინდება, როგორც მემკვიდრეობით მიღებული ფენომენი და იმდენად ძლიერია, რომ დროს მისი გაუფასურება არ შეუძლია, თუმცა, დროთა ვითარებაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ იგი ადამიანის ფსიქიკაში ღრმად იდგამს ფესვებს და მისი მოსპობა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, დრო პერიოდულად ახდენს ტრადიციების გადაფასებას ხოლმე საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, თუმცა ის, რაც ღირებულია დროს უძლებს. ხშირად ტრადიცია ძველდება და თანამედროვეობას ვეღარ უწყობს ფეხს. ხდება მათი გაუფასურება და უარეს შემთხვევაში მათი გაქრობაც კი, მაგრამ იძულებით მიგრირებულებმა ახალ გარემო პირობებში ცხოვრების მიუხედავად, შეინარჩუნეს ყოფისა და კულტურის ბევრი ტრადიციული ელემენტი.

ქორწინების ფორმებისა და საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ უამრავი ცნობაა დაცული. ამ მხრივ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით საისტორიო წყაროებში, სამართლის ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფოლკლორულ მასალებში, მაგრამ აღნიშნული საკითხის შესწავლისათვის ძირითადი და მნიშვნელოვანი წყაროა ხალხში შეგრავილი ეთნოგრა-ფიული მასალა. ქორწინების სავალდებულო წინაპირობები ტრადიციულ ქართულ საზოგადოებებში წყვილთა შეუღლებამდე იყო განსაზღვრული. ამ წინაპირობათა შორის უმთავრესი ეგზოგამიის რეგლამენტაცია, ანუ სოციალურ ორგანიზაციაში თაობათა იმ საზღვრების დადგენა იყო, რომლის ფარგლებშიც ქორწინება იკრძალებოდა. ეს, თავის მხრივ, უკავშირდებოდა ნათესაური ურთიერთობის ნორმებს.

აფხაზეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში არსებობდა ნათესაობის სამი ფორმა: სისხლით ნათესაობა, მოყვრობით ნათესაობა და ხელოვნური ნათესაობა. ხელოვნური ნათესაობა, თავის თავში შეიცავდა სულიერ და რიტუალურ ნათესაობას (Бромлей, Кашуба, 1982:48), რომელიც ქორწინებისათვის ისეთივე დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა, როგორც შვილად აყვანა [ჯავახიშვილი, 1928:10].

იძულებით მიგრირებულთა თანამედროვე ყოფაში დარღვეულია მოყვრობით დანათესავებულ ოჯახებს და მათ ახლო ნათესავებს შორის ძველად არსებული საქორწინო აკრძალვები. ამჟამად იგი მხოლოდ დამოყვრებულ ოჯახებს და ამ ოჯახის წევრებზე ვრცელდება, რად-გან ხშირია ამ ოჯახების ახლო ნათესავებს შორის ქორწინების ფაქტები.

სულიერად დანათესავებულ პირთა შორის წარსულში არსებული საქორწინო აკრძალვებიც შესუსტდა და იგი უშუალოდ დანათესავებულებზე და მათ ახლო ნათესავებზე ვრცელდება. გვარში იმდენად მომრავლდა ხელოვნურად დანათესავებულ ინდივიდთაგან წარმოქმნილი სოციალური დაჯგუფებები, რომ გვარმა, ფაქტობრივად დაკარგა სისხლით ნათესაობისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც გამოხატული იყო უფლებამოვალეობებში ურთი-ერთობათა ამა თუ იმ სფეროში და რაც მთავარია ეგზოგამიაში [Мгеладзе, 1988:87-88].

გვარის ერთობის შესუსტებასთან ერთად საგრძნობლად შესუსტდა დამძოვილების გზით დანათესავებულთა შორის წარსულში არსებული საქორწინო აკრძალვები და იგი მხოლოდ დამძოვი-ლებულთა ოჯახის წევრის წარმომადგენლებზე ვრცელდება.

ხელოვნური ნათესაობა სოციალური ფენომენია, რომელიც როგორც ყველა მოვლენა, დინამიურად ვითარდებოდა და საზოგადოების ცვლილებასთან ერთად სტრუქტურულ ტრანსფორმაციას განიცდის (ჯავახაძე, 1983:45). მიგრირებულთა ყოფიდან გამქრალი ჩანს ხელოვნურად დანათესავებულ პირთა შორის საქორწინო აკრძალვები.

ამრიგად ნათესაობის სისტემის შესწავლით ირკვევა, რომ ქორწინება გარკვეულ ტაბუი-რებულ საფეხურებს მოიცავდა, როგორც ბუნებრივად აღმოცენებული ნათესაობის ჩარჩოებში, ასევე ხელოვნური დანათესავების და დამოყვრების საშუალებით წარმოშობილი ურთიერთობის შიგნით.

აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ქალს მზითვს ატანდნენ. მზითვის მომზადება ქალის მშობლების მოვალეობას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მას სათავე-ნოს - საქონელს ჩუქნიდნენ, რომელიც მზითვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა [ხარჩილავა, 2017:511-514]. მზითვის ერთერთ სავალდებულო ელემენტს კერის ჯაჭვი - ლანჭაც წარმოადგენდა. ხალხური რწმენით, კერა საოჯახო ყოფის ძირითად ადგილს წარმოადგენდა. კერის ცეცხლის პატრონობა ქალის დანიშნულებას წარმოადგენდა. კერის ჯაჭვი ზეციური და ადამიანური სამყაროს დამაკავშირებელ საშუალებად მიიჩნეოდა [კიკნაძე, 1996:10]. თანამე-დროვე ყოფაში ეთნოგრაფიული მასალებით იძულებით მიგრირებულებში სათავე და კერის ჯაჭვი არ ფიქსირდება. ქალის მზითვს საოჯახო ნივთები და ავეჯი წარმოადგენს.

მზითვის ნორმირებას, ძირითადად, ოჯახის ეკონომიკური შესაძლებლობა განაპირობებდა. ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად ირკვევა, ქალის მზითვის შემადგენლობა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური დონის განვითარებასთან ერთად განიცდიდა ცვლილებებს.

თუ ძველად ქორწილი ქალის და ვაჟის ოჯახებში ცალცალკე ტარდებოდა, თანამედროვე ყოფაში საქორწინო სუფრა ერთდროულად ტარდება. ქორწილს თან ახლდა მრავალი მაგიური რიტუალის აღსრულება, რომელთა შორის საქორწინო ცერემონიალში გამოვყოფთ რკინის და-ნიშნულებას. ქორწილის დროს ნეფე-დედოფალს გადაჯვარედინებული ხანჯლების თაღის ქვეშ გაატარებდნენ [Чурсин, 1928:78, Джанашивили, 1894:13], რომელიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში არის ფიქსირებული და დღესაცაა შემორჩენილი საქორწინო წეს-ჩვეულებებში.

ქორწინების საკითხის კვლევისას ირკვევა მოსახლეობის ყოფისა და კულტურის მრავალი მხარე. მიგრირებულთა საქორწინო წესების შესწავლის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ შენარჩუნებულია განვლილი საფეხურის სხვადასხვა ძირძველი გადმონაშთი, ხოლო მათი ურთიერთშერწყმის არეალი მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

საქორწინო ტრადიციები საკმაოდ კონსერვატორული ბუნებისაა. როცა იცვლებოდა სა-ზოგადოებრივი ურთიერთობები და კულტურის არაერთი ელემენტის მოდერნიზაცია ხდებოდა, ოჯახი და ქორწინების ინსტიტუტი პირიქით, ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების სოციალურ უჯრედად ყალიბდებოდა. საქორწინო ტრადიციების ეროვნული ფუნქცია განსაკუთრებულად მაშინ იზრდებოდა, როცა ეთნოსის განმსაზღვრელი ეთნოგრაფიული სემიონტები იძულებით უცხო კულტურის გავლენის სფეროში მოექცეოდა ან სხვადასხვა მიზეზით მიგრაციის საფუძველზე ახალ დასახლებულ გარემოში ადაპტაციას გადიოდა [მგელაძე, 2013:82].

დაქორწინების პროცესში ადრე მრავალი ბარიერი არსებობდა. მათ შორის მნიშვნელოვანი რელიგიური, წოდებრივი, ქონებრივი და ეთნიკური იყო. დღეს თანამედროვე ცხოვრების წესის შეცვლასთან ერთად ეს ტრადიციაც დაირღვა. დღევანდელი ქორწილი ძალიან განსხვავდება ტრადიციულისგან. დღეს ქალ-ვაჟი სიყვარულით ქორწინდება. რაც არ მოსწონთ ძველი თაობის წამომადგენლებს, რადგანაც ახალგაზრდები სხვა ეროვნების თუ აღმსარებლობის წარ-მომადგენლებზეც ქორწინდებიან. ადრე ქორწინების აკრძალვის წესები იმთავითვე ემსახურებოდა თვითმყოფადი კულტურისა და ტრადიციული სტერეოტიპების შენახვისა და გადარჩენის ამოცანებს. როცა საქორწინო არჩევანი ახალ გარემოში შეზღუდული იყო, ქართველი

გაურბოდა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან ქორწინებას, თუნდაც ეროვნული მენტალობისა და ლოკალური თავსებადობის გადარჩენის მიზნით [მგელაძე, 2013:87]. ძველად ქორწილისთვის მზადება დილიდანვე იწყებოდა. სოფლის მოსახლეობა და სტუმრები დედოფლის სახლში მიდიოდნენ. ქორწილში მონაწილეობას მთელი ნათესაობა და სოფელიც იღებდა, რაშიც საკუთარი წვლილიც შეჰქონდათ. ნათესავ-მეზობლების თანამონა-წილეობა როგორც ქორწილებში, ისე ტირილსა და სიხარულში, საერთო ქართული ტრადიცია იყო და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მათ ცხოვრებაში.

აფხაზეთში, ქალის წამოყვანა სადამომდე უნდა მომხდარიყო. სიძე ამ საქმიანობაში მონა-წილეობას არ იღებდა. მიდიოდნენ მამრები, რომლებსაც თან მიჰყავდათ ქალი ანუ „დადე“, რომელსაც პატარძლის წამოყვანა ევალებოდა. დღეისათვის ეს წესი, მიგრირებულთ ყოფაში თანდათან მივიწყებულია და პატარძლის წამოსაყვანად ჩვეულებრივად სიძე თავად მიდის.

სიძის ოჯახში მისული პატარძალი ოჯახში შესვლის დროს აუცილებლად მარჯვენა ფეხით უნდა შესულიყო და კარის ზღურბლზე თეფში უნდა დაემტვრია. ამ ტრადიციას დღესაც იცავენ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები დევნილები ისე აფხაზეთში მცხოვრებნიც. პატარძალს დედამთილი ტკბილეულობით უმასპინძლდებოდა და კალთაში ახლო ნათესავის ბიჭს ჩაუსვამდა, პირველი შვილი გვარის გამგრძელებელი დაიბა-დებოდა. ეს ტრადიცია იძულებით მიგრირებულთა ყოფაში დღემდეა შენარჩუნებული.

ძველად დიდ მნიშვნელობას იძენდა დედოფლის კერასთან ზიარების რიტუალი. პატა-რძალი წყლით სავსე თასით კერას სამჯერ შემოუვლიდა და წყალს მიმოასხამდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ოჯახის სამეურნეო საქმეები მომავალში წარმატებით წაუვიდოდათ. თანამედროვე ყოფაში ეს წესი არ დასტურდება, რადგან საცხოვრებელში კერა არ ფუნქციონირებს [ასედ, 2023].

დღევანდელ საქორწინო ურთიერთობებში ისე ძლიერად აღარ დომინირებს მშობელთა ცალსახოვანი გადაწყვეტილება. წყვილთა შორის ქორწინება ეფუძნება ქალ-ვაჟის ურთიერთ შეთანხმებას, გამარტივდა ქორწინებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ელემენტები. საქორ-წინო წეს-ჩვეულებების ის ნაწილი, რაც კიდევ შემორჩა დევნილთა მეხსიერებას, დასტურია იმისა, რომ ამ ტრადიციებმა შეინარჩუნა საერთო ქართული ნიშან-თვისება. ეს კი ამ ტრადიციების გამძლეობაზე მიუთითებს. ეს კარგად ვლინდება ქორწინების ციკლის ძირითადი ეტაპების თანმიმდევრობაში [ხარჩილავა, 2016:106-122]. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემები კი, მხოლოდ ნაწილია იძულებით მიგრირებულთა ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში. ბევრი საკითხი მოითხოვს შემდგომ შესწავლასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

საინტერესოა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებიც. გლოვის ტრადიციების გარკვეული ნაწილი დღევანდელ ყოფაში თითქმის შენარჩუნებულია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჭირისუფლის სამგლოვიარო სამოსი, რადგან გლოვის სხვადასხვა ეტაპისა და სიმძიმისათვის დამახასიათებელია შესაბამისი სამგლოვიარო სამოსის ტარების ტრადიცია. ჭირისუფალი შავებით იმოსება ახლობლის გარდაცვალების დღიდან, მი-ნიმუმ ორმოცი დღის განმავლობაში, ზოგი წლამდე ატარებს, ზოგი კი მთელი ცხოვრება. თანამედროვე ყოფაში ჭირისუფალი გლოვის ნიშნად სატარებელ მზა სამოსს ყიდულობს, ძველად სამგლოვიარო სამოსის დაჭრა უნდა მომხდარიყო მიცვალებულის ოჯახში და ამას აკეთებდა ჭირისუფალი თავის ხარჯებით. მამაკაცების მიერ თმა-წვერის მოშვების ტრადიცია ორმოცი დღის განმავლობაში ისევ ფიქსირდება, ხშირად მძიმე გლოვის დროს მამა შვილზე გლოვის ნიშნად ერთ წელსაც კი

ატარებს წვერს. შემოჩენილია მიცვალებულისთვის საიქიოში სხვადასხვა ნივთების გატანების ტრადიცია. სამგლოვიაროდ მოშვებული წვერის გაპარსვამდე დღესაც სრულდება „ჩაფილის“ - მანგიორად, ნაცვლად მორგების წესი. ძველად პანაშვიდზე და დაკრძალვაზე მისულ პირებსაც შავები უნდა სცმოდათ, მოგვიანებით ამ წესს ფაქტობრივად აღარ იცავენ. 2023 წელს ზუგდიდსა და ფოთში დევნილთა დასახლებაში დავაფიქსირეთ გასვენების დღეს მიცვალებულის დატირება კორპუსის ეზოში, სადაც გამართული იყო მიცვა-ლებულის დასატირებლად განკუთვნილი ერთჯერადი ნაგებობა - ფაშატური - ფანჩატური [ასედ, 2023].

თანამედროვე ყოფაში მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში კელაპტარი მონაწილეობს, მიუხედავად იმისა, მისი ფუნქციური დატვირთვა შესუსტებულია. კილანტა-რი//კელანტარი - კელაპტარი მეგრულში დიდი ზომის ცვილის სანთელია. ძველად მიცვალე-ბულის გამზრდელებს, ძიძას და მორდუს მოჰქონდათ „კილანტარი“ (კელაპტარი), რომელსაც აკეთებდნენ გრძელი ალვის ხისგან, რომლის თავზე ფრინველი იყო გამოსახული (მაკალათია, 1941:289; აბაკელია, 2007:34). დღეს კელაპტრი დიდი ზომის ცვილის სანთელია, რომელსაც შემოხვეული აქვს შავი ფერის მიტკალი, რომელიც მზა სახით იყიდება, როგორ საეკლესიო მა-ლაზიებში ასევე ბაზრობებზე. იგი აუცილებლად სულიერ ნათესავს - ნათლულს მიაქვს გარ-დაცვლილის სახელზე, რომელიც მთელი დღის განმავლობაში მიცვალებულის თავთან მდგარ მაგიდაზე დევს და ანთია. დასაფლავების შემდეგ სასაფლაოზე ანთებულს ტოვებენ. მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებებისა, მაინც დაცული ჩანს კელაპტრის, როგორც სამგლოვიარო რიტუალური საგნის მნიშვნელობა [ასედ, 2023].

ამრიგად, აფხაზეთიდან იძულებით დევნილი მოსახლეობის სულიერი კულტურა ზოგადქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ეგუება ახალ რეალობას, თუმცა იძულებით მიგრირებული მოსა-ხლეობა გარკვეულწილად ინარჩუნებს ძველ ტრადიციებს. მიუხედავად ყველაფრისა, იძუ-ლებით მიგრირებულთა ყოფაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი და თანდათანობით იკარგება სხვადასხვა ეთნო-კულტურული ფასეულობანი. დროთა განმავლობაში მათ შეძლეს ახალ გარემოსთან ადაპტაცია და ზოგიერთი ლოკალური წეს-ჩვე-ულებების შენარჩუნება. ახალ გარემოში ცხოვრების მიუხედავად, შეძლეს დღემდე მოეტანათ თვითმყოფადობის უამრავი ელემენტი. მიგრირებულთა შორის, ჯერ კიდევ არის თაობა, რო-მელსაც ახსოვთ მოგონებები დევნილობაზე, მაგრამ მათი რიცხვის შემცირებასთან ერთად ამ ცოდნის მოპოვებაც ხშირად შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასედ - 2023. ავტორის საველე ეთნოგრაფიული დღიური.
2. აბაკელია ნ., 2007. ციკლური სიმბოლიზმი დაკრძალვისა და გლოვის წესებში დასავლურ ქართულ ტრადიციაში, ქუთაისი.
3. თოფჩიშვილი რ., 2015. ხალხთა მიგრაციები, თბ.
4. კიკნაძე ზ., 1996. ქართული მითოლოგია, ტ. I, ქუთაისი.
5. მაკალათია ს., 1941. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ.
6. მგელაძე ნ., 2013. ქორწინება და საქორწინო ტრადიციები თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირებში (ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი,

7. ხარჩილავა ნ., 2016. ქორწინება და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში, თბილისი.
8. ხარჩილავა ნ., 2017. მზითვის საკითხისათვის, (ისტორიული სამურზაყანოს ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), ბათუმი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“, ბათუმი.
9. ჯავახაძე ნ., 1983. ნათესაობის სისტემა სამეგრელოს ბარში და მისი აფხაზური პარალელები (პირადი არქივი), თბ.
10. ჯავახიშვილი ივ., 1928. ქართული სამართლის ისტორია, თბ.
11. Бромлей Ю, Кашуба М, 1982. Брак и Семья у народов Югославии, М.
12. Джанашвили М. 1894. Абхазия и Абхазцы, ЗКОРГО, кн., XVI, Тф.
13. Мгеладзе И. 1988. Система кровного родства в Аджарии, Батуми.
14. Чурсин Г.Ф. 1928 .Культ железа у кавказских народов, Тф.

გიორგი ბაციკაძე
ისტორიის დოქტორანტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Giorgi Batsikadze
PhD candidate in History,
Batumi Shota Rustaveli State University
DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.005>

**ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცვლილება მეფისნაცვალ ვორონცოვის
მმართველობის შემდეგ**

The Shift in Georgian Socio-Political Thought After the Rule of Viceroy Vorontsov

აბსტრაქტი. სამეცნიერო სტატია ეხება ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მახასიათებლებს XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მასზე მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობის (1844-1854 წწ.) გავლენას. იგი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრი და თავადაზნაურობის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტორის, მოღვაწეობის კონტრასტი ვორონცოვის მმართველობამდე და მის შემდეგ.

1801 წელს რუსეთის იმპერიამ განახორციელა ქართლ-კახეთის ანექსია და გააუქმა მეფობა. მოულოდნელ მოვლენას სამეფო სახლისა და თავად-აზნაურთა ნაწილის მღელვარება მოჰყვა. იმპერიამ იგივე განახორციელა სხვა ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ. ახალი მმართველობის შეუთავსებლობა ადგილობრივ მოთხოვნილებებთან იწვევდა ხალხის ამბოხს. პერმანენტული წინააღმდეგობა გრძელდებოდა, ფაქტობრივად, მთელი საუკუნის განმავლობაში და ასახავდა საზოგადოებრივ პრობლემებს. ამ პროტესტში ხალხის სურვილთან ერთად წარმოჩნდა თავადაზნაურობის, როგორც ქართული კლასობრივი საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელის პოზიცია, რომელმაც ცვლილება განიცადა მეფისნაცვალ ვორონცოვის მმართველობის შემდეგ და დაშორდა საზოგადოებრივ ინტერესებს. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სახალხო პროტესტი როგორც მონაწილე, ისე ორგანიზატორი. ამავდროულად, ის იყო ძალა, რომელსაც შესწევდა საერთოეროვნული ბრძოლის ორგანიზების უნარი. იმპერიის ხელისუფლებას ეს კარგად ესმოდა და თავადაზნაურობის სრულ დაშოშმინებაზე გათვლილი რბილი ძალით მოქმედების საჭიროებასაც ხედავდა.

მაშასადამე, სტატიაში განხილულია ის ისტორიული პროცესები, რომლებიც ცხადყოფენ ქართველი ხალხის მოთხოვნებს საკვლევ პერიოდში, ხაზგასმულია ამ პროცესების საყოველთაო ხასიათი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მახასიათებლები და მეფისნაცვალ ვორონცოვის როლი მისი ტრანსფორმაციის პროცესში. აღნიშნულის საფუძველზე, წარმოდგენილია შედარებითი

ანალიზი და დასკვნა. კვლევა ეფუძნება დოკუმენტურ მასალას, სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესას.

საკვანძო სიტყვები: აჯანყება, თავადაზნაურობა, ვორონცოვი, საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური აზრი, საქართველო, კავკასია

Abstract. The scientific article deals with the characteristics of Georgian public and political thinking in the first half of the 19th century and the influence of the rule of Viceroy Vorontsov (1844-1854) on it. It aims to present the public opinion of the Georgian people and the contrast between the work of the nobility as a public-political actor before and after Vorontsov's rule.

In 1801, the Russian Empire violated the international agreement, annexed Kartli-Kakheti, and abolished the monarchy. The unexpected event was followed by excitement in the royal house and part of the nobility. The empire did the same to other Georgian principalities. The new government's incompatibility with local needs led to people's rebellion. Permanent resistance lasted, in fact, throughout the century and reflected public problems. In this protest, together with the people's desire, the position of the nobility as the political head of the Georgian class society appeared, which underwent a change after the rule of Viceroy Vorontsov and distanced itself from public interests. In the first half of the 19th century, a significant part of the nobility was both the participant and organizer of protest. At the same time, he was a force capable of organizing a national struggle. The empire understood this well and saw the need to act with soft power aimed at the complete dismay of the aristocracy.

Therefore, the article discusses the historical processes that reveal the demands of the Georgian people in the research period, emphasizing the universal nature of these processes, the characteristics of public-political thinking, and the role of Crown Prince Vorontsov in its transformation. Based on this, a comparative analysis and conclusion are presented. The research is based on documentary material, scientific literature, and the press.

Keywords: Rebellion, Nobility, Vorontsov, Public Opinion, Political Opinion, Soft Power, Georgia, Caucasus

შესავალი. XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, მიუხედავად გარკვეული გამოკვლევებისა, ნაკლებად შესწავლილი საკითხია და ამავდროულად ბევრ ისეთ საყურადღებო დეტალს მოიცავს, რომელსაც არა მხოლოდ საისტორიო მეცნიერებისთვის, არამედ საქართველოს ცხოვრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ისტორიული გამოცდილების გააზრების თვალსაზრისით. ჩვენ შევეცდებით ხაზი გავუსვით XIX საუკუნის ქართული აზროვნების გარკვეულ მახასიათებლებს და შევაფასოთ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის (1844-1854 წწ.) მმართველობის როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ცვლილების საკითხში. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ იმ მოვლენებს, რომლებიც აჩვენებენ ქართველი ხალხის სურვილს და მოთხოვნებს, ამის საფუძველზე კი შემოგთავაზებთ დასკვნებს და შედარებით ანალიზს.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი 1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით და რუსეთთან მიერთებით დასრულდა (AKAK, I, 1866: 432-433). 1802 წლის აპრილს, თბილისში, გენერალ-ლეიტენანტ კნორინგის მიერ ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას რუსეთის ერთგულებაზე დაფიცება ებრძანა. ამ უხეში ჟესტით გამწყრალმა ზოგიერთმა ქართველმა უარი თქვა ფიცის მიღებაზე, რაც თავად-აზნაურთა წარმომადგენლების დაპატიმრებებით გაგრძელდა (Потто, 1887: 310-311). მმართველობის იძულებით ცვლილებას და ახალ დღის წესრიგს საქართველოში მასობრივი პროტესტის სერია მოჰყვა.

პროტესტისა და შეიარაღებული წინააღმდეგობების მოკლე აღწერა 1802-1878 წლებში

1802 წლის ივლისის ბოლოს, კახეთში ადგილი ჰქონდა ქართველი ფეოდალების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო გამოსვლას. მათი პროტესტის უმთავრესი მოთხოვნა იმპერატორის მანიფესტით გაუქმებული მეფობის აღდგენა იყო გეორგიევსკის ტრაქტატის შესაბამისად. მათ მიერ შედგენილ წერილებში უპირველესად დადასტურებული იყო იმპერატორისადმი ერთგულება და მოთხოვნილი იყო მეფობის აღდგენა. აღნიშნული წერილებიდან იკვეთება, რომ წერილის ავტორები მეფობის გაუქმებას ადგილობრივი ხელისუფლების ნამოქმედარად აღიქვამდნენ. გარდა ამ თემისა, ისინი საუბრობდნენ მანიფესტით გათვალისწინებულ უსაფრთხოებასა და სოციალურ-ეკონომიკურ შეღავათებზე, რომლის შეუსრულებლობაშიც ადგილობრივ ხელისუფალთ სდებდნენ ბრალს (AKAK, I, 1866: 387-388).

ფართო მოსახლეობის პოზიცია გაცილებით მკაფიოდ გამოიკვეთა 1804 წლის აჯანყებაში. იმპერიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა სამხედრო შენაერთების ფორმირება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისგან, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდა (AKAK, II, 1868: 307-308). უკმაყოფილების უკან იდგა კოლონიური მმართველობის მრავალი შედეგი. კერძოდ, იმპერიის მოხელეების თავაშევებული და ზოგჯერ უზნეო მოქმედება, მოსახლეობის რესურსების განიავება, ფიზიკური შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა. ამას თან ერთოდა გაზრდილი გადასახადები და მათი ამოღების უხეში მეთოდები (AKAK, II, 1868: 311). აღნიშნული პრობლემების გამო აჯანყდა პრაქტიკულად მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, უშუალოდ შეიარაღებულ დაპირისპირებებში მონაწილეობდა რამდენიმე ათასი ადამიანი (AKAK, II, 1868: 314-315). აჯანყებაში მონაწილე უფლისწულებიდან განსაკუთრებით აქტიურობდა ფარნაოზ ბატონიშვილი (ფრონელი, 1896: 282-285).

1810 წლის თებერვალში გამოქვეყნებული იმპერატორის პროკლამაციით სოლომონ II-ს ძალაუფლება და იმერეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს. თავდაპირველად, რუსი მოხელეები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ხალხში არსებული სიმშვიდით და მიზანს შესრულებულად თვლიდნენ (AKAK, IV, 1870: 233-235). თუმცა, ზოგიერთ მოხსენებაში თავადვე აღნიშნავდნენ მრავალი იმერელი ფეოდალის და ხალხის სოლომონ მეფისადმი ერთგულების ფაქტს (AKAK, IV, 1870: 249). რუსების ტყვეობიდან დაბრუნებულ სოლომონს მოსახლეობა მასობრივად დაუდგა გვერდში. პრაქტიკულად, აჯანყდა მთელი იმერეთის მოსახლეობა (AKAK, IV, 1870: 295). ანტირუსულ გამოსვლაში მონაწილეობდა ათასეულობით ადამიანი, მეამბოხეებს ზურგს უმაგრებდა და ამარაგებდა მშვიდობიანი მოსახლეობა (ხომერიკი, 2012: 279-297).

იმპერიული მმართველობის დამყარებამ, ძველი წესწყობილების ცვლილებამ, ბეგარ-ვალდებულებებმა, ახალმა გადასახადებმა, მოხელეების მიერ ხალხის როგორც მორალურმა, ისე ფიზიკურმა შეურაცხყოფამ 1812 წელს ხანგრძლივ მღელვარებამდე მიიყვანა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ეგზეკუციას და მექრთამეობას თან ერთოდა რუსული ადმინისტრაციისა და მოსახლეობისთვის გაუგებარი რუსული სასამართლოს შემოღება, სადაც ხალხი სამართალს ვერ პოულობდა (ჯავახიშვილი, 2016: 25-28). ახმეტიდან და თიანეთიდან დაწყებული ბრძოლა მთელ კახეთსა და მთიანეთში გავრცელდა, ალექსანდრე ბატონიშვილის ჩართვის შემდეგ საბრძოლო მუხტი გაიზარდა, 1812-1813 წლებში მიმდინარე სასტიკ შეტაკებებს, რომელშიც ჩართული იყო ათასეულობით ადამიანი და იმსხვერპლა ასეულობით, ისტორიოგრაფიაში სავსებით ლოგიკურად ეძლევა რუსეთ-საქართველოს ომის კვალიფიკაცია (გელაშვილი, 2023: 54-56).

რუსეთის მიერ საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ დაწყებულმა ეკლესიის რეორგანიზაციამ დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული დაპირისპირება გამოიწვია (ჯავახიშვილი, 2016: 32-34). ეპარქიების შემცირებისა და საეკლესიო მამულების სახაზინოში გადასვლის საკითხი უკმაყოფილებას იწვევდა (ხომერიკი, 2012: 360-363), 1819 წელს ამ რეფორმის მიზნით დაწყებული საეკლესიო მამულების აღწერები გახდა პროტესტის უშუალო საბაზი (ხომერიკი, 2012: 377-380). ბრძოლაზე გადასვლამდე იმერეთის მოსახლეობა რაჭის მოსახლეობას მოუწოდებდა საერთო პრინციპებით მოქმედებისა და აღწერის ხელშეშლისაკენ, ვინაიდან რეფორმა ფეოდალებსაც და გლეხებსაც კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნდათ (AKAK, VI, 1874: 391). შეიარაღებული გამოსვლა

1820 წელს რაჭიდან დაიწყო, იგი მალევე აქტიურად გავრცელდა იმერეთსა და გურიაში, ადგილი ჰქონდა მრავალრიცხოვან და სასტიკ შეტაკებებს **(ნიჩიპეროვიჩი, 2020: 67-72)**.

ძალზე საყურადღებო საკითხია 1832 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. იგი რუსეთში მყოფ ქართველებში ჩაისახა და განვითარდა 1825-1827 წლებში, საქართველოში რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობის მთავარ იდეურ ავტორებად ვხედავთ ქართველ ბატონიშვილებს. იდეა თანდათან გაფართოვდა და გადმოინაცვლა საქართველოში, სადაც ჩამოყალიბდა შეთქმულთა ორგანიზებული ჯგუფი **(გოზალიშვილი, 1935: 15-21)**. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საქართველოს განთავისუფლებას და ბაგრატიონთა მეფობის აღდგენას. თუმცა, მეფის ხელისუფლება არ იქნებოდა აბსოლუტური, არამედ მის გვერდით იარსებებდა არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო გარკვეული სტრუქტურით. იქედან გამომდინარე, რომ ორგანიზებას თავადაზნაურობა ეწეოდა, საბრძოლო ძალასთან მიმართებით მათი იმედები უმთავრესად ბატონყმური იერარქიის საფუძველზე დაქვემდებარებული გლეხების გამოყვანას ეფუძნებოდა და არა პროპაგანდას, საზოგადოებრივ აზრზე მუშაობას **(შველიძე, 2013: 255-256)**. 1832 წლის პოლიტიკური მოძრაობის ავტორებს ჰქონდათ ორგანიზებული ბრძოლის ჩანაფიქრი და გარკვეული გეგმა, რაც საქართველოში შეიარაღებული პროტესტის მასობრივად გავრცელებას, რუსული ძალების ბლოკირებასა და ქვეყანაზე კონტროლის აღებაში მდგომარეობდა. ჩანაფიქრი სისრულეში არ მოსულა, იგი გასცა ერთ-ერთმა მონაწილემ.

კოლონიური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეფორმები უძღოდა წინ 1841 წლის გურიის ამბოხს. სამოქალაქო მმართველობის რეფორმას თან დაერთო ნატურალური გადასახადის და შრომითი ბეგარის ფულადი გადასახადით ცვლილება, რაც აჯანყების დაწყების საბაზი გახდა **(სიხარულიძე, 1957: 52-55)**. აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და მოიცვა მთელი გურია, მოსახლეობა კოლონიზატორების განსაადევნად აქტიურ მოქმედებებზე გადავიდა **(ხაჭაპურიძე, 1931: 32)**. შეიარაღებული გამოსვლები სტიქიურად დაიწყო სხვადასხვა სოფელში, აჯანყებაში ჩართული იყო, როგორც გლეხობა, რომელიც ბუნებრივად მოძრაობის ბირთვს წარმოადგენდა, ისე თავადაზნაურობის ნაწილი **(სიხარულიძე, 1957: 55-59)**.

1856-1857 წლებში სამეგრელოს უბრალო მოსახლეობის მწვავე სოციალურმა ყოფამ ხალხი ფართომასშტაბიან აჯანყებამდე მიიყვანა. ყირიმის ომის დროს მიღებულ ზიანს თან ერთოდა ადამიანთა ვაჭრობის შემთხვევები, მძიმე გადასახადები, მეზატონეების მხრიდან

მოსახლეობის პრობლემების უხეში უგულებელყოფა, შრომის ექსპლუატაცია, მორალური შეურაცხყოფა (ბოროზდინი, 1934: 114-118). მოსახლეობა შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე გადავიდა. ორგანიზებულ საპროტესტო გამოსვლაში ათასობით ადგილობრივი ჩაება. აჯანყებულებმა მოკლე დროში დაამყარეს კონტროლი სამეგრელოს საკვანძო პუნქტებზე (ლემონჯავა, 1957: 59-90). ადგილობრივ მთავრებსა და მებატონეებზე გამყრალი აჯანყებულები გარკვეულ იმედებს რუსეთის ხელისუფლებაზე ამყარებდნენ (AKAK, XII, 1904: 255). თუმცა, სწორედ რუსული შენაერთებით სისხლში ჩაახშვეს აჯანყება.

ქალაქის მმართველობის მიერ გამძლავრებული კორუფცია, მოსახლეობის მძიმე სოციალური პირობები და გადასახადები გახდა 1865 წელს თბილისის ვაჭარ-ხელოსნების, უსტაბაშების, მუშების ამბოხის მიზეზი. 1865 წლის 27 ივნისს დაიწყო გაფიცვა, მოხდა შეტაკებები აჯანყებულებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის (ჭიჭინაძე, 1906: 19-32).

რუსული მმართველობის დამყარება სვანეთში, მოლოდინისდა მიუხედავად, ცხოვრების გაუმჯობესებით არ გაგრძელბულა. გასაჭირში მყოფ მოსახლეობას კოლონიური წესები და გადასახადები დაემატა, რაც მღელვარებას იწვევდა (გასვიანი, 1979: 84-89). გარდა ამისა, ხალხს ავიწროებდა ადგილობრივი საპოლიციო რეჟიმი, მათ შორის თავადი დადემუქელიანი (გელოვანი, 2003: 297-298). სვანეთში მიწის აზომვის ბრძანებამ მოსახლეობაში ახალი გადასახადების შიში გააჩინა. 1875 წელს, ფაქტობრივად, მთელი ე.წ. ბალსზემო სვანეთი შეიკრიბა და ახალი გადასახადის შემოღების შემთხვევაში ერთობლივი წინააღმდეგობის პირობა ერთხმად დადო (წიჟარაძე, 1964: 173-177). რუსების მიერ მღელვარების მოთავეების ძებნა გახდა მიზეზი მომდევნო წელს სოფელ ხალდეს მოსახლეობასთან უმძიმესი შეტაკებისა (წიჟარაძე, 1964: 194-199).

ადგილობრივ მოხელეებში კორუფცია მწვავე პრობლემად იდგა კახეთში. ოსმალეთთან ომის ლოჯისტიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო ხარ-ურმის შერჩევისას ადგილი ჰქონდა კორუფციას და დატვირთვა იმ ხალხის კისერზე გადადიოდა, რომელსაც ქრთამის გადახდა არ შეეძლო (ივერია, N24, 1878: 1-2). სამხედრო დანაყოფების ფორმირებისათვის სიების შედგენა 1878 წელს ამბოხის საფუძველად იქცა. ხალხი აპროტესტებდა გაწვევის კენჭისყრის პრინციპს, რაც კორუფციის გზით შეძლებულთათვის ჯარში გაწვევისგან თავის არიდების საშუალებას იძლეოდა. საპროტესტო გამოსვლაში ჩაება რამდენიმე სოფლის ორი ათასამდე ადამიანი, მეამბოხეებმა დაარბიეს ადგილობრივი მოხელეების სახლები (დროება, N114, 1878: 1-2).

რუსული ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივი მახასიათებლების გაუთვალისწინებლობამ და საგლეხო რეფორმის უხეში ფორმებით განხორციელებამ, რასაც თან ერთოდა დამატებითი გადასახადები, მექრთამეობა, დესპოტიზმი, 1866 წელს აფხაზეთის აჯანყება გამოიწვია (Дзидзария, 1955: 99-130). შეიარაღებულ წინააღმდეგობაში ჩაერთო რამდენიმე ათასი ადამიანი (Дзидзария, 1955: 143-150). აფხაზეთის მოსახლეობის საყოველთაო უკმაყოფილების კიდევ ერთი გამოხატულება იყო 1877 წლის ანტირუსული აჯანყება, რომელსაც მიემხრო ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (პაპასკირი, 2003: 195-201).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა თუ რა სურდა ხალხს? პასუხი ნათელია: რუსეთი იმპერიის მიერ ძალით შეცვლილი წესრიგის აღდგენა, ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების დაცვა, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და სამართალი.

ამდენად, 1802 წლის ამბოხი თავად-აზნაურთა ორგანიზებით დაიწყო, ისინი მეფობის გაუქმების წინააღმდეგ გამოვიდნენ. 1804 წლის მთიულეთის ამბოხი და 1812-1813 წლების კახეთის ომი რუსეთის იმპერიის მიერ შემოტანილი უცხო და, როგორც აღმოჩნდა, მძიმე სოციალურ-კულტურული ნიადაგით დაიწყო, მასში ერთმანეთს სრულებით შეუთავსდა მოსახლეობის, უფლისწულებისა და მეფობის აღდგენის მომხრე ფეოდალების მიზნები. 1810 წლის იმერეთის აჯანყება ცალსახად პოლიტიკური ხასიათის იყო და აქ ერთმანეთს შეეჯახა სოლომონ II და რუსეთის ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები, რაშიც ხალხი, ცხადად, სოლომონის მხარეს იდგა. 1819-1820 წლის რაჭა-იმერეთ-გურიის და 1841 წლის გურიის აჯანყებების უშუალო წინაპირობა სოციალურ-კულტურული და საზოგადოებრივი გარდაქმნები გახდა, ორივე შემთხვევაში წინააღმდეგობრივი განწყობა სუფევდა, როგორც გლეხებში, ისე ფეოდალებში და საყოველთაო პროტესტი წარმოებდა იმპერიული მმართველობის წინააღმდეგ. 1856-1857 წლების სამეგრელოს, 1865 წლის თბილისის, 1875-1876 წლების სვანეთის და 1878 წლის სიღნაღის აჯანყებების საფუძველს კი ცალსახად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ქმნიდა და იგი პირწმინდად გლეხების მოძრაობა გახლდათ. 1866 და 1877 წლების აფხაზეთის აჯანყებები, მსგავსად საქართველოს სხვა აჯანყებებისა, კოლონიური მმართველობის ადგილობრივ საზოგადოებასთან შეუთავსებლობით იყო განპირობებული.

სამეფოს გაუქმების შემდეგ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არსებობდა რუსეთის იმპერიის ერთგულების აზრი და აქეთკენ მიმართული იმედები. სწორედ ეს აზრი და იმედები განაპირობებდა იმას, რომ ახალი დღის წესრიგი და პოლიტიკა, რომელიც ადგილობრივ

რეალობასთან შეუთავსებელი აღმოჩნდა, ქართველებისთვის აღიქმებოდა არა როგორც იმპერატორის მიზნებად, არამედ ადგილობრივი წარმომადგენლობის თვითნებობად. გარდა ამისა, თავდაპირველ შემთხვევებში, როდესაც თავადაზნაურობა მეფობის აღდგენას მოითხოვდა, ეს მოთხოვნა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებში თავსდებოდა. იმპერიის რეალური მიზნების თანდათან გაცხადებამ რუსეთის იმპერიის უანგარო მხარდამჭერად აღქმის უეშმაკო სიჯიუტე თანდათან შეარყია და ქართველ თავადებში ორგანიზებული ბრძოლის აუცილებლობა ცხადყო. საქართველოს სხვადასხვა მხარეში მიმდინარე არასინქრონულ წინააღმდეგობას შედეგების მოსატანად ორგანიზება სჭირდებოდა, ეს თავზე ინტელიგენციას უნდა აეღო, რომელიც იმხანად ბატონიშვილებისა და თავადაზნაურობის სახით იყო წარმოდგენილი და ასეც მოხდა 1832 წლის შეთქმულების მცდელობის მაგალითზე.

1832 წლის შეთქმულების ჩაშლამ ცალსახად უარყოფითად იმოქმედა თავისუფლების მოპოვების იმედზე. მაგრამ, ცალკეული წინააღმდეგობა მაინც გრძელდებოდა. 1839 წელს ლეკ ამბოხებულებთან კავშირის საფუძველზე გასამართლეს თოთხმეტი ქართველი წარჩინებული, მათგან ოთხი სიკვდილით დასაჯეს (**რეიფილდი, 2019: 416**). თავადაზნაურობა აქტიურად მონაწილეობდა გურიის 1841 აჯანყებაშიც.

თვალში საცემი ის ფაქტია, რომ თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავად-აზნაურთა საყურადღებო ნაწილისა და გლეხების ინტერესები ანტიიმპერიულ მოძრაობაში თანხვდებოდა ერთმანეთს, შესაბამისად, არაერთი თვალსაჩინო მაგალითია ერთიანი ბრძოლისა, მაშინ როდესაც უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე გამოსვლებში თავადაზნაურობა აღარსად ჩანს. მაშ რაღა მოხდა საუკუნის მეორე ნახევრიდან?

სიმონ ხუნდაძე ქართველ თავადაზნაურობაში სამ პოლიტიკურ მიმართულებას გამოყოფს:

1. რუსოფილური 2. ტრაქტატის მომხრეები და 3. ანტირუსული და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომხრე (**ხუნდაძე, 1936: 8-11**). ამგვარად, რეაქციული წარსულით მანამდეც კარგად ცნობილი ფეოდალთა ნაწილი თავიდანვე მყარად უჭერდა მხარს იმპერიის საქმეს, მათ გვერდით არსებობდნენ პასიური პოზიციის ფეოდალები, რომელთაც არც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და არც ეროვნული გრძნობების მოჭარბების შემთხვევებით არ დაუმკვიდრებიათ თავი ისტორიაში. ასევე, ფეოდალები, რომელთა ქართული სამეფოსადმი ერთგულება და სოციალური ინტერესები აქტიური ანტიკოლონიური განწყობა-მოქმედების ვექტორს უთავსდებოდა. ცხადია, გლეხებსა და ფეოდალებს შორის კეთილგანწყობა არ სუფევდა, მძიმე კლასობრივი ურთიერთობების ამსახველი გლეხთა

მრავალი საჩივარი თუ ანტიბატონყმური აჯანყება შემოინახა XIX საუკუნის ისტორიამ.¹⁴ მიუხედავად ამისა, საუკუნის პირველ ნახევარში რუსული მმართველობისადმი ამ კლასთა საერთო დამოკიდებულება მეტ-ნაკლები თავსებადობის და გაერთიანების შემთხვევებს ქმნიდა. ამავდროულად, ქართული ინტელიგენცია იყო ის ნაწილი მოსახლეობისა, რომელსაც შეიძლება განთავისუფლების გზებზე ეფიქრა, გეგმაზომიერად ემოქმედა და ერთიანობაზე ემუშავა. ეს ზედმიწევნით კარგად ესმოდა იმპერიის ხელისუფლებას, ჯერ კიდევ ბაგრატიონების განდევნით წინააღმდეგობის პერმანენტულ საფრთხეს იცლებდნენ, თვლიდნენ, რომ მათი გასახლება ბოლოს მოუღებდა აჯანყებებს (**ფრონელი, 1896: 353-354**). 1832 წლის მომზადებული წინააღმდეგობის მცდელობის მაგალითმა კი ინტელიგენციის მერყევი და პატრიოტი ნაწილის დამორჩილება-გაერთგულების საჭიროებაც კიდევ უფრო გამოკვეთა.

ეს კავკასიის პირველმა მეფისნაცვალმა, მიხეილ ვორონცოვმა (1844-1854 წწ.), ზედმიწევნით კარგად მოახერხა. მისი მმართველობის დროს გატარდა ბევრი ისეთი რეფორმა, რომელიც მოსახლეობის ელიტარული ნაწილის კეთილგანწყობის მოპოვების საქმეში ეფექტურ სამალებად იქცა. საქართველოში დაარსდა კავკასიის მუზეუმი, ბიბლიოთეკა, თეატრი, გიმნაზიები, გამოიცა ჟურნალი, გამოიყო სტიპენდია თავად-აზნაურთა შვილებისთვის რუსეთში სასწავლებლად და ა.შ. (**ჯანელიძე, 2020: 3-4**), 1849 წლის კანონით ყმების კუთვნილების საკითხზე მტკიცებულებების წარმოდგენა მემამულის ნაცვლად ყმას ეკისრებოდა (**ნარკვევები, 1970: 134**). მოხდა ბაგრატიონთა ნათესავების რეაბილიტაცია, ზოგიერთი თავადი დაინიშნა მაღალ თანამდებობაზე (**რეიფილდი, 2019: 420**). გლეხების გასაჭირიდან ისედაც დაშორებული და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი, მეორე მხრივ კი შეთქმულების ჩაშლით დაზაფრული ინტელიგენციისთვის ვორონცოვმა შექმნა კულტურულ-პოლიტიკური კეთილდღეობის და რუსეთის იმპერიაზე დამყარებული იმედების გამართლების ელფერი, რამაც მერყევი ნაწილიც დაიმორჩილა და კმაყოფილებსაც დამატებითი განცხრომა შესძინა. ეს კმაყოფილება გასცდა ძალაუფლებური მორჩილების პოზიციას და ნებაყოფლობითი ქედის მოდრეკის უმაღლესი მაგალითი აჩვენა 1848 წელს, როდესაც თავადთა ნაწილმა წერილი მისწერა იმპერატორს, რომელშიც ევროპაში მიმდინარე რევოლუცია იყო დაგმოვილი, ხოლო მათი ხელმწიფისადმი სრული

¹⁴ ამ თემაზე იხილეთ:

1. ბენდიანიშვილი ა., საქართველოს ისტორია: 1800-1921, თბილისი, 1999, გვ. 68-71
2. გასვიანი გ., დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (XVI-XIX სს.), თბილისი, 1988, გვ. 184-188
3. ჩხეტია შ., გლეხების აჯანყება 1863 წელს სამეგრელოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვეთი I, მეცნიერებათა აკადემია, ტფილისი, 1937

სამსახური და თავდადება დადასტურებული (AKAK, X, 1885: 26). არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი და ოცნება, გარემოების მიხედვით, უკუაგდეს. მისი ადგილი დაიჭირა ერთგულ-ქვეშევრდომობის გრძნობამ. ხოლო ამ გრძნობას თან სდევდა მეორე გრძნობა - „გულმოდგინება მამულისადმი“...“მამულის“ ინტერესების დაცვისთვის არავითარ გარანტიას არ ითხოვდნენ. ერთგულ-ქვეშევრდომობის გრძნობა კი მუდამ ცხოველი ჰქონდათ გულში“ (ჯორჯაძე, 1911: 158). დამორჩილების არაძალადობრივი მეთოდის განხორციელება 1832 წელსვე დაიწყო, როდესაც იმპერატორმა სიკვდილმისჯილი შეთქმულები შეიწყალა და სანაცვლოდ გადასახლება მიუსაჯა. ეს იყო ერთგვარი ნიშანი პრინციპისა: „გვეწინააღმდეგები-გსპობთ, გვემსახურები-გიფასებთ“. ამ გზით იმპერიამ ქართული სამეფო სახლის პოლიტიკური საყრდენი საქართველოში თავის საყრდენად გადააქცია. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება დაშორდა ხალხის მოთხოვნებს.

ვორონცოვის მმართველობის მრავალი დადებითი შეფასება არსებობს და ობიექტურად მართლაც იყო მასში მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მაგრამ ფართო საზოგადოებრივი სარგებლის კუთხით შეფასებისას ადვილად დავინახავთ ინტელიგენციას, როგორც ამ რეფორმათა სამიზნე სეგმენტს. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (90%-ზე მეტი) გლეხთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ხალხი, რომელიც უწყვეტად მიწაზე მუშაობდა, რათა საკუთარი ოჯახი და მებატონე ერჩინა, ასრულებდა ბეგარას, არ ჰქონდა განათლება, საამისო დრო და შესაძლებლობა, ფიზიკურად ვერ იქნებოდა ამ კულტურული რეფორმების ბენეფიციარი. ამავდროულად, სახალხო მოძრაობები გაგრძელდა შემდეგ ათწლეულებშიც. რბილი ძალის გავლენას კი ნათლად აჩვენებს თავადაზნაურობის ხალხის მისწრაფებებისგან ჩამოშორება და იმპერიის სამსახურში ჩადგომა.

დასკვნა

გარკვეულ ეტაპზე ქართულ საზოგადოებაში არსებობდა წარმოდგენა რუსეთის იმპერიის ქართული სახელმწიფოებრიობისადმი კეთილგანწყობის შესახებ და ის საპირისპირო ღონისძიებები, რაც ხალხის პროტესტს იწვევდა, იმპერატორისგან დამოუკიდებლად, ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებად აღიქმებოდა. თუმცა, ეს იყო იმპერიის რეალური მიზნები, რაც ისტორიული გამოცდილებით ცხადზე ცხადადაა დადასტურებული და დასაბუთებული. შესაბამისად, მოსახლეობა გააზრებულად იბრძოდა თავსმოხვეული, ადგილობრივ მახასიათებლებთან შეუთავსებელი დღის წესრიგის

წინააღმდეგ, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა იმპერიის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას, ვინაიდან წყარო ახალი დღის წესრიგისა სწორედ ის იყო.

განვითარებულმა მოვლენებმა და პეტერბურგის გეგმების ნაბიჯ-ნაბიჯ გაცხადებამ თანდათან შეასუსტა იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების ქართველებისა და ქართული სახელმწიფოებრიობისადმი ძმური ერთგულების გულუბრყვილო აზრი. მოსახლეობა შეიარაღებული პროტესტით ცდილობდა საკუთარი უფლებების დაცვას, გლეხების გვერდით იდგა თავადაზნაურობის ნაწილიც. თუმცა, ცალკეული რეგიონების არასინქრონული პროტესტი უზარმაზარი იმპერიის ძალებს ვერ უმკლავდებოდა. მალე ქართველი ინტელიგენციისთვის ნათელი გახდა ორგანიზებული ბრძოლის და დაგეგმილი მოქმედებების აუცილებლობა, რაც ვიხილეთ 1832 წლის მაგალითზე. ხალხის გაერთიანების და მასობრივი ბრძოლის ორგანიზების რესურსი თავადაზნაურობას ჰქონდა და რუსეთი კარგად ხედავდა ამ წოდების ურჩი ნაწილის დამორჩილების აუცილებლობას. 1832 წლის შეთქმულების კრახმა დააქვეითა განმათავისუფლებელი ბრძოლის ჟინი და ენთუზიაზმი. შეთქმულების მარცხით გულგატეხილ თავადაზნაურობას შიშთან ერთად მორჩილების საფასურად უნდა შეჰქმნოდა ცხოვრების ისეთი პერსპექტივები, რომლებიც მასში სულ ცოტა ეროვნული ინტერესების დათმობის ან მეორე პლანზე გადანაცვლების დამაფიქრებელ განწყობას თუ მზაობას გააჩენდა. ეს მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა (1844-1854 წწ.) შეძლო რბილი ძალის ტაქტიკით და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე ახალი თაობის წარმომადგენლების, ე.წ. „თერგდალეულების“ გამოსვლამდე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება დაშორდა ხალხის მოთხოვნებს და თავადაზნაურობა, ფაქტობრივად, სრულად იმპერიის ინტერესებს დაექვემდებარა, რაც გახდა კიდევ ახალი თაობის ძველთან დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. АКАК, I, (1866). Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Томъ I (I), Тифлисъ
2. АКАК, II, (1868). Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Томъ II (I), Тифлисъ
3. АКАК, IV, (1870). Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Томъ IV (I), Тифлисъ
4. АКАК, VI, (1874). Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Томъ VI (I), Тифлисъ
5. АКАК, X, (1885). Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Томъ X (I), Тифлисъ
6. АКАК, XII, (1904). Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, под редакциею председателя комиссии Ад. Берже, Томъ XII (I), Тифлисъ

7. Дзидзария, Г. (1955), Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми
8. Потто, В. (1887), Кавказская Война, Томъ I, Выпускъ I, Издание Второе, С.-Петербургъ
9. ბოროზდინი, კ. (1934). სამეგრელო და სვანეთი 1854-1861: მოგონებანი, თ. სახოკიას თარგმანი, თბილისი
10. გასვიანი, გ. (1979). დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბილისი
11. გელაშვილი, ა. (2023). რუსეთ-საქართველოს ომი 1812-1813 წლებში, თბილისი
12. გელოვანი, ა. (2003). დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბილისი
13. გოზალიშვილი, გ. (1935). 1832 წლის შეთქმულება, ტფილისი
14. ლემონჯავა, დ. (1957). გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857, თბილისი
15. ნიჭარაძე, ბ. (1964). ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები II, თბილისი
16. ნიჩიპეროვიჩი, ბ. (2020). რუსული საეკლესიო მმართველობა საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, თბილისი
17. პაპასქირი, ზ. (2003). ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი I: უძველესი დროიდან 1917 წლამდე, თბილისი
18. რეიფილდი, დ. (2019). საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი : სამიათასწლოვანი ისტორია. ჯუანშერ ტიკარაძის თარგმანი
19. სიხარულიძე, ი. (1956). გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წ., ბათუმი
20. ფრონელი, ა. (1896). მთიულეთი 1804 წ., ტფილისი
21. შველიძე, დ. (2013). 1832 წლის შეთქმულებითი მოძრაობა (და არა - შეთქმულება), თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, 247-260, თბილისი
22. ჭიჭინაძე, ზ. (1906). თბილისის ამბოხება ანუ დიდი ბუნტი 1865 წ., თბილისი
23. ხაჭაპურიძე, გ. (1931). გურიის აჯანყება 1841 წელს, თბილისი
24. ხომერიკი, მ. (2012). იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბილისი
25. ხუნდაძე, ს. (1936). დიმიტრი ყიფიანი, ტფილისი
26. ჯავახიშვილი, ი. (2016). პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში, თბილისი
27. ჯანელიძე, ო. (2020). ვორონცოვის მმართველობა საქართველოში „რბილი ძალის“ პოლიტიკის ჭრილში, რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო, თბილისი
28. ჯორჯაძე, ა. (1911). თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეორე : ჩვენი საზოგადოებრივობა. ტფილისი
29. ნარკვევები, (1970). საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, V, თბილისი
30. ივერია N24, 1878
31. დროება N114, 1878

მაღალმთიან აჭარაში გავრცელებული საყოფაცხოვრებო ნივთები
(2023 წლის სსიპ აჭარის მუზეუმის ორგანიზებით განხორციელებულ ექსპედიციაში
შეგროვებული მასალების მიხედვით)
Household items commonly found in the highland Ajara
(According to the materials collected during the 2023 expedition organized by LEPL Adjara
Museum)

აბსტრაქტი

მაღალმთიანი აჭარა უძველესი ისტორიული მხარეა. აქაურ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობასთან. ბევრი რამ შემოგვინახა მთიელთა ყოფა-ცხოვრებამ. უამრავ ჭირთან შეჭიდებული მთელი ერთი ხელით, ოფლით მოყვანილ ჭირნახულს იმკიდა, მეორეთი კი ქვეყნის თავისუფლებასა და მომავალზე ზრუნავდა, გონებით კი ქმნიდა თაობებისათვის უძვირფასეს საგანძურად გადაქცეულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს.

არაერთი ეთნოგრაფი თუ მკვლევარი დაინტერესებულია ჩვენი კუთხის საყოფაცხოვრებო ნივთებით.

თითოეულ მათგანს თავისებური ინტერპრეტაციით აქვს აღწერილი მოპოვებული მასალები, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, რომ რამდენჯერაც არ უნდა მოვუბრუნდეთ ამ საკითხს, სიახლეს და გასაოცარს ყოველთვის ვპოულობთ.

ამ რწმენით დაიმედებულებმა 2023 წლის 17, 18 და 19 ივლისს სსიპ აჭარის მუზეუმის ორგანიზებით ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის თანამშრომლები ექსპედიციით ვიმყოფებოდით მაღალმთიან აჭარაში. მოვიარეთ სამი ხეობის (სხალთა, დიდაჭარა, ღორჯომი) ყველა უბანი, მოვიძიეთ ძველი ექსპონატები, ჩავიწერეთ მათთან დაკავშირებული მეტად საინტერესო მასალები. მოვისმინეთ სხვადასხვა მოსაზრებები საყოფაცხოვრებო ნივთების დანიშნულებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

საკონფერენციო ნაშრომში, წარმოგიდგენთ ჩვენს მიერ შეგროვებულ მასალას, რომელიც დაკავშირებული იქნება მაღალმთიან აჭარაში არსებულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებთან.

საკვანძო სიტყვები: ექსპედიცია, ხეობა, ნაჭრელობები, სახელოსნო, მზითვეი...

Abstract

Highland Ajara is an ancient historical region. The life of the inhabitants here is related to agricultural activities. The life of the mountain people has saved us many things. The people in distress, with one hand, held on to the hard-earned wealth, while with the other, it took care of the country's freedom and future, and with its mind, it created customs, traditions, beliefs and ideas that have become the most precious treasure for generations.

Many ethnographers and researchers are interested in the household items of our corner. Each of them has their own interpretation of the materials found, but from today's perspective it is clear that no matter how many times we return to this subject, we always find something new and surprising.

Hopeful in faith, on July 17, 18 and 19, 2023, the employees of the Khariton Akhvlediani Museum, visited the highlands of Adjara on an expedition, organized by the Museum of the State of Adjara. We visited all the districts of these three (Schalta, Didachara, Ghorjomi), searched for old exhibits, wrote down very interesting materials related to them. We heard different opinions regarding the purpose and use of household items.

In this conference paper, we present the material collected by us during the expedition, which will be related to the household items in the highlands of Adjara.

Key words: expedition, workshop, dowry...

აჭარა - საქართველოს ისტორიული და ეთნოგრაფიული სინამდვილის მატეანა, აჭარელი კი უპირველესად სულიერი სიძლიერისა და სიმტკიცის მაგალითი, რომელმაც მემკვიდრეობით თაობებში გადაცემული თვითმყოფადი კულტურა, ენა, მამა-პაპური ადათ-წესები შეუზღავა დღემდე მოიტანა. აჭარელმა შემოინახა ძველობა, უფროს-უმცროსობა, დედის კულტი. მის ლექსიკაში ძველქართული ხალხური ქცევის ეტიკეტი დღემდეა დაცული, ეტიკეტი, რომელიც მისალმების, პატივისცემის ნიშნად თავდახრას, განშორება-დამშვიდობებისას ფეხზე ადგომას, მხარზე ამბორს, ხელდებით დალოცვას ითვალისწინებდა, რაც უკვე იშვიათობას წარმოადგენს.

მაღალმთიანი აჭარა უძველესი ისტორიული მხარეა. აქაურ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობასთან. აჭარის მრავალფეროვანი ბუნება მთისა და დაბლობის, ზღვისპირეთისა და მთიანეთის შეხამებით წარმოდგენილი სამეურნეო ყოფის მრავალფეროვნებითაც ხასიათდებოდა, სადაც მიწათმოქმედებას, მესაქონლეობასა და მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა.

ბევრი რამ შემოგვინახა მთიელთა ყოფა-ცხოვრებამ. უამრავ ჭირთან შეჭიდებული მთელი ერთი ხელით, ოფლით მოყვანილ ჭირნახულს იმკიდა, მეორეთი კი ქვეყნის თავისუფლებასა და მომავალზე ზრუნავდა, გონებით კი ქმნიდა თაობებისათვის უძვირფასეს საგანძურად გადაქცეულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს.

არაერთი ეთნოგრაფი თუ მკვლევარი დაინტერესებულია ჩვენი კუთხის საყოფაცხოვრებო ნივთებით.

თითოეულ მათგანს თავისებური ინტერპრეტაციით აქვს აღწერილი მოპოვებული მასალები, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, რომ რამდენჯერაც არ უნდა მოვუბრუნდეთ ამ საკითხს, სიახლეს და გასაოცარს ყოველთვის ვპოულობთ.

არც, 2023 წლის 17, 18 და 19 ივლისის სსიპ აჭარის მუზეუმის ორგანიზებით ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ექსპედიცია არ ყოფილა გამონაკლისი. 3 დღიანი ექსპედიცია მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა მაღალმთიან აჭარაში. მოვიარეთ სამი ხეობის (სხალთა, დიდაჭარა, ღორჯომი) ყველა უბანი, მოვიძიეთ ძველი ექსპონატები, ჩავიწერეთ მათთან დაკავშირებული მეტად საინტერესო მასალები. მოვისმინეთ სხვადასხვა მოსაზრებები საყოფაცხოვრებო ნივთების დანიშნულებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზეც ვრცლად ქვემოთ მოგახსენებთ.

ჩვენს მიერ ნამყოფ სამივე სოფელში (სხალთა, დიდაჭარა, ღორჯომი) ჯერ კიდევ შემონახულია ძველი ადათ-წესები და რიტუალები. რაც გამოიხატება თუნდაც საცხოვრებელი სახლების ნაგებობებში. მაღალმთიანი აჭარისთვის დამახასიათებელია საცხოვრებლის ისეთი ტიპი,

რომელიც ოდა სახლების სახელითაა ცნობილი (სურ1). იგი ცალკეული ოთახებისგან შედგებოდა და შუადერეფნით არ ხასიათდებოდა. ოდა სახლის ძირითადი ნიშანი ბუხრების ცენტრალური დაგეგმარება იყო., რომლის ირგვლივაც ოთახები იყო გამართული. ეს ოთახი სტუმრისთვის იყო განკუთვნილი. სტუმარს შეეძლო ნებისმიერ დროს, დაუკითხავადაც კი გაეთია ღამე ამ ოთახში. ამიტომაც ოდა სახლებს ცალკე ჰქონდათ შესასვლელი. დღეს მაღალმთიან აჭარაში ოდა სახლები ნაკლებადაა შემორჩენილი, ნაწილს კიდევ ამ ოთახის კიბე გაუქმებული აქვს, თუმცა შესასვლელი კარი ადასტურებს ამ ტიპის საცხოვრებელი სახლების არსებობაზე [ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2019:357].

ზემო მთიან აჭარაში დღემდეა შემორჩენილი ქალისა და მამაკაცის ხელსაქმეები. ძირითადად მოხუცი ქალბატონები ზამთრის სუსხიან ამინდში, ღუმელთან ექცეოდნენ სხვადასხვა ხელსაქმეს. ქალების ხელსაქმეებიდან აღსანიშნავია რთვა-ქსოვა (სურ1. 10). მატყლის გაჩეჩვა საჩეჩელით ხდება. საჩეჩელი ხის მოწობილობაა, რომელშიც მავთულები - კბილები ორ რიგად და თანაბრადაა დამორებული. შემდეგი ეტაპი გაჩეჩილი მატყლის დართვაა. დართვისთვის გამოიყენებენ თითისტარს. აქ მას ხერტალის სახელით მოიხსენიებენ (სურ4). ხერტალი დაახლოებით ოცდაათი სანტიმეტრი სიგრძის ორივე მხრიდან წაწვეტებული ხის ჯოხია, ძაფის დასართავი და დასაძრახი. მას ქვემოდან მჭიდროდ წამოცმული კვირისთავი აქვს. ამის შემდეგ უკვე ქალბატონები გადადიან ქსოვაზე. ქსოვისთვის იყენებენ საქსოვ ჩხირებს, ჩენგელ ჭაღს, ლაისნაღს. ქსოვენ წინდებს, ხელთათმანებს, ტანსაცმელს, ასევე სხვადასხვა მასალისგან ამზადებენ კალათებს, გოდრებს [ვარშალომიძე, 1986:212]. კალათი მოწნული სამეურნეო ინვენტარია. მას ძირითადად თხილის ტკეჩისგან ქსოვდნენ. ცნობილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის კალათები - ხელიანი და უხელო (სურ.5,7). ზემო მთიან აჭარაში გავრცელებული საყოფაცხოვრებო ნივთებიდან ასევე აღსანიშნავია გოდორი - წნელით, ზოგჯერ ტკეჩით მოწნული მაღალი, ყურიანი, მრგვალი ან ოთხუთხედი ჭურჭელი. იყენებენ ხილის, ბოსტნეული კულტურების, ჩაის ფოთლის, საქონლის საკვების და სხვა გადასაზიდად. გოდორს ტევადობა სხვადასხვანაირია. გიდელი - წნელისა და ტკეჩისაგან მოწნული უყურო, მოგრძო, პირგანიერი და ძირწაწვეტილი ჭურჭელი, რომელსაც ხეზე ჩამოსაკიდად კავი აქვს გამოზმული. გამოიყენება მაღლარის ყურძნის და ხილის კრეფისას ხილის ჩასაყრელად, ხიდან ჩამოსაშვებად და გადასატანად. გვარდა-კარაქისა და ყველის შესანახი [ნოლაიდელი, 1935:308].

გარდა ქსოვისა მაღალმთიან აჭარაში გავრცელებულია ქარგვა. ქარგავენ მაგიდის, კედლის ნაქარქობებს. მათზე გამოსახული ორნამენტები და სიფერადე თითოეული ადამიანის ყურადღებას იპყრობს. დღეს ამ საქმით საკმაოდ ბევრი ადგილობრივია დაკავებული და იგი მათი შემოსავლის წყაროსაც კი წარმოადგენს[სამსონია, 2009:178], (სურ:13,14, 15).

აღსანიშნავია რომ ადგილობრივი ქალბატონები ატარებდნენ სარტყელს (სურ.8). თვითონ სარტყელის ტარება არაა არდილობრივი ტრადიცია, ის შემოსული და დამკვიდრებულია. ამასთან დაგავშირებით ხათუნა ხოზრევანიძე ასეთ ისტორიას გვიყვება „როდესაც აშოტ კურაპალატმა ნანა დედოფლის სიცოცხლეში სიძვის ქალი მიიყვანა და სასახლეში დაისვა, გრიგოლ ხანცთელმა ამის შესახებ გაიგო და აშოტის არ ყოფნის დროს სასახლეს ეწვია. ახლოს არ გაიკარა სიძვის ქალი და უსაყვედურა თავისი საქციელის გამო. გრიგოლმა უარი უთხრა დალოცვაზე, რადგან ცოდვას ჩადიოდა ქალმა ტირილი ატეხა და შესჩივლა, რომ მისი სურვილი სულაც არ არის აქ ყოფნა და კურაპალატს ვერ ეწინააღმდეგება. მაშინ გრიგოლმა საკუთარ თავზე აიღო აშოტის რისხვა და ქალს დაპირდა, რომ აშოტი ვერ გაეკარებოდა. ჩამოართვა პირობა და წელს სარტყელი (საბელი) მოახვია. აი სწორედ ეს ნიშნავდა იმას, რომ მას უარი უნდა ეთქვა მრუშობაზე, რაც ფიცით დაადასტურა. სასახლიდან გრიგოლმა ეს ქალი მერეში დედათა მონასტერში დედა ფებრონიასთან მიიყვანა“.

სოფელ ღორჯომში სამკერვალო სახელოსნო გახსნილი აქვს ადგილობრივ მოსახლეს მზევინარ ირემამეს, სადაც დასაქმებული ჰყავს ქალბატონები და უწევს პოპულარიზაციას ზემო აჭარის კულტურას. გარდა სამკერვალოში, ასევე არის ხის სახელოსნო, სადაც ამზადებენ ხის საჭირო სხვადასხვა ნივთებს (საჭმლის საჭრელი დაფები, უხლაოები, ლაფერები, ცაცხვები..) პროდუქცია გადის ადგილობრივ ბაზარზე და ხდება მისი რეალიზება (სურ.15)

აღსანიშნავია რომ სოფელ ღორჯომში ზურა შევარდნაძის მიერ არის გახსნილი სახელოსნო, სადაც დასაქმებულნი არიან ადგილობრივები. კერავენ სიხმებს, ტრადიციულ სამოსებს, ასევე ქარგავენ და შემდეგ უკვე გააქვთ როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ბაზარზე (სურ:13, 14).

მაღალმთიან აჭარაში ბავშვთა საძინებელი იყო ხის სარწევი და საძინებელი აკვანი (სურ.18). აკვნის ნაწილებია: აკვნის ხელი, აკვნის კამარა, აკვნის ფეხი, სიგრძის სიგანისა და სიმაღლის ჯოხები. აკვნის მორთვა საკმაოდ ძვირი ჯდება. მას ლეიბი, საბანი, ბალიში თეთრეული, არტახები, აკვნის ნაქარგებიანი გადასაფარებელი და სხვა წვრილმანები ესაჭიროებოდა. აკვანს ამშვენებდა სხვადასხვა მძივები (ალიყური, სათვალაია) (სურ.16), რომლებც მათივე რწმენით ბავშვს დაიცავდა თვალის ცემისგან. საინტერესოა აკვნის მიტანის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ ქალის მშობიარობიდან ორმოცი დღის შემდეგ მშობლებს გათხოვილი შვილისთვის უნდა მიეტანა ჩვილისთვის საჭირო ნივთები შეძლებისდაგვარად [ბეზარაშვილი, 1974:71]. აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიცია დღემდე შემორჩენილი. საინტერესოა აკვნის აქსესუარების მნიშვნელობა. აკვანს სხვადასხვა ქვებით ამკობდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ალი-ყური, სათვალაია. მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მშობლებს სჯეროდათ რომ ეს ქვები ბავშვს ავი თვალისაგან დაიცავდა.

საყოფაცხოვრებო ნივთებიდან ჩვენს მიერ შეგროვებული მასალებიდან ასევე საინტერესოა რკინის გუთანის, „სუფრა“ მაგიდა, „ხის კალათები“ (სურ.5,7), თიხის დოჭი, მჭადის კეცი, სახნისი-ბუდეტი, ჯაჭვი, ფანდური - ხელით ნაკეთი, ექვანი (სურ.3)- მამალ თხას წინ დაკიდებდნენ, რათა იმ ხმას გაყოლოდნენ. კოჭიჭია - პატარა და მოგრძო, ოვალური ფორმის სახელურიანი ყუთი, კოლოფი. გამოიყენებოდა წვრილმანების - მძივების, ნემსების, ძაფების შესანახად, ასევე მატყლის ჩეჩვის დროს ფთილების ჩასაწყობად (სურ.12). ვარია - ცილინდრული ფორმის სადღებელი „იაღის, კარაქის მოსარევი. ძარა- გამოიყენება სიმინდის ქუნჩლის გადასაზიდად, (სურ.9) მაღალმთიანი აჭარა უხვი ნალექიანობით გამორჩეული მხარეა. ამიტომაც აქ მცხოვრები ადამიანები ზამთრისთვის განსაკუთრებით ემზადებიან და ინახავენ საჭირო ნივთებსა და პროდუქტს. ერთ-ერთი საჭირო ნივთი გრძელი და ცივი ზამთრის გასაყვანად იყო თხილამურები - მას იყენებდნენ დიდთოვლობისას გადასადგილებლად. ამზადებდნენ კამეჩის ტყავითა და ჭკნავის ხით (სურ.19). მაღალმთიან აჭარაში გავრცელებული იყო ისეთი საქმიანობა, ნალების ჭედვა ეწოდებოდა. ადგილობრივები ხარებს და ვირებს ნალებით ჭედნენ, ისე რომ ცხოველი არ დაეზიანებოდა [ნოღაიდელი,1935:167]. ნალი მათ დაზიანებისგან იცავდა (სურ.17). ამასთან დაკავშირებით სოფელ ძმაგულაში მცხოვრები რუსტომ წულუკიძე გვიყვება: „ ძირითადად, ხარებსა და ვირებს ვაჭედებდი ნალებს, კარგად ვიცოდი ეს საქმე და არასოდეს დამიზიანებია ცხოველის ფჩხილი. დაჭედვა ყველაზე კარგად ვიცოდი და ამიტომაც დამარქვეს მჭედელი, ეს საქმე მამისგან ვისწავლე. რაც თვალი გავახილე ამას ვხედავდი და აღარც მახსოვს როდის დავიწყე ამის კეთება. ნასწავლი არ ვიყავი, მხოლოდ ეს საქმე ვიცოდი კარგად და მთელი ცხოვრებაც ამას ვაკეთებდი”.

მაღალმთიან აჭარაში გასართობ თამაშად გავრცელებულია ჭადრაკი. ამ მხრივ გამოირჩევა სოფელი დიდაჭარა. ადგილობრივები ყველგან: სახლში, ეზოში, მოედანზე ჭადრაკს თამაშობენ. ჭადრაკი დიდი ხანია, რომ არის გავრცელებული ამ სოფელში ადასტურებს სოფლის ერთ-ერთი მშვენება ჭადრაკის სახლი. იგი დიდ ისტორიას ინახავს, პირველად ეს შენობა 1985 წელს იქნა

გახსნილი. სოფელს არაერთი სხვადასხვა რანგის პრიზიორი ჰყავს რითაც ადგილობრივები იწონებენ თავს (ერთ-ერთია ისქანდერ წულუკიძე რომელმაც მსოფლიო სამისლოვთან იასპარეზა).შენობამ ადგილი სამჯერ შეიცვალა. დღეს ეს შენობა საჭიროებს რესტავრაციას, ამიტომ არ ფუნქციონირებს. ჭადრაკს ასწავლიან სკოლაში, ახალგაზრდები ჭადრაკს აღიქვამენ სპორტად, აიგივებენ სიბრძნესთან. სოფელში თავისუფალ დროს თითქმის ყველა დაკავებულია ჭადრაკის თამაშით (სურ.6, 11). ჭადრაკი იმდენად ძვირფასი იყო ამ სოფლის მკვიდრთათვის, რომ ძველად მზითევში გოგონას ვეფხისტყაოსანთან ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ.

ამდენად, მეტად საინტერესოა მაღალმთიანი აჭარა. იგი დღემდე ინახავს ჩვენი ქვეყნის წარსულს. სსიპ აჭარის მუზეუმების გაერთიანების ორგანიზებით განხორციელებული ექსპედიცია ნაყოფიერი აღმოჩნდა მაღალმთიან აჭარაში, ვინაიდან მოვიპოვეთ სხვადასხვა საინტერესო ყოფისა და კულტურის ისტორიულ - ეთნოგრაფიული ნივთები, რომლებმაც სამუდამოდ დაიდეს ბინა აჭარის მუზეუმში ჩვენი დიადი კულტურის უკვდავსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვ., 1941. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი
2. ბაქრაძე დ., 1987. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი
3. ბეზარაშვილი ც., 1974. ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი
4. გვათუა ნ., 1970. ქართველ ქალთა ჩაცმულობა, თბილისი
5. გვათუა ნ., 1967. ჩაცმულობის ისტორიიდან (ქალის ქართული ჩაცმულობა XIX და XX სს დასაწყისი) თბილისი
6. ენციკლოპედია 1997. „საქართველო“, ტ. 1, თბილისი
7. ვარშალომიძე ჯ., 1986. ხალხური დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგობა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა XIII) თბილისი
8. ზუტენერი ა., 2007. აჭარლები, თბილისი
9. თოფჩიშვილი რ., 2010. „საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია“, თბილისი
10. მური ჟ., 1962. ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი.
11. ნოღაიდელი ჯ., 1935. ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი
12. სამსონია ი., 2009. ტანსაცმელი და ჩაცმულობა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II) ბათუმი
13. სამსონია ი., 2005. ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი
14. სახოკია თ., 1985. მოგზაურობანი, ბათუმი
15. ფრუიძე ლ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი
16. ფუტყარაძე შ., 1993. ჩვენებურების ქართული, ბათუმი,
17. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2019. აჭარა, ბათუმი
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ.,
19. ყაზბეგი გ., 1995. სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი
20. შალიკავა მ., 2010. უცხოელი მოგზაურები აჭარული ჩაცმულობის შესახებ, (აჭარის საარქივო სამმართველო), ბათუმი
21. ჩოფიკაშვილი ნ., 1964. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს), თბილისი
22. ციციშვილი ი., 1964. მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბილისი

23. ჯავახიშვილი ივ., 1962. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III-IV, თბილისი



სურ.1



სურ.2



სურ.3



სურ.4



სურ.5



სურ.6



სურ.7



სურ.8



სურ.9



სურ.10



სურ.11



სურ.12



სურ.13




სურ.14



სურ.15



სურ.16



სურ.17



სურ.18



სურ.19

თეონა ზოიძე

სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

Teona Zoidze

Director, LEPL Ajara Museum

Assistant Professor,

Shota Rustaveli State University of Batumi

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.001>

გასტრონომიული კულტურა, ტურიზმი და მისი მნიშვნელობა აჭარის რეგიონში

Gastronomic Culture, Tourism and Its Significance in the Region of Ajara

აბსტრაქტი

კვლევა აერთიანებს კულტურათშორისი, ეკონომიკური და ტურისტული ტენდენციების ერთობლიობას. მასში წარმოდგენილია გასტრონომიული ტრადიციების მნიშვნელობა, რეგიონულ იდენტობის მნიშვნელობა. სტატიაში განხილულია აჭარული გასტრონომია, როგორც საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული პროდუქტი. სტატიაში ასახულია აჭარული გასტრონომიის უნიკალური ნიმუშები, მივიწყებული კერძები და ტრადიციები, დასკვნის სახით მოცემულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: აჭარა, გასტრონომია, სამზარეულო, კერძები, ბორანო, სინორი, კაიმაღი.

Abstract

This research integrates intercultural, economic, and tourism-related trends, emphasizing the significance of gastronomic traditions and their role in shaping regional identity. The article examines Ajara's gastronomy as one of Georgia's most distinctive tourism products. It highlights unique examples of Ajarian culinary heritage, including forgotten dishes and traditions. The conclusion presents a series of recommendations based on the findings.

Keywords: Ajara, gastronomy, cuisine, dishes, Borano, Sinori, Kaimaghi.

შესავალი

აჭარა – შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე, უნიკალური ბუნებით, მრავალფეროვანი კულტურითა და ისტორიული მემკვიდრეობით გამორჩეული რეგიონი – საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ლოკაციაა. ბოლო წლებში, რეგიონის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს გასტრონომიული კულტურა, რომელიც ადგილობრივი ეკონომიკისა და კულტურული იდენტობის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. აჭარული სამზარეულო გამოირჩევა როგორც გემოვნური მრავალფეროვნებით, ისე რეცეპტების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით. მისი გამორჩეული კერძები – აჭარული ხაჭაპური, ბორანო, სინორი, კაიმაღი და ჩირბული და სხვა არა მხოლოდ ადგილობრივების, არამედ ტურისტებისთვის მთავარი ინტერესის საგანია. აჭარული კერძები აერთიანებს მთის და ზღვის პროდუქტებს, რაც უნიკალურ კოლორიტს სძენს მას. ზღვისპირა და მთიანი რეგიონების

კომბინაცია შექმნის შესანიშნავ ბაზას გამოცდილი ტურისტული პროდუქციის და ადგილობრივი გასტრონომიული გამოცდილებისთვის.

კვლევა ეფუძნება: ეთნოგრაფიას: კერძების რიტუალები და მათი სივრცეებში გამოყენება. სტრატეგიულ ანალიზს: შემოთავაზებული პროექტები, მათ შესაბამისობა UN SDG პრინციპებთან და რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ მიდგომებს მიმართულებით.

ეკონომეტრიულ ანალიზს: ტურიზმის წვლილი ეკონომიკასა და მცირე სასტუმრო ბიზნესში, მდგომარეობის კვლევა ქვემო და მაღალმთიან აჭარაში .

კულტურული და ეთნიკური რაობა.

საქართველოს თითოეული კუთხე, მათ შორის აჭარა, გამოირჩევა ხალხური სამზარეულოს ნაირგვარობითა და მომზადების ტექნოლოგიით, სუფრის გაშლის წესებითა და მასთან დაკავშირებული რიტუალებით. აჭარული სამზარეულო წარმოაჩენს ადგილობრივ ისტორიულ, ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას, ხოლო გასტრო-აქტივობები, რიტუალები და კერძების მომზადების პრაქტიკა გამოიყენება როგორც კომუნიკაციის, სტუმართმოყვარეობისა და კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის საშუალება. აჭარული სამზარეულოს მრავალფეროვნება და თავისებურება განპირობებულია მეურნეობრივი პროფილითა და საკვები მცენარეულობის სიმრავლით. აჭარის მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო დარგებია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ამიტომაც მოსახლეობის საკვებიც უმთავრესად ბოსტნეულისა და მარცვლეულის, რძისა და ხორცის პროდუქტებისაგან მზადდებოდა და მზადდება დღესაც. ძირითად რაციონს ძველთაგანვე ავსებს ხილი, მევენახეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტები, თევზი. აჭარაში სულ ფიქსირებულია 150-მდე დასახელების კერძი.

საქართველოსაგან ხანგრძლივმა იზოლირებამ ოსმალთა ბატონობის პერიოდში გარკვეული გავლენა იქონია არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ ხალხურ სამზარეულოზეც. მიუხედავად ოსმალური სამზარეულოს გავლენისა ადგილობრივმა მოსახლეობამ ძირითადად შემოინახა ქართული სამზარეულოს ძირძველი ტრადიციები, თუმცა ამავე დროს, უცხოური ელემენტებიც შეიტვისა. ზოგიერთმა ტრადიციულმა კერძმა სახელი შეიცვალა, მისი დამზადების ტექნოლოგია კი იგივე დარჩა. ფრაგმენტული ხასიათის ცნობები რძისა და რძის პროდუქტების შესახებ მოცემულია ქართველ მოღვაწეთა- აზუსერისძე ტბელის, ვახუშტის, დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, ზ. ჭიჭინაძის, თ. სახოკიას, მ. ჯანაშვილის, ა. ფრენკელის, ვ. ლისოვსკის და სხვათა ნაშრომებში. აჭარულ სამზარეულოზე დიდი გავლენა მოახდინა მაღალმთიანი რეგიონების ცხოვრების წესმა, ოსმალეთის ბატონობის პერიოდმა, მათი ადათ-წესების შემოტანამ მაღალმთიან აჭარაში.

აჭარული სამზარეულო და უცხოური გავლენა აჭარულ გასტრონომიაზე.

აჭარულ სამზარეულოს ძირითად კომპოპენტს რძის პროდუქტები წარმოადგენს. მაღალმთიანი აჭარა ხანგრძლივი ზამთრით ხასიათდება, რაც ზრდის საკვები პროდუქტების დიდი ხნით შენახვის საჭიროებას. რძის პროდუქტების დამზადებითა და მოხმარებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა აჭარისწყლის, მერისის, მაჭახლის ხეობათა სოფლები. რძესა და რძის პროდუქტებს აჭარაში რძისეულს, უხდურს, ნაწველს, თეთრეულს ეძახიან. რძისა და რძის პროდუქტების შენახვა- გადამუშავება ხდებოდა საგანგებოდ გამოყოფილ ოთახში- სარძიეში. საცხოვრებელ სახლში სარძიეს ცალკე არსებობა თავისთავად მიუთითებს ამ სახის პროდუქტების დიდ მნიშვნელობაზე აჭარელთა ყოფაში [ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I. თბ. 1947. გვ. 157-158].

აჭარის ადგილობრივმა მოსახლეობამ საუკუნეთა მანძილზე ღრმა ცოდნა- გამოცდილება შეიძინა რძის ცხიმინობის გამოცნობასა და ამალღებაში, რძის მაღალხარისხოვანი პროდუქტების დამზადებაში. ცხიმინობით უპირატესობა ენიჭება კამეჩისა და ძროხის რძეს. მისგან მზადდებოდა კარაქი, სხვადასხვა სახის ყველი, მაწონი, ნადული, ნაღები და სხვა პროდუქტები. ასევე აჭარაში მოიპოვება ყველის ბევრნაირი სახეობა, ყველაზე დამახასიათებელი კი აჭარული დაპწნილი ყველია დაპწნილი იგივე ჩლეჩილი, აჭარული გრეხილი ყველი. გამოხდილ რძეს ზამთრობით დილიდან საღამომდე, ხოლო ზაფხულობით დაახლოებით 2 საათს გააჩერებდნენ, შემდგომ ცეცხლზე შეათბობდნენ, კვეთს ჩაასხამდნენ და ცოტა ხანს გააჩერებდნენ, ხის დიდი კოვზით-ციცხვით ნელა მოურევდნენ და ყველი თანდათან „მოსვლას“- აჭრას დაიწყებდა, როცა რძე აიჭრებოდა ყველს იმავე ჭურჭელში ხელით ერთ ადგილზე შეაგროვებდნენ, „მოჭყებდნენ“ და რძე აიჭრებოდა. ისევ იმავე ჭურჭელში ხელით ერთ ადგილზე ყველს შეაგროვებდნენ „მოჭყებდნენ“ და ყველის რგოლს შეკრავდნენ. შრატიდან, რომელიც ყველისაგან რჩებოდა, ამოიღებდნენ და რამდენჯერმე ერთმანეთზე გადაახვევდნენ, დაპწნიდნენ. ყველი წნულის-გრეხილის ფორმას მიიღებდა [ქართული ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი 2019:161]. არსებობს ვარაუდი რომ აღნიშნული ყველი მესხებმა შემოიტანეს აჭარის მაღალმთიანეთში

აჭარული სამზარეულოსთვის დამახასიათებელი კერძია კაიმალი, რომელიც სეფერატორში რძის გამოხდით, ანდა გობში რძის გაჩერებით მიღებული ნაღებია. საერთოდ კაიმალისთვის გობზე დასხმული რძისგან მიღებულ ნაღებს ამჯობინებდნენ. ახალმოწველილ რძეს გობით სარძიეში დადგამდნენ და რძე თავზე ნაღებს მოიკიდებდა, ამ ნაღებს მოხდიდნენ და ცალკე მოაგროვებდნენ, ეს იყო კაიმალი. ჩვეულებრივ, გობზე დასხმული რძე 2-3 დღის განმავლობაში ოდნავ მოყვითალო ფერის მეტად გემრიელი ნაღების ფენას იკეთებდა, ეს კაიმალის მიღების უფრო ძველი წესი იყო. კაიმალი მეტად მსუყე და ძვირფას საჭმელად ითვლებოდა, მისგან სხვადასხვა სახის კერძებს ამზადებდნენ.

აჭარულ კერძებზე ხშირად გავლენას ახდენდა ის თემი თუ სოციალური, რომელიც დროებით ან მუდმივად სახლდებოდა კონკრეტულ დროს, გარემოსა და სივრცეში. ხშირ შემთხვევაში კერძების ნივთებსა და თუ ყოფით ცხოვრებაში გამოყენებად საჭიროებებს მიაწერდნენ. ზოგიერთი მათგანი სახეცვლილი გვხვდება დღევანდელ აჭარულ გასტრონომიაში, ზოგიც შემორჩენილია პირველადი სახით.

აჭარული სამზარეულოს ყველაზე ცნობილი და პოპულარული კერძია აჭარული ხაჭაპური, რომელიც ფორმით ნავს მოგვაგონებს და ალბათ იმეორებს ზღვის ნაპირიდან დანახულ მზეს, რომლის სხივებიც გემზანზეა დაღვენთილი, თუმცა რა თქმა უნდა, ეს ვარაუდი ლირიკულ-პოეტურია. კულინარიაში კი ამა თუ იმ კერძის არსებობას უფრო ზუსტი და პრაქტიკული მიზეზი აქვს ხოლმე, ახლად ჩახლილი თბილი კვერცხი ისედაც სწრაფდაბაყრებადია და გემრიელ ხაჭაპურს კიდევ უფრო აგემრიელებს. არავინ იცის რამდენად სარწმუნოა აჭარული ხაჭაპურის ლაზური წარმოშობისა და მენავეობასთან კავშირის ისტორია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მშვენიერ აჭარულ კერძს ინგლისურ ენაზე Cheese Boat ანუ „ყველის ნავი“ უწოდეს [ტრადიციული და კლასიკური კერძები. 2018 :34].

ასევე არანაკლებ საინტერესო კერძია. ბორანო ტრადიციული აჭარული კერძი ცხიმინობითა და სწრაფი მომზადებით ხასიათდება. აჭარულ მოხდილ-დაპწნილ ყველს დაჭრიდნენ, ზემოდან დამწვარ იალს მოასხამდნენ და ბორანიც მზად იყო. მას მჭადთან ერთად მიირთმევდნენ. ყველი უმჯობესი იყო ახალი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში დაჭრილ ყველს ცხელ წყალს დაასხამდნენ, ცოტა ხანს გააჩერებდნენ. ყველი დარბილდებოდა და დამწვარ იალს შემდგომ დაასხამდნენ.

ბორანოს სხვადასხვა ვარიანტები კეთდებოდა. არის ვერისა, რომ ბორანო სპარსეთთან არის დაკავშირებული, თუმცა მეტად სარწმუნოა მისი ოსმალურ კულინარიასთან კავშირი. რადგან ბორანო გავრცელებულია როგორც საკუთრივ აჭარაში, ისე თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ აჭარულ სოფლებში [ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:92]. კერძი ბორანო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადა აღიარებული.

კერძები და ტრადიციები.

აჭარულ კერძებს ხშირად დღესასწაულებზე, სამგლოვიარო სუფრებსა თუ სხვა ღნისძიებებზე იყენებდნენ, საინტერესოა გოგოს ფაფის ფენომენი, რომელიც რიტუალური კერძია. ის აჭარასა და თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ აჭარულ სოფლებში მზადდება. გოგონას დაბადებისას სიხარულისა და ზედნიერების აღსანიშნავად გოგოს ფაფას ამზადებენ. ამ კერძით სტუმრებსა და კეთილმსურველებს უმასპინძლებიან [ტრადიციული და კლასიკური კერძები. 2018:32]. ფაფა მზადდებოდა პურის ფქვილის მოშუმების გზით. თეფშზე დარიგებულ ფაფას შუაზე მცირედ ჩააღრმავებდნენ და მასში იალს ჩაასხამდნენ. ამგვარ ფაფას ოჯახში ახალი წევრის დაბადების აღსანიშნავად ამზადებდნენ და მეზობლებსაც მოიწვევდნენ. მიაჩნდათ, რომ ბავშვი დამსუფრთხილი-დანაყრებული, მამლარი იქნებოდა, სიხარბეს არ გამოიჩინდა და თვალი სხვისი სუფრისაკენ არ გაექცეოდა [ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:546].

ასევე საინტერესოა სინორის ისტორია, იგი პოპულარული აჭარული კერძია, რომელიც ზემო აჭარაში ძველად ქორწილის აუცილებელი ატრიბუტი იყო. მას ამზადებენ როგორც საქართველოში, ისე თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ აჭარულ სოფლებში. თავად სიტყვა „სინორი“ აჭარულ დიალექტსა და ლაზურ ენაში საზღვარს ნიშნავს. პურის ცომისაგან გაჰყავდათ თხელი ცომი, რომელსაც „ჰაჯზე“ ანდა ღუმელზე შეწვავდნენ. ამას იუხა ერქვა. ერთმანეთზე დაწყობილი, ტილოგადაფარებული იუხის ფენები დარბილდებოდა და მას გრაგნილის მსგავსად დაახვევდნენ. შემდეგ დაახლოებით ორი „პარმალის“-ორი თითის ზომაზე დაჭრიდნენ და ხის გოშში ჩაწყობილს შეინახავდნენ. სინორი სხვადასხვანაირად მზადდებოდა. იცოდნენ დოიანი, მაწვნიანი, იადიანი სინორი. განასხვავებდნენ ასევე შაქრიან და მარილიან სინორს. სინორი საპატივცემულო კერძად ითვლებოდა. ამასთანავე მსუყე საკვებიც იყო [ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:503].

დღესაც კი არანაკლებ პოპულარულია აჩმა. ამ ხაჭაპურის სახელწოდება თურქული ენიდან მოდის, თუმცა თურქულ სამზარეულოში ეს სახელი ქართული რეცეპტის განსხვავებულ ცომეულ ნაწარმს ეწოდება. მოხარშული ცომის თხელი ფენებისა და ყველისაგან დამზადებული შესანიშნავი ხაჭაპური აჭარულ სამზარეულოში ერთ-ერთი ყველაზე ნოყიერი და კალორიული კერძია. აღსანიშნავია, რომ ავთენტურ, აჭარულ რეცეპტში მეგრული ყველი არ გამოიყენება, თუმცა სულგუნით დამზადებული ძალიან გემრიელი გამოდის [ტრადიციული და კლასიკური კერძები. 2018 :36]. უნდა აღინიშნოს რომ აღმოსავლური სამზარეულოს გავლენას განიცდიდა ისეთი კერძები როგორიცაა: ერიშტე, ჩირბული, იახნი, ბაქლავა, შაქარლამა, ხალვა, დედლურაი ქათამი და სხვა. ერიშტე- პურის ცომისაგან დამზადებულ თხელ ფენებს მაკარონის მსგავსად დაჭრიდნენ. ჭურჭელში ჩაყრიდნენ და ადუღებულ წყალს დაასხამდნენ. შემდეგ წყალს გადაწურავდნენ და თეფშს ცეცხლზე შედგამდნენ. დამწვარ ერბოში გახსნილ თაფლს დაასხამდნენ [იქვე გვ. 199] ხოლო რაც შეეხება ჩირბულს, იგი ყუათიანი საუზმის კერძია. მისი ბევრი ვარიანტი არსებობს. ყველა ვარიანტის აუცილებელი კომპონენტია კვერცხი. აღსანიშნავია, რომ ქართულ სამზარეულოში სპეციალურად საუზმისთვის მომზადებული კერძები ბევრი არ არის. აჭარული სამზარეულო ამ მხრივ გამონაკლისია.

აჭარაში დიდი პოპულარობით სარგებლობს იახნი, ეს კერძი განსაკუთრებით ცნობილია ქობულეთში, მას საქონლის მკერდის ნაჭრისგან ამზადებენ, იახნის დასამზადებლად იყენებენ სანელებლების ნაირსახეობას, რაც კერძს განსაკუთრებულ გემოს სძენს. ყოველდღიურ, სადღესასწაულო თუ საწესჩვეულებო მენიუმში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ღომის, ბრინჯის კერძებს, რძით შეზავებული ფაფებისა და ფლავის სახით. აჭარულ სამზარეულოს მოგვიანებით დაემატა კარტოფილის, კომბოსტოს, პომიდვრის კერძები. ყოფაში დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა ბოსტნეულისა და ტყის მცენარეულის კერძებს.

ხალხური კულინარიის მშვენიერებაა თაფლი, რომელსაც პირდაპირი მოხმარების გარდა, იყენებდნენ ტკბილი სასმელის (შარბათი) მოსამზადებლად. კერძოდ იყენებდნენ დაუწურავ თაფლს.

საოჯახო ყოფაში, ასევე მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა შინაურ და ტყიურ ხილს და მისგან დამზადებულ პროდუქტება. ყურძნის წვენიდან მზადდებოდა ღვინო, ბაქმაზი, ლეჩერი, ფელამუში, ტყემლისაგან საწებელი, ყორაო (კვანარახი), ტყლაპი. როდესაც ოსმალთა ბატონობის პერიოდში აიკრძალა ღვინის დაყენება და მოხმარება, ზემო აჭარაში თითქმის მასობრივი ხასიათი ჰქონდა ყურძნის წვენიდან ხარდლის მომზადებას. (ხარდალი არაბულიდან მომდინარეობს და დაუდუღარ წვენს ნიშნავს).

აჭარაში განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი სამკურნალო (მელოგინე ქალის, ჩვილ ბავშვთა და ხანდაზმულთა) კულინარია. სადღესასწაულო და სხვა კერძები.

ზომიერებითა და სიუხვით გამოირჩეოდა აჭარული საქორწინო სუფრა, რომელიც დაახლოებით 10-15 დასახელების კერძს ითვლიდა. საქორწინო სუფრის დასამშვენებელი იყო ტკბილი სასმელები: ხარდალი (ზემო აჭარა) და შარბათი (წყალში შეზავებული თაფლი). 1940-იანი წლებიდან ფეხი მოიკიდა სპირტიანმა სასმელებმაც. სუფრაზე მამაკაცები და ქალები წარსულში ცალკე-ცალკე სხდებოდნენ, უფროს-უმცროსობის რიგის დაცვით.

აჭარაში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სიხარულითა და მომავლის იმედით ხვდებოდნენ ახალ წელს. ამ დღეს, სხვა კერძებთან ერთად უპირატესობა ეძლეოდა ტკბილეული კერძების (ბაქლავა, ბურმე, ბორეგი, ლუხუმი) მომზადებას, აგრეთვე მოხარშული სიმინდის მარცვალს, რომელსაც ზოგან სირსვალი ეწოდებოდა.

ცნობილი იყო აშურას უძველესი დღესასწაული, რომელიც ტარდებოდა აშურის მთვარის მეათე დღეს. ამ სახელწოდების კერძიც სადღესასწაულო კულინარიის ნაწილი იყო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 7 ინგრედიენტი (სიმინდი, ბრინჯი, ხორბალი, ქერი, ღომი, ლობიო, ნიგოზი). აჭარის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა სამზარეულოსთან დაკავშირებული სხვა მდიდარი ხალხური წეს-ჩვეულებებიც: სასიძოს მიერ რიტუალური პურების მიტანა საცოლესთან, საქმროს ოჯახში შესვლასთან დაკავშირებით ცომში ხელის ჩაკვრა, თუ კეციდან გამომცხვარი მჭადის ამოღება, პატარძლის მიერ ოჯახში მარცვლეულის მიმოზნევა, მის თავზე ტკბილეულის გადაყრის რიტუალი, რძლის ოჯახიდან სიძის ოჯახში ნამცხვრების მიტანა და სხვა. ყველა ამ წესის შესრულება სავალდებულო იყო, მაგრამ შემდეგ ზოგიერთმა დაკარგა მნიშვნელობა და დღეს გადმოცემებს შემორჩა. ძველად აჭარლები ხშირად კერძებს სხვადასხვა ცრურწმენებს უკავშირებდნენ მაგალითად საახალწლო კერძი სირსვალი-ნიგვითა და ნივრით შეკაზმული მოხარშული სიმინდის კერძი. ამ კერძს მაგიური მისია ჰქონდა. რამდენად გემრიელი გამოვიდოდა სირსვალი, იმდენად ბარაქიანი და მოსავლიანი წელი ელოდა ოჯახს. ოჯახის ყველა წევრს აუცილებლად უნდა ეჭამა ის კერძი. მაგრამ დაპატიჟებულ სტუმარს და სუფრაზე შემოსწრებულს არც კი გაასინჯებდნენ, რადგან ემინოდათ, რომ ოჯახიდან ბარაქა წავიდოდა.

ბაქლავა აღმოსავლურ სამზარეულოში გავრცელებული ნამცხვარია, რომელიც თხელი ფენოვანი ცომის, ნიგვზისა და თაფლისგან/შაქრისაგან მზადდება. ქართულ სამზარეულოში ეს დესერტი თურქული გავლენის შედეგად შემოვიდა და მისი აჭარული ვერსია შეიქმნა. კვერცხში, ერბოში და წყალში მოზელები პურის ფქვილის ცომისაგან თხელ ფენებს, სულ ოცდახუთ ანდა ოცდაათ ფენას გაიყვანდნენ, სპილენძის სპეციალურ ჭურჭელში ჩააწყობდნენ, ყოველ მეხუთე ფენაზე ნიგოზში ჩანაყილ შაქარს მოაყრიდნენ, რომბის მაგვარად დაჭრიდნენ და შეწვავდნენ. შემდეგ სქელ შერბეთს მოასხამდნენ [ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. ბათუმი. 2019. გვ.76]. აღნიშნული ტკბილეული ფართოდ გამოიყენებოდა დღესასწაულებზე.

შაქარლამა აღმოსავლური დესერტია, რომელიც საქართველოში ფართოდ იყო გამოყენებული. როგორც იოსებ გრიშაშვილი წერს, ის პოპულარული თბილისური ტკბილეული ყოფილა. აჭარაში საქართველოს განსაკუთრებული წესით, სადღესასწაულოდ ამზადებენ [ტრადიციული და კლასიკური კერძები. 2018:50]. არის ვარაუდი, რომ შაქარლამა სპარსეთიდან შემოვიდა და დამკვიდრდა საქართველოში. შაქარნარევ ბრინჯის ფქვილს გამდნარ ერბოში კარგად მოზილავდნენ. მიღებულ ცომს გააბრტყელებდნენ. რომბისებურად დაჭრიდნენ და მზეზე გაახმობდნენ. ზოგიერთი დიასახლისი ბადროს მსგავს კვერებს ამზადებდა, ზოგიერთი კი ბურთისებურს [ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:50].

„ხალვა“ არაბული სიტყვაა და ქართულ სამზარეულოში თურქული და აზერბაიჯანული ენებიდან შემოვიდა. ეს დესერტი აჭარის გარდა სამცხე-ჯავახეთსა და საინგილოშია გავრცელებული და ქორწილის თუ ახალი წლის აუცილებელ მშვენებად ითვლება. აჭარული და ინგილოური ჰალვის მომზადების წესი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება [იქვე გვ.52]. ჰალვა შაქართან ერთად დანაყილი ნიგვზით ანდა მზესუმზირით მზადდებოდა-ხოლო ჰალვა აჭარაში შემდეგნაირად მზადდებოდა: კარაქს დაწვავდნენ, პურის ფქვილს შეუკიდებდნენ და შეწითლებამდე მოხრაკავდნენ. შემდეგ შაქრის ანდა თაფლის შარბათში შეაზელდნენ და ცომივით სქელ მასას რომ მიიღებდნენ, ბურთივით დააგორგალებდნენ ოდნავ სხვანაირი შემზადებით. პურის ანდა წვრილად დაფქვილ სიმინდის ფქვილს ერბოში მოხრაკავდნენ, შემდეგ თაფლს ანდა შაქარს შეურევდნენ და მიღებული ცომისაგან მრგვალ კვერებს დაამზადებდნენ. ზოგი დიასახლისი მრგვალ კვერს შუაზე გაჭრიდა და მაგიდაზე გასატანად ასე ინახავდა. ხალვა სულხან-საბა ორბელიანთან „პუნგია“. ლექსიკოგრაფის განმარტებით „პუნგია ესე არს ტკბილნი ნამზადებნი, რომელსა თურქნი ჰალვას უწოდებენ“ [ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:736].

დედლურაი ქათამი- „ახალი ქათამით“ მზადდებოდა. წვრილად დაჭრილ ქათამს ჭურჭელში ჩაყრიდნენ, მცირე დუდილის შემდეგ ბრინჯს ჩაუმატებდნენ და მოადულებდნენ. დუდილის პროცესში მარილში დანაყილ ნიგოზს ურთავდნენ და კვლავ წამოადულებდნენ. თუ საჭმელი „ძველი ქათამით“ მზადდებოდა, მაშინ ქათმის ხორცს მანამდე ადულებდნენ, სანამ ქათმის ბარკლების თავზე ხორცი არ დაიწვედა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ხორცი საკმაოდ მოხარშული იყო. ამის შემდეგ ქვაბში ბრინჯს ჩაყრიდნენ და კვლავ ადულებდნენ. მცირე დუდილის შემდეგ მარილნარევ დანაყილ ნიგოზს დაუმატებდნენ. როცა ბრინჯი მოიხარშებოდა, პრასასა და მაკიდოს ჩააჭრიდნენ და ისევ წამოადულებდნენ. ამის შემდეგ ნიორში დანაყილ წიწაკას ჩაურთავდნენ და ბოლოს მარილში დანაყილი ქინძის და სისამის თესლებს ჩაყრიდნენ, კოწახურს ჩაასხამდნენ და წამოადულებდნენ [იქვე გვ.175].

ვეგეტარიანული კერძები

ქართული სამზარეულო, მათ შორის აჭარულიც მდიდარია ვეგეტარიანული კერძებით, განსაკუთრებით მხალეულით (ანუ ფხალეულით, როგორც მას აჭარაში ეძახიან), რომელიც ეზოსა თუ ბოსტანში მოყვანილი, მინდვრად თუ ტყეში მოგროვებული მრავალფეროვანი მცენარეებით მზადდება.

ერთი მათგანია კეჭერა ფხალისა და ლობიოს ნარევით მომზადებული კერძი. მხალსა და ლობიოს ცალკე-ცალკე მოხარშავდნენ. ფხალს წყალს გამოუცვლიდნენ, კვლავ მოხარშავდნენ და ცალკე ჭურჭელში შეინახავდნენ. ნიორნარევ მარილში ჩანაყილ ქინძსა და პილპილს ლობიოს წვენში გახსნიდნენ და გალესავდნენ, ფხალ-ლობიოს დაასხამდნენ და წამოადუღებდნენ. საბოლოოდ ერთმანეთში შერეულ კერძს ნიგვზით, ნიორით და სხვა სანელებლებით შეკაზმავდნენ [ქართული ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:566].

მალახტო ლობიო ნიგვზიან მწვანილსა და „კუხში“-მწვანე ყურძენში შეზავებული ლობიო იყო. იგი სხვადასხვაგვარად მზადდებოდა. პირველი ვარიანტის მიხედვით მოხარშულ მწვანე ლობიოს ხის გობზე გადმოყრიდნენ. შემდეგ კუხის- მწვანე ყურძნის წვენში გახსნილ ნიორნარევ მარილში დანაყილ ქინძსა და პილპილს დაასხამდნენ და ლაფერათი მორეგავდნენ- ამოლესავდნენ. მეორე ვარიანტით მწვანე ლობიოს დატეხილ პარკებს კარგად მოხარშავდნენ, წყალს გადაუწურავდნენ. გობზე გადმოყრიდნენ, თავზე დაახურავდნენ და გარეთ გასაცივებლად დადგამდნენ. შემდეგ მარილნარევ პილპილში დანაყილ ნიგოზს, ქინძსა და ყურძნის კუხს შეურევდნენ. ცოტა წყალს დაასხამდნენ და აადუღებდნენ. მიღებულ მასას გობზე დაყრილ ლობიოს ჩაუმატებდნენ და მოზილავდნენ [იქვე გვ.324].

კერჩხი ლობიო შემდეგი წესით მზადდებოდა: გამხმარ ლობიოს წყალში დაალბობდნენ, ქვაბში ჩაყრიდნენ, წამოადუღებდნენ. შემდეგ გობზე დაყრიდნენ და ცივი წყლით გარეცხავდნენ. ისევ ქვაბში ჩაყრიდნენ. ჭურჭელში ნახევრამდე ცივ ანდა თბილ წყალს ჩაასხამდნენ და აადუღებდნენ. მოხარშვის შემდეგ ისევ გობში გადაიტანდნენ, გაწურავდნენ და ძმარში გახსნილ ნიორნარევ მარილში დანაყილი ქინძით, პილპილით და ხმელი შაშტრამით შეკაზმავდნენ [იქვე გვ. 280].

ზედავრი ფხალი- ზემო აჭარული ფხალის კერძია.მოთუშულ ფხალს წყალს გადაუწურავდნენ, სიმინდის ღერლილს ჩაყრიდნენ და წამოადუღებდნენ. შემდეგ პილპილსა და მარილს ჩაუმატებდნენ, ზოგჯერ სიმინდის ღერლილის ნაცვლად ბრინჯს გამოიყენებდნენ და მასთან ერთად წამოადუღებდნენ. როცა ჭურჭელს ჩამოდგამდნენ, მასში ერბოში მოხრაკულ დანაყილ ნიორს ჩაუმატებდნენ [იქვე გვ.211].

ეკალა ფხალი- გადარჩეულ და გარეცხილ ეკლის დუყებს ადუღებულ წყლიან ჭურჭელში ჩაყრიდნენ. როგორც კი მოიხარშებოდა, წყალს გადაუწურავდნენ, წმინდად დაჭრილ პრასა - მაკიდოს ჩაურთავდნენ. ყველას ერთად წამოადუღებდნენ.შემდეგ გობზე გადმოიღებდნენ და დანით დაჭრიდნენ, ზემოდან ძმარში გახსნილ, მარილში დანაყილ ნიგოზს, პიტნას, ქინძს, კამასა და ნიორს დაასხამდნენ [იქვე გვ.196].

ბადრიჯანი იახნი- რგოლისებურად დაჭრილ ბადრიჯანს ცივ წყალში მოხარშავდნენ. ერბოში მოხრაკულ ხახვს,პრასას,მაკიდოსა და წითელ პომიდორს ჩაყრიდნენ. წყალს დაასხამდნენ. შემდეგ ნიორნარევ მარილში დანაყილ პილპილს ჩაუმატებდნენ და მოადუღებდნენ [იქვე გვ.68]. აღსანიშნავია ,რომ ძველად კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მარცვლეულისაგან (სიმინდი, ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, ღომი, ბრინჯი) დამზადებულ კერძებს. ამ მარცვლეულის მოვლა- მოყვანას, გარდა სიმინდის კულტურისა, აჭარაში უძველესი დროიდან მისდევნენ.

სიმინდის ფქვილისაგან აცხობდნენ მჭადს, თაფლის მჭადს, ნაღებიან მჭადს, ამზადებდნენ ხალვას, ხავიწს(კარაქში შერეული ცხელი მჭადის ანაზელი).

ყოფაში მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა ხორბალსა და ხორბლის ფქვილს. ხორბლისაგან მზადდებოდა კორკოტი, სირსვალი,ასურა და სხვა კერძები, ხოლო ფქვილისაგან- ფაფები, მაკარინა(მაკარონი), ნამცხვრები: ბაქლავა(ფენოვანი ნამცხვარი ნიგვზითა და თაფლით ან შაქრით), ბურმე (სპირალისებურად დახვეული პურის ცომის ფენები ნიგვზითა და შაქრით),ბორეგი (ფენებიანი ღვეზელი ხორცი და ხაჭოთი), აჩმა, ერიშტა (ატრია), სინორი (კარაქით, ნაღულით და ნივრით შემზადებული კერძი).

მარცვლეულ კულტურებს შორის, სიმინდისა და პურის შემდეგ, აჭარაში ყველაზე დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ჭვავი. ჭვავის პური, მჭადის ნაკლებობის შემთხვევაში მისი შემცვლელიც იყო. პური ცხვებოდა როგორც მხოლოდ ჭვავის ფქვილისაგან, ისე ქერისა და ჭვავის ფქვილის ნარევისაგან.

მივიწყებული კერძები აჭარაში

დღეს კულინარია და ზოგადად კვების კულტურა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყურადღების ცენტრშია.შესაბამისად,ტურიზმის ერთ-ერთ მთავარ განშტოებად თავისუფლად შეგვიძლია გასტრონომიული ტურიზმი გამოვყოთ. არც საქართველო ჩამორჩა ამ სფეროს და ტრენდს და შეიძლება ითქვას დაახლოებით 5-6 წელია კულინარიულმა სფერომ განვითარების ახალი გზა იპოვა.

კულინარია ერთ-ერთი უნიკალური მეთოდია ქვეყნის კულტურის პოპულარიზაციისათვის. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ბოლო პერიოდში ცალსახად იგრძნობა ტენდენცია, რომლის მიხედვით თანამედროვე კულინარიული გამოგონებები და მიღწევები თითქმის მეორე პლანზე გადადის და ძველი თაობების, წინაპრების გასტრონომიულ ტრადიციებს შთაებერება ახალი სული.

აჭარული სამზარეულო გამოირჩევა მრავალფეროვნებით და თავისებურებით. კერძების მრავალფეროვნებით და მომზადების ტექნოლოგიით. სუფრის გაშლის წესებით და მასთან დაკავშირებული რიტუალებით. აჭარის მოსახლეობის საკვები ბოსტნეულისა და მარცვლეულის, რძისა და ხორცის პროდუქტებისაგან მზადდება.ამასთან ძველი დროიდანვე ავსებდა ხილი,მევენახეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტები,თევზეული.

ადგილობრივმა მოსახლეობამ. ძირითადად შეინახა და დაიცვა ქართული სამზარეულოს ძირძველი ტრადიციები, მაგრამ ისტორიული ცვლილებებიდან გამომდინარე შეითვისა უცხოური ელემენტებიც. ზოგიერთი კერძი კი ფაქტობრივად სრულიად მივიწყებულია. მაგალითად ტრადიციული ფორმით, ბორანო არის იაღში (შეგრილებული კარაქი) ჩაღობილი ყველი. არის მაღალკაროლიული და ზუსტად შეესაბამება ზემო აჭარაში ცხოვრების ტრადიციული ცხოვრების წესს. ბორანო აჭარაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი ესენია: ბორანი, ბორანო, მოხრაკული, ბორა. ეს სახელწოდებები დღემდე შემორჩენილი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემო აჭარის სოფლებში ძირითადად ამზადებენ ტრადიციულ ბორანოს. დანარჩენი კი მივიწყებულია და გასაცოცხლებელია. მივიწყებული კერძების ზოგიერთი რეცეპტი ცნობილია მაგალითად: „ახალი ლობიოს ბორანი” ახალი ლობიო უნდა მოიხარშოს ერბოში, შემდეგ ერბოში უნდა ჩაიშუმოს, შემდეგ ვარიის ტაბაკას მოსწომთ და აგრეთვე დაუმზადებთ გაწურულ მაწონს, მერმე დაასხამთ ბლუდზე, ლობიოს ზედ მოაწყობთ დაჭრილ ვარიის ტაბაკს. მეორეთ კიდევ დაასხამთ გაწურულს მაწონს, ცოტას წყალში სქლად გათქვეფილს და მერე მოაყრით ორ სუფრის კოვზ დარიჩინს.

წმინდად დანაყილს.ოთხ სუფრის კოვზ დანაყილ შაქარში არეულსა და მაშინ მზად უნდა ქონდეთ ნახევარი მისხალი დამბალი ზაფრანა და ბამბით უნდა ზედ დააწვეთოთ.”(ექსპედიციის მასალებიდან აქმ) მასალად საჭიროა: ლობიო სამი გირვანქა,ერბო ერთი სტაქანი, ან ცოტა მეტი,შაქარი ოთხი სუფრის კოვზი, ვარია, ერთი, ხახვი სამი თავი.მაწონი ერთი ქოთან, დარიჩინი-ორი სუფრის კოვზი მწვანელი და მარილი”

„ისპანახის ბორანო” ისპანახის ძირები დაჭერით, დაარჩიეთ გარეცხეთ მოხარშეთ ფხალივით, ამოიღეთ გააცივეთ ასტმით დაკეპეთ, ზედ დააკეპეთ მწვანეულობა. მარილი მოაყარეთ, ოთხი თავი ხახვი მოშუშეთ ნახევარ ჭიქა ერბოში მერე ისპანახი ჩადეთ და კარგად მოშუშეთ. ვარიის ტაბაკი დაჭერით, მოშუშეთ ნახევარ ჭიქა ერბოში. დააწყვეთ ბლუდზე, ზემოდან ისპანახი. ერთი პირი ისპანახი ერთი პირი ვარია, ისპანახს ზემოდან ესხმება მაწონი და ეყრება შაქარარეული დარიჩინი.” (ექსპედიციის მასალებიდან აქმ)

„ბადრიჯნის ბორანო” 40 ცალი ბადრიჯანი სიგრძეზე დავჭრათ, მოვაყაროთ მარილი ორი სუფრის კოვზი,მერე უნდა გაიწუროს,მოეყრება ალყად დაჭრილი ხახვი,ჩაყარეთ ქვაბში ორივე ერთად დაასხი ზედ ერთი ჭიქა ერბო და მოხრაკეთ. მერე კიდევ დაუმატეთ ერთი ჭიქა ერბო კარგად რომ მოიხრაკება, დაამატეთ წვრილად დაჭრილი პიტნა, ქინძი და რეჰანი.დაჭრილ ტაბაკს დააყარეთ ბადრიჯანი და მოასხით გაწურული მოსქოდ გათქვეფილი მაწონი.ზემოდან ორი სუფრის კოვზი დარიჩინი არეული ოთხ სუფრი კოვზ შაქარში.ნახევარი მისხალი ზაფრანა მზათა გქონდეთ დამბალი და მაშინვე ბამბით დააწვეთეთ, როგორც ლობიოს.” [ბარბარე ჯორჯაძე,კულინარია გამომც.,„სორაპანი”თბ.1891წ.გვ.71-72)].

იმამბაილდი - „ბადრიჯანი უნდა დაისეროს ვერტიკალურად,უნდა დააყარო მარილი.შემდეგ უნდა გარეცხო და გაწურო, დაამატო ერთად მოხრაკული ხახვი და პამიდორი,მაკარონი.დატენიდნენ ბადრიჯანს და ორ რიგად ჩააწყობდნენ ამის შემდეგ დაასხამდნენ წყალს და წამოადუღებდნენ.როცა წყალი განახევრდებოდა დაამატებდნენ ნახევარ ჭიქა ძმარს და ისევ აადუღებდნენ” [ქართული სახალხო ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა ბათ.2019წ.გვ-259]. ასევე აჭარაში კეთდება ბორანო-კარტოფილით. ბორანო კვერცხით და ბორანო მჭადის ფქვილით.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა ერებმა, თუ ეთნიკურმა ჯგუფებმა განაპირობეს ამა თუ იმ კერძის სახეცვლილება, თუმცა მისი არსი მაინც ერთი რჩებოდა ან ყოველთვის ჰქონდა კერძს ერთი ან რამდენიმე ძირითადი ინგრედიენტი. აჭარის კულინარიული პროდუქტი ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადგილობრივი იდენტიტეტისთვის, არამედ იგი უნდა იყოს ტურისტული ბრენდი. მისი კომერციალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს ისე, რომ არ დაკარგოს კულტურული მნიშვნელობა . კვლევებმა აჩვენეს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში მნიშვნელოვანია ტურიზმის მიმართ პოზიტიური და ნეგატიური განწყობების გაანალიზება — მაგალითად, ასაკობრივი ჯგუფებით განსხვავებული დამოკიდებულებები განვითარებასთან მიმართებაში. ასევე გარემოს, სოციალური და ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნება UN SDG პრინციპების მიხედვით . ასევე მნიშვნელოვანია მთიან აჭარაში მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებისა და საცხოვრებელი Guest-house-ების განვითარება, რათა ამ უკანასკნელმა შეუწყოს ხელი დასაქმებისა და ადგილობრივი შემოსავლების ზრდას, ტურისტული მომსახურების დივერსიფიკაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას,რომ აჭარული სამზარეულო, როგორც ტურისტული პროდუქტი განსაკუთრებული და უნივერსალურია. კერძების მრავალფეროვნება, მისი ეგზოტიკურობა იზიდავს არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას,

არამედ ჩამოსულ სტუმრებსაც. ქართველმა ხალხმა უძველესი დროიდან დაწყებული, კარგად იცოდა რა სახის საკვები იყო სასარგებლო. ამიტომ, ძირითადად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს ხმარობდნენ, რაც საშუალებას იძლეოდა მიმზიდველი, გემოვნებიანი და სუფრაზე მისატანად ლამაზად გაფორმებული კერძი ყოფილიყო. როგორც ხედავთ ტრადიციული აჭარული სამზარეულო გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ლოკალური თავისებურებებით, კერძების ნაირგვარობითა და მომზადების ტექნოლოგიით, სუფრის წესებითა და მასთან დაკავშირებული რიტუალებით. აჭარის მოსახლეობის საკვები ოდითგან ბოსტნეულისა და მარცვლეულის, რძისა და ხორცის პროდუქტებისაგან მზადდებოდა. რაციონს ავსებდა ხილი, მევენახეობისა და მეფუტკრეობის პროდუქტები, თევზეული. აჭარაში ხალხური კულინარიის მშვენიერებაა თავლი, რომელიც თითქმის ყოველთვის იყო სუფრაზე.

ადგილობრივმა მოსახლეობამ ძირითადად შეინახა და დაიცვა ქართული სამზარეულოს ძველი ტრადიციები, ამავე დროს გადმოიღო და შეითვისა უცხოური კერძების საკმაო რაოდენობაც, რომელშიც აჭარელმა კაცმა თავისი ბუნება, ხასიათი, მამა-პაპური ცოდნა-გამოცდილება ჩადო. დღეს ეს კერძები ადგილობრივი სამზარეულოს ნაწილია. შესაბამისად აჭარული სამზარეულო გურმანთათვის უბრალო ნუგბარი კი არა სავალუტო შემოსულობათა უმრეტი წყაროა. რადგან XXI საუკუნე ტურიზმის საუკუნეა. საქართველოსათვის კი ტურიზმი ერთ-ერთი წამყვანი დარგია. იმისათვის, რომ ტურისტები მოიზიდო გემრიელი, სხვადასხვა სახის გემოვნებიანი და სურნელოვანი კერძები უნდა დაახვედრო. აჭარული კერძების პოპულარიზაციისათვის დღეს ბევრი რამ კეთდება: რეკლამა, ფესტივალები, კონკურსები, ბუკლეტები, კულინარიის წიგნები ქართულ და უცხოურ ენებზე, მასმედიი საშუალებების გამოყენება და სხვ. თუმცა ეთნოგრაფიული მასალისა და ენობრივი მონაცემების შეგროვებით ცხადი ხდება, რომ აჭარული სამზარეულო, მიუხედავად უცხოური გავლენებისა, ხასიათდება ტრადიციული კერძების ნაირგვარობით, მათი შემზადების ტექნოლოგიური და მოხმარების თავისებურებებით, სამზარეულოსთან დაკავშირებული ინვენტარითა და წეს-ჩვეულებებით, რაც კულინარიული ხელოვნების მაღალ კულტურაზე მიუთითებს. აჭარულმა სამზარეულომ უნდა დაიმკვიდროს შესაფერისი ადგილი მსოფლიო ბაზარზე. აჭარული სამზარეულოს შესწავლით ირკვევა, რომ ტრადიციული ქართული კერძების სახელწოდებებთან ერთად, ყოფაში დამკვიდრდა კერძების უცხოური სახელწოდებებიც, რაც მიანიშნებს მულტიკულტურულ გავლენაზე მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი დამზადების ტრადიცია და ტექნოლოგია მაინც ძველქართულია.

ამრიგად აჭარის გასტრონომიული კულტურა წარმოადგენს რეგიონული იდენტობის, კულტურული მემკვიდრეობის და ტურიზმის უკუგების მნიშვნელოვან კომპონენტს;

რეგიონული ეკონომიკური განვითარების ზრდა დაკავშირებული არის როგორც კულტურული პროდუქტების ბრენდირებასთან, ისე მდგრადი ტურისტული სტრუქტურების განვითარებასთან; საზოგადოების მონაწილეობა, მისი სტრატეგიული ჩართულობა და ინკლუზიურობა არის აჭარული გასტრონომიის პოპულარიზაციის ძირითადი პრინციპი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტრადიციული და კლასიკური კერძები. ქართული გემო. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2018 წ.პროექტის ხელმძღვანელები: ანა თურმანიძე, ანი ფხალაძე.
 2. სამსონია ი., ნოღაიდელი ნ., 2009. ხალხური სამზარეულო.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა II. ბათუმი. გვ.421-424,
 3. ვახუშტი. 1941. აღწერა სამეფო საქართველოსი. თბ.
 4. ჭიჭინაძე ზ. 1893. წერილი მაჭახლიდან. გაზ. „ივერია“, ,N 158.
 5. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. ბათუმი. 2019
 6. სამხრეთ -დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები.აჭარა ბათ.2009 წ.ტ.2
 7. ჯორჯაძე ზ., 1914 . „სრული სამზარეულო თბ.
 8. სახოკია თ., 1985 „მოგზაურობანი”ბათ.
 9. „ქართული სახალხო ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა თბ.2019 წ.
 - 10.კულინარიული მოგზაურობა აჭარაში, ბათ. 2023 წ.
 11. ალხაზიშვილი ლ., 1945. ბუნება და ცხოვრება, თბ.
 12. სსიპ აჭარის მუზეუმის ფონდები ხ/ფ N 6
 13. სსიპ აჭარის მუზეუმის ფონდები ხ/ფ N 114
 14. სსიპ აჭარის მუზეუმის ფონდები ხ/ფ N 1089
 16. Khakhubia, N. et al. 2025. Advancing Rural Tourism in Adjara: Key Projects and Strategic Approaches. *ESI Preprints* [OUCI+11esipreprints.org+11eujournal.org+11](https://ouci+11esipreprints.org+11eujournal.org+11)
 17. Exploring Residents' Perceptions towards Tourism Development: case of Adjara Mountain Area (2023) *Sustainability journal* [MDPI+1OUCI+1](https://mdpi+1OUCI+1)
 18. Khositashvili M. 2020. Adjara Tourism Industry in Terms of Sustainable Development Requirements. *Yearbook of Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library* esipreprints.org+8yearbook.openjournals.ge+8iem.ge+8
- Katsitadze et al. (2025). Role of small and medium hotel development in sustainable tourism in mountainous Adjara. *Goodwood Publishing* dspace.tsu.ge
- Ethnovisual Tourism Atlas in Adjara. DOAJ article doaj.org
- Boyko et al. (2024). Georgian Gastronomic Tourism development and wine-food pairing significance researchgate.net

ზურაბ სანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორიის პროგრამის დოქტორანტი.
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქ. რუსთავის N16 საჯარო სკოლა,
ისტორიის პედაგოგი.

Zurab Sanadze

Ph.D. student in History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
History teacher, Rustavi Public School N16

ეკატერინე მუმლაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
საჯარო მმართველობის მაგისტრანტი.
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი.

Ekaterine Mumladze

Master student in Public Administration,
Saint Andrew The First-Called Georgian University (SANGU)
State Silk Museum,
Head of the Educational Programs

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.007>

მუზეუმის როლი თანამედროვე სასკოლო განათლებაში

The role of the museum in modern school education

აბსტრაქტი

მუზეუმს უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია აქვს საზოგადოებისთვის, სასიცოცხლოდ ფასეული, როგორც ხალხის კულტურული, ისტორიული თუ ტექნოლოგიური იდენტობის, წარსულისა და აწმყოს მთხრობელი და გამოხარებელი. მუზეუმები მეტყველებენ იმ მრავალფეროვან გამოცდილებაზე, რომელიც კაცობრიობამ დროთა განმავლობაში დააგროვა. შესაბამისად, მუზეუმი პირდაპირ ემსახურება განათლებას და მისი როლიც დღითიდღე უფრო საყურადღებო და აქცენტირებული ხდება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.

ჩვენს მოხსენებაში აქცენტს სასკოლო განათლებაზე ვაკეთებთ და ამ კუთხით ორ მიმართულებას ვავითარებთ, თავად მუზეუმისთვის სასკოლო განათლებაში ჩართულობის მნიშვნელობა და ამ მხრივ მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები და, აგრეთვე, რატომ არის სკოლაში სამივე საფეხურზე მუზეუმის როლი მნიშვნელოვანი, რა ფუნქცია აკისრია მას და როგორ იყენებენ პედაგოგები მუზეუმს და მას, როგორც რესურსს, თანამედროვეობაში.

მუზეუმი, უპირველეს ყოვლისა, როგორც ვერბალური, ისე ვიზუალური მეტყველია და ის ავსებს, სრულ ყოფს სასკოლო განათლებას, ცოდნას. ამასთანავე, სხვადასხვა საგნის პედაგოგები მუზეუმებს იყენებენ, როგორც გამაძლიერებელ, ეფექტის მომხდენ საშუალებას. მუზეუმს

ანიჭებენ უპირატეს მნიშვნელობას პრაქტიკული, კულტურული თუ ისტორიული ცნობიერების ამაღლების

კუთხით. აგრეთვე, მუზეუმი ეხმარება მოსწავლეებს ფართო თვალსაწიერისა და პერსპექტივის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, მუზეუმი ხელშესახება და თეორიული ცოდნის რეალობაში აღქმის, გააზრების, კრიტიკული თუ ანალიტიკური უნარების განვითარების შესანიშნავი მეთოდია. ცალსახაა, რომ გარდა ზემოხსენებულისა, მუზეუმი წარმოადგენს კრეატიულ და ნოვაციურ სივრცესაც, რომელიც მოსწავლეებში შემოქმედებით უნარებს აღვივებს და მათ შთაგონებისკენ უბიძგებს.

მუზეუმები, მათი თემატიკა და სპეციალური პროგრამები ეხმარება თანამედროვე სასკოლო გეგმებსა და საგანმანათლებლო სტანდარტს რამდენიმე საგანშიც კი. მუზეუმებმა უნდა შეძლონ და მიმდინარე გამოწვევებსაც უნდა უპასუხოთ, პირველ რიგში კი, ვფიქრობთ, ინკლუზიურობის კუთხით, რათა ის თითოეული მოსწავლისთვის (ვგულისხმობთ სსსმ და შშმ მოსწავლეებს) ხელმისაწვდომი გახდეს. როდესაც მუზეუმი წარმოადგენს ინტერაქციულ, დინამიკურ, ინკლუზიურ და სულ მცირე ცნობისმოყვარეობის აღმშრელ სივრცეს, შედეგად, მუზეუმი უკვე ეფექტური სასწავლო მეთოდია.

საკვანძო სიტყვები: მუზეუმი, სასკოლო განათლება, სასწავლო მეთოდი.

Abstract

Museums play a vital role and serve an essential function for society as the narrators and transmitters of a people's cultural, historical, and technological identity, encompassing both the past and the present. Museums reflect the diverse experiences that humanity has accumulated over time. Accordingly, museums directly contribute to education, and their role is becoming increasingly significant and emphasized within the modern educational landscape.

In our presentation, we focus on school education and develop two main directions in this regard: first, the significance of the museum's involvement in school education along with the current trends and challenges in this area; and second, why the role of the museum is important at all three levels of schooling, what functions it serves, and how teachers use the museum as a resource in contemporary education.

The museum, above all, is both a verbal and visual medium that complements and enriches school education and knowledge. Moreover, teachers of various subjects use museums as tools to reinforce learning and enhance its impact. Museums are highly valued for their role in fostering practical, cultural, and historical awareness. They also help students develop a broader worldview and perspective. In addition, museums provide tangible experiences that facilitate the understanding and internalization of theoretical knowledge, while also promoting the development of critical and analytical skills. It is clear that beyond these functions, museums serve as creative and innovative spaces that nurture students' creative abilities and inspire them.

Museums, their themes, and specialized programs correspond to modern school curricula and educational standards across several subjects. Museums must be capable of addressing current challenges, foremost among them being inclusivity, to ensure accessibility for every student—including those with special educational needs and disabilities (SEN and SWD). When a museum functions as an interactive, dynamic, and inclusive space that at least sparks curiosity, it naturally becomes an effective teaching method.

Keywords: Museum, school education, teaching method.

„რა არის მუზეუმი? მუზეუმი არის იშვიათი სარკე, რომელშიაც ჩაიხედავ, მერე მოშორდები და შენი სახე კი შიგ დარჩება. გადის რამდენიმე ათასი წელიწადი და შენი მომავალი თაობა თვალთ ჰხედავს, თუ რა სახისანი ჰყოფილან მათი წინაპარნი და რა შესძლებიათ და რა უმოქმედიათ. მუზეუმი იგივე უმაღლესი სასწავლებელია“ - წერდა ალექსანდრე როინაშვილი 1895 წელს, გაზეთ ივერიაში. მუზეუმების არსებობის ისტორია საუკუნეებს ითვლის, თუმცა მუზეუმის კარი ყოველთვის ყველასთვის ღია არ იყო. პირველი საზოგადოებრივი მუზეუმი, ლუვრის მუზეუმი, ხომ მე-18 საუკუნის ბოლო ხანებში გაიხსნა და მისი კარიც გაიღო ფართო საზოგადოებისთვის.

მუზეუმს უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია აქვს საზოგადოებისთვის, სასიცოცხლოდ ფასეული, როგორც ხალხის კულტურული, ისტორიული თუ ტექნოლოგიური იდენტობის, წარსულისა და აწმყოს მთხრობელი და გამზიარებელი. მუზეუმები მეტყველებენ იმ მრავალფეროვან გამოცდილებაზე, რომელიც კაცობრიობამ დროთა განმავლობაში დააგროვა.

თანამედროვე სამყაროში სხვადასხვა თემატური მუზეუმები არსებობს და მუზეუმთა მიზნობრიობაც, შესაბამისად, მრავალფეროვანია. მუზეუმის როლი, როგორც განმანათლებლის უკვე დიდი ხანია აღიარებულია.

დღეს, გლობალიზებულ და კომპლექსურ მსოფლიოში, მრავალფუნქციური მუზეუმები, როგორც სასწავლო მეთოდები მნიშვნელოვანი და აუცილებელია. მუზეუმი, უპირველეს ყოვლისა, როგორც ვერბალური, ისე ვიზუალური მეტყველია და ის ავსებს, სრულ ყოფს სასკოლო განათლებას, ცოდნას. ამასთანავე, სხვადასხვა საგნის პედაგოგები მუზეუმებს იყენებენ, როგორც გამამდიერებელ, ეფექტის მომხდენ საშუალებას. მუზეუმს ანიჭებენ უპირატეს მნიშვნელობას პრაქტიკული, კულტურული თუ ისტორიული ცნობიერების ამაღლების კუთხით. მუზეუმი ეხმარება მოსწავლეებს ფართო თვალსაწიერისა და პერსპექტივის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, მუზეუმი ხელშესახებია და თეორიული ცოდნის რეალობაში აღქმის, გააზრების, კრიტიკული თუ ანალიტიკური უნარების განვითარების შესანიშნავი მეთოდია. აგრეთვე, გარდა ზემოხსენებულისა, უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმი წარმოადგენს კრეატიულ და ნოვაციურ სივრცესაც, რომელიც მოსწავლეებში შემოქმედებით უნარებს აღვივებს და მათ შთაგონებისკენ უბიძგებს.

მუზეუმის საგანმანათლებლო ფუნქცია არახალია, თუმცა სათავესაც არცთუ შორეულ წარსულში არ იღებს, მეოცე საუკუნის ბოლო დეკადაში ამაზე აქცენტი უკვე ღიად და აქტიურად კეთდებოდა. ქვეყანაში ტექნოლოგიურმა ძვრებმა, პროგრესმა მუზეუმის საგანმანათლებლო ფუნქციას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი. პარალელურად, მესამე თაობის სასკოლო სასწავლო გეგმები შემუშავდა და დაიხვეწა მეთოდები და მიდგომები და მეტი სიახლეც დაინერგა. უნარებზე, მოსწავლესა და საჭიროებაზე ორიენტირებული სასწავლო მეთოდური გეგმა დღეს უკვე, აუცილებლად, მოიცავს მუზეუმს. დღეს არა მხოლოდ სკოლა სტუმრობს მუზეუმს, არამედ მუზეუმი სტუმრობს სკოლას, საკლასო სივრცეს, საგაკვეთილო პროცესს. მუზეუმი წარმოადგენს ინტერაქტიულ, დინამიკურ, ინკლუზიურ და სულ მცირე ცნობისმოყვარეობის აღმძვრელ სივრცეს, თვალსაჩინოებას, შედეგად, მუზეუმი უკვე ეფექტური სასწავლო მეთოდიცაა.

თითოეული მუზეუმი არის, თავის მხრივ, უნიკალური და სპეციფიკური, რაც სასკოლო დონეზე, მასწავლებელს მეტ პერსპექტივასა და ვარიანტს მატებს, რა, როგორც და რისთვის გამოიყენოს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეს მხოლოდ მუზეუმში ვიზიტი, როგორც ვიზუალური მეტყველის დასათვალისწინებლად, საკმარისი და აქტუალური აღარაა, არამედ მუზეუმის როლი, ფუნქცია გაიზარდა და ის საკლასო სივრცეში, ერთ-ერთ მეთოდურ ვექტორად მიგვაჩნია.

„მოვისმინე - დამავიწყდა, დავინახე - დავიმახსოვრე, გავაკეთე - გავიგე“ - ეს ჩინური ანდაზა ზემოხსენებულს ნათლად ეხმიანება. ბუნებრივია, თეორიულად მიღებული ცოდნის რეალობაში ხილვა, ვიზუალურად აღქმა, გაცილებით ეფექტურია, თუმცა ეს საკმარისი როდია. ანალიტიკური, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გასავითარებლად აუცილებელია მუზეუმის როლის მეთოდური გამოყენება, რაშიც იგულისხმება იმ საგანმანათლებლო აქტივობებზე გადასვლა, რომელთაც დღეს მუზეუმები გვთავაზობენ. აუცილებელია ექსპონატებთან ინტერაქცია, პრაქტიკული აქტივობები და ვორქშოფები, რათა სწორედ „ის“ გაგება მოხდეს მოსწავლეებში. მუზეუმები, რომლებიც მოსწავლე-მასწავლებლებს ექსპერიმენტებს სთავაზობენ გაცილებით პოპულარულია სასკოლო განათლებაში, ვინაიდან ეს თითოეულ საგანში შესაბამის მიზანზე, სამიზნე ცნებაზე გასასვლელად, მისაღწევად გაცილებით ეფექტური გზაა. ინტერაქციული გაკვეთილი მასწავლებელს ხელს უწყობს მოსწავლემ სრულყოფილად აღიქვას, დაიმახსოვროს, გაიაზროს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა. მუზეუმები ცოდნის ტრანსფერის გზაზე კი ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებლები არიან. მუზეუმები მოსწავლეებში იწყებენ ინტერესთა, ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, რაზეც უკვე შემდგომ ყოველივე ზემოხსენებული დაშენდება. მუზეუმში მოსწავლისთვის არის შემოქმედებითი მასწავლებელი, მოტივატორი, ხელშესახები და რეალისტურად აღქმადი.

სხვადასხვა საგნის პედაგოგები მუზეუმებს სასწავლო მეთოდად იყენებენ, საგნისა და მუზეუმის სპეციფიკების თანხვედრის გათვალისწინებით. საქართველო განებივრებულია მუზეუმთა მრავალფეროვნებით, სახლ-მუზეუმებიდან და მუზეუმ-ნაკრძალებიდან დაწყებული თუნდაც ხალხური სიმღერებისა და საკრავების მუზეუმის ჩათვლით/დასრულებული. ყველაზე ხშირად მუზეუმების ე.წ. მომხმარებლები სასკოლო დონეზე, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ესთეტიკის კათედრების საგნობრივი ჯგუფები არიან. (ისტორია, გეოგრაფია, ჩვენი საქართველო, ხელოვნება, მუსიკა, მსოფლიო კულტურა) რა თქმა უნდა, მუზეუმებს აქვთ თემატური პროგრამები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრისთვისაც.

მუზეუმები, მათი თემატიკა და სპეციალური პროგრამები, როგორც აღინიშნა, ეხმიანება თანამედროვე სასკოლო გეგმებსა და საგანმანათლებლო სტანდარტს, თითქმის ყველა საგანში. თუმცა მუზეუმებმა უნდა შეძლონ და მიმდინარე გამოწვევებსაც უნდა უპასუხო, პირველ რიგში კი, ვფიქრობთ, ინკლუზიურობის კუთხით, რათა ის თითოეული მოსწავლისთვის (ვგულისხმობთ სსსმ და შშმ მოსწავლეებს) ხელმისაწვდომი გახდეს. როდესაც მუზეუმი წარმოადგენს ინტერაქციულ, დინამიკურ საგანმანათლებლო სივრცეს, ის უნდა იყოს ინკლუზიურიც. მუზეუმთა საგანმანათლებლო პროგრამები არა მხოლოდ სასურველია, არამედ

აუცილებელია, მაქსიმალურად, მორგებული იყოს ინკლუზიურ თუ მოწყვლად ჯგუფებზეც. მუზეუმი - გარემო ყველასთვის!

მუზეუმი არის როგორც არაფორმალური ისე ფორმალური როლის მქონე მოწყვლადი. არაფორმალური განათლების კუთხით სკოლები და სამუზეუმო სფერო, ისევე როგორც მასწავლებლები და მუზეუმის თანამშრომლები, აქცენტს აკეთებენ ბავშვზე, როგორც მთავარ ობიექტზე. მათ უნდა მიიღონ ინფორმაცია, შემხებლობა ჰქონდეთ თვალსაჩინოების კუთხით ექსპონატებთან, ხოლო მოსმენილისა და ნანახის შთაბეჭდილებით მოხდეს მათში როგორც შემეცნება, ასევე, შემოქმედებითობისა და ინდივიდუალიზმის გამოვლინება. მსგავსი სამუზეუმო პროექტები ეხმარება მასწავლებელს საგაკვეთილო პროცესი გაცდეს კლასის ფარგლებს ან პირიქით, საჭიროებიდან გამომდინარე, მუზეუმმა გადაინაცვლოს სასკოლო სივრცეში, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ. მუზეუმებმა კოვიდის დროსაც კი მოახერხეს ეს. მაგალითად, ციფრულად, რაც კოვიდ პანდემიის დროს ვირტუალური ვიზუალიზაციის საშუალებით გახდა შესაძლებელი, 3D ტურებით, ონლაინ ლექციებითა და გაციფრულებული ექსპონატებითა და პროგრამებით. მსგავსი აქტივობები, როგორც აღვნიშნეთ, ბავშვებს ეხმარება, უწყვეტად, გაიფართოონ თვალსაწიერი, ჩამოუყალიბდეთ სათანადო წარმოდგენა წარსულსა და მომავალზე.

გარდა ზემოხსენებულისა, მუზეუმი სოციალური ინსტიტუტია, რაც მოსწავლეებში სოციალურ უნარებსაც აძლიერებს, ვინაიდან მუზეუმების თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამები და აქტივობები მოსწავლეებში ზრდის სოციალურ უნარებს, ინტერაქციულობას, კომუნიკაციურ უნარებს, გუნდურ მუშაობასა და ერთმანეთის პატივისცემასაც.

სწავლა-სწავლების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო ოთახით. მუზეუმები მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რესურსია და სასკოლო საზოგადოებას სთავაზობენ მნიშვნელოვან სასწავლო პოტენციალს. მუზეუმებში გამოფენილი კოლექციები მოსწავლეებს ერთდროულად აძლევს ხელშესახებ კავშირს დროსთან, ადგილებთან, მოვლენებთან და ადამიანებთან, რაც მოსწავლეებს ეხმარება, რათა განიცადონ კაცობრიობის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის განვითარების გზა. პარალელურად, ეს ყოველივე კი ხელს უწყობს მოსწავლეებში მულტიკულტურალიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებასაც.

შეჯამების სახით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუზეუმები დღეს ღირებულ როლს ასრულებენ სასკოლო განათლებაში, წარმოადგენს პროგრესულ და ეფექტურ სასწავლო მეთოდს. მუზეუმი დღეს მოსწავლე-მასწავლებელს სთავაზობს პრაქტიკულ ცოდნას, რეალურ გამოცდილებასა და უნარებზე დაფუძნებულ მიდგომებს, რაც გულისხმობს ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული უნარების განვითარებას. მუზეუმი, ხელშემწყობია კეთებით სწავლებისთვის, რაც ცოდნის განმამტკიცებელია და სასწავლო პროცესს მეტად ინტერაქციულს, შედეგზე ორიენტირებულს ხდის. მუზეუმების ეფექტური გამოყენება იწვევს მრავალმხრივ სწავლებას, კრიტიკული თუ შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებასა და 21-ე საუკუნის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უნარების შეძენას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბერიძე, თინათინ. თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდები. ბოლო ნახვა, 12 ოქტომბერი, 2023, ვებ-გვერდზე: <https://mastsavlebeli.ge/?p=22215>
2. გედევანიშვილი, ნინო. განათლება და მუზეუმი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010.
3. ICOM.MUSEUM. Museum International, ბოლო ნახვა, 12 ოქტომბერი, 2023, <https://icom.museum/en/resources/>
4. SCHOOLEDUCATIONGATEWAY.EU. Museum Education - Using museums as a resource in teaching and learning. ბოლო ნახვა, 12 ოქტომბერი, 2023, ვებ-გვერდზე: https://www.schooleducationgateway.eu/fr/pub/teacher_academy/catalogue/detail.cfm?id=74357#:~:text=Learning%20in%20museums

ნინო სულავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის

არქეოლოგიისა და ისტორიის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი

Nino Sulava

Doctor of Historical Sciences

National Museum of Georgia

Otar Lordkipanidze Institute of Archaeology

Head of the Scientific Department of Archaeology and History

ინგა ესვანჯია

მხატვარ-არქიტექტორი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის,

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის,

პროდუქციისა და სამუზეუმო გამოცემების მომზადების ჯგუფი

Inga Esvanjia

Artist-Architect

National Museum of Georgia,

S. Janashia Museum of Georgia

Production and Museum Publications Preparation Team

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.010>

ფიბულებიანი სამარხები ბრილის სამაროვნიდან

(ისტორიული მთიანი კოლხეთი, რაჭა)

Burials with fibulas from the Brili cemetery

(Historical mountainous of Colchis, Racha)

აბსტრაქტი. ბრილი, ონის მუნიციპალიტეტი, რაჭა, ისტორიული მთიანი კოლხეთის ნაწილი ლეჩხუმსა და სვანეთთან ერთად. ბრილის სამაროვნის შესწავლა 1939 წელს დაიწყო არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით. სამაროვანზე ფიბულებიანი კომპლექსები გამოვლინდა 1939, 1940, 1948, 1950-1953, 1960, 1961 წლების გათხრების დროს. 36 კომპლექსში აღმოჩენილია 83 ფიბულა. სამარხები ორი ტიპისაა: 1. ორმოსამარხები, რომლებიც ზოგჯერ ქვის ფილით არის დახურული, ზოგჯერ ქვყარილიანია; 2. ქვის, უსახურავო ან ქვის ფილით, ზოგჯერ კი, რიყის ქვებით დახურული სამარხები; დაკრძალვა

ინჰუმაციურია მოხრილ მდგომარეობაში, ერთი ან ორი-სამი მიცვალებულით. სამარხებს გარდა, ფიბულები აღმოჩენილია ე.წ. „დანგრეულ კრემაციულ სამარხში“ (ბრინჯაოს 4 და რკინის 1 ფიბულა, 1951 წ.) და „კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დამწვარ ფენაში“ (ბრინჯაოს 3 და რკინის 3 ფიბულა, 1951 წ.). ბრილის სამაროვნის ფიბულების უმრავლესობა ბრინჯაოსია, რამდენიმე რკინისაა, 1 ვერცხლის (სამარხი # 9, 1960 წ.). ისინი III ტიპის [სულავა, 2011: 92] 7 სახეობითაა წარმოდგენილი: 1. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სადა (III 1 a, b, d), სიგრძივი თევზიფხურით შემკული (III 2 d) და ირგვლივი თევზიფხურით შემკული (III 3 a); 2. მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით (III 6 a); 3. რომბისებრგანივკვეთიანი რკალით (III 7 a); 4. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებით (III 8 a, i); 5. მძივისებრრკალიანი (III 9 a); 6. რკალზე ირგვლივი ღარებისა თუ ზოლების სეგმენტებით (III 10 a, a1); 7. გრეხილრკალიანი (III 12 a, b).

ბრილის სამაროვნის ერთწილადი ფიბულების შემცველი სამარხები ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი ან VI-IV სს-ით თარიღდება. ბრილის ერთწილადი ფიბულების ტიპოლოგიური ნიუანსები, ტიპოლოგიური ნიშნების ერთობლიობა, რაოდენობრივი კონცენტრაცია, აქ, დამოუკიდებელი სახელოსნოს არსებობას გვაპარაუდებინებს.

ბრილის სამაროვანზე ორწილადი რკალისებური ფიბულებიც არის აღმოჩენილი. ისინი 2 სახისაა: 1. რკალის ღერო მრგვალგანივკვეთიანი (I 1 a,b) და 2. რკალის ღერო რომბულგანივკვეთიანი (I 2 b). ბრილის ორწილადი რკალისებური ფიბულებიც ადგილობრივი სახელოსნოს ნახელავი უნდა იყოს და ახ.წ. პირველ საუკუნეებს განეკუთვნება [სულავა, 2011: 212, 216, კატ. 6, 7, 46-48].

ბრილის ფიბულებიანი სამარხების მასალები პირველად ქვეყნდება¹⁵.

Abstract. Brili is located in the Oni municipality (Racha), a part of the historical mountainous of Colchis with Lechkhumi and Svaneti. The excavation of the Brili cemetery started in 1939 with the leadership of archaeologists G. Gobejishvili. Complexes with fibulas were excavated at the cemetery in 1939, 1940, 1948, 1950-1953, 1960, 1961. 83 fibulas were found in 36 complexes. There are two types of burials: 1 - Pit burials, which are sometimes covered by stone slabs, or a heap of stones; 2 - Stone burials, roofless or covered with stone slabs, and sometimes with cobblestones; Burials were inhumation in an embryonic position, with one, two, or three skeletons.

In addition to tombs, fibulas were excavation in the so-called „In the destroyed cremation burials“ (4 bronze and 1 iron fibulas, in 1951), also „to the north of the cremation ground of the Colchian period, in the burnt layer of the Scythian period“ (3 bronze and 3 iron fibulas, in 1951) [G. Gobejishvili].

Most of the fibulas from the Brill cemetery are bronze, a few are iron, and 1 is silver (burial # 9, 1960). They are III types of fibulas [Sulava, 2011: 92] and 7 species: 1 – plain-arc (III 1 a, b, d), with arc longitudinally ornamented with „fishbone“ pattern (III 2 d), arc with circular type III „fishbone“ ornament (III 3 a); 2 - with arc of right-angled section (III 6 a); 3 - with rhomboid cross-section arc

¹⁵ სტატიის სახით წარმოდგენილი ნაშრომი ბრილის სამაროვნის ფიბულებიანი სამარხებისადმი მიძღვნილი იმ წიგნის შემცირებული ვარიანტია, რომლის გამოცემასაც ვაპირებთ.

(III 7 a); 4 - with discoid bulges on the arc (III 8 a, i); 5 - with bead-like arc (III 9 a); 6 - with arc adorned with segments of circular bands (III 10 a, a1); 7 - with twisted arc (III 12 a, b).

Burials containing one-piece fibulas of Brill Cemetery date back to the end of the VII century or the VI-IV centuries BC. The typological nuances of Brill's one-piece fibulas, the combination of typological signs, and quantitative concentration here, suggest the existence of an independent workshop.

There were on the Brili cemetery have also been excavated two-piece fibulas. They are of 2 types: 1 - the arc stem is of round section (I 1 a, b), and 2 - arc stem is of rhomboid section (I 2 b). The two-piece arc-shaped fibulae of Brili should also be the work of a local workshop and dated the first centuries AD [Sulava, 2011: 212, 216, cat. 6, 7, 46-48].

საკვანძო სიტყვები. მთიანი კოლხეთი, რაჭა, ბრილი, ფიბულები, ტიპოლოგია, ქრონოლოგია, სახელოსნო.

Keywords. Historical mountainous of Colchis, Racha, Brili, fibulae, typology, chronology, workshop.

სოფელი ბრილი (ონის მუნიციპალიტეტი) მდებარეობს რაჭაში, რომელიც ისტორიული მთიანი კოლხეთის ნაწილია ლეჩხუმსა და სვანეთთან ერთად.

ბრილის სამაროვანი, რომელიც XX ს-ის შუა ხანებში ითხრებოდა და დღემდე გამოუქვეყნებელია, იმ სამაროვანთა რიგს განეკუთვნება, რომლის მასალამაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კავკასიის არქეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის - ისტორიული ქრონოლოგიის დადგენაში [სულავა, კალანდაძე, 2004: 28, 29. სულავა, კალანდაძე, 2005: 13-16. სულავა, 2006. Sulava, Kalandadze 2008: 289-298. სულავა, 2011: 184-186]. ამიტომაც, ამ კოლექციის შესწავლა და გამოქვეყნება გადაუდებელი საქმეა.

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება ბრილის მხოლოდ ფიბულებიანი კომპლექსების შესწავლას.

ბრილის სამაროვნის არქეოლოგიური შესწავლა 1939 წელს დაიწყო გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით. სამაროვანზე ფიბულებიანი კომპლექსები გამოვლინდა 1939, 1940, 1948, 1950-1953, 1960, 1961 წლების გათხრებისას. 36 კომპლექსში აღმოჩენილია 83 ფიბულა¹⁶.

სამარხები ორი ტიპისაა: 1. ორმოსამარხები, რომლებიც ზოგჯერ „კეცით“¹⁷ (ქვის ფილით) არის დახურული, ზოგჯერ ქვყარილიანია, დაკრძალვა ინჰუმაციურია მოხრილ მდგომარეობაში, ერთი ან ორი-სამი მიცვალებულით; 2. ქვის, უსახურავო ან „კეცით“, ზოგჯერ კი რიყის ქვებით დახურული სამარხები, დაკრძალვა ინჰუმაციურია მოხრილ მდგომარეობაში, ერთი ან ორი-სამი მიცვალებულით.

¹⁶ 1994 წელს მასალაზე მუშაობის უფლებისა და ხელშეწყობისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ჯ. ფანცხავას. მასალა მომზადებულია საველე დავთრების, დღიურების და გ. გობეჯიშვილის საკანდიდატო დისერტაციის [გობეჯიშვილი, 1942] მიხედვით.

¹⁷ გ. გობეჯიშვილის ტერმინოლოგიით.

სამარხებს გარდა, ფიბულები აღმოჩენილია ე.წ. „დანგრეულ კრემაციულ სამარხში“ (ბრინჯაოს 4 და რკინის 1 ფიბულა, 1951 წ.) და „კოლხური პერიოდის კრემაციული მოედნის ჩრდილოეთით, სკვითური ხანის დამწვარ ფენაში“¹⁸ (ბრინჯაოს 3 და რკინის 3 ფიბულა, 1951 წ.). ამ ფიბულების ტიპოლოგიური განსაზღვრა ძნელია, რადგან ცეცხლის ზემოქმედების შედეგად მათზე ძლივს შეიმჩნევა შემკულობის სახეები. მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა 1 ცალი რომბულგანივკვეთიანი რკინის ფიბულისა, ყველა მრგვალგანივკვეთიანია.

ბრილის სამაროვნის გამთხრელის გ. გობეჯიშვილის აზრით, კრემაციის წესი დამოწმებულია მხოლოდ ძვ.წ. X-V სს-ში, ხოლო თვით სამარხების ინტერპრეტაცია ასეთია: კრემაციისათვის ქვის ფილებით გამართულია კრემაციული მოედანი; გადახურვა არ ფიქსირდება. სავარაუდოდ, ხის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო ზემოდან მიწაყრილით; თითოეულ სამარხში იკრძალებოდა რამდენიმე მიცვალებული. გვამს თვით სამარხში წვავდნენ ინვენტართან ერთად, რის გამოც ერთმანეთთანაა შედუღებული რკინა, ბრინჯაო, მინა, კერამიკა, ძვალი, ხის ნახშირი. სამარხეული ინვენტარი: რკინის საბრძოლო (ცულები, სატევარიაკინაკები, სკვითური ისრისპირები, შუბისპირები) და სამეურნეო (ცულები, მოხრილი დანები) იარაღი; რკინისა და ბრინჯაოს ლაგმები და საყბურები, სალესი ქვები; ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, საკისრე რკალები, ფიბულები, სხივანა საყურეები, ეჭვნები, ფირფიტისებური სამაჯურები, მცირე ზომის მართკუთხა აბზინდები; ფართო ასორტიმენტის მინის მძივები [გობეჯიშვილი, 1959: 190-196].

ვფიქრობთ, ინვენტარის ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ამ ტიპის სამარხების არსებობის გ. გობეჯიშვილისეული ადრეული თარიღი (ძვ.წ. X ს.) ექვის ქვეშ დადგეს. ყველაფერი მიგვითითებს იმაზე, რომ ამ სამარხთა არსებობის ხანა ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს უნდა დაწყებულიყო. ამგვარი დათარიღების საფუძველია რკინის აკინაკები და ცულები. ხოლო, ოქროსა და ვერცხლის სხივანა საყურეები, მათ შორის ვარდულიანი და ხუთსხივიანი, ბოლოებდაბრტყელებული და გახვრეტილი სასაფეთქლეები, სამაჯურები, საკისრე რკალები, მარკირებას უკეთებს ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს - ძვ. წ. IV ს.

ბრილის სამაროვნის ფიბულების შემცველი 36-ივე სამარხი ზოგადად, ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი ან ძვ.წ. VI-IV სს-ით უნდა დათარიღდეს.

ბრილის სამაროვნის ფიბულების უმრავლესობა ბრინჯაოსია, რამდენიმე რკინისაა, 1 ვერცხლის [Кахидзе, Сулава, 2005] (სამარხი # 9, 1960 წ.). ისინი რკალის მოყვანილობის მიხედვით ყველა მაღალრკალიანია ანუ III ტიპისაა და 7 სახეობითაა წარმოდგენილი: 1. მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სადა (ტაბ. 1) (III 1 a, b, d - კატ. 51, 57-71 [სულავა, 2011: 93-94]), სიგრძივი თევზიფხურით შემკული (ტაბ. 2) (III 2 d - კატ. 144-146 [სულავა, 2011: 98, 99]) და ირგვლივი თევზიფხურით შემკული (ტაბ. 3) (III 3 a - კატ. 225 [სულავა 2011: 105]); 2. მართკუთხაგანივკვეთიანი რკალით (ტაბ. 4) (III 6 a - კატ. 336 [სულავა, 2011: 116]); 3. რომბისებრგანივკვეთიანი რკალით (ტაბ. 5/1, 2) (III 7 a - კატ. 368-370 [სულავა, 2011: 120]); 4. რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებით (ტაბ. 6) (III 8 a, i - კატ. 401-406, 455, 456 [სულავა, 2011: 124, 125, 131]); 5. მძივისებრრკალიანი (ტაბ. 7) (III 9 a - კატ. 469, 473 [სულავა, 2011: 135, 136]); 6. რკალზე ირგვლივი ღარებისა თუ ზოლების სეგმენტებით

¹⁸ გ. გობეჯიშვილის ამავე წლის საველე დღიურის მიხედვით.

(ტაბ. 8) (III 10 a, a1 - კატ. 489, 490, 495, 497, 498 [სულავა, 2011: 137, 138]); 7. გრეხილრკალიანი (ტაბ. 9) (III 12 a, b - კატ. 562-565, 586-592 [სულავა, 2011: 142, 143, 145, 146])¹⁹.

ბრილის ფიბულები ხასიათდება ტიპოლოგიური ნიუანსებით, რითიც განსხვავდება სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი ფიბულებისაგან, რაც რაჭაში, ბრილის სამაროვანთან დამოუკიდებელი სახელოსნოს არსებობას გვაპარაუდებინებს.

ბრილის ფიბულებისათვის დამახასიათებელია სიმეტრიულად გაგანიერებული ბუდე, მომრგვალებული ნემსსაჭერით ან ნიჩბისებური ფორმის მხრებმომრგვალებული ბუდე, ენისებური ნემსსაჭერით. სამაროვანზე ყველაზე მეტი გრეხილრკალიანი ფიბულაა აღმოჩენილი; ამ ტიპის ყველაზე გვიანდელი ეგზემპლარებიც ბრილიდანაა ცნობილი. ბრილის სამაროვანისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია სიგრძეზე მიმართული თევზიფხურით შემკული რომბულგანივკვეთრკალიანი და აგრეთვე სხვადასხვა რაოდენობის ღარების სეგმენტებით რკალშემკული ფიბულები. ამ ტიპის ფიბულები სამხრეთ კავკასიის სამაროვანებზე თითქმის არ გვხვდება. ძალიან საინტერესოა რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური თუ უბრალო შემსხვილებებიანი ფიბულები. ისინი ყველაზე ახლო ანალოგებს თლიას სამაროვანის გვიანდელ, ძვ.წ. VI ს-ის ფიბულებთან პოულობენ, მაგრამ სრულიად განსხვავდებიან ბუდის ანუ ფეხის ფორმის მიხედვით. აღნიშნული დამახასიათებელი ნიშნები ფიბულათა კონცენტრაციის სხვა რეგიონებში ან საერთოდ არ არის ცნობილი ან მხოლოდ ერთეული ეგზემპლარებით გვხვდება.

III ტიპის ერთწილადი რკალისებური ფიბულების გარდა ბრილის სამაროვანზე ორწილადი რკალისებური ფიბულებიც არის აღმოჩენილი. მათში ფიბულათა რკალის მორფოლოგიური ნიშნებისა და შემკულობის (რკალი სადა ან შემკული) მიხედვით შეიძლება გამოიყოს 2 ქვეტიპი: 1 - რკალის ღერო მრგვალგანივკვეთიანი [სულავა, 2011: კატ. 6] და 2 - რკალის ღერო რომბულგანივკვეთიანი [სულავა, 2011: კატ. 46].

კავკასიაში ორწილადი რკალისებური ფიბულების გავრცელება ემთხვევა იმ სივრცეს, სადაც ერთწილადი რკალისებური ფიბულების წარმოება (სახელოსნოები) ივარაუდება. ესაა შიდა ქართლისა და რაჭა-იმერეთის ტერიტორია (ქვემო იმერეთის-ვანის ჩათვლით). კავკასიაში აღმოჩენილი ორწილადი რკალისებური ფიბულების ანალოგები არსად გვხვდება. ისინი ნამდვილად ადგილობრივი მოვლენაა, რადგან გენეტიკურ კავშირს (შემკულობის სახე, რკალის მოყვანილობა) ერთწილად რკალისებურ ფიბულებთან ავლენენ.

დასკვნა. ამგვარად, ბრილში ფიბულათა წარმოების ერთ-ერთი სახელოსნოს არსებობის დამადასტურებლად (მიუხედავად იმისა, რომ არ არის აღმოჩენილი საწარმოო ნარჩენები და ყალიბი), პირველ რიგში მიგვაჩნია ტიპოლოგიური ნიშნების ერთობლიობა და ტიპოლოგიური ნიუანსები, რითიც ერთი სტილი იქმნება. მნიშვნელოვანია ფიბულათა რაოდენობრივი კონცენტრაცია. III ტიპის ერთწილადი რკალისებური ფიბულები ძვ.წ. VII ს-ის ბოლოთი ან ძვ.წ. VI-IV სს-ით თარიღდება. ბრილის ორწილადი რკალისებური ფიბულებიც ადგილობრივი სახელოსნოს ნახელავი უნდა იყოს და ახ.წ. პირველ საუკუნეებს განეკუთვნება.

¹⁹ ტაბ. 10-ზე წარმოდგენილია 3 სახის ფიბულა ერთ კომპლექსში (ბრილი. 1953 წელი, სამარხი # 21. [სულავა, 2011: კატ. 588, 63, 490]).

ლიტერატურა:

გობეჯიშვილი გ. 1942. ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი (ნაბეჭდი). თბ.

გობეჯიშვილი გ. 1959. გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია. თბ.

სულავა ნ., კალანდაძე ნ. 2004. გვიანბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიის ზოგიერთი საყრდენი არტეფაქტის არქეოლოგიური და ტექნოლოგიური კვლევა (ნახევარწრიული აბზინდები, ყუამილიანი ცულები, შტანდარტები სამთავროსა და ბრილის სამაროვნის მასალების მიხედვით). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი. თბ. (ხელნაწერი).

სულავა ნ., კალანდაძე ნ. 2005. მინით ინკრუსტირებული უძველესი ნივთები ბრილისა და სამთავროს სამაროვნებიდან, ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, # 6-7. თბ.

სულავა ნ. 2006. კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. (ნაბეჭდი). თბ.


სულავა ნ. 2011. კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი). თბ.

Кахидзе А., Сулава Н. 2005. Фибулы Пичвнарского могильника. Кавказоведение, № 8. М.

Sulava N., Kalandadze N. 2008. Glass inkruled ancient Artifacts from Georgia (Brili and Samtavro burial Grounds), International Conference AMITEM 2008. Ankara.

ტაბულები:


ტაბ. 1 - მრგვალგანიკვეთიანი რკალით, სადა. ბრილი. 1948 წელი, სამარხი # 8 [სულავა 2011: კატ. 68].




ტაბ. 2 - მრგვალგანივკვეთიანი რკალით, სიგრძივი თევზიფხურით შემკული. ბრილი. 1950 წელი, სამარხი # 29 [სულავა 2011: კატ. 183].




ტაბ. 3 - მრგვალგანივკვეთიანი რკალით, ირგვლივი თევზიფხურით შემკული. ბრილი. დანგრეული კრემაციული სამარხი, 1951 წელი [სულავა 2011: კატ. 341].




ტაბ. 4 - მარტუთხაგანივკვეთიანი რკალით. ბრილი, 1950 წ. სამარხი #26 [სულავა 2011: კატ. 336].




ტაბ. 5/1 - რომბისებრგანივკვეთიანი რკალით. ბრილი, 1951 წ. სამარხი # 19 [სულავა 2011: კატ. 369].




ტაბ. 5/2 - რომბისებრგანივკვეთიანი რკალით, სიგრძივი თევზიფხურით შემკული. ბრილი, 1940 წ. სამარხი # 11 [სულავა 2011: კატ. 376].




ტაბ. 6 - რკალის თავსა და ბოლოში დისკოსებური შემსხვილებებით. ბრილი, 1952 წ. სამარხი # 20 [სულავა 2011: კატ. 405].



ტაბ. 7 - მძივისებრკალიანი. ბრილი, 1960 წ. სამარხი #9 [სულავა 2011: კატ. 469].




ტაბ. 8 - რკალზე ირგვლივი ღარებისა თუ ზოლების სეგმენტებით. ბრილი, 1953 წ. სამარხი # 18 [სულავა 2011: კატ. 489].




ტაბ. 9/1 - გრეხილრკალიანი. ბრილი, 1960 წ. სამარხი #4 [სულავა 2011: კატ. 586].



ტაბ. 9/2 - გრეხილრკალიანი. ბრილი, 1960 წ. ორმოსამარხი # 4 [სულავა 2011: კატ. 592].



ტაბ. 10 - 3 სახის ფიბულა ერთად. ბრილი. 1953 წელი, სამარხი # 21. [სულავა 2011: კატ. 588, 63, 490].



გივი ინანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

Givi Inanishvili

Technical University of Georgia, professor

ნოდარ ფოფორაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

Nodar Poporadze

Technical University of Georgia, professor

ნანა ხახუტაიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

Nana Khakhutaishvili

Batumi Shota Rustaveli State University,

PhD in history, professor

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.011>

**კოლხეთის უძველესი რკინის მეტალურგიული წარმოების ძეგლების ტექნოლოგიური
ანალიზი**

**Technological analysis of the ancient iron metallurgical production
monuments of Colchis**

აბსტრაქტი: საქართველოს ტერიტორიაზე თვითნაბადი მინერალების, მადნებისა და ქანების მოპოვების, დამუშავების, მიღებისა და გამოყენების კულტურა უძველესია და კაცობრიობის განვითარების ყველა ძირითად ისტორიულ საფეხურს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ რკინის ჟანგულების და ჰიდროჟანგულების მცირე მოცულობის მადანგამოვლინებები საქართველოს თითქმის ყველა რაიონში და დიდ სოფელში გვხვდება, რაც ადრეულ პერიოდში საკმარისი იყო ადგილობრივი მცირე წარმოების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. საქართველოს რკინის მეორეული მადნების და მადანგამოვლინებების უმეტესობა წარმოქმნილია პირველადი სულფიდური საბადოების ჟანგვის ზონაში დაჟანგვისა და დაშლის შედეგად. ჩვენ მიერ გამოკვლეული მასალა, რომელიც წარმოდგენილია რკინის მადნებისა და წიდების ფრაგმენტებით, გამოვლენილია აჭარის (8 უბნის წიდის ნიმუშები), გურიისა (11 უბნის წიდის ნიმუშები) და სამეგრელოს (9 უბნის მადნისა და

წიდის ნიმუშები) ტერიტორიაზე. აღნიშნული მასალა დაექვემდებარა კომპლექსურ: რეტგენოგრაფიულ, რენტგენოფლოუორესცენციურ და მეტალოგრაფიულ ანალიზს. დადგინდა, რომ გურიისა და აჭარის ზღვისპირა ზოლში წარმოდგენილი ძეგლების წიდეები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ასევე, ქიმიური და ნივთიერი შედგენილობით. ვფიქრობთ, რომ ორივე რეგიონში რკინის წარმოებისათვის რკინის ჟანგეულ (ჰემატიტი) და ჰიდროჟანგეულ (გოეტიტი, ლიმონიტი) მინერალებთან ერთად, საწყის მადნებში სპილენძისა და თუთიის სულფიდებიც იყო პარაგენეზისში. სამეგრელოს რეგიონში კი, რკინის წარმოებისათვის მხოლოდ რკინის ჟანგეულები (ჰემატიტი) და ჰიდროჟანგეულები (გოეტიტი, ლიმონიტი) გამოიყენებოდა.

საკვანძო სიტყვები: მადანი, წიდა, ჰემატიტი, გოეტიტი.

Abstract. The process of mining, production and use of minerals, rocks and useful minerals in Georgia is as old as the history of mankind itself, the tribes living in the territory of Georgia used minerals in the form they were obtained, giving only simple forms for use in combat, jewelry and economic purposes. Based on historical sources and scientific literature, it is confirmed that the culture of mining, processing, reception and use of native minerals, ores and rocks in this area is ancient and covers all the main historical stages of human development, which is recognized. Mineral deposits of small amounts of iron oxides and hydrogen oxides can be found in almost all regions and large villages of Georgia, which was enough for the development of local small-scale production. Most of Georgia's secondary iron ores and ore occurrence are formed as a result of oxidation and dissolution of primary sulphide deposits in the oxidation zone. They are present in the form of loose, dense, mottled limonite, goethite, hematite, hydrohematite in the form of collomorphic or metacolloidal masses. The material examined by us, with fragments of iron-bearing ores and slags, represented by ancient metallurgical production facilities newly discovered in the territory of Adjara (slag samples from 8 areas), Guria (slag samples from 11 areas) and Samegrelo (ore and slag samples from 9 areas), was subjected to complex X-ray phase analysis, X-ray fluorescence and metallographic analysis. It should be noted that the slags of Guria and high-mountainous Adjara are similar both visually and in chemical and material composition. We think that in both regions, along with oxidized (hematite) and hydrooxidized (goethite, limonite) iron minerals, copper and zinc sulfides were also present in the initial ores in paragenesis. And in the Samegrelo region, only iron oxides (hematite) and hydrogen oxides (goethite, limonite) were used for iron production.

Keywords: ore, goethite, hematite, slag, furnace.

მადნიდან პირდაპირი აღდგენით რკინის მიღების პროცესი, თანამედროვე მეტალურგიული წარმოებისგან განსხვავებით, „ცივბერვით“ პროცესია და ძველ მსოფლიოში რკინის მეტალურგიის განვითარების ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

კოლხეთის რკინის მეტალურგიის ათვისება-განვითარების უწყვეტი სურათის წარმოსახვა შესაძლებელი გახდა ამ კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და არსებითი მნიშვნელობისაა კოლხეთის რკინის მეტალურგიული ცენტრის ამსახველი არქეოლოგიური მასალა,

მოპოვებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში [ხახუტაიშვილი დ. 1964:45-58; 1976; 1978:17-34; 1980:3-38; 1981:3-36; Хакхутаишвили Д. 1979; ხახუტაიშვილი ნ. 2009] გამოვლენილია რამდენიმე ასეული სახელოსნო - ობიექტის შემცველი ოთხი რაიონი. საწარმოო ქურები შელესილობის ფრაგმენტებით, მადნის და წიდის დიდი რაოდენობის მასით და წარმოების სხვა ნარჩენებით [Хакхутаишвили 1987; 2009; ხახუტაიშვილი ნ. & თავამაიშვილი 2002:34-40; Erb-Satullo et al., 2014:147-159; 2015:260-276; 2020:401-419; Khakhutaishvili N. 2005:80-87; 2006:222-234; 2008:397-405].

გამოსაკვლევი მასალა, რკინის შემცველი მადნებისა და წიდების ფრაგმენტებით, წარმოდგენილი აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ახლად აღმოჩენილი უძველესი რკინის წარმოების ობიექტებიდან, დაექვემდებარა კომპლექსურ რენტგენოფაზურ, რენტგენოფლოუორესცენციურ და მეტალოგრაფიულ ანალიზს. ლაბორატორიული კვლევების შედეგები წარმოდგენილია ნაშრომში.

მასალის ანალიზი ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტის, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ფოფორაძის ხელმძღვანელობით.

ლაბორატორიული ექსპერიმენტისთვის შეირჩა ნიმუშები რენტგენოფაზური და რენტგენოფლოუორესცენციური ანალიზის ჩასატარებლად და მეტალოგრაფიულ მიკროსკოპზე გამოსაკვლევად.

აჭარის რეგიონიდან წარმოდგენილია 8 უბნის წიდის ნიმუშები, რომლებიც მრავალფეროვანი და მრავალგვარია.

მაკროსკოპულად და მიკროსკოპშიც წიდის ნიმუშები არაერთგვაროვანი, ფოროვანია, ხშირად დაიკვირვება წიდის დენადობის ნაკადები, რომელთა სისქე არ არის დიდი.

ნიმუში №271 - სოფ. ცეცხლაური, ძეგლი „აგაროდნი გორა“ 3/1, 1 ფრაგმენტი (წიდა - Si - 12.29-20.34%, Fe - 31.23-32.23%, Ca - 0.75-1.43%, Al - 2.98%, Cu - 1.54%, Zn - 1.43-3.01%, S - 1.76-3.56%, K - 0.43-0.98%). წიდაში Ca-ს, Al-ს, Mg-ს არსებობა მიუთითებს დნობის პროცესში ფლუსის დამატებას დენადობის გასაზრდელად.

ნიმუში 272 - სოფ. ცეცხლაური, ძეგლი „ცეცხლაური-2“, წარმოდგენილია წიდის ორი ფრაგმენტით (წიდის ქიმიური შედგენილობა - Si - 12.56-18.43%, Fe - 31.45-40.43%, Ca - %, Al - 1.07-1.76%, Cu - 1.46%, Zn - 0.74-0.90%, S - 2.36-3.44%, K - 0.20-0.34%). წიდის ნიმუშებში Cu - ს, Zn - ს, S - ს მაღალი შემცველობა მიუთითებს რკინის წარმოებისთვის რკინის ჟანგეულ (ჰემატიტი) და ჰიდროჟანგეულ (გოეტიტი, ლიმონიტი) მინერალებთან ერთად სპილენძისა და თუთიის სულფიდების არსებობას.

ნიმუში №273 - სოფ. ცეცხლაური, ძეგლი „აგაროდნი გორა -3/2“, 1 ფრაგმენტი (წიდა - Si - 17.34%, Fe - 29.67%, Ca - 0.41%, Al - 0.86%, Cu - 0.37%, Zn - 2.34%, S - 0.34%, K - 0.65%). წიდა ძლიერ ფოროვანია, შეიმჩნევა ლითონური რკინის გამონაყოფები. რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამაზე კრისტალურ ფაზალიტ-ფორსტერიტის მყარი ხსნარის ფაზასთან ერთად დაიკვირვება კვარცისა და მინდვრის შპატის ფაზები კვალის დონეზე და

რენტგენამორფული ფაზა. წიდის ზედაპირი ფოროვა-ნია, გლუვი, მუქი მოშავომდე, თუმცა ზოგიერთ უბანში შეიმჩნევა მუქი წითლიდან ნარინჯისფრამდე კოროზიული ადგილები. ნიმუშში გვხვდება მეტალური რკინის მომრგვალებული გრანულები (მარცვლები).

ნიმუში 274-სოფ. ცეცხლური, ძეგლი „აგაროდნი გორა-1“, წიდის ფრაგმენტის ორ უბანზე გაკეთდა ქიმიური ანალიზი. (წიდა 1 - Si - 12.56-20.34%, Fe - 31.23-32.23%, Ca - 0.75-1.43%, Al - 2.98%, Cu - 1.54%, Zn - 1.43-3.01%, S - 1.76-3.56%, K - 0.43-0.98%), (წიდა 2 - Si - 14.21%, Fe - 32.17%, Ca - 0.51%, Al - 0.73%, Cu - 0.42%, Zn - 1.17%, S - 0.71%, K - 0.48%). ზედაპირი ფოროვანი.

ნიმუში 275-სოფ. ცეცხლური, „აგაროდნი გორა-4“, წიდის 2 ფრაგმენტი (წიდა - Si - 15.54-18.81%, Fe - 30.12-31.07%, Ca - 0.65-1.17%, Al - 0.87-1.01%, Cu - 0.33%, Zn - 2.89-3.89%, S - 0.43-1.17%, K - 0.67%, Na - 1.45%), ვიზუალურად და ქიმიურად მეტ-ნაკლებლად ერთგვაროვანია. მკვრივი, მუქი მოშავომდე. რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამაზე კრისტალურ ფაზალიტ-ფორსტერიტის მყარი ხსნარის ფაზასთან ერთად დაიკვირვება რენტგენამორფული ფაზა.

ნიმუში 276 - სოფ. ცეცხლური, ძეგლი „აგაროდნი გორა-2“, წიდის 2 ფრაგმენტი (წიდა - Si - 9.43%, Fe - 48.5%, Ca - 0.3%, Al - 0.55%, Cu - 0.24%, Zn - 0.54%, S - 0.86%, K - 0.31%).

ნიმუში 277 - სოფ. ცეცხლური, ძეგლი „აგაროდნი გორა-3/3“, 2 ფრაგმენტი (წიდა - Si - 11.23%, Fe - 28.67%, Ca - 0.23%, Al - 1.27%, Cu - 0.42%, Zn - 1.39%, S - 0.45%, K - 0.47%, Ba - 1.27%). წიდის ზედაპირი ფოროვანია, ქაფისმაგვარი, არაერთგვაროვანი.

ნიმუში 278 - სოფ. ცეცხლური, ძეგლი „აგაროდნი გორა-3/3“, წიდის 2 ფრაგმენტი (წიდა - Si - 7.56%, Fe - 47.32%, Ca - 0.17%, Al - 0.56%, Cu - 0.55%, Zn - 0.49%, S - 0.57%, K - 0.39%). წიდა ძლიერ ფოროვანია, ნიმუშში შეიმჩნევა მეტალური რკინის მომრგვალებული გრანულები

აჭარის რეგიონში რკინის წარმოებისთვის გამოყენებული რკინის ჟანგეულების (ჰემატიტი) და ჰიდროჟანგეულების (გოეტიტი, ლიმონიტი) გარდა, როგორც ჩანს, რკინის წარმოებაში გამოყენებულ მადნებში იყო სპილენძისა და თუთიის სულფიდები (სავარაუდოდ, ქალკოპირიტი, სფალერიტი, მითუმეტეს, ისინი დამახასიათებელია ამ რეგიონისთვის), რასაც ადასტურებს წიდეებში Cu - ს, Zn - ს, S - ს ამაღლებული შემცველობა.

გურიის რეგიონიდან წარმოდგენილია 11 უბნის წიდის ნიმუშები.

ნიმუში №290 - გურია 2020, ჩოხატაურის რ-ნი, სოფ. ჯვარცმის ტერიტორიიდან (ინეზა სიხარულიძის კარ-მიდამო) აღებული წიდის 2 ფრაგმენტი. წიდის ზედაპირი ფოროვანია, მასიური, ჟანგისფერი, შედარებით წვრილმარცვლოვანი. ახალ მონატეხზე დაიკვირვება განსხვავებული შეფერილობის უბნები, ზოგან მუქი ლითონისებრი ელვარებით, სადაც ლითონური რკინით გამდიდრებული ფაზებია.

ნიმუში №291- გურია 2020, სოფ. ანასეული (ოზურგეთი) სახელოსნოს (ანასეული II) მასალა, წიდის 2 ფრაგმენტი (წიდა - Si - 18.98%, Fe - 30.67%, Ca - 0.44%, Al - 1.57%, Cu - 0.42%, Zn - 5.39%, S - 2.58%, K - 0.50%, Ba - 1.27%). წიდის ნიმუშებში Cu - ს, Zn - ს, S - ს მაღალი შემცველობა მიუთითებს რკინის წარმოებისთვის რკინის ჟანგულ (ჰემატიტი) და

ჰიდროქსანგეულ (გოეტიტი, ლიმონიტი) მინერალებთან ერთად თუთიისა და სპილენძის სულფიდების არსებობაზე.

ნიმუში №292 - გურია-2020 - ოზურგეთი, სახელოსნო „ასკანა IV“- წიდის 1 ფრაგმენტი (წიდა - Si – 22.34%, Fe – 37.54%, Ca – 1.04%, Al – 3.59%, Cu – 0.60%, Zn – 0.034%, S – 1.65%, K – 1.37%). მასიური, წვრილმარცვლოვანი .

ნიმუში №293 - გურია-2020, მზიანი IV (III), წიდის ზედაპირი ფოროვანია, ქაფის-მაგვარი, არაერთგვაროვანი (წიდა Si – 12.35%, Fe – 29.35%, Ca – 0.41%, Al – 0.72%, Cu – 0.55%, Zn – 1.25%, S – 0.71%, K – 0.51%). ის სოფ. ცეცხლაურის ძეგლის - „აგაროდნი გორა-3/3“-ის წიდის მსგავსია. რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამაზე კრისტალურ ფაზაში ფორსტერიტის მყარი ხსნარის ფაზებთან ერთად დაიკვირვება რენტგენოამორფული ფაზები და კვარცის და მინდვრის შპატის ფაზები კვალის დონეზე.

ნიმუში №294 - გურია-2020 ჩოხატაური სოფ. გორა ბერეჟაული ადგილი „გორა“-ს (სევასტი ჟღერის კარ-მიდამო) წიდის ფრაგმენტი. Si – 11.23%, Fe – 18.67%, Ca – 0.23%, Al – 1.27%, Cu – 0.42%, Zn - 1.39%, S – 0.45%, K – 0.47%, %). წიდის ზედაპირი ფოროვანია, არაერთგვაროვანი.

ნიმუში №295 - გურია-2020. სოფ. მზიანი სახელოსნო „მზიანი-IV“ 1 ფრაგმენტი (სავარაუდოდ, ქურის ძირიდან-აქვს ძირის ფორმა). Si – 12.23%, Fe – 38.67%, Ca – 0.41%, Al – 2.90%, Cu – 0.34%, Zn - 1.03%, S – 0.85%, K – 0.31%. წიდის ზედაპირი ფოროვანია, არაერთგვაროვანი.

ნიმუში №296 - გურია-2020 სოფ. მზიანი სახელოსნო „მზიანი I“ , წიდის 2 ფრაგმენტი რკინით გამდიდრებული უბნებით და ქურის შელესილობა (დაწიდებული) 1 ფრაგმენტი.

ნიმუში №297-გურია-2020 სოფ. მზიანი (ალექსანდრე ნიკოლაიშვილის კარ-მიდამო ნაკვეთი) წიდის 1 ფრაგმენტი, დაწიდებული ქურის შელესილობა.

ნიმუში №298 - გურია 2020, სოფ ასკანა სახელოსნო „ასკანა IV“, წიდის 1 ფრაგმენტი.

ნიმუში N300 - გურია სოფ. მზიანი. სახელოსნო-“მზიანი III” წიდის 2 ფრაგმენტი. Si – 16.23%, Fe – 17.45%, Ca – 2.25%, Al – 5.4%, Cu – 0.32%, Zn - 1.59%, S – 0.45%, K – 0.47%, Ba – 0.3%.

ისევე, როგორც აჭარის რეგიონში რკინის წარმოებისთვის გამოყენებულ რკინის ჟანგეულებისა (ჰემატიტი) და ჰიდროქსანგეულების (გოეტიტი, ლიმონიტი) გარდა, როგორც ჩანს, აქაც რკინის წარმოებაში გამოყენებულ მადნებში იყო სპილენძისა და თუთიის სულფიდები (სავარაუდოდ, ქალკოპირიტი, სფალერიტი, მითუმეტეს, ისინი დამახასიათებელია ამ რეგიონისთვის), რასაც ადასტურებს წიდებში Cu - ს, Zn - ს, S - ს ამაღლებული შემცველობა [ფოფორაძე 2012].

მნიშვნელოვანია ზოგიერთი წიდის ნიმუშში რკინის და სილიციუმის დაბალი შემცველობა, რაც გამოწვეულია, პროცესის მაღალადგენის პირობებით, რის შედეგადაც რკინის უდიდესი ნაწილი გამოიყო მეტალად (ოპტიმალური გამდიდრების მადანი).

სამეგრელოს რეგიონიდან წარმოდგენილია მადნისა და წიდის 9 უბნის ნიმუშები.

ნიმუში 279 - სოფ. ლეწურწუმე-ადგილი „ჯუმითი“ წიდის 2 ფრაგმენტი (წიდა - Si – 21.34%, Fe – 35.04%, Ca – 0.43%, Al – 4.67%, Cu – 0.0%, Zn – 0.027%, S – 0.0%, K – 1.76%).

ნიმუში 280- სოფ. ნაფიჩხოვო - ადგილი-„გუგულის სუკი“, 4 ფრაგმენტი.

ნიმუში 282- სოფ. პირველი მაისი, ადგილი „ყურმილას ჯიხა“ 1 ფრაგმენტი.

ნიმუში 281-ხოზის რაიონი, მიკაჩგალეს ეკლესიასთან - კირქვების კანიონი, კირქვების ლოდებში იყო ჩანართების სახით მადანი გალიმონიტიზებული ჰემატიტის 3 ფრაგმენტი (Si – 1.07%, Fe – 65.11%, Ca – 0.22%, Al – 0.74%, Cu – 0.009%, Zn – 0.007%, S – 0.32%, K – 0.01%).

ნიმუში 283-წიფურიას მთა. ადგილი „ჰემატიტიანი ღელე“ აღმოჩნდა (წყალში) მადნის ფრაგმენტი.

ნიმუში 284-წიფურიას მთიდან. ადგილი კვარციდელეს მიდამოები, მადანი - 2 ფრაგმენტი (ჰემატიტი Si – 0.54%, Fe – 67.79%, Ca – 0.21%, Al – 0.36%, Cu – 0.011%, Zn – 0.007%, S – 0.06%, K – 0.04%). ნიმუშის ქიმიური შედგენილობა ერთგვაროვანი, მკვრივი ფარულკრისტალური (წითელი რკინაქვა), თირკმლისებრი აგრეგატების სახით, მუქი ჟანგისებრი, ხაზის ფერი ალუბლისებრი წითელი.

ნიმუში 285 - წიფურიას მთა. ადგილი „წიფურიას გადასასვლელი“ მადნის 3 ფრაგმენტი - (ჰემატიტი - Si – 0.80%, Fe – 64.79%, Ca – 0.0%, Al – 0.54%, Cu – 0.018%, Zn – 0.007%, S – 0.12%, K – 0.06%). მკვრივი ფარულკრისტალური (წითელი რკინაქვა), თირკმლისებრი აგრეგატების სახით, მუქი ჟანგისებრი, ხაზის ფერი ალუბლისებრი წითელი.

ნიმუში 286 - მარტვილის რაიონი, სოფ. მესამე ბაღდა. ადგილი - ჯუმბერ წულაიას საყანე (ბორცვზე) წიდის 3 ფრაგმენტი, მადნის 2 ფრაგმენტი (ჰემატიტი - Si – 1.53%, Fe – 65.89%, Ca – 0.34%, Al – 0.62%, Cu – 0.012%, Zn – 0.007%, S – 0.08%, K – 0.05%).

ნიმუში 287-სოფ. მუხური. ადგილი „ლეცირდალე“ - ჰემატიტის 2 ფრაგმენტი (ჰემატიტი - Si – 0.72%, Fe – 67.32%, Ca – 0.0%, Al – 0.079%, Cu – 0.029%, Zn – 0.017%, S – 0.035%, K – 0.12%). უმეტესად ბირთვისებრი კონკრეციები, ზოგჯერ თირკმლისებრი აგრეგატები, ხასიათდება განსხვავებული შეფერილობით. რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამაზე, ძირითადად, დაიკვირვება გოეტიტისა და ჰემატიტის ფაზები.

ნიმუში 288-1 წიფურიას მთა, მადნის 1 ფრაგმენტი (ჰემატიტი - Si – 0.69%, Fe – 67.07%, Ca – 0.01%, Al – 0.065%, Cu – 0.022%, Zn – 0.014%, S – 0.032%, K – 0.14%). ჰემატიტი მკვრივი, თირკმლისებრი აგრეგატი. რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამაზე ძირითადად ჰემატიტის და გოეტიტის ფაზები დაიკვირვება.

ნიმუში 288-2 წიფურიას მთა - (ხურების შედეგად მიღებული - ჰემატიტი - Si – 2.76%, Fe – 57.56%, Ca – 0.20%, Al – 0.43%, Cu – 0.03%, Zn – 0.012%, S – 0.054%, K – 0.21%).

ნიმუში 288-3 წიფურიას მთა - (ხურების შედეგად მიღებული ჰემატიტი - ჰემატიტი - Si – 0.89%, Fe – 65.78%, Ca – 0.0%, Al – 0.54%, Cu – 0.061%, Zn – 0.03%, S – 0.19%, K – 0.21%).

ნიმუში 288-5- წიფურიას მთა, წიდის 1 ფრაგმენტი (წიდა - Si – 20.97%, Fe – 35.87%, Ca – 0.22%, Al – 4.34%, Cu – 0.0%, Zn – 0.11%, S – 0.0%, K – 1.32%). მასიური, დაიკვირვება თეთრი, ჟანგისფერი და რკინისფერი სხვადასხვა ზომის მომრგვალებული ჩანართები.

ნიმუში 288-6 - (წიდა- Si – 14.67%, Fe – 37.34%, Ca – 0.46%, Al – 1.98%, Cu – 0.06%, Zn – 0.21%, S – 0.11%, K – 0.42%).

რენტგენოფაზური ანალიზის რენტგენოგრამაზე კრისტალურ ფაიალიტ-ფორსტერიტის მყარი ხსნარის ფაზასთან ერთად დაიკვირვება კვარცისა და მინდვრის შპატის ფაზები კვალის დონეზე და რენტგენოამორფული ფაზა.

აღსანიშნავია, რომ გურიისა და აჭარის შავიზღვისპირა ზოლში არსებული ძეგლების წიდეები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ქიმიური შედგენილობით. ორივე რეგიონში რკინის წარმოებისთვის რკინის ჟანგეულ (ჰემატიტი) და ჰიდროჟანგეულ (გოეტიტი, ლიმონიტი) მინერალებთან ერთად საწყის მადნებში სპილენძისა და თუთიის სულფიდებიც იყო პარაგენეზისში. ხოლო სამეგრელოს რეგიონში რკინის წარმოებისთვის მხოლოდ რკინის ჟანგეულები (ჰემატიტი) და ჰიდროჟანგეულები (გოეტიტი, ლიმონიტი) გამოიყენებოდა.


ამგვარად, ლაბორატორიული კვლევის შედეგების მიხედვით დასტურდება, რომ შესწავლილი რკინის წარმოების ნაშთები კოლხეთიდან განვითარებული კონსტრუქციის ქურებს განეკუთვნება, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იყო რკინის აღდგენის კლასიკური პროცესისთვის და, რომელიც, ზოგიერთი ლოკალური ტექნიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ყველა ძველი მეტალურგიული ობიექტის ანალოგიურია.

კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად აღმოჩენილი რკინის წარმოება შახტური კონსტრუქციის ღუმელებს მიეკუთვნება, რომლებიც მუდმივმოქმედ სტაციონარულ მეტალურგიულ ობიექტს ქმნიდა []. ჩატარებული ანალიტიკური კვლევებით დასტურდება რკინის ლუგვის მიღების მეტალურგიული პროცესის ემპირიული სიზუსტე და აღდგენის ციკლის ოპერაციათა მიზანშეწონილობა. შენადული რკინის და ქურის ფოლადის მასალა განსაზღვრავს მზა პროდუქტის ხარისხს [თავაძე და სხვ. 1961:95-108; თავაძე და სხვ. 1974:389-391; თავაძე და სხვ. 1977:5-61; Иванишвили 2006].

წარმოების წიდეების მეტალოგრაფიულ-პეტროგრაფიული და ქიმიური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, დასავლეთ საქართველოს რეგიონში ფუნქციონირებადი რკინის წარმოების ცენტრები იყენებდნენ გამდიდრებულ მადანს. წიდეები შედგება მინისებრი მასისგან, შეიცავს, ძირითადად, ფაიალიტს, რომელსაც ემატება მადნეულ ელემენტთა ოქსიდები. წიდეების სტრუქტურა უმეტესად შემცველი მინერალების ოპტიმალურ-ტემპერატურული კრისტალიზაციის პირობებშია წარმოქმნილი. წიდაში ჭარბი ფაზა-რკინის ოქსიდი მარცვლების ან დენტრიტების სახითაა გამოყოფილი, მათი ორიენტაცია არათანაბარია და განივკვეთის განუსაზღვრელ ფართობს მოიცავს. შესწავლილი წიდეების დნობის ტემპერატურა $\text{FeO} - \text{SiO}_2$ ოქსიდთა ორკომპონენტური წონასწოვრული სისტემის ევტექტიკური ტემპერატურის შესაბამისია [ინანიშვილი 2004; 2014; ინანიშვილი და სხვ. 2010].

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა რკინის წარმოების წიდეების ანალიზმა გამოამჟღავნა მეტალურგიული პროცესის ის ლოკალური ასპექტი, რომლებიც უშუალოდ მეტალურგიული კერის (ქურის) ფუნქციონირების ტექნოლოგიურ სქემას უკავშირდება. ამდენად, შექმნილი აღმდგენი აირი ღუმელში არსებული წნევით მიემართება ქურის ზედა ნაწილისკენ და კაზმის გავლით აღმდგენ ატმოსფეროს ქმნის [თავაძე და სხვ. 1961:95-108]. რკინის აღდგენის პროცესი ღუმელის ჩატვირთვის სფეროსთან (საკერძესთან)

მიმდინარეობს, სადაც ტემპერატურა 1000°C-ს აღემატება და ცნობილი ქიმიური რეაქციებით რკინის ოქსიდების გარდაქმნა ხდება. თბური ეფექტის ბალანსი დადებითია და CO-ს ნაკადის სწორი და აღმავალი განაწილება კაზმის მიმართ ვერტიკალური შემხვედრი ნაკადით აღდგენითი პროცესის ოპტიმალურ შედეგს განაპირობებს.



ლუმელის წარმადობა პირდაპირპროპორციულია ქურაში მიმდინარე პროცესების რეგულირების მექანიზმისა. რკინის ლუგვის მაქსიმალური გამოსავალი საკაზმე მასალის ხარისხისა და რაოდენობრივი (მოცულობითი) მაჩვენებლების შერჩევით მიიღწევა. როგორც წარმოების წილების ანალიზიდან ირკვევა, მათი დნობის ტემპერატურა განსხვავებულია და, ქიმიური შედგენილობის მიხედვით 1150-1280°C ტემპერატურულ დიაპაზონში იცვლება.

ცივბერვით პროცესში რკინის ოქსიდების ჭარბი რაოდენობით მონაწილეობისას (მათი მაღალი დისლოკაციის სიმკვრივის გამო) თვით რკინის ოქსიდი გამოდის წიდაში შემავალი ელემენტების დამჟანგველის ფუნქციით და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი აღდგება ლითონურ რკინად, რკინის ოქსიდის ერთი ნაწილი უკავშირდება კაჟმიწას და წარმოქმნის რკინით მდიდარ წიდას - ფაიალიტს (2FeOSiO_2), რომელსაც შემდგომ უერთდება ფუჭი ქანის სხვა ოქსიდებიც.

საქშენების ზონაში 1350-1380°C ტემპერატურულ ინტერვალში იქმნება პირობები წიდას თხევად მდგომარეობაში მოცილებისთვის. ამავე დროს, შეცხოვნილი რკინის ხარჯზე, ლითონური, ღრუბლისებრი მასა - რკინის ლუგვი მიიღება [თავაძე და სხვ. 1977:5-61].

რკინის მიღების ერთ-ერთი პრინციპული მომენტი კარგად გამდიდრებული მადნებიდან აწიდვის პროცესის რეგულირება. სილიციუმით მდიდარი წიდა დაბალდნობადია, თხევდენადია და ადვილად სცილდება წარმოების პროდუქტს. მისი გამოყოფა შესაძლებელია საქშენის ახლოს. შესწავლილი წიდეების დნობის ტემპერატურა 1150-1250°C ფარგლებში თავსდება, ამიტომ საქშენების ზონაში არსებულ ტემპერატურაზე (1350-1380°C) წიდა სრულად სცილდება წარმოქმნილ რკინის მასას. ამავე დროს, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წიდას ტემპერატურის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრის ცვალებადობის დინამიკას. 1100-1150°C ტემპერატურულ ზონაში მოქცეული წიდა ნაკლებად თხევად მდგომარეობაში წარიტაცებს დიდი ზომის აღუდგენელ მადნის ნაწილს და წარმოქმნილ რკინის მარცვლებს. 1350-1400°C ტემპერატურის არეალში არსებული ზედმეტად გადახურებული წიდას მასა მადნისა და აღდგენილი რკინის ნაწილს ფარავს. ორივე შემთხვევაში ფერხდება აღდგენის პროცესი, აღუდგენელი მადნის ნაწილი და წარმოქმნილი ლუგვი რკინის მარცვლები წიდაში ხვდება.

რკინის მიღების ცივბერვითი პროცესის მსვლელობის დინამიკა თანამედროვე ექსპერიმენტული მოდელირებით მიღებული შედეგების გათვალისწინებით განიხილება. ძველი პროცესის მოდელირების ფონზე დგინდება ისტორიულ წარსულში შექმნილი ტექნოლოგიური სქემა, იხსნება იმ ტექნიკურ შესაძლებლობათა პარამეტრები, რომლებიც ემპირიული სახით იყო განვითარებული ძველ საწარმოო ციკლში. წარმოების წიდეების, ქურის შელესვათა და ნაშთების ქიმიურ-ტექნოლოგიური და პეტროგრაფიულ-

სტრუქტურული მონაცემები თანამედროვე ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებთან სრულ შესაბამისობაშია.

წინასწარ გამდიდრებული გამომწვარი და ოპტიმალური მარცვლოვნების მქონე ჰემატიტური მადანი, ქურაში შექმნილი სწორი ტემპერატურული ინტერვალის შემთხვევაში, სტაბილური მეტალიზაციის პროცესის პირობებს ქმნის და აღდგენა-მეტალიზაციის კარგი შესაძლებლობა გააჩნია. მრავალჯერადი გამდიდრება-დანაწევრებული მადნის შემთხვევაში, მეტალიზაციის სავარაუდო ოპტიმალური ტემპერატურა 1100- 1150-1200°C ინტერვალში იცვლება. ტემპერატურის შემდგომი მომა-ტება მიზანშეწონილია მხოლოდ აღდგენილი, დანახშირბადიანებული რკინის ლუგვის ნაწილების და წარმოქმნილი წიდის ურთიერთგამყოფი ზედაპირის შექმნისთვის.

კოლხეთის რკინის მეტალურგიული ცენტრის საწარმოო კერებზე აღმოჩენილი ქურა განვითარებული კონსტრუქციის მქონე ლუმელია, ჰაერის ნაკადის ხელოვნური მიწოდებით და ლუგვი რკინისგან თხევადი წიდის მოცილებით. მისი მოქმედების ტექნოლოგიურ სქემაზეა დამოკიდებული სახელოსნოს განვითარებისა და საწარმოო მასშტაბის შესაძლო ზრდის პერსპექტივა. წარმოების პირობებიდან გამომდინარე, მეტალურგიული დანადგარი განიცდის კონსტრუქციულ ცვლილებებს. ქურის მოქმედების რაოდენობრივი მახასიათებლები განისაზღვრა წარმოების ნარჩენების კომპლექსური ანალიზით (მადანი, ქურის შელესილობა, წიდა), მათში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით (კონსტრუქციული მონაცემები, თხევადი წიდის გამოყოფის რეჟიმი, რკინის აღდგენის ტემპერატურული სქემა, მეტალურგიული კაზმის სახე და სხვ.

ამგვარად, კოლხეთის რკინის კულტურის გავრცელება-განვითარების პროცესის დინამიკა ტექნიკური აზრის სრულყოფის აღმავალ პრინციპს ექვემდებარება, განიცდის თვისებრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს და წარმოების იმპულსური ძვრებით შავი მეტალურგიისა და ლითონდამუშავების მიღწევებს განაპირობებს.

რკინის კულტურის შეფასების კრიტერიუმთა გათვალისწინებით, კოლხეთში მოქმედი წარმოების კერები ფუნქციონირების მასშტაბით და პროდუქციის ხარისხით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ევრაზიის უძველეს შავი მეტალურგიის გაერთიანებათა სისტემასთან.

თავაძე ფ., საყვარელიძე თ., აბესაძე ც., დვალი თ. / Tavadze F., Sakvarelidze T., Abesadze Ts., Dvali T.

1961. რკინის მიღების ცივბერვითი პროცესი ძველ საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის შრომები (სმამიშ.), II თბილისი, 95-108

თავაძე ფ., ინანიშვილი გ., საყვარელიძე თ., ხეროდინაშვილი ზ., ხარატი რ. / Tavadze F., Inanishvili G., Sakvarelidze T., Kherodinashvili Z.

1974. არქეოლოგიური რკინის კვლევა მიკროზონდზე, სმამ, 74, №2, 389-391.

თავაძე ფ., საყვარელიძე თ., აბესაძე ც., დვალი თ. / Tavadze F., Sakvarelidze T., Abesadze Ts., Dvali T.

1977. რკინის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში, სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია (სრკტ.), კრებული, II თბილისი, 5-61.

ინანიშვილი გ. / Inanishvili G.

2004. რკინის წარმოება საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. XII-I საუკუნეებში, ძიებანი, XII, თბილისი.

ინანიშვილი გ. / Inanishvili G.

2007. ლითონდამუშავება ანტიკური ხანის საქართველოში, იბერია-კოლხეთი, N 3, თბილისი, 50-56.

ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. / Inanishvili G., Maisuradze B., Gobejishvili G.

2010. საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III – I ათასწლეულები), თბილისი.

ინანიშვილი გ. / Inanishvili G.

2014. ქართული მეტალურგიის სათავეებთან (ძვ.წ. IV-I ათასწლეულები), თბილისი.

ფოფორაძე ნ. / Foforadze N.

2012. საქართველოს მინერალები და ქანები, თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. / Khakhutaishvili D.

1964. კოლხეთის რკინის მეტალურგიის სათავეებთან, კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 45-58.

ხახუტაიშვილი დ. / Khakhutaishvili D.

1976. რკინის მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების პირველადი ცენტრების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი-

საიუბილეო კრებული, თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. / Khakhutaishvili D.

1978. ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის (ოჩხამურის ხეობა). კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VII, 17-34.

ხახუტაიშვილი დ. / Khakhutaishvili D.

1980. მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურისათვის ჩრდილო კოლხეთში (1972 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბილისი, 3-38.

ხახუტაიშვილი დ. / Khakhutaishvili D.

1981. რკინის წარმოების ძველკოლხური კერა სუფსა-გუბაზეულის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, X, 3-36.

ხახუტაიშვილი ნ., თავამაიშვილი გ. / Khakhutaisvili D., Tavamaishvili G.

2002. უძველესი რკინის მეტალურგიის ახალი კერა ჩაქვისწყლის ხეობაში, ძიებანი, № 9, თბილისი, 34-40.

ხახუტაიშვილი დ., ხახუტაიშვილი ნ. / Khakhutaishvili D., Khakhutaishvili N.

2007. შავი მეტალურგიის უძველესი კერა აჭარის ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, ბათუმი, 198-203.

ხახუტაიშვილი ნ. / Khakhutaishvili N

2009. ჭოროხის აუზის რკინის საწარმოო კერის კიდევ ერთი სახელოსნო უბანი, კრ. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.

Erb-Satullo N., Gilmour B., Khakhutaishvili N. / ერბ-სატულლო ნ., გილმოური ბ., ხახუტაიშვილი ნ.

2014. Late Bronze and Early Iron Age copper smelting technologies in the South Caucasus: The view from ancient Colchis c. 1500-600 BC, *Journal of Archaeological Science*, 49, 147-159.

Erb-Satullo N., Gilmour B., Khakhutaishvili N. / ერბ-სატულლო ნ., გილმოური ბ., ხახუტაიშვილი ნ.

2015. Crucible technologies in the Late Bronze-Early Iron Age South Caucasus: Copper processing, tin bronze production, and the possibility of local tin ores, *Journal of Archaeological Science*, 61, 260-276.

Erb-Satullo N., Gilmour B., Khakhutaishvili N. / ერბ-სატულლო ნ., გილმოური ბ., ხახუტაიშვილი ნ.

2020. The metal behind the myths: Iron smelting in the southeastern Black Sea region, *Antiquity*, 94, 401-419.

Khakhutaishvili N. / ხახუტაიშვილი ნ.

2005. Development of iron metallurgy in West Transcaucasia (Historical Kolkheti), "METALLA", № 12, Deutsche Bergbau-Museum, Bochum, Deutsche Bergbau-Museum, Bochum, 80–87.

Khakhutaishvili N. / ხახუტაიშვილი ნ.

2006. Ancient iron production related to the recent findings on Gonio Castle surroundings (2001–2003), *Eirene. Studia Graeca et Latina* XLII, 222–234.

Khakhutaishvili N. / ხახუტაიშვილი ნ.

2008. Chorokhi workshop of the ancient Colchian centre of iron metallurgy (Excavations in 2001), in A. Sagona, M. Abramishvili (eds), *Archaeology in Southern Caucasus: Perspectives from Georgia*, Ancient Near Eastern Studies Supplement 19, Leuven, 397–405.

Khakhutaishvili D. A. / ხახუტაიშვილი დ.ა.

2009 [1987], *The Manufacture of Iron in Ancient Colchis*, BAR International Series 1905, Archaeopress, Oxford.

Инанিশвили Г. В. / Inanishvili G.V.

2006. Железо на Южном Кавказе, Археология Кавказа (АК.), 1. Тбилиси.

Хакхутаишвили Д.А. / Khakhutaishvili D.A.

1979. Сырьевая база и техника производства железа в древней Колхиде. Сб. „История горной науки и техники“, Тбилиси.

Хакхутаишвили Д. / Khakhutaishvili D.

1987. Производство железа в древней Колхиды, Мецниереба, Тбилиси.

ანალიზის ნიმუშები:



ა



ბ



გ



დ



ე

სურ. 1. სოფ. ცეცხლაური. ა) ნიმუში №271- ძეგლი „აგაროდნი გორა“ 3/1, ბ) ნიმუში №272 ძეგლი „ცეცხლაური-2“, გ) ნიმუში №274 ძეგლი „აგაროდნი გორა“ 1, დ) ნიმუში №277 ძეგლი „აგაროდნი გორა“ 4, ე) ნიმუში №278 ძეგლი „აგაროდნი გორა-3/3“, წილის ფრაგმენტები.




ა




ბ

სურ. 2. სოფ. ცეცხლაური. ა) ნიმუში 273 - ძეგლი „აგაროდნი გორა-3/2“, ბ) ნიმუში 275 - ძეგლი „აგაროდნი გორა-4“. წიდის ფრაგმენტები.



სურ. 3. რენტგენოფაზური ანალიზის (ნიმუში 275) რენტგენოგრამა. ფაიალიტ-ფორსტერიტი, რენტგენამორფული ფაზები.



სურ. 4. რენტგენოფაზური ანალიზის (ნიმუში 293) რენტგენოგრამა. ფაიალიტ-ფორსტერიტი, რენტგენამორფული ფაზები, კვარცი და მინდვრის შპატის ფაზები კვალის დონეზე.



ა



ბ

სურ. 5. ა) ნიმუში 290 . ჩოხატაური, სოფ.ჯვარცმა, ბ) ნიმუში 294 - სოფ. „გორა“, წიდის ფრაგმენტები.



ა



ბ




გ



დ


სურ. 6. ოზურგეთი: ა) ნიმუში 291 - სოფ ანასეული, ბ) ნიმუში 292 - სახელოსნო „ასკანა IV“, გ) ნიმუში 293 - მზიანი III, დ) ნიმუში 295 - გურია „მზიანი-IV“, წიდეები




სურ. 7. ა) ნიმუში 296 - „მზიანი I“, ბ) ნიმუში 297 - სოფ. მზიანი წიდეები, გ) ნიმუში 298 - გურია „ასკანა IV“, დ) ნიმუში 300 - გურია „მზიანი III“



სურ. 8. ა) ნიმუში 279 - სოფ. ლეწურწუმე. ადგილი “ჯუმითი”; ბ) ნიმუში 280, სოფ ნაფიხხოვო, „გუგულის სუკი“; გ) ნიმუში 282-სოფ. პირველი მაისი, ადგილი „ყურმილიას ჯიხა“, დ) ნიმუში 288-4, წიდეები



სურ. 9. რენტგენოფაზური ანალიზის (ნიმუში 286) რენტგენოგრამა. გოეთიტისა და ჰემატიტის ფაზები.



სურ. 10. რენტგენოფაზური ანალიზის (ნიმუში 288-1) რენტგენოგრამა. ჰემატიტის, გოეთიტის ფაზები, კვარცი და მინდვრის შპატი კვალის დონეზე.



ა



ბ




გ



დ

სურ. 11. ა) ნიმუში 281, გალიმონიტიზებული ჰემატიტები, ბ) ნიმუში 283-წიფურიას მთა. ადგილი „ჰემატიტის ღელე“, გ) ნიმუში 284-წიფურიას მთა, დ) ნიმუში 285-წიფურიას მთა, ადგილი „წიფურიას გადასასვლელი“ მადნის ნიმუშები.



სურ. 12. რენტგენოფაზური ანალიზის (ნიმუში 288-6) რენტგენოგრამა. ფაიალიტ-ფორსტერიტი, რენტგენომორფული ფაზები, ხოლო კვარცი და მიხდვრის შპატის ფაზები კვალის დონეზე.



ა



ბ



გ



დ



ე

სურ. 13. ა) ნიმუში 286 - მარტვილის რაიონი, სოფ. მესამე ზალდა; ბ) ნიმუში 288-1 წიფურიას მთა, ჰემატიტი; გ) ნიმუში 287 - სოფ. მუხური. ადგილი „ლეცირდალე“; დ) ნიმუში 288-2 წიფურიას მთა; ე) ნიმუში 288-3 წიფურიას მთა, ჰემატიტი.

ნანა ხახუტაიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

Nana Khakhutaishvili

Batumi Shota Rustaveli State University,

PhD in history, professor

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.013>

**მეტალურგიული წიდა და მისი მნიშვნელობა ლითონწარმოების ტექნოლოგიების
რეკონსტრუქციის პროცესში**

**Metallurgical Slag and its Importance in the Reconstruction Process
of Metallurgical Technologies**

აბსტრაქტი - უძველესი რკინის მეტალურგიის საკითხების შესწავლისას მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ის მატერიალური მტკიცებულებები, რომლებიც რკინის საწარმოო სახელოსნოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა წარმოდგენილი: გამოსადნობი ქურა, მადნეული, წიდა, რკინის ლუგვი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ცივი ბერვის ქურებში რკინის მიღების პროცესზე გავლენას ახდენდა მრავალი ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, მადნის ტიპი, საწვავის ხარისხი, თიხის მახასიათებლები, ღუმელის დიზაინი, ჰაერის მიწოდების მეთოდი, ტემპერატურა, წიდის და ლუგვის ქურიდან ამოღების მეთოდი. ვინაიდან ამ ფაქტორების შესაძლო კომბინაციები საკმაოდ დიდია, შესაბამისად, წიდეები და უძველესი მეტალურგიული წარმოების სხვა ნაშთები ხასიათდება ძალიან დიდი მრავალფეროვნებით. ამიტომ, ოპტიმალური მიდგომა, რომელიც შეიძლება რეკომენდებული იყოს უძველესი მეტალურგიური ძეგლების შესწავლისას, არის მასალების ზუსტი აღწერა, ანალიზი და შეძლებისდაგვარად, მათი კორელაცია (ურთიერთკავშირი /თანაფარდობა) რკინის წარმოების სხვადასხვა ეტაპთან.

უძველესი ლითონწარმოების ტექნოლოგიის რეკონსტრუქციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ზოგჯერ ერთადერთ წყაროდ განიხილება მეტალურგიული წიდა, რომლის სამეცნიერო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. უცხოურ სამეცნიერო სივრცეში ჩამოყალიბებულია წიდების ყოვლისმომცველი კვლევის პროგრამები, გამოქვეყნებულია ამ მიმართულებით არაერთი სპეციალური ნაშრომი თუ სტატია, სადაც წარმოდგენილია წიდის ტიპები, რომელთა თითოეული სახეობა დაკავშირებულია წარმოების კონკრეტულ ციკლთან (ლითონწარმოებასთან ან მჭედლობასთან), ნაჩვენებია წიდების ინდივიდუალური ფიქსაციისა და გეოსტატისტიკური ანალიზის, ასევე, გეოქიმიური ანალიზის მნიშვნელობა, რაც შესაძლებელს ხდის, შეფასდეს მიღებული რკინის ხარისხი, მოხდეს უძველესი მეტალურგიის საბადოების იდენტიფიცირება და სხვ. სამწუხაროდ, ქართულ სამეცნიერო

ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით არ გვაქვს წარმოდგენილი წიდეების კვლევასთან დაკავშირებული სპეციალური მონოგრაფია ან სტატია, თუმცა ქართული მეტალურგიის შესწავლისადმი მიძღვნილ ზოგიერთ ნაშრომში არის საუბარი წიდეების კვლევაზე. ამდენად, აღნიშნულ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა წიდეების კვლევის მნიშვნელობა რკინის მეტალურგიული წარმოების რეკონსტრუქციის პროცესში. უცხოელი მეცნიერების გამოცდილებისა და ჩვენი ზოგიერთი დაკვირვების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ არქეოლოგიურ წიდაში „დაშიფრული“ ძირითადი სამეცნიერო ცოდნა და ამ საწარმოო ნარჩენის ინფორმაციულობის შესაძლებლობა და მნიშვნელობა

საკვანძო სიტყვები - კოლხეთი, უძველესი რკინის მეტალურგია; არქეოლოგიური წიდა.

Abstract - When studying the issues of ancient iron metallurgy, real evidence presented on the monument and its surroundings is of great interest: smelting furnaces, ores, slag, bloom and etc. It is worth noting that the process of iron production in cold blast furnaces was influenced by many factors, first of all, the type of ore, the quality of fuel, the characteristics of clay, the design of the furnace, the method of supplying air, the temperature and the method of removing slag and bloom from the furnace. Because the possible combinations of these factors are very large, slags and other remnants of ancient metallurgical production are characterized by a very large variety. Therefore, the optimal approach that can be recommended when studying monuments of ancient metallurgy is accurate description, analysis of materials and, if possible, their relationship/correlation with various stages of iron production.

Metallurgical slags, whose scientific potential is very high, are considered one of the most valuable and sometimes the only source for the reconstruction of ancient metalworking technologies. In the foreign scientific environment, complex programs of slag research have been developed, a number of special works and articles in this direction have been published, in which types of slag are presented, each of which is connected with a certain production cycle (metallurgical or blacksmithing), the general importance of individual fixation and geostatistical analysis of slag, as well as geochemical analysis, which allows to estimate the quality of the iron obtained, to identify ancient metallurgical deposits, etc. d. Unfortunately, in Georgian scientific literature there is no special monograph or article devoted to the study of slags, although in some works devoted to the study of Georgian metallurgy, the questions of studying slags are considered. Thus, in this article, we tried to demonstrate the importance of slag research in the process of reconstruction of metallurgical production of iron. Based on the experience of foreign scientists and some of our own observations, we consider it appropriate to present the basic scientific knowledge “encrypted” in archaeological slags and the informative potential and importance of this industrial waste.

Keywords: Colchis, Ancient Iron Metallurgy; Archaeological slag.

უძველესი რკინის მეტალურგიის საკითხების შესწავლისას მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ის მატერიალური მტკიცებულებები, რომლებიც ძეგლსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა წარმოდგენილი: გამოსადნობი ქურა, მადნეული, წიდა, რკინის ლუგვი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ცივი ბერვის ქურებში რკინის მიღების პროცესზე გავლენას ახდენდა მრავალი ფაქტორი, უპირველეს ყოვლისა, მადნის ტიპი, საწვავის ხარისხი, თიხის მახასიათებლები, ღუმელის დიზაინი, ჰაერის მიწოდების მეთოდი, ტემპერატურა, წიდის და ლუგვის ქურიდან ამოღების მეთოდი [Tylecote 1976; 1987]. ვინაიდან ამ ფაქტორების შესაძლო კომბინაციები საკმაოდ დიდია, შესაბამისად, წიდეები და უძველესი მეტალურგიული წარმოების სხვა ნაშთები ხასიათდება ძალიან დიდი მრავალფეროვნებით. ამიტომ, ოპტიმალური მიდგომა, რომელიც შეიძლება რეკომენდებული იყოს უძველესი მეტალურგიული ძეგლების შესწავლისას, არის მასალების ზუსტი აღწერა, ანალიზი და შეძლებისდაგვარად, მათი კორელაცია (ურთიერთკავშირი/თანაფარდობა) რკინის წარმოების სხვადასხვა ეტაპთან.

უძველესი ლითონწარმოების ტექნოლოგიის რეკონსტრუქციის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ და ზოგჯერ ერთადერთ წყაროდ განიხილება მეტალურგიული წიდა, რომლის სამეცნიერო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. უცხოურ სამეცნიერო სივრცეში ჩამოყალიბებულია წიდეების ყოვლისმომცველი კვლევის პროგრამები, გამოქვეყნებულია ამ მიმართულებით არაერთი სპეციალური ნაშრომი თუ სტატია [Bachmann 1982; Tholander, Blomgren 1985; Crew 2007, 2013; Mcdonnell 1982;1983; 1991; Piaskowski 1965, 1976; Sperl 1979; 1982; Serneels, Crew 1997], სადაც წარმოდგენილია წიდის ტიპები, რომელთა თითოეული სახეობა დაკავშირებულია წარმოების კონკრეტულ ციკლთან (ლითონწარმოებასთან ან მჭედლობასთან), ნაჩვენებია წიდეების ინდივიდუალური ფიქსაციისა და გეოსტატისტიკური ანალიზის, ასევე, გეოქიმიური ანალიზის მნიშვნელობა, რაც შესაძლებელს ხდის, შეფასდეს მიღებული რკინის ხარისხი და მოხდეს უძველესი მეტალურგიის საბადოების იდენტიფიცირება და სხვ. სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით არ გვაქვს წარმოდგენილი წიდეების კვლევასთან დაკავშირებული სპეციალური მონოგრაფია ან სტატია, თუმცა ქართული მეტალურგიის შესწავლისადმი მიძღვნილ ზოგიერთ ნაშრომში არის საუბარი წიდეების კვლევაზე [Хухутаишвили 1973; 1977; 1979; 1987; ინანიშვილი და სხვ. 2010:134-150; ინანიშვილი 2014:90-102; Erb-Satullo et al., 2014; 2017; 2019; 2020; და სხვ.], მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

სავარაუდოდ, წიდის ფართო იგნორირება დიდხანს გამოწვეული იყო ამ უნიკალურ წყაროში დამალული სამეცნიერო პოტენციალის მნიშვნელობის ნაწილობრივ უგულვებელყოფით ან გარკვეულწილად არცოდნით. უცხოელი მეცნიერების გამოცდილებისა და ჩვენი ზოგიერთი დაკვირვების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ არქეოლოგიურ წიდაში „დაშიფრული“ ძირითადი სამეცნიერო ცოდნა და ამ საწარმოო ნარჩენის ინფორმაციულობის შესაძლებლობა და მნიშვნელობა [Водясов, Зайцева 2010:400-403; 2017].

მეტალურგიული ძეგლების აღწერისას ხშირად არ ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება, როგორიცაა: წიდის აღმოჩენის კონტექსტი, წიდის მთლიანი წონა

და რაოდენობა, წიდის მორფოლოგია და ტიპოლოგია, ნიმუშების ფოტოფიქსაცია, ლაბორატორიული ანალიზების მონაცემები ინტერპრეტაციით და მრავალი სხვა. მოკლედ განვიხილავთ რკინის წიდის კვლევის თითოეულ ეტაპს და მის მნიშვნელობას.

პირველ რიგში, წიდა, როგორც მეტალურგიული საქმიანობის მთავარი ნარჩენი, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აქ არსებობდა რკინის გამოსადნობი ან დამამუშავებელი წარმოება [Pleiner 2000:251]. ამავდროულად, წიდის, როგორც ადგილობრივი მეტალურგიის ინდიკატორის როლი ბევრად აღემატება რკინის ლუგვის და რკინის ნივთების აღმოჩენას, რადგან ეს უკანასკნელნი შესაძლებელია, გაცვლის ან შეძენის შედეგად აღმოჩენილიყო ძეგლზე, ხოლო წიდის შემოტანა უზრალოდ აზრს მოკლებულია.

უაღრესად მნიშვნელოვანია წიდების აღმოჩენის კონტექსტის დადგენა, რადგან ეს საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ უძველესი წარმოების კონცენტრაცია. ამდენად, წიდების გარკვეულ ტერიტორიაზე თავმოყრა საშუალებას გვაძლევს დაახლოებითი სიზუსტით გავთვალთ უშუალოდ სახელოსნოს ადგილმდებარეობა. წიდები, როგორც წესი, ძირითადად, განლაგებულია მეტალურგიული სახელოსნოს, ქურის მახლობლად, თუმცა შეიძლება უფრო ფართოდ იყოს განფენილი. მაგ. ჭოროხის ხეობაში შესწავლილი სახელოსნოს (რომელიც გონიოს ციხესთან მდებარე ბორცვის თავზე იყო დადასტურებული), „ხოფო I“-ის წიდები ფართოდ იყო წარმოდგენილი როგორც ბორცვის ფერდობებზე, ასევე, ბორცვის ძირში არსებულ უსახელო ღელეში. ეს განსაკუთრებით ეხება მცირე ზომის წიდებს, რომელთა ჩარეცხვა, სავარაუდოდ, ადვილად ხდებოდა დიდი წვიმების ან სხვა პროცესების დროს [ხახუტაიშვილი ნ. 2009]. როგორც ჩანს, ჩვენი გონიერი და პრაქტიკული წინაპრები საგანგებოდ არჩევდნენ სახელოსნოს მოსაწყობად ისეთ ადგილს, რომ ადვილად შეძლებოდათ განთავისუფლებულიყვნენ წარმოების ნარჩენებისაგან.

მნიშვნელოვანია წიდის გეოსტატისტიკური ანალიზი. სასურველია, რომ აღმოჩენილი წიდები არ გადაიყაროს, როგორც ეს ხშირად ხდება, არამედ აიწონოს და გატარდეს საველე დავთარში. თუ არქეოლოგები გადაყრიან წიდის ფრაქციებს, რომლებიც, მათი ვარაუდით, საინტერესო არ არის, ბუნებრივია, ვეღარ შეძლებენ შეაფასონ წარმოების მასშტაბები, აღადგინონ გამოყენებული ცივი ბერვის ქურების მუშაობის რეჟიმი, გამოთვალონ გადამამუშავებული მადნის რაოდენობა და განსაზღვრონ მადნის ნედლეულის ხარისხი (ნარჩენების გადაყრისას, ხშირად წიდასთან ერთად იყრება მადნის ფრაგმენტები, რკინის ლუგვის და ქურის შელესილობის ფრაგმენტები). ბუნებრივია, საუკეთესოა თითოეული წიდის ფრაქციის ინდივიდუალური ფიქსაცია, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით, თუ ნარჩენების რაოდენობა ასობით კილოგრამს შეადგენს. ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდი, რომელიც პროფ. დავით ხახუტაიშვილის ძეგლზე მუშაობის დიდ გამოცდილებას ეყრდნობა, შემდეგია: ცალ-ცალკე ხდება გადარჩევა წიდებისა და ქურის შელესილობის ფრაგმენტების და ისინი დამოუკიდებელ ბლოკებად ლაგდება, შემდეგ ხდება ამ ბლოკების მოცულობის დადგენა. არც ერთი აღმოჩენილი ფრაგმენტი არ იყრება. ეს საშუალებას იძლევა განისაზღვროს სახელოსნოს წარმადობა (სურ. 2-3). ამ მეთოდის გამოყენებით, პროფ. დ. ხახუტაიშვილმა, ასევე, დაადგინა, რომ ყოველი ახალი ჩატვირთვის წინ ხდებოდა ქურის შიდა სივრცის თავიდან შელესვა ცეცხლგამძლე თიხით. განსაკუთრებით საინტერესო ფრაგმენტები იგზავნება ლაბორატორიაში ასაწონად და საანალიზოდ.

არქეოლოგიური წიდის წონა შეიძლება მერყეობდეს რამდენიმე გრამიდან რამოდენიმე კილოგრამამდე. ამრიგად, სივრცითი განაწილების ობიექტური სურათის მისაღებად, ინდივიდუალური ფიქსაციის გარდა, უნდა შევიყვანოთ კიდევ ერთი პარამეტრი - თითოეული ნიმუშის წონა. ეს, როგორც აღვნიშნეთ, წარმოების მასშტაბის განსაზღვრის მშვენიერ საშუალებას იძლევა. სპეციალური პროგრამების დახმარებით, შესაძლებელია წიდის კონცენტრაციისა და განფენილობის ზუსტი რუკების შექმნა (სურ. 1).

აღმოჩენილი წიდების წონის მიხედვით შეიძლება გამოვთვალოთ უძველესი წარმოების სავარაუდო ინტენსივობა. მრავალი არქეოლოგიური ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ ცივი ბერვის ქურაში მიღებული რკინის ლუგვი საშუალოდ ჩატვირთული მადნის წონის დაახლოებით 20-25%-ს შეადგენს. მიღებული ლუგვი რკინა, ასევე, შეიცავს დიდი რაოდენობით წიდას, რომლისგანაც ის უნდა განთავისუფლდეს. წიდის გამოსავლიანობა ლუგვი რკინის წონის დაახლოებით 30-35%-ს შეადგენს. ამდენად, ქურაში ჩატვირთული მადნის მთლიანი მასიდან რკინის გამოსავლიანობა საშუალოდ მხოლოდ 6-10%-ია [Wang, Crew 2013:393-401]. წიდის გამოსავლიანობამ ზოგჯერ შეიძლება მიაღწიოს მადნის წონის 50-75%-ს. ექსპერიმენტულმა გამოდნობამ დაადასტურა, რომ 0,5 კგ. რკინის ზოდის მისაღებად უნდა მოხდეს დაახლოებით 8 კგ. მადნის გამოდნობა, რომელშიც წიდის შემადგენლობა 6 კგ-ს აღწევს [Crew 2013:27-54].

მნიშვნელოვანი საკითხია წიდის მორფოლოგიისა და ტიპოლოგიის განსაზღვრა. ცნობილია, რომ არსებობს წიდის ვიზუალური დაყოფა სხვადასხვა ტიპად, რომელთაგან თითოეული ასახავს რკინის წარმოების ან გადამუშავების სპეციფიკურ ციკლს [McDonnell 1982:6-17; 1983:81-83; 1991:23-28; Erb-Satullo et al., 2014, 2017, 2020].

სამწუხაროდ, წიდების აღსაწერად გამოყენებული ქართული ტერმინოლოგია ჯერჯერობით კიდევ დებატების საგანია და ზოგადად მიღებული შეთანხმება ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ შემუშავებული. ამდენად, აღწერისას მივუთითებთ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ტერმინებსაც. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილია რკინის „დაწურვის“ და „სამჭედლო რკინის“ მიღების პროცესთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო ტერმინი [რეხვიაშვილი 1953; რეხვიაშვილი 1964].

არქეოლოგიური წიდა, ძირითადად, ორი ტიპისაა: მადნის გამოდნობის შედეგად მიღებული წიდა და სამჭედლო წიდა [Rodney, Clough 1986:303; McDonnell 1983:81-83; Pleiner 2000:251-266]. პირველი ტიპის წიდები წარმოიქმნება მადნის დნობის პროცესში და წარმოადგენს რკინის წარმოების უშუალო ინდიკატორს. ეს წიდები თავის მხრივ იყოფა: 1. გამოსაშვების არმქონე ქურის შიდა სივრცეში წარმოქმნილ წიდებად, რომლებიც ხშირად წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი ქვეტიპით: წიდის ბლოკით (მკვრივი წიდა), ქურის ძირის ფორმის წიდის "კვერებით", ამორფული წიდებით, მინისებური წიდები (glassy slags) და 2. გამოსაშვების მქონე ქურის წიდებად, რომლებიც ხასიათდება „ონკანის დენადობის“ ფორმით.

წიდის ბლოკები (slag blocks) წარმოიქმნება ქურის ფსკერზე, ნახშირის ფენაზე და მიუთითებს იმაზე, რომ ღუმელს არ ჰქონდა თხევადი წიდის გამოსაშვები არხი (სურ. 4). ამ

ტიპის წიდეები შეიძლება იწონიდეს რამდენიმე ასეული გრამიდან ათეულ კილოგრამამდე ან მეტს (Pleiner 2000:259). ასეთი წიდეები მნიშვნელოვანი წყაროა ქურის ფსკერის ფორმისა და ზომების აღდგენისთვის, ასევე, სავარაუდო - სახელოსნოს წარმადობის გამოსათვლელად [Pleiner 2000:259-260].

წიდის კიდევ ერთი გავრცელებული ტიპია ქურის ძირის ფორმის "კვერები" (furnace bottoms) [McDonnell 1982:10; McDonnell 1983; Pleiner] „ბრტყელ-ამოზნექილი" ფორმით, ისინი წააგავს "ნამცხვრებს", მაგრამ ბევრად უფრო მასიური და დიდი (სურ. 7).

დნობის პროცესში ქურაში, ასევე, წარმოიქმნება სხვადასხვა ფორმის ამორფული წიდა, რომელიც ხასიათდება დიდი რაოდენობით სიცარიელით (სურ. 5-6). ასეთ წიდაში ხშირად ჩანს ნახშირისა და ქანგის კვალი [Paynter et al., 2012. ნახ. 6].

მოგვიანებით, უფრო განვითარებულ ეტაპზე, დნობის პროცესში ხელოსნები იყენებდნენ ღუმელიდან თხევადი წიდის გამოშვების ტექნოლოგიას. ამ შემთხვევაში, წიდა ჩაედინებოდა სპეციალურ ორმოში, რის გამოც ჰქონდა დენადობის დამახასიათებელი, ტალღოვანი ზედაპირი (Tap slag) (სურ. 8). ზოგჯერ, გაცივების შემდეგ, წიდეები ღებულობდნენ გამოსავალი არხის წაგრძელებულ ფორმას [Haymon 2008:102]. ასეთი წიდეების წარმოქმნა ხდებოდა მაღალტემპერატურულ ზონაში და მიუთითებს იმაზე, რომ ღუმელში ტემპერატურა აღემატებოდა 1100 °C-ს [McDonnell 1982:6-17]. ძეგლებზე დასტურდება, ასევე, მინისებური წიდეების არსებობა (სურ. 9).

დამოუკიდებელ ტიპს წარმოადგენს სამჭედლო წიდეები (smithing slag), რომლებიც დაკავშირებულია არა რკინის გამოდნობის ციკლთან, არამედ მიღებული რკინის ლუგვიდან სხვადასხვა ნივთის გამოჭედვის ციკლთან [McDonnell 1991:23-28]. ცნობილი მეცნიერის - რადომირ პლეინერის გადმოცემით, არქეოლოგები ზოგჯერ ურევენ ერთმანეთში რკინის წარმოებისა და რკინის დამუშავების წიდეებს, რადგან მათი გამოიწვევა ზოგჯერ საკმაოდ რთულია [Pleiner 2000:266]. ამდენად, წიდის სახეობების განსაზღვრის გარეშე გაუგებარია, რა არის არქეომეტალურგიული ობიექტის რეალური დანიშნულება. სამჭედლო წიდა გარეგნულად და ზომით მნიშვნელოვნად განსხვავდება და ასახავს სამჭედლო საქმიანობის კონკრეტულ ეტაპს - დაწყებული ლუგვი რკინის დამუშავებიდან მზა პროდუქციის მიღებამდე. როგორც ცნობილია, ლუგვი რკინიდან პირდაპირ ნივთის მიღება შეუძლებელია, რადგან ის შეიცავს დიდი რაოდენობით წიდის ჩანართებს, რომლებიც უნდა გამოიდევნოს სამჭედლო ქურაში ლუგვის მრავალჯერადი გახურების შედეგად [Pleiner 2000:215]. ამ დროს წიდა ჩაედინება ღუმელის ფსკერზე და იღებს ქურის ძირის ფორმას [Pleiner 2000:256]. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ასეთ წიდეებს უწოდებენ plano-convex bottoms ან smithing hearth bottoms [McDonnell 1982:15; Pleiner 2000:255]. სამჭედლო წიდის ერთ-ერთი განმასხვავებელი თვისებაა, რომ ის უფრო მსუბუქია და იწონის საშუალოდ 300-400 გრამს, ზომითაც შედარებით პატარაა და მისი დიამეტრი არ აღემატება 10-15 სმ-ს, ხოლო სისქე - 5 სმ-ს [McDonnell 1982:15; Pleiner 2000:216-217], თუმცა გვხვდება უფრო მცირე - 1-3 სმ ზომის ფრაქციებიც. ასევე, განსხვავდება მისი ქიმიური შემადგენლობა - რკინისა და სილიციუმის თანაფარდობა სამჭედლო წიდაში უფრო მაღალია, ვიდრე რკინის გამოსად-

ნობ წიდაში, ხოლო რკინა ხშირად წარმოდგენილია მაგნეტიტის სახით [Rodney, Clough 1986:88]. ასევე, სამჭედლო წიდეები შეიცავს მეტ დარიშხანს, ნიკელს და კობალტს [Serneels, Crew 1997:78-82]. მიუხედავად ამისა, მხოლოდ გეოქიმიური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შესაძლებელი იყოს წიდის ტიპის ცალსახად დადგენა.

ყურადღება უნდა მიექცეს, ასევე, სამჭედლო მიკროწიდეებს (hammerscale), რომელთაც ხშირად საერთოდ ვერ ამჩნევენ გათხრებისას და უგულვებელყოფენ კვლევისას [McDonnell 1982:5-6]. ისინი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

1. „ფანტელებით“, რომლებიც მოგვაგონებენ თევზის ქერცლს, ზომით - 1-3 მმ [Dungworth, Wilkes 2007; McDonnell 1991:23-28]; ასეთი წიდეები წარმოიქმნება ლუგვის ჭედვის და რკინის ნივთების დამზადებისას და მიგვანიშნებს სამჭედლოს რამდენიმე მეტრის რადიუსში არსებობას. ასეთი წიდეები ძალიან მაგნიტურია და მათი შეგროვება შესაძლებელია ჩვეულებრივი მაგნიტის გამოყენებით;

2. პატარა ზომის "ბურთულებით", რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია მზა რკინის საგნების შედუღებასთან [McDonnell 1991:23-28], რაც დასტურდება არქეოლოგიური ექსპერიმენტების დროს [Dungworth, Wilkes 2007]. ამდენად, მიკროწიდეები იმის მაჩვენებელია, რომ წარსულში ოსტატები ფლობდნენ შედუღების ტექნოლოგიას, ხოლო ამ სახის წიდის კონცენტრაცია ყველაზე ზუსტად განსაზღვრავს სამჭედლოს ადგილს, სადაც მჭედელი მუშაობდა.

წიდების შემადგენლობის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლაბორატორიული კვლევის მეთოდებს, რომელთა სპექტრი საკმაოდ ფართოა [Rodney, Clough 1986:77; Mortimer 1995; . Pleiner 2000:251-252; Rosenqvist 183:129-137]. აღსანიშნავია, რომ წიდის ქიმიურ შემადგენლობაზე გავლენას ახდენს ფაქტორების ერთობლიობა: რკინის მადნის სახე და ხარისხი, ნახშირის ხარისხი, სადნობი ქურის ზომა, ჰაერის მიწოდების სიძლიერე, ტექნოლოგიური ტრადიციები და მრავალი სხვა. ამდენად, წიდეები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს შემადგენლობით არა მხოლოდ სხვადასხვა, არამედ, ერთ არქეოლოგიურ ობიექტზეც [Rodney, Clough 1986:84]. არქეოლოგიური წიდის შემადგენლობის ცოდნით შესაძლებელია მიღებული პროდუქტის ხარისხის შეფასება.

მოკლედ განვიხილოთ წიდის ძირითადი ელემენტები და მათი თვისებები: ა) წიდის ძირითადი კომპონენტებია რკინა (Fe) და სილიციუმი (SiO₂). ეს კომპონენტები გვხვდება ყველა რკინის საბადოში და რკინის დნობის პროცესში ისინი ნაწილობრივ გადადიან წიდაში. წიდაში ვიუსტიტის (FeO) შემადგენლობა შეიძლება განსხვავდებოდეს 30-დან 70%-მდე, ჰემატიტის (Fe₂O₃) - 0-დან 15%-მდე, სილიციუმის დიოქსიდის (SiO₂) - 15-დან 40%-მდე [Pleiner 2000:252]; ბ) ფოსფორი (P), რომელსაც შეიცავს მადანი და საწვავი, ასევე, ნაწილობრივ გადადის წიდაში [Piaskowski 1976:139-149; Pleiner 2000:265]. ფოსფორის მაღალი შემცველობა (0,18-1%-ზე მეტი) ზრდის ფოლადის სიმტკიცეს და კოროზიის წინააღმდეგობას [Pleiner 2000:265]. რაც უფრო ძლიერია ჰაერის მიწოდება ქურაში და რაც უფრო მაღალია საწვავის მოხმარება, მით ნაკლები ფოსფორი გადადის წიდაში და, შესაბამისად, მეტი - ლითონში [Serneels, Crew 1997:79]. მსგავსი თვისება აქვს დარიშხანს

(As), რომელიც ამლიერებს ფოლადის სიმტკიცეს. ფოლადში მცირე რაოდენობითაც კი (0,05%-მდე) მისი ეფექტი უკვე შესამჩნევია [Crew, Salter 1991:16]. ლითონის დადებით თვისებებზე გავლენას ახდენს მანგანუმიც (Mn), რომელიც მადნიდან წიდაში გადადის. ისიც ზრდის პროდუქტის სიმტკიცეს და დაჭიმვის სიმტკიცეს, ასევე, გავლენას ახდენს ფოლადში გოგირდის შემცირებაზე [Borovský et al., 2012:28]; 3) ნატრიუმის (Na) და კალიუმის (K) არსებობა წიდაში აიხსნება მათი წიდაში გადასვლით საწვავიდან (ნახშირი). ეს ელემენტები მნიშვნელოვნად ზრდის წიდას დნობის წერტილს და გავლენას ახდენს პროცესის მთელ მიმდინარეობაზე [Pleiner 2000:252]. წიდაების უმეტესობა შეიცავს კალციუმს (Ca), რომელიც წიდაში ხვდება მადნიდან, ნახშირიდან და ფლუსიდან, თუ ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა; 4) ალუმინი (Al) ხვდება წიდაში მადნიდან, საწვავიდან და, ასევე, კერის თიხის კედლებთან ურთიერთქმედების გამო. უფრო მეტიც, წიდაში ალუმინის და კალიუმის რაოდენობა პირდაპირ კავშირშია საწვავის მოხმარების სიჩქარესთან და წვის ძალასთან [Serneels, Crew 1997:79].

ცნობილია ნაკადების გამოყენების აუცილებლობა წიდას უფრო დიდი სითხის მისაცემად და ნაკლები რკინის დანაკარგისთვის. CaO (ცაცხვი) შემცველი ნაკადების დამატებამ, სხვა საკითხებთან ერთად, შეამცირა მავნე გოგირდის რაოდენობა მზა რკინაში. ზოგჯერ, როდესაც უძველესი მეტალურგები იყენებდნენ ნაკადებს, CaO-ს რაოდენობა წიდაში შეიძლება მიაღწიოს 30%-მდე (Ibid.:255). დიდი ხნის განმავლობაში, მეცნიერები კალციუმის გაზრდილ შემცველობას წიდაში ნაკადების დამატებით ხსნიდნენ, მაგრამ არქეოლოგიური ექსპერიმენტების დროს დადასტურდა, რომ ნახშირს ჯერ კიდევ აქვს უდიდესი გავლენა [Crew 2013: 27-54; Wang, Crew 2013: 393-401].

მეტალურგიულ წიდაში დამალული ძირითადი სამეცნიერო პოტენციალის მიმოხილვის დასასრულს, გვსურს, მოკლედ გამოვყოთ ძირითადი რეკომენდაციები ამ მნიშვნელოვანი წყაროს თავდაპირველი შესწავლისთვის.

1) აუცილებელია გათხრების შედეგად აღმოჩენილი წიდაების აღწერა და აწონვა. ეს ხელს შეუწყობს უძველესი წარმოების ინტენსივობის და მასშტაბის დადგენას და წარმოებული ლითონის სავარაუდო მოცულობის განსაზღვრას;

2) აუცილებელია განსხვავებული წიდაებისა და შავი მეტალურგიის სხვა მტკიცებულებების ფიქსაცია. ამ ტექნიკის გარეშე შეუძლებელია წიდაების წარმოქმნის კონტექსტის გარკვევა;

3) თითოეული შესასწავლი არქეომეტალურგიული ობიექტისთვის საჭიროა წიდაების ტიპოლოგია. ეს ხელს შეუწყობს მისი დანიშნულების იდენტიფიცირებას (რკინის გამოდნობა თუ მჭედლობა), ასევე, საჭიროა, განისაზღვროს ქურის სტრუქტურა და დიზაინი, ხელოსნების მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები. წიდას ძირითადი სახეობების ტიპოლოგიის გარეშე (ბრინჯაოს, რკინის) წარმოების ბუნების შესახებ ყველა დასკვნა დაუმტკიცებელი იქნება;

4) აუცილებელია წიდას ქიმიური შემადგენლობის შესწავლა. გეოქიმიური მეთოდების გამოყენებით ირკვევა მიღებული პროდუქციის ხარისხი, ხორციელდება ქურაში მიმდინარე

პროცესების რეკონსტრუქცია და, ასევე, უძველესი მეტალურგიის საბადოების იდენტიფიცირება.

ბიბლიოგრაფია / Bibliography

ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. / Inanishvili G., Maisuradze B., Gobejishvili G.

2010. საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება (ძვ.წ. III – I ათასწლეულები), თბილისი.

ინანიშვილი გ. / Inanishvili G.

2014. ქართული მეტალურგიის სათავეებთან (ძვ.წ. IV-I ათასწლეულები), თბილისი.

რეხვიაშვილი ნ. / Rekhtiaishvili N.

1953. მჭედლობა რაჭაში, თბილისი.

რეხვიაშვილი ნ. / Rekhtiaishvili N.

1964. ქართული ხალხური მეტალურგია (რკინა-მჭედლობა), თბილისი.

ხახუტაიშვილი ნ. / Khakhutaishvili N

2009. ჭოროხის აუზის რკინის საწარმოო კერის კიდევ ერთი სახელოსნო უბანი, კრ. გონიო-აფსაროსი, VIII, ბათუმი.

Bachmann H. / ზაჰმან ნ.

1982. The Identification of Slag from Archaeological Sites. London: Occasional Publication.

Borovský T., Kijac J., Buľko B., Domovec M., Havran J. / ბოროვცკი ტ., ბულკოლ ვ., დომოვეცი მ., ჰავრან ჯ.

2012. The influence of slag composition on the distribution of manganese between slag and metal in the electric furnace, Acta Metallurgical Slovaca. 2012. Vol. 18, No. 1.

Crew P., Salter C. / ქრიუ პ., სოლტერ კ.

1991. Currency Bars with Welded Tips, Bloomery Ironmaking during 2000 years: Seminar in Budalen. Volume III. Trondheim: University of Trondheim.

Crew P. / ქრიუ პ.

2007. CaO enrichment in slags: the influence of fluxing or of fuel ash? Early Ironworking in Europe, II conference, Plas Tan y Bwlch.

Crew P. / ქრიუ პ.

2013. Twenty-five years of bloomery experiments: perspectives and prospects, accidental and experimental Archaeometallurgy, HMS Occasional Publication No. 7. London.

Dungworth D., Wilkes R. / დუნგვორტ დ., უილკს რ.

2007. An investigation of hammer scale, Research Department Report. Series N26.

Erb-Satullo N., Gilmour B., Khakhutaishvili N./ერბ-სატულო ნ., გილმოურ ბ., ხახუტაიშვილი ნ.

2014. Late Bronze and Early Iron Age copper smelting technologies in the South Caucasus: The view from ancient Colchis c. 1500-600 BC, Journal of Archaeological Science, 49.

Erb-Satullo N., Gilmour B., Khakhutaishvili N./ერბ-სატულო ნ., გილმოურ ბ., ხახუტაიშვილი ნ.

2018. The ebb and flow of copper and iron smelting in the South Caucasus, *Radiocarbon*, 60.
- Erb-Satullo N. / ერბ-სატულო ნ.**
2019. The innovation and adoption of iron in the ancient Near East, *Journal of Archaeological Research*, 27, 557-607.
- Erb-Satullo N., Gilmour B., Khakhutaishvili N. / ერბ-სატულო ნ., გილმოურ ბ., ხახუტაიშვილი ნ.**
2020. The metal behind the myths: Iron smelting in the southeastern Black Sea region, *Antiquity*, 94, 401-419.
- Mortimer C. / მორტიმერ ს.**
1995. Mortimer C. Chemical analysis of metalwork and metalworking debris. The historical Metallurgy society: Archaeological datasheet № 12. 1995.
- McDonnell J. / მაკდონელ ჯ.**
1982. Smelting and smithing slags. Ancient monuments laboratory. Report 3970.
- McDonnell J. / მაკდონელ ჯ.**
1983. Tap slags and hearth bottoms or how to identify slags, *Current archaeology*. 1983. No. 86.
- McDonell J. / მაკდონელ ჯ.**
1991. A model for the formation of smithing slags // *Materialy archeologiczne* XXVI. Kraków.
- Paynter S., Blakelock E., Hatton G. / პეინტერ ს., ბლეიკლოკ ე., ჰეტონ გ.**
2012. Bloomery iron smelting – experimentation and archaeology // *Plas Tan y Bwlch*. Snowdonia National park. Research report series 25.
- Piaskowski J. / პიასკოვსკი ჯ.**
1965. Classification of the structures of slag inclusions in early objects made of bloomery iron, *Archaeologia Polona*. Wrocław; Warszawa; Krakow; Gdansk. Vol. XVII.
- Piaskowski J. / პიასკოვსკი ჯ.**
1976. Correlation between the phosphorus content in iron ore or slag and that in bloomery iron, *Archaeologia Polona*. Wrocław; Vol. VIII. Warszawa; Krakow.
- Piaskowski J. / პიასკოვსკი ჯ.**
1989. Phosphorus in iron ore and slag, and in bloomery iron, *Archeomaterials* 3. Vol. 3. Pp.47-59.
- Pleiner R. / პლეინერი რ.**
2000. Iron in Archaeology: The European Bloomery Smelters. *Archeologický ústav AVČR*.
- Rosenqvist A. / როზენკვისტ ა.**
1983. Report on chemical and mineralogical analyses of Norwegian ores, slags and iron, *Berichte und Mitteilungen zur Urgeschichte, Frühgeschichte und Mittelalterarchaologie*. 1983. Band 40.
- Serneels V., Crew P. / სერნილს ვ., კრიუ პ.**
1997. Ore-slag relationships from experimentally smelted bog-iron ore, *Early Ironworking in Europe, archaeology and experiment*. International Conference Plas Tan y Bwlch.
- Sperl G. / სპერლ გ.**
1979. Comparative studies in early iron slags, *Bergund Huttenmannische Monatshefte* (124).

Tylecote R. / ტილკოტ რ.

1976. Metallurgy in archaeology. London: Edward Arnold (Publishers) LTD, 1962. 387 p.

Tylecote R. / ტილკოტ რ.

1987. The Early History of Metallurgy in Europe

Tholander E., Blomgren S. / თოლანდერ ე., ბლომგრენი ს.

1985. On the classification of ancient slags by microstructure examination, ISKOS, vol. 5, Proceedings of the Third Nordic Conference on the Application of Scientific Methods in Archaeology, Mariehamn, Finland

Wang Q., Crew P. / ვანგ კ., კრიუ პ.

2013. Three ores, three irons, three knives, The World of Iron. London: publisher by Archetype Books, Columbia, MD., USA

Водясов Е., Зайцева О. / Vodyasov E., Zaitseva O.

2017. Что может рассказать археологу железный шлак, Вестник Томского государственного университета. История. 2017, N 47.

Кожевников Н. / Kozhevnikov N.

2004. Шлаки и другие материальные свидетельства древней металлургии железа, Известия лаборатории древних технологий ИрГТУ, вып. 2, 2004.

Хакхутаишвили Д. / Khakhutaishvili D.

1973. К истории древнеколхидской металлургии железа. В сборнике «Вопросы древней истории», IV, Тбилиси.

Хакхутаишвили Д. / Khakhutaishvili D.


1977. Новооткрытые памятники древнеколхидской металлургии железа. КСИА, 151, Тбилиси.

Хакхутаишвили Д. / Khakhutaishvili D.

1979. Сырьевая база и техника производства железа в древней Колхиде. Сб. „История горной науки и техники“, Тбилиси.

Хакхутаишвили Д. / Khakhutaishvili D.

1987. Производство железа в древней Колхиде, сб. „Мецниереба“, Тбилиси.



სურ. 1. ლითონსაწარმოო სახელოსნო „ხოფო 1“ და „ხოფო 2“. წიდეების განფენილობა



სურ. 2. . ლითონსაწარმოო სახელოსნო „ჩაისუბანი“, სახელოსნოს წიდეები და ქურის
შელესილობა დაწყობილი ცალკე ბლოკებად



სურ. 3. ლითონსაწარმოო სახელოსნო „ხოფრო 1“ და „ხოფრო 2“. სახელოსნოს წიდეები და ქურის შელესილობა დაწყობილი ცალკე ბლოკებად.



სურ. 4. მკვრივი წიდა



სურ. 5. ამორფული წიდა



სურ. 6. ამორფული წიდა



სურ. 7. ქურის ძირის ფორმის წიდა



სურ. 8. „ონკანის დენადობის“ ფორმის წიდა



სურ. 9. მინსეზური წიდა

ფიჭვნარის ძვ.წ IV ს კოლხური სამაროვანი (2022-2023 წწ)
Pichvnari 4th century BC Colchian cemetery: 2022-2023

აბსტრაქტი

ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის კოლხური სამარხები სხვა სამაროვნებთან შედარებით ჯერ კიდევ მცირე რაოდენობითაა შესწავლილი. ამის უმთავრესი მიზეზი საბჭოთა პერიოდში ჩაის ფართო კულტივაციით უნდა აიხსნას.

2022-2023 წწ წარმოებული გათხრების ერთ-ერთ მთავარ მიზანს მისი ტოპოგრაფიის საბოლოო განსაზღვრა წარმოადგენდა. დგინდება, რომ ჩრდილოეთიდან ის ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვნის ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ გაგრძელებას წარმოადგენს; დასავლეთით ძვ.წ. IV ს ბერძნული და ელინისტური პერიოდის სამაროვნებისკენ, ხოლო აღმოსავლეთით მდ. ჩოლოქის მიმართულებით ფართოვდება.

ჩატარებული გათხრების ანალიზისა და აღმოჩენილი არტეფაქტების საფუძველზე ჩანს, რომ ფიჭვნარელი კოლხები, აქაური ელინების მსგავსად და ერთი საუკუნის წინ მცხოვრები თანამედროვეებისგან განსხვავებით, აწყობენ საქელებო რიტუალებს; მრავლდება ბერძნული კერამიკული ნაწარმის იმიტაციები, ხოლო სამარხების აღმოსავლეთით დამხრობა დომინანტური ხდება. თუმცა, გრძელდება უფრო ტრადიციული ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ დამხრობით დაკრძალვა, რომლის რელიგიური თუ კულტუროლოგიური ახსნა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

საინტერესო სურათი ისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ყოფაში. საკმაოდ ბევრია ისეთი ჭირისუფალი, რომელიც საიმპერიალიზმის ინვენტარს მოკრძალებულად ან საერთოდ ვერ ატანს, რაც მეტროპოლიის, ათენის დასუსტების გამოძახილი უნდა იყოს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

შეიძლება ვთქვათ, რომ ფიჭვნარში, ისევე როგორც ბოსფორში, ელინიზმის დადგომის წინ უკვე შეინიშნება ადგილობრივი მოსახლეობის ღრმა აკულტურიზაცია, რაც მთელ შავიზღვისპირეთში თუ მედიტერანული სამყაროში პარალელებისა თუ განსხვავებული ტენდენციების ინტერდისციპლინარულ კვლევებს მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, ფიჭვნარი, კოლხური სამაროვანი, სალაპო მოედნები, იმპორტული, იმიტირებული და ადგილობრივი კერამიკა.

Abstract

The standing archaeological excavation was conducted at the Pichvnari 4th century BC Colchian cemetery in 2022-2023 too.

Dozen graves were excavated. Imported and local grave goods as rings, beads, jugs, *oinochoe*, bracelet, cups, coins, etc. were discovered.

The ritual platform is particularly of note, as no ritual platforms are attested from the Colchian cemetery that dates to the 5th century BC. Most likely, this is a result of Greek influence in burial practices, as is the domination of eastern orientation of the bodies in individual inhumation graves in this period.

Another detail of note is that a significant number of the 4th century BC graves belonging to both Greeks and Colchians do not contain burial goods. Most likely, this is a result of the political and economic decline of Athens, which had an effect on Pichvnari too.

Compared to the 5th century BC Colchian cemetery, we can trace both the decline in number of imported goods as well as their quality.

Among imported ceramics, so-called grey clay vessels most likely manufactured in Heraclea Pontica seem to be the most popular. Black-gloss pottery manufactured in Athens also were found.

The majority of pottery found in the 4th century BC burials is locally produced. At Pichvnari, imitations of Greek forms of pottery such as the *oinochoe* appear in the 5th century BC and seem to increase in popularity in the 4th century BC. Colchian forms of pottery are also typical at Pichvnari, some dating earlier than the 5th century BC and in use throughout the 4th century BC and later.

Among other grave goods iron bracelets, bronze crescent hoops that would have been worn on a necklace, blue and green glass beads, a radial earring, coins, etc. are traced.

Keywords: Eastern Black Sea coast, Pichvnari, Colchian cemetery, ritual platforms, imported, imitated and local ceramics.

ფიჭვნარი სამოც წელზე მეტია რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და არამართო აქ მოღვაწე მეცნიერების ინტერესების სფეროშია მოქცეული. ამ დროისთვის მეტნაკლები ინტენსივობით შესწავლილია ადგილობრივთა ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს ბერძნული და კოლხური სამაროვნები, აგრეთვე ძვ.წ. IV ს ბერძნული ნეკროპოლისი (იხ. კახიძე, 2007; 2016; კახიძე, ვიკერსი, 2004; 2014; კახიძე, კახიძე, 2014; კახიძე, სურმანიძე, 2023; ხალვაში, კახიძე, 2024: 180-181; ჩავლეიშვილი, 2005: 18-26; 2025). ყველაზე ნაკლები ყურადღება ამ ეტალონურ ძეგლზე ძვ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანს დაეთმო, რაც ბოლოდროინდელი კვლევების წყალობით ნაწილობრივ გამოსწორდა.

კოლხეთში, განსაკუთრებით მის ზღვისპირა ნაწილში ბერძენთა აკულტურიზაციის საკითხების შესწავლისათვის გადამწყვეტი კი სწორედ ძვ.წ. IV ს ძეგლების კვლევა მიგვაჩნია, ვინაიდან ზუსტად ამ დროისთვის გამოიკვეთა და დაკრისტალდა ყველა ის ნოვაცია, რაც ჩვენს რეგიონში ბერძენ კოლონისტებთან მინიმუმ სამსაუკუნოვანი ეპიზოდური თუ ინტენსიური ურთიერთობების შედეგად დაგროვდა.

შეიძლება ვთქვათ, რომ კოლხეთში, ისევე როგორც ბოსფორში, ელინიზმის დადგომის წინ უკვე შეინიშნება ადგილობრივი მოსახლეობის ღრმა აკულტურიზაცია. ფიჭვნარის მაგალითზე ყველაზე ფართოდ ეს საკითხი 2007-2024 წწ გაწეული სამუშაოების ანგარიშებშია განხილული [იხ. კახიძე, 2021: 174-179; კახიძე, კახიძე, თურმანიძე, 2022: 73-89; კახიძე, 2023: 40-42; Kakhidze, 2023: 322-326], თუმცა ამ მიმართულებით კვლევა ჯერ კიდევ შორსაა დასრულებასთან.

ამჯერად მხოლოდ ორი წლის 2022-2023 წწ აღმოჩენებზე შევჩერდებით. არქეოლოგიური გათხრების მთავარი მიზანი 2021 წ მიმდინარე სავსე სამუშაოების დასრულება იყო²⁰.

წარმოდგენილად რთული კლიმატური პირობების გამო (ტაბულა I/1) 2022 წ მხოლოდ NO 3 სექტორის (ტაბულა III) მე-9-10 კვადრატებში განთავსებული დაუმთავრებელი სამარხი # 67 შევისწავლეთ. საკმაოდ მოზრდილი ფიჭვის ხის გამო, რომლის ფესვების ბოლომდე ამოძირკვა ბოლომდე ვერ მოხერხდა (ტაბულა I/2), საფლავის სტრატეგრაფია ბოლომდე დადგენილი არაა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდის ბევრი სხვა სამარხის მსგავსად, ისიც უინვენტარო აღმოჩნდა - აქ მხოლოდ ხუთიოდე ლურსმანი დაფიქსირდა (ტაბულა I/3).

2022 წ ჩვენ დასავლეთის მიმართულებით საკმაოდ დიდი ტერიტორიის ჰუმუსიდან გათავისუფლებაც მოვახერხეთ, გამოჩნდა ხუთიოდე ახალი სამარხის კონტური, რომლის შესწავლასაც 2023 წ მოხდა.

ამ წელს თხრილის დასავლეთით ხუთი კვადრატი აიგემა. თხრილი ექცევა NO 4 და NO 3 სექტორში; NO 3 სექტორი - კვადრატები 97;98;99;100. NO 4 სექტორი - კვადრატები 91;92;93;94 (ტაბულა II-III).

ათეული წლების განმავლობაში შემუშავებული მეთოდისკის შესაბამისად მოხდა ჰუმუსის ფენის აღება. ჰუმუსის სიმძლავე შემდეგ სურათს იძლევა:

NO4 სექტორი სამხრეთი ჭრილის ჰუმუსის სიმაღლე 60- 50 სანტიმეტრებს შორის მერყეობს, ხოლო NO 3 ჩრდილო მონაკვეთის ჭრილში კი 55 სმ. როგორც წესი, ჰუმუსს მოსდევს მოყვითალო-მონაცრისფრო სილნარი უძრავი ფენა, რომლის სიმაღლეა NO 3 - კვ. 97 – 30სმ

კვ.98 – 30 სმ, კვ.99 – 40ს, NO4 - კვ-91- 33სმ, კვ - 92- 35სმ,
კვ.93 – 31სმ, კვ. 94 – 32სმ, კვ.95 – 36სმ.

ფხვიერი სილნარი ფენის გაგრძელებას სილნარსავე ფენაში ჩაჭრილი ორმოსამრხები წარმოდგენს. წინა წლების მსგავსად, დაკრძლვის ცერემონიასთან ერთად სრულდებოდა ალაპის წესიც. თუმცა, მსგავსი შემთხვევა 2023 წ არ დადასტურდა.

95-ე კვ-ის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა სილნარ ფენაში დამტვრეული ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც დაკრძლვიდან გარკვეული დროის შემდეგ ჭირისუფალს თანამედროვე ზედაპირიდან 66 სმ დაუტოვებია. შესწავლილი ფართობი არ გამოირჩევა სამარხთა სიმრავლით, მითუმეტეს ინვენტარის მრავალრიცხოვნებით.

მათი აღწერილობა შემდეგ სურათს იძლევა:

NO 3 სექტორი, სამარხი 77 ; 1,5 X0,70X1,27.

ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვნის მსგავსად სამარხი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებითაა დამხრობილი. უინვენტარო.

²⁰ ამ დროისთვის თხრილი დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. წინა წლებში შესწავლილი თხრილი გაფართოვდა დასავლეთის მიმართულებით და სულ 13 ახალი სამარხი, სააღაპო მოედანი და წერტილი დაფიქსირდა (იხ. კახიძე, 2021: 175-178; 2023: 40-42; თურმანიძე, 2021: 188-191; კახიძე, კახიძე, თურმანიძე, 2022: 80-82; Kakhidze, 2023: 322-326).

NO 3 სექტორი კვ. 99, სამარხი 78-79, 84-83 და კვ. 97-ში სამარხები 80-81, 83. დროის სიმცირის გამო ვერ გაითხარა და გადაიდო შემდეგი წლისთვის.

რაც შეეხება NO4 სექტორს, ფიჭვნარის ელინების მსგავსად აქ სამარხი 76 (ტაბულა IV/3) დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით (1,50 X 1,10 სმ). სიღრმე თანამედროვე ზედაპირიდან 1,5 სმ. აღმოსავლეთ ნაწილში, თავის არეში პრეპარირებული იქნა უსისტემოდ განლაგებული 4 ლურსმანი: ორი ფეხის არეში, ერთ-ერთი ხის ნაშთით. ფეხებთან ჩამტვრეული თიხის ამფორისკი იდო. როგორც ჩანს, კუბო ხისსახურავიანი ყოფილა.

სამარხი 75 (კვ. 93) დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი (ტაბულა IV/2). გრუნტული ორმოს ზომებია: 1,4 X 1,45 სმ, სიღრმე 1,35 სმ. უინვენტარო.

შესწავლილი მონაკვეთის მიხედვით უნდა ჩანდეს, რომ სამარხი თითქოს ჩაჭრეს ადრე გამართულ მოზრდილ სამარხში, სამხრეთის მიმართულებით. 2023 წ-თვის დიდი სამარხის მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი გამოჩნდა: აღმოსავლეთით 1,7 სმ, ჩრდილო მონაკვეთი 0,50 სმ, სიღრმე 0,80 სმ.

სამარხი 74 (კვ. 94) დამხრობილია აღმოსავლეთით (ტაბულა IV/1). ზომები: 1,6 X 1,1 X 1,1 სმ. მარჯვენა ხელის არეში პრეპარირებული იქნა სალესი ქვა. აქა-იქ სხვდასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები იქნა აღმოჩენილი. დაკრძალულია ხის კუბოში (0,85 X 0,60 სმ), რომელიც დასტურდება რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით. ზედა ლურსმანის სიმაღლე 0,12 სმ, ხოლო ქვედას 0,30 სმ. ხის კუბოს ზომების მიხედვით ჩანს, რომ სამარხი ბავშვისთვის იყო განკუთვნილი.

სამაროვნის ტოპოგრაფია ექვს არ იწვევს, რომ ჩრდილოეთიდან იგი წარმოადგენდა ფიჭვნარის ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვნის ქრონოლოგიურ და ტერიტორიულ გაგრძელებას. ხოლო, მისი საზღვრების დადგენა როგორც დასავლეთით - ძვ.წ. IV ს ბერძნული ნეკროპოლის მიმართულებით, ასევე აღმოსავლეთით - მდ. ჩოლოქის მიმართულებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

მოკლედ, ფიჭვნარის სამაროვნებზე წარმოებული გათხრებისა და კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ, ფიჭვნარელი კოლხები ძვ.წ. IV ს-დან აქაური ელინების მსგავსად საქელებო რიტუალის შესრულებას იწყებენ. საინტერესო სურათი ისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნითაც. საკმაოდ ბევრია ისეთი ჭირისუფალი, რომელიც საიმქვეყნიო ინვენტარს მოკრძალებულად ან საერთოდ ვერ ატანს. ალაპის წესის მსგავსად გაიზარდა ელინიზებული კოლხთა რიცხვი, რომლებიც თავიანთ მიცვალებულებს უკვე თავით აღმოსავლეთისაკენ კრძალავდნენ, თუმცა გრძელდება ტრადიციული ადათ-წესები. მხედველობაში გვაქვს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი სამარხები.

ძვ.წ. IV ს ათენის დრამატული დასუსტებით აღინიშნა, რაც მის კოლონიებსა თუ გავლენის არეალებში დაუყონებლივ აისახა (იხ. კახიძე, კახიძე, 2014: 17-51). საქმე იმაშია, რომ პელოპონესის ომში ათენის დამარცხების გამო დელოსის კავშირი სუსტდება, ძვ.წ. IV ს 30-იანი წლებიდან კი მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ კოლხეთთან კავშირი საერთოდ წყდება.

ელინისტურ ხანაში სოციალ-ეკონომიკური და შესაბამისად პოლიტიკური კავშირები უფრო ახლო მდებარე ცენტრებთან სინოპესთან და ჰერაკლესთან იკვეთება. ეს კარგად ჩანს საკუთრივ ძვ.წ. IV ს ბერძნული და კოლხური სამაროვნების იმპორტული ნაწარმის ანალიზით (იხ. კახიძე, კახიძე, 2014: 34-38) და განსაკუთრებით აღმოსავლეთით მიბჯენილ ელინისტური ნეკროპოლის მაგალითზე (კახიძე, ვაშაკიძე, 2010: ???).

დაბეჯითებით შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ფიჭვნარში, ისევე როგორც ბოსფორში, ელინიზმის დადგომის წინ უკვე შეინიშნება ადგილობრივი მოსახლეობის ღრმა აკულტურირაცია, რაც მთელ შავიზღვისპირეთში თუ მედიტერანული სამყაროში პარალელებისა თუ განსხვავებული ტენდენციების ინტერდისციპლინარულ კვლევებს მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

- კახიძე ა. 2007.** ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში: ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლი. ბათუმი/ოქსფორდი.
- კახიძე ა. 2016.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და კულტურა კლასიკურ ხანაში: ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხური სამაროვანი. ბათუმი.
- კახიძე ა., ვაშაკიძე ნ. 2010.** ელინიზმი და კოლხეთი. ბათუმი/ოქსფორდი.
- კახიძე ა., ვიკერსი მ. 2004.** კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში: საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის 1998-2002 წწ ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. ბათუმი/ოქსფორდი.
- კახიძე ა., ვიკერსი მ. 2014.** კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში: საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის 2003-2007 წწ ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები. ბათუმი/ოქსფორდი.
- კახიძე ა., კახიძე ე. 2014.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის შედეგები: ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი. ბათუმი/ოქსფორდი.
- კახიძე ა., კახიძე ე., თურმანიძე მ. 2022.** ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანზე 2007-2022 წწ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, X, გვ. 72-100.
- კახიძე ა., მამულაძე შ. 2016.** აჭარის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
- კახიძე ა., სურმანიძე ნ. (რედ.) 2023.** ფიჭვნარი VIII. ბათუმი.
- კახიძე ე. 2021.** 2021 წ ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების წინასწარული ანგარიში. მუზეუმი და გლობალიზაცია: სსიპ აჭარის მუზეუმის ორგანიზირებული I საერთაშორისო კონფერენციის მასლები. ბათუმი, გვ. 174-184.
- კახიძე ე. 2023.** კლასიკური ხანის ახლადაღმოჩენილი კოლხური სამაროვნები სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ზღვისპირეთში. საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ მასალები. თბილისი, გვ. 39-42.
- თურმანიძე მ. 2021.** ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვნიდან მომდინარე არტეფაქტები. მუზეუმი და გლობალიზაცია: სსიპ აჭარის მუზეუმის მიერ ორგანიზირებული I საერთაშორისო კონფერენციის მასლები. ბათუმი, გვ. 188-196.

ჩავლეიშვილი ი. 2005. ფიჭვნარის ნაქალაქარზე წარმოებული ბოლოდროინდელი არქეოლოგიური გათხრები და ძველი კოლხური სამოსახლო სისტემა. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, გვ. 18-26.

ჩავლეიშვილი ი. 2025. ფიჭვნარის ნაქალაქარი ძვ.წ. II და I ათასწლეულის მიჯნაზე. ბათუმი.

ხალვაში მ., კახიძე ე. 2024. აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური დახასიათება უძველესი დროიდან ახ.წ. IV საუკუნემდე. აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე (რედაქტორი როინ მაღაყმაძე). ბათუმი, გვ. 174-196.

Kakhidze E. 2023. Classical-period Greeks and locals at Pichvnari, eastern Black Sea area. Tios/Tieion on the Southern Black Sea in the Broader Context of Pontic Archaeology (eds G.R. Tsetskhladze, Ş. Yıldırım). Oxford, გვ. 319-330.



1



2




3



ქილბუთის ნეკროპოლის ძეგ. IV ს.

სკეტი NO3





1

2



3

Radosław Karasiewicz-Szczypiorski
Polish Centre of Mediterranean Archaeology
University of Warsaw
r.karasiewi@uw.edu.pl

რადოსლავ კარასევიჩ-შჩიპიორსკი
ხმელთაშუა ზღვის არქეოლოგიის პოლონური ცენტრი
ვარშავის უნივერსიტეტი
r.karasiewi@uw.edu.pl

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.016>

**ლათინური წარწერის ფრაგმენტი რომაული ციხესიმაგრის (აფსაროსის) შტაბის
შენობიდან (პრინციპია) გონიოში, საქართველო**

**Fragment of a Latin inscription from the headquarters building (*principia*) in the Apsaros fort
(Gonio, Georgia)**

აბსტრაქტი

ლათინური წარწერის ფრაგმენტი აღმოაჩინეს რომაული ციხესიმაგრის — აფსაროსის (გონიო, საქართველო) არქეოლოგიური გათხრებისას, შტაბის შენობაში (პრინციპია). ნაშრომი წარმოადგენს ამ უნიკალური აღმოჩენის პირველ გამოცემასა და ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: აფსაროსი, გონიო-აფსაროსი, რომაული არმია, რომაული ციხესიმაგრე, ლათინური წარწერა.

Abstract

A fragment of a Latin inscription was found during the excavation of a headquarters building (*principia*) at the Roman fort of Apsaros (Gonio, Georgia). This paper presents and discusses this unique find.

Keywords: Apsaros, Gonio-Apsaros, Roman army, Roman fort, Latin inscription

Since 2014, the joint Polish-Georgian Gonio-Apsaros Expedition has been conducting excavations in the central part of the Roman fort of Apsaros, located in Gonio²¹. The research is headed by the author of this text on the Polish side. For the past 10 years, the Georgian side has been headed by Professor Shota Mamuladze, director of the Gonio-Apsaros Archaeological and Architectural Site. Part of the

²¹ For more on the research results, see, among others: Breeze, Karasiewicz-Szczypiorski, Mamuladze 2024 and Karasiewicz-Szczypiorski 2025.

research was funded thanks to the support of the National Science Center (Poland) under the "Harmonia" grant.

⁵³ Chronologic and workshop difference are seen in distinction of stylized ram heads, the face and horn featuring. Earlier types give a remarkable picture of schematized animal head with featureless face and possible a horn-like (a stag's horns) at both sides of head. Little refined later types are quite different in treatment of face components and horn. Also, there are images of sheep, goats, and bulls are carved on pouring wares. Display parts are the shoulder, below handle or belly of flared rim jugs, whether spherical or pear shape. See Baghatuia-Kner E. 2022:211-219

⁵⁴ The unbalanced modelling sometimes argues for pig depiction, but comparisons that closely match the Olginskoe sample suggest an ox/bull display. Abgidzrakhu grave 39. Trapsh 1971:61. Tabl.XVIII-2

⁵⁵ Earliest version of jug with similar composition comes from Apiancha cenotaph 24. Gunba 1978:33. Tabl.XXI.1

Fig. 6. Composition 3, combination of Ram head & Rosette. Selected jugs of Tsebelda cemetery: **A-B-** Female grave 106 (14) of late 5th century AD. **C-**Female grave 198 (31) of 4th century AD. **D-**Male grave 393 (380-400 AD). **I-** Female Grave 213 (46) of 5th century AD. *Source: Voronov 2003:50, 44, 106, 45-46. Pic.53 (8, 9), 96 (2), 189 (1), 100 (5),*

The idea behind **Ram (Fig.6,B,D,I)**, which is often placed close to the rosette, may conduct a peaceful aspect of Christian philosophy on the one hand and also communicate with imperial ideology and it is more nuanced than we think.

In Colchian culture, where the "Golden Fleece" holds significant importance, the depiction of the ram suggests a fundamental conceptual evolution. It also does not exclude some astronomic or astrologic aspects, such as matters of fertility, courage, and zodiacal constellations in ancient and classic science seen in the experience of different cultures⁵⁶. It has the potential to include all relative ideas from ancient and early Christian knowledge. That is why it is hugely influential for both Pagans and Christians. I believe that the crucial aspect of composition is to give rise to Christian meaning and make the visual impression challenging. From the chronological sequence, we realize that if the circle, on the contrary, may point to the Sun-Sol that creates dimensions for 'Christian integrity' in Constantine's time, then this composition is a more convenient schema for Christian aspects.

Such symbolic interplay offers diverse perspectives on beliefs and their manifestations in material culture. Composition 3, in particular, reflects narratives paralleled in multiple cultures. The circular medallion appears to be a localized adaptation of imported designs, as evidenced by stylistic similarities with rosettes⁵⁷ from Cologne and parallels in Pannonian art.

Composition 4, Greek cross

Composition 4 features two intersecting circles arranged to form a Greek cross (**Fig.7**). The upper and lower decorative zones are crafted by pressing tools to create sharp indentations on the surface⁵⁸, making the stamped cross easily recognizable (**Fig.1.3**). This typology emerged between 360 and 450 AD. Notably, the cross is typically positioned on the front body below shoulders (**Fig.7.2-3**) of pouring vessels⁵⁹, though it is occasionally found on the shoulder⁶⁰, below handle (in southern Apsilia) an exclusive on neck⁶¹ (**Fig.1.3**).

⁵⁶ If we focus on astronomic-astrological aspects of Ram-Aries set inside circle, it could highlight some cosmic peculiarities according to Greek Knowledge. Accordingly, community of Phasis and Dioskuria could easily lead content of Ram symbol on Colchian pottery.

⁵⁷ A slight distinction of a Budapest comb revealed in enclosed bird images of roundel medallion, which is a part of different series (Cnotliwy E. 2010:217. Kat. 241). It was successfully distributed in middle Byzantine textual art and personal possessions. Later stylistic analogies of roundel medallions are seen also on textiles in Museum of Haven, Yale University Art Gallery. Fallke O., 1913:57.fig.75; Martiani-Reber M., 1986:63-64, no.33. A similar schema on a silk Tunic probably of imperial authority representing the frontal bust imitation has been expected for apotropaic purpose. 5th-6th century pendants with Christian imagery often imitate radiating schema that sometimes incorporate coins to give similar association of radiating roundels. Such is a sample from Virginia museum of the fine Art. See in: Kondoleon Ch 1987:307-316; as well as in: Gonosova A., and Kondolen Ch.1994:109-111

⁵⁸ See Olginskoe jug in: Baghaturia-Kner E. 2022. Table. 26. A-1.

⁵⁹ There is sufficient evidence for shoulder decorations seen in hemispheric jugs in Abgidzrakhu cemetery graves 9, 19, 36. Trapshi 1971:30, 40, 58, 110. Tabl.V, XLV.1, XVI.2. XLV.

⁶⁰ Cross implication on shoulders of hemispheric jugs are found in Alrakhu cemetery graves 3, 4 and Apiancha grave 37. Gunba 1978:12, 43-45. Tabl.III.2b; IV.1; XXXV.3.

⁶¹ Exclusive appearance of cross on the neck of jug is evidenced in Olginskoe grave 1 dated to the 380/385-400 AD (See: Baghaturia-Kner E. 2022).

The prominently featured cross motif on Colchian pottery serves a straightforward purpose, is closely associated with the Christian faith, and illuminates the emergence of new religious ideas. In the latter half of the 4th century, this symbol was relatively novel and presented significant challenges; pottery was rare among the Mramba community. This rarity suggests that most local populations adhered to ancestral beliefs during this period. Moreover, the cross motif did not become a prevalent design element within the circular decorative repertoire of Colchis and fell out of favor after 450 AD. But noticeable is their appearance in warrior graves of Apsilia⁶².




Fig. 7. Composition 5, Greek cross. Selected Pouring wares from Tsebelda cemetery: **A**-Female grave 91 (21) of 5th century AD. **B**-Female adult grave 86 (16) of late 4th – early 5th century AD. **C**-Female grave 329. **D**-Female adult grave 90 (20) of 5th century AD. **E**- Female grave 120 (27) of 5th century AD. **F**- Male grave 2-3 of 400-410 AD. Source: Voronov I. 2003:27, 26, 36, 103. Fig.42 (11), 45 (2), 151(5), 69(16); Voronov I., Shenkao N., 1982:148. Fig.16.

Composition 5. Hybrid composition (Rosette, Ram Head, Cross)

This composition presents a creative and exotic amalgamation of symbols, combining the cross, rosette, and ram's head into a cohesive design (**Fig.8**). Cross, rosette, and Ram Head are specific components recognized in the resolution of this model⁶³. What is also about the cross is many different formations and subtle variations (**Fig.8.C-D**). The lower neck shoulder (**Fig.8.A-B**) is a small field selected for positioning the frontal cross, showcasing various sophisticated formations and alterations (we are dealing with versions showing most sophisticated harmony of shapes). Rosette on the belly is truly where it belongs and involves the animal leading. The rosette adorns the belly of the vessel, seamlessly integrating with the stylized ram's head, creating a dynamic sense of movement as the ram appears to engage with the independent cross. The rosette adorns the belly of the vessel, seamlessly integrating with the stylized ram's head, creating a dynamic sense of movement as the ram appears to engage with the independent cross. This intricate combination emerged towards the end of the 4th century AD, gained

⁶² Consider the inhumation warrior graves from Mramba cemeteries: Abgizrakhu cemetery graves 31 (date to the 350-380 AD), grave 1 (date to the 400-450 AD). Baghaturia-Kner E. 2022. Tabl.81, A; Tabl.80,A.

⁶³ See jugs from Abgidzrakhu grave 28, Akhatsarakhu 1, Alrakhu 4 of Mramba necropolis. Trapsh 1971.

favor among the Mramba⁶⁴ community, and, interestingly, was occasionally applied to 5th-century pithoi⁶⁵. However, for reasons not entirely clear, the popularity of this composition declined in the 5th century⁶⁶ and had largely disappeared by the early 6th century AD⁶⁷.

The late 4th-century AD Colchian pottery exhibits a sophisticated fusion of classical and Roman artistic elements, reflecting a dynamic progression in design brought in roman order. This period marks a significant transition, with motifs such as the rosette and ram head becoming prominent, symbolizing Christian themes. We get these things very nicely on two different scales on the body of pouring wares, where the body, creating a structured and dynamic pattern (Fig.8.1).




Fig. 8. Composition 2, Combine motives of Radiating circles, Rosette design, Ram and Cross. Selected pouring wares from Tsebelda cemetery: **A-** Female adult grave 139 (6) of late 4th century AD. **B-** Male grave with horse 377 (380- 400 AD). **C- ***. **D-** Female grave 382 (380-420 AD). **E-** Female grave 375 (380-400 AD). **F-** Tsebelda, fort grave 2 (370-400 AD). Source: Voronov I. 2003:*, 105. Fig. *,177 (4),*, 180 (18), 175 (); Baghaturia-Kner 2022. Tabl.93 (2,2).

Decorative components are thoughtfully arranged in entire compositional semantic to resonate significant transition in Christianity. This transition reflects aspects of the Mother Goddess, Mary⁶⁸. Positioned centrally, it radiates a profound impression. However, the top presents a more complex challenge, where the cross pattern succeeds on the rim, neck or chest of wine jugs, perhaps to indicate

⁶⁴ The jug appearing in Abgidzrakhu cemetery grave 36 is similar, with radiating animal motif, but dissimilar with Greek cross representation applied to shoulders. Trapsh 1971:58. Tabl. XVI.2.

⁶⁵ It was exclusively applied to the neck of one storage jar, which is the only example of such decoration in upland Apsilia evidenced in Apushta cemetery grave 15. Voronov, Voznjuk, Jushin. 1970. Pic.12.2.

⁶⁶ The latest find consists of the pouring vessel from male grave 5 of Tserkovni hill. Voronov., Jushin 1971:176. Pic.5.2. It exclusively appears on two handled storage jar of vicinity Apsilia, which evidenced in Atara Armjanskaja (means Armenian Atara) cemetery grave 1. Gunba 1978. Tabl.XLII.1

⁶⁷ Further details see in Baghaturia-Kner E. 2022.

⁶⁸ The white raised - as an emblem of purity, the red- martyrdom and a ring or garland of roses - the emblem of the Virgin Mary; the yellow rose is reserved as a symbol of papal benediction.

what the drinker sought from the process when pouring wine or any liquid in ceremonies or rituals—salvation. There is considerable thought behind these components in their full motion, working together logically. If we accept this visible part as a matter of faith, then the rosette—the symbol of St. Mary, the ram—the symbol of Jesus, and the cross—the symbol of salvation and protection—enhance a conceptual scale for Christian rhetoric. The incorporation of the cross pattern on the rim of wine jugs further emphasizes the Christian symbolism, aligning with the era's religious shifts.

This artistic evolution highlights Colchian artisans' technical prowess and mirrors the time's broader cultural and religious transformations.

However, *composition 5* produces conceptual connections, potter inspiration, and the choice of users and characters that stand closer to the life of specific communities of Apsilian. We can see similar compositional and stylistic expressions on European combs⁶⁹, where we realize some of the decorative schema employed by 4th-century European sites. However, such synthesis is considered the rarest composition, even in the early 5th century.

References

- Baghaturia-Kner E. 2022.** Machara and Kodori valleys (historical Apsilia) of NW Cochis in Caucasia in the 1st to 7th centuries AD. Inaugural Dissertation. Munich.
- Burl A. 2000.** The Stone Circles of Britain, Ireland, and Brittany. Yale University press, 1.
- Barnes T.D. 2011.** Constantine. Dynasty, Religion and Power in the late Roman Empire. Blackwell Ancient Lives, Chichester/Malden, MA.
- Ciruca S.-G. W. Bologna. 1990.** Mosaics of Villa 'Erculia' in Piazza Armerina – Morgantina.
- Gunba M. 1978.** Novie Pomjatniki Tsebelinskoi Kulturi. Tbilisi (In Russian).
- Kakhidze A. Partenadze T. 2017.** Ajara in the early Antiquity (Colchian Classics). Batumi Archaeological Museum. Batumi.
- Koch-Westenholz U. 1995.** Mesopotamian astrology (an introduction of Babylonian and Assyrian Celestial divination). Denmark.
- Ramskold L & Wolfram T. 2022:152-174.** A lead seal showing Constantine I with his victory sign the Chi-Rp and his comes Sol, with a note on Roman money bags. Nis & Byzantium XX.
- Trapsh M. 1971.** Kultura Tsebelinskikh Nekropolei. Trui 3, Sukhumi. (In Russian).
- Voronov I., Jushin B. 1971:176.** Pic. 7. Novie Pomjatniki Tsebelinskoi kulturi v Abkhazii. SA, 1. Moscow.
- Voronov I, Shenkao N. 1982.** Vooruzhenie Voinov Abkhazii IV-VII vv. (Moskva)
- Voronov Shenkao 1982.** Novie Pomjatniki Tsebelinskoi Kulturi v Abkhazii. SA, Moscow (In Russian).
- Voronov I. 1982:55.** Pic.24. Drevnosti Azanstkoi Dolini. Tbilisi. (In Russian)
- Voronov I. 2003.** Mogili Apsilov. Sukhumi. (In Russian)

⁶⁹ See the 4th century combs from Neuburg (Cnotliwy E, 2010. fig.7.9); Orslavice, Elblag group of Wielbark culture (Vistula mouth) and Pruszcz Gdanski. A slightly earlier group of comb pattern is dated to the beginning of the 5th century occurring earlier decorative types in Pruszcz Gdanski grave N8. See: Cnotliwy E, 2010:188.pic.11.14.

თამარ შალიკაძე

სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო
და საგამომცემლო საქმის კურატორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

Tamar Shalikadze

Curator of the Scientific and Publishing Department,

LEPL Ajara Museum

Doctor of Historical Sciences

იზოლდა დუმბაძე

აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური
მუზეუმის ექსპოზიციის სამსახურის უფროსი.
არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი.

Izolda Dumbadze

Head of the Exhibition Department, Ajara Museum,

Batumi Archaeological Museum

Doctor of Archaeology

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.019>

მახუნცეთის მარანი

The Wine Cellar of Makhuntseti

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია 2023 წელს, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მახუნცეთში, შემთხვევით გამოვლენილი მარანის შესწავლის მიზნით წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები. საუბარია დასვლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ მსუბუქად გადახურულ მარანზე. ამაზე მეტყველებს მკვრივ გრუნტში ჩადგმული ოვალური ფორმის ქვის ფილები, რომლებიც საგანგებოდ, სწორხაზოვნადაა განლაგებული, ასევე აქვე დაფიქსირდა ღარიანი კრამიტის ფრაგმენტები. სწორედ ამ მოედნის წინა ტერიტორიაზეა ჩადგმული ორ რიგად განლაგებული ტრადიციული, ადგილობრივი ფორმისა და ე.წ. რელიეფურორნამენტიანი სხვადასხვა ზომის ქვევრები. მარნის ტერიტორიაზე და თვით ქვევრებში ფიქსირდება სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლის სხვადასხვა ფრაგმენტები. მათგან გამორჩეულია წითელკეციანი ჩიბუხის მომრგვალებული, ორნამენტირებული ტანის ფრაგმენტი.

მსგავსი ჩიბუხები დიდი რაოდენობით გვხდება გონიოსა და პეტრას არქეოლოგიურ მონაპოვრებს შორის, რომლებიც XVIII საუკუნის სხვადასხვა პერიოდებით თარიღდება.

მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთი ქვევრიდან მოხერხდა პალინოლოგიური მასალის-წიპწების შეგროვებაც. ისრაელში რადიოკარბონული გზით ჩატარებულმა კვლევამ მათი თარიღი XVII-XVIII სს განსაზღვრა. კვლევები გრძელდება ვაზის ჯიშის დადგენასთან დაკავშირებითაც.

მარნის შესწავლა ჯერ არ დამთავრებულა, რადგან არტეფაქტების ნაწილი გაუთხრელ ფართობში გრძელდება და მათი შესწავლა მომავალი სეზონისათვის გადაიდო.

მახუნცეთის მარნის არქეოლოგიური გათხრების საბოლოო შედეგების, წერილობით და ეთნოგრაფიულ ცნობებთან ურთიერთშეჯერებით უფრო მეტი ნათელი მოეფინება აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს არსებულ მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. გამდიდრდება ინფორმაცია აჭარის ტერიტორიაზე ღია ტიპის მარნის გამართვის, ფუნქციონირებისა და ვაზის ჯიშების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: მარანი, ქედის მუნიციპალიტეტი, ქვევრი, მევენახეობა-მელვინეობა

Abstract

In 2023, archaeological excavations were carried out in the village of Zeda Makhuntseti, Keda Municipality, to study a recently discovered marani (wine cellar). Through systematic work, we identified a lightly covered marani typical for western Georgia. This is indicated by oval-shaped stone slabs set firmly into the dense soil, arranged in straight lines. Additionally, fragments of grooved roof tiles were found on site. In front of this area, two rows of traditional, locally shaped large clay vessels known as qvevris—with various sizes and relief decorations—were uncovered. Various fragments of kitchen and household pottery were found both on the marani site and inside the qvevris. Among these, a distinctive fragment of a red-slipped, rounded, ornamented pipe stands out. Similar pipes have been found in large quantities among the archaeological finds in Gonio and Petra, dating to different periods of the 18th century.

It is important to note that palynological samples—pollen grains—were successfully collected from some of the qvevris. Radiocarbon dating conducted in Israel dated these samples to the 17th–18th centuries. Research is ongoing to identify the grapevine varieties as well.

The study of the marani is not yet complete, as part of the artifact-rich area remains unexcavated. Further investigation has been postponed to the next excavation season.

The final results of the archaeological excavations at Makhuntseti marani, combined with written and ethnographic sources, will shed more light on viticulture and winemaking practices in Adjara during the Ottoman period. This will enrich knowledge about the establishment, functioning, and grape varieties of open-type maranis in the Adjara region.

Keywords: Wine Cellar, Keda municipality, Pitcher, Viticulture-winemaking.

აჭარაში მევენახეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობდა, როგორც ზღვისპირა, ისე მთისწინა და მთიან ზონაში. რამაც ხელი შეუწყო მევენახეობა -

მელვინეობის დარგის განვითარებას. გასული საუკუნიდან მოყოლებული რეგიონში მიმდინარე შემთხვევითი თუ გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევების შედეგად თავი მოყარა დარგთან დაკავშირებულმა სხვადასხვა ეპოქის ნივთიერმა მასალამ. წლების განმავლობაში დაგროვდა მდიდარი, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები. ისინი თავმოყრილია შესაბამის სამეცნიერო პუბლიკაციებში, ამიტომაც მათ შესახებ სიტყვას აღარ განვაგრძობთ [კახიძე, მამულაძე, 2016:181-190].

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების სადაზვერვო სამუშაოებისა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად განსაკუთრებით მოიმატა ცალკეული ქვევრების, მარნებისა და საწნახლების გამოვლენის შემთხვევებმა. მხედველობაში გვაქვს ჩაისუბნის, კაპნისთავის, სინდიეთის, ილიას მარანი, ორცვას, ზესოფლის და ა.შ. [დუმბაძე, 2022].

არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების შეჯერების შედეგად შესაძლებელი ხდება თანდათანობით აღვადგინოთ რეგიონის მევენახეობა-მელვინეობის რთული ისტორია და მასთან დაკავშირებული სადაო საკითხები.

ამჯერად ამ საკითხების გაშუქებას შევეცდებით ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა მახუნცეთში გამოვლენილი მარანის კვლევის შედეგების მიხედვით.

ძეგლის შესწავლის ისტორია ასეთია: 2021 წელს ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა მახუნცეთში მცხოვრები მერაბ ირემადისგან მივიღეთ ინფორმაცია საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში, სამშენებლო საქმიანობის დროს გამოჩენილი ქვევრების შესახებ. იმავე წლის ზაფხულში სსიპ აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომელთა მიერ ჩატარდა სადაზვერვო სამუშაოები. გამოვლინდა ერთ რიგად ჩალაგებული სამი დაზიანებული ქვევრი, რომელთა დიდი ნაწილი გადარჩენილი იყო, ნაწილი კი, პირ-კედლის ფრაგმენტების სახით დაცული. ზოგიერთ ნიმუშს თვალსაჩინოთ ეტყობოდა კირით გამაგრების კვალი. ქვევრები განეკუთვნებოდა რელიეფური ჭდეებით შემკული, იმპორტული ქვევრების ტიპს. თვით ქვევრებში ჩალეწილი იყო სხვადასხვა დანიშნულების სასუფრე და საღვინე ჭურჭლები.

აღნიშნული ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა დავიწყეთ 2023 წელს, აჭარის კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ორგანიზებით.

მეთოდური, სავსე კვლევითი, სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ტერასული ტიპის მარანი, რომელსაც შესაძლოა ჰქონოდა მსუბუქი გადახურვა, რასაც ადასტურებს გამოვლენილი წრიული ფორმის ბრტყელი ქვები და კრამიტები. თვით მარანის გამართვისათვის გამოყენებულია მკვრივი გრუნტი. მასში ჩაჭრილი ყოფილა ქვევრებისათვის განკუთვნილი ორმოები, რაც ხაზს უსვამს ქვევრების დაფლვის მეთოდს. ზოგიერთ მათგანს სადრენაჟე კენჭნარის ფენა აქვს შემოვლებული, ზოგიერთი კი საგანგებოდაა გამაგრებული კირხსნარის სქელი ფენით. გაიწმინდა ცარიელი წრიული ორმოებიც, რაც მარანში ქვევრების ადგილმონაცვლეობაზე მიუთითებს. ეს კი ხაზს უსვამს მარანის ხანგრძლივი დროით გამოყენებას. გამოვლინდა ტრადიციული ადგილობრივი ფორმის ქვევრები და ე.წ. რელიეფურ ორნამენტიანი დიდი ზომის, მასიურკედლიანი ქვევრები. ყველა მათგანი მიწითა და თითქოს საგანგებოდ ჩალეწილი ქვა-ღორღით იყო სავსე. ერთ-ერთი ქვევრის ამოწმენდის დროს ფსკერზე დაფიქსირდა დამწვარი ვაზის ძირი, ლერწები და წიპწები. ისრაელში რადიოკარბონული გზით ჩატარებულმა კვლევამ მათი თარიღი XVII-ის ბოლო და XVIII ს-ის დასაწყისით განსაზღვრა. კვლევები გრძელდება ვაზის

ჯიშის დადგენასთან დაკავშირებითაც. მართალია მარნის შესწავლა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალების, წერილობით და ეთნოგრაფიულ ცნობებთან ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

როგორც ვიცით, გვიანიშუასაუკუნეების ისტორიოგრაფიაში, აჭარის ყოფისა და ცხოვრების შესახებ წერილობითი წყაროების სიმცირე გვაქვს. აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შესასწავლად ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის მომცემია ისეთი წერილობითი წყაროები, როგორიცაა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ. ასევე ადგილობრივი და უცხოელი მოგზაურების, ვაჭრებისა და დიპლომატების ჩანაწერები, საარქივო მასალები და სხვა [ზოხოჩაძე:1963:165-176; ბერიძე:1975:13-27; თოფურია:1984:10; შაშიკაძე, მახარაძე:2011:34-50; 91-92].

სულთან სელიმ II -ის (1566-1574 წწ) დროს შედგენილი „ზემო აჭარის ლივის დიდი დავთარი“ ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის პირველ დოკუმენტს წარმოადგენს. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების მიხედვით XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთი საქართველოს რიგ სოფლებთან ერთად ჩვენი საკვლევი აჭარისწყლის ხეობაც ოსმალებმა დაიპყრეს და საკუთარი ხელისუფლების დამყარებას შეეცადნენ. როგორც, წესი მოხდა ხეობის აღწერა და ადგილობრივი მმართველობითი სისტემის შექმნა. აღნიშნული ტერიტორია ოსმალეთის იმპერიაში აჭარის ლივის (სანჯაყის) -ანუ სადროშოს სახით იქნა გაერთიანებული. იგი მოიცავს, როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარას. ჩვენთვის საინტერესო სოფელი მახუნცეთი წარმოდგენილია ქვემო აჭარის ნაპიერში შემავალი სოფლების ჩამონათვალში. მახუნცეთში აღწერილი მოსახლეობა იხდიდა სხვადასხვა გადასახადებს, მათ შორის იყო: ისფენჯი - გადასახი, რომელსაც იხდიდა არამუსლიმი მოსახლეობა. უშურის გადასახდი - რომელიც გაიღებოდა ბაღებზე, ვენახებზე, ბოსტანზე, მარცვლეულ კულტურებზე, თაფლზე თივაზე და ა.შ. არ იყო სოფლის მეურნეობის არცერთი დარგი, რომლისგანაც უშური არ გაიღებოდა. საყურადღებოა მურახხასიეს გადასახადი - რომელიც იყო სასულიერო პირისა და ეკლესიისთვის. აქედან გამომდინარე ეს იყო გადასახადი რომელსაც იხდიდა მრევლი იმისათვის რომ მას შეენარჩუნებინა მღვდელი და ეკლესია. იგი საკომლო გადასახადიც იყო. ოსმალეთის საგადასახდო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჯიზიეს გადასახადს, რომელსაც არამუსლიმი მოსახლეობა იხდიდა საკუთარი ოჯახის, ქონების და სარწმუნოების უსაფრთხოებისათვის. ეს გადასახადი ცალკე აღირიცხებოდა და ყველა გადამხდელს ეძლეოდა საბუთი, რომელიც მოხელეების მიერ დასმული ხუთი ბეჭდით მოწმდებოდა. დავთრის მიხედვით სოფელ მახუნცეთში ცხოვრობდა ათი კომლი და იხდიდა ჩამოთვლილ გადასახადებს [შაშიკაძე, მახარაძე:2011:34-50;91-92].

აქედან გამომდინარე თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე - 16 საუკუნის 60-70 იან წლებში აჭარის მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ქრისტიანი იყო. ეს კი მიუთითებს, რომ ამ დროისათვის ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრებისათვის ისლამიზაციას რადიკალური ხასიათი არ ქონია, შესაბამისად ადრე გამართული მარნები ჯერ კიდევ ფუნქციონირებს.

საყურადღებოა ამავე ეპოქის ამსახველი უახლესი ლიტერატურა, საარქივო მასალები ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ. ვაყუფი გარკვეული პირობით, მფლობელობაში ოფიციალურად გადაცემული შემოსავალი, თანხა ან უძრავი ქონებაა. იგი გაიცემოდა, როგორც ცალკე პირზე, ისე დაწესებულებებზე უმთავრესად კი მეჩეთებზე. პირველი ნაწილი თარიღდება 1563 წლით, მეორე კი - 1579 წლით. სახელმძღვანელოში ასევე შესულია 1722 წლით დათარიღებული დოკუმენტი ერთერთი სავაყუფო სოფელის დოლოგანის შესახებ [შაშიკაძე, მახარაძე:2021:115-173].

ვაყუფებში ჩანს, რომ მეჩეთებისთვის შესყიდულია ცალკეული ბაღები, ვენახები, ყანები, ნარგავები. მართალია ამ დოკუმენტების მიხედვით არ ჩანს ინფორმაცია მეღვინეობაზე, როგორც მეურნეობის დარგზე მაგრამ კარგად ჩანს, რომ ვენახები ჯერ კიდევ არაა აჩეხილი და ისინი სხვისდება, როგორც შემოსავლის წყარო

მე-XIX საუკუნის ბოლოს თედო სახოკია სხვა სამწუხარო სურათს აგვიღწერს: „მაჰმადის სჯულს მეურნეობის საპატიო დარგისათვისაც ამოუკვეთია ფეხი აჭარიდან, თითქმის ყველა სოფელში დარჩენილა უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმასლა ჰმოწმობს, რომ მეღვინეობას აქ საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართაგანს შეადგენდა, მაგრამ მხოლოდ „ოდესღაც“, დღეს კი დამტვრეულა ძველი ქვევრები, საცაა დაიმსხვრევა, ვაზები მოუვლელივით და უპატრონობით გადახმება და გადაიჩეხება“. ზემო აჭარის მაგალითზე თ. სახოკია სინანულით აღნიშნავს, რომ მთელი საუკუნე მეტია რაც აქ ღვინოს არ აყენებენ და მაშასადამე ვაზსაც არ უვლიან. აქეთკენ ვაზი სულ მაღლარია, როგორც გურია სამეგრელოში. ვაზი ღვთის ანაზარა იზრდება უზარმაზარ ხეებზე გაშვებული. უმეტესობას ნაცარი და ობი აქვს მოდებული და მოსავალს აღარ იძლევა. თუ გამოისხა სადმე დამწიფდება თუ არა ყურძნად შესჭამენ და ჭამის დროსღა მოიგონებენ თავიათ ქრისტიან წინაპრებს: „გურჯობის“ (ქართველობის, ე.ი. ქრისტიანობის) დროს დაურგავთო. ვაზს რომ განახლება, ან კიდევ მის სენს წამლობა უნდა ეს აზრად არავის მოსდის [სახოკია, 1985:222].

ქვემო აჭარის შესახებ კი, შედარებით სანუგეშო ინფორმაციას იძლევა - „აქ ყურძენს ცოტაოდენი ფული შემოაქვს აჭარელის ოჯახში. ბათუმი ახლოს აქვთ და ყურძენს იქ ეზიდებიან გასაყიდად. ფუთს (16,38კგ.) მანეთად და ხან მეტადაც ყიდიან. ღვინოს არც აქ აკეთებენ. ქრისტიანობის გადავარდნის შემდეგ პირველად ღვინო ქვემო აჭარის უფროსის თანაშემწეს ბატონ სიმონ იოსელიანს 1896 წელს დაუყენებია [სახოკია, 1985:222-223].

მართალია მაჰმადის სჯულს აჭარელთათვის ღვინის დაღევა აუკრძალავთ, მაგრამ ნება დაურთავთ ყურძნის წვენი მხოლოდ აუღუღარი დაელიათ. ასეთ ყურძნის წვენს ხარდალი ერქვა. ასე შენახული წვენი არ დუღდებოდა. ნადიმის დროს ამგვარ ტკბილ წვენს ღვინის მაგივრად მიირთმევდნენ. ხარდალსაც ბევრს არ აკეთებდნენ, რადგანაც ქვევრის გახსნისთანავე უნდა დაელიათ. აქვე საინტერესოა ის ცნობაც, რომ ხშირად ხარდალად შენახული ყურძნის წვენისაგან დუღილის შემდეგ საუკეთესო ღვინო დგებოდა. ასე დაყენებული ღვინის სმა არ იკრძალებოდა და მას ისლამის მქადაგებელი მოლა-ხოჯებიც სიამოვნებით მიირთმევდნენ [ბერიძე:1975:22-23].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყურძნის წვენის შენახვის ამ ტრადიციამ ხელი შუწყო საღვინე ქვევრების გამოყენება-შენახვას დიდი ხნის განმავლობაში და მევენახეობის დარგის ნაწილობრივ გადარჩენას. ამიტომაც ხშირია უძველესი მარნების შესაწავლისას გამოვლენილი ქვევრისთვის განკუთვნილი ცარიელი ორმოების დაფიქსირების შემთხვევები. ამავდროულად ნიშანდობლივია ცალკეული ქვევრების დაფიქსირება მარნის გარეთ, ხშირად ძველი სახლების სამეურნეო სათავსოებში. ზოგჯერ ისინი ხილის მშრალად შენახვის მიზნითაც გამოიყენებოდა.

ახლად გამოვლენილი მარნის კვლევასთან ერთად ჩვენთვის საინტერესოა, სოფელში შემონახული აბორიგენული ვაზის ჯიშები. მათ შორისაა ჩხავერი და მეკრენჩხი.

მე-19 საუკუნის ბოლოს აჭარის ვაზის გენოფონდში მაჰმადიანური სარწმუნოების ზეგავლენით საღვინე ვაზის ჯიშები იშვიათობას წარმოადგენდა. ძირითადად სასუფრე-საქიშმიშე ყურძენი მოჰყავდათ. მიუხედავად ამისა თითო-ოროლა საღვინე ჯიშში მაინც იყო შემორჩენილი, მაგ: მწვანურა, მელიკუდა, ბუტკო, მეკრენჩხი, საფერავი, ბუდეშური, ბურბგლა, ბუტკურა, ბროლა, კლარჯული, მატენაური, მწვანე, შხუმი, ჩხავერი, ცხენისძუძუ, ჭოდი, ხარითვალა, ჯანიში, ვანური თეთრი, ადესა თეთრი და წითელი და სხვ [სახოკია, 1985:224; რამიშვილი:2001:111]. მოვიტანთ რამდენიმეს დახასიათებას.

1. ბუტკო - წითელყურძნიანი უძველესი, საღვინე აჭარის ჯიშია. უხვმოსავლიანი, როგორც მ. რამიშვილი წერს “აჭარელი მოხუცები ბუტკოს პროდუქციას, ღვინის სმის აკრძალვასთან დაკავშირებით, იყენებდნენ ყურძნად, წვენიცა და ბექმეზის დასამზადებლად” [რამიშვილი, 1948:201-203].

2. საფერავი-ვაზის მსოფლიო ასორტიმენტის წითელი ჯიშების საუკეთესო წარმომადგენელია. ამპელოგრაფები და მკვლევარები მისი წარმოქმნის ადგილად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს - ძველ კოლხეთს მიიჩნევენ. აღმოსავლეთით მისი გადანაცვლება თანდათან უნდა მომხდარიყო. ეს მოსაზრება გამყარებულია მისი ბოტანიკური ნიშნებით. საფერავი საღვინე ჯიშია. იგი გარემო პირობებს კარგად ეგუება და ყველა რაიონში იძლევა კარგ მოსავალს მაღალხარისხოვანი ღვინის საწარმოებლად [კეცხოველი, რამიშვილი, ტაბიძე:1960:281-290].

3. მეკრენჩხი ძირითადად სასუფრე წითელი ყურძენია მისგან დამზადებული ღვინო ხანგრძლივი შენახვის უნარსაა მოკლებული, სამაგიეროდ, ყურძენი კარგად ინახება გაზაფხულამდე და გადატანასაც ადვილად ექვემდებარებოდა [რამიშვილი, 1948:216-218].

4. აჭარა-გურიისთვის დამახასიათებელი აბორიგენული ვაზის ჯიშის - ჩხავერის შესახებ, ამპელოგრაფიულ დახასიათებაში ვკითხულობთ: „იგი მარალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიშია. შავი ზღვის აუზის ეს უძველესი ჯიშის აჭარაში მაღლარის სახითაა წარმოდგენილი. დიდი რაოდენობით გვხვდება ქედის სოფლებში, მისი მარცვალი მუქი წითელი ვარდისფერია. ჩხავერისგან დგება ღია ვარდისფერი ჰარმონიული ნაზი ღვინო [კეცხოველი, რამიშვილი, ტაბიძე:1960:348-354].

ჩხავერთან დაკავშირებით, საინტერესოდ გამოიყურება ასევე, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში სპეციალური დავალებით ჩამოსული ფრანგი ორიენტალისტის ჟან მურიეს ჩანაწერები. მის ნაშრომში “ბათუმი და ჭოროხის აუზი“, რომელიც 1886 წელს გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე პარიზში, ერთგან წერს: „ქვემო აჭარის ჰავა ზომიერია... ჩხავერის ჯიშის ვაზი თავისუფლად ეხვევა ლელვისა და თელის ხეებს და განსაკუთრებული თეთრი ღვინის დასაყენებლად იხმარება. მიწაში ჩადგმული ქვევრის ზედაპირს ფარავენ მდოგვის ფაფით და ნელა ასხამენ შიგ ახლად დაწურულ ტკბილს. ქვევრს ხის მრგვალ სარქველს ახურავენ... მაჭარი დულდება და კარგი ხარისხის შუშხუნა ღვინო დგება, რომელსაც არ ახლავს უსიამოვნო გემო, რომელიც თითქოს მდოგვს უნდა დაეჭოვებინა. ასევე აღნიშნავს, რომ სახლები წიფლის, არყის ხეებში დგას და გარშემო ვაზი ახვევია... რომ აჭარაში საღვინე ჯიშებთან ერთად სუფრის ჯიშებიც ყოფილა განვითარებული და მოსახლეობა სხვადასხვა ჯიშის ყურძნიდან ამზადებდნენ ქიშმიშს“ [ბერიძე:1975:13-14].

საინტერესო ცნობებს გვაწვდის გერმანელი ისტორიკოსი ევგენი ვეიდენბაუმი, რომელმაც 1878 წ აჭარაში სტუმრობისას ბათუმის ნავსადგურში ნახა ყურძნით დატვირთული ფელუგები, სოფელ მარადიდში იგი განუცვიფრებია მარნებსა და ძირძველ ვენახებს. გონიოს მაზრის უფროსს ახმედ ხალვაშს კი მისთვის თავის ოჯახში დაწურული სასიამოვნო დასალევი ღვინო მიუერთმევია “[ბერიძე:1975:13-14].

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ წერილობით წყაროებში, მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენათა თანმიმდევრობას ადასტურებს მახუნცეთის მარნის კვლევა-ძიებისას გამოვლენილი არქეოლოგიური მასალებიც: საგანგებოდ ჩამსხვრეული და ქვებით ამოვსებული ქვევრები, ჩიბუხი, კრამიტი, ხელადები სამარნე ჭურჭლებიც და სხვა. არქეოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ სახეზეა მევენახეობა-მელვინეობის დარგის იძულებითი შეწყვეტის ფაქტი.

კიდევ უფრო საინტერესო იქნება საწნახლების შესახებ შეგროვებული ინფორმაციის დაზუსტება და მათი კვლევა. მაგალითად ჩვენთვის საყურადღებოა 1966 წელს ისტორიკოს ალ. დავითაძის ჩანაწერი, რომელსაც ქედის რაიონის სოფ. მახუნცეთში უნახავს კლდეში ნაკვეთი საწნახელი და ძვ. წ. II-I საუკუნეებისთვის მიუკუთვნებია [ბერიძე:1975:17].

ვფიქრობთ მახუნცეთის მარნისა და მისი შემოგარენის კვლევების ბოლომდე მიყვანა, წერილობით და ეთნოგრაფიულ ცნობებთან ურთიერთშეჯერება მეტ ნათელს მოჰფენს აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს არსებულ მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე კ., 1975. მევენახეობა და მისი პერსპექტივები აჭარაში. ბათუმი
2. ბოხოჩაძე ა., 1963. მევენახეობა-მელვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბილისი
3. სახოკია თ., 1985. გურია აჭარა სამურზაყანო აფხაზეთი. ბათუმი
4. რამიშვილი მ., 1948. გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები. თბილისი
5. რამიშვილი რ., 2001. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია. თბილისი
6. კახიძე ა., მამულაძე შ., 2016. აჭარის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი
7. კეცხოველი ნ, რამიშვილი მ, ტაბიძე დ., 1960. საქართველოს ამპელოგრაფია, თბილისი
8. შაშიკაძე ზ, მახარაძე მ., 2011. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი
9. შაშიკაძე ზ, მახარაძე მ., 2021. ლალამუსტაფა ფაშას ვაყუფ- ნამეები საქართველოს შესახებ, თბილისი

გურამ ჩხატარაშვილი

ამირან კახიძის სახელობის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმი

Guram Chkhatarashvili

Amiran Kakhidze Archaeological Museum of Ajara, LEPL Ajara Museum

gurami.chxa87@yahoo.com

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.009>

მდინარე კინტრიშის ხეობა ადრე ჰოლოცენის ხანაში (უახლესი არქეოლოგიური
აღმოჩენებისა და ინტერდისციპლინური კვლევების მიხედვით)

**Early Holocene Occupation of the Kintrishi River Valley: Insights from Recent Archaeological
Discoveries and Interdisciplinary Investigations**

აბსტრაქტი. უკანასკნელი კვლევების თანახმად, აჭარის შავიზღვისპირა ზოლის ათვისება დაახლ. 11 000 წლის წინ იწყება, როდესაც სოფ. ქობულეთისა და ხუცუბნის ტერიტორიაზე ჩნდება უძველეს მონადირე-შემგროვებელთა დასახლება. როგორც ჩანს, ჰოლოცენის დადგომასთან ერთად, იმდროინდელი ადამიანი აქტიურად იწყებს მანამდე ათვისებულ ტერიტორიაზე დასახლებას და საცხოვრებლად ირჩევს მდინარესთან არსებულ ადგილებს. არაა გამორიცხული, რომ ადგილის შერჩევის დროს გათვალისწინებული ყოფილიყო ე.წ. სტრატეგიული ფაქტორი. ყველა ტიპის ნამოსახლარი ბუნებრივ ბორცვზეა განლაგებული, რომელიც კინტრიშის დონიდან 50-60 მ. სიმაღლეზე მდებარეობს.

2019 წლიდან პრეისტორიული ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების სიღრმისეული კვლევისათვის გამოყენებული იყო თანამედროვე მეთოდები, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებთან კოლაბორაციას და ერთიანი კომპლექსური ინფორმაციის მიღებას. სწორედ ინტერდისციპლინური კვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაგვედგინა სოფ. ქობულეთისა და ხუცუბანში მცხოვრები უძველესი ადამიანის საცხოვრებელი კლიმატური გარემო, საქმიანობა, ქვის დამუშავების ტექნიკა, კონტაქტები ობსიდიანით მდიდარ რეგიონებთან, ნამოსახლართა ფუნქციონირების ასაკი და სხვ.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებისა და ინტერდისციპლინური კვლევების საფუძველზე ვრცლად არის მოცემული მდ. კინტრიშის ხეობა ადრე ჰოლოცენის ხანაში (ძვ.წ. X-VII ათასწლეულები).

საკვანძო სიტყვები: კინტრიში, პრეისტორია, ძეგლი, იარაღი, ინტერდისციპლინური.

Abstract

According to recent research, the settlement of the Black Sea coastal zone of Ajara began approximately 11,000 years ago, marked by the appearance of one of the earliest hunter-gatherer communities in the areas of modern-day Kobuleti and Khutsubani villages. With the onset of the Holocene, it appears that humans actively began to inhabit previously unoccupied territories, favoring locations near rivers. It is likely that the selection of these sites was influenced by strategic considerations. All types of settlements were located on natural elevations—hills rising 50–60 meters above the Kintrishi river level.

Since 2019, the in-depth study of prehistoric archaeological sites in the region has involved the application of modern methodologies, primarily based on interdisciplinary collaboration with the natural and technical sciences. This integrated approach has enabled the reconstruction of the climatic environment, subsistence strategies, lithic technology, and long-distance connections—particularly with obsidian-rich regions—of the prehistoric communities of Kobuleti and Khutsubani. It has also helped determine the chronology of the settlement occupation and its functional dynamics.

Thus, based on recent archaeological discoveries and interdisciplinary investigations, this study offers a comprehensive overview of the Kintrishi Valley during the Early Holocene (10th–7th millennia BCE).

Key words: Kintrishi, prehistory, site, tool, interdisciplinary

შესავალი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე (აჭარა) ქვის ხანით დათარიღებული საინტერესო არქეოლოგიური ძეგლები მდებარეობს, რომელთა უმეტესობა რეგიონის შავიზღვისპირა ზოლშია კონცენტრირებული [ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1964;

გოგიტიძე, 1978; 2008]. ტოპოგრაფიულად ესაა მდინარეების სიახლოვეს ბუნებრივ ბორცვებზე მდებარე ღია ტიპის ნამოსახლარები.

თანამედროვე გეოლოგიური ეპოქის - ჰოლოცენის დადგომასთან ერთად, საყოველთაოდ შეიცვალა კლიმატი, რაც ჰავის დათბობასა და ფლორისა და ფაუნის გამრავალფეროვნებაში გამოიხატა. როგორც ჩანს, ხელსაყრელმა საცხოვრებელმა გარემომ შესაძლებლობა მისცა უძველეს ადამიანს აეთვისებინა მდინარეებთან და ზღვასთან მდებარე ბუნებრივი ბორცვები. სწორედ ასეთი ტიპის დასახლებები უნდა წარმოქმნილიყო მდ. კინტრიშის ხეობაში, სადაც 2019-2023 წწ. ქართველი და უცხოელი მკვლევარ-სპეციალისტების მიერ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა. მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პრეისტორიული ეპოქის ძეგლები - სოფ. ქობულეთი და ხუცუბანი.

არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენა და მეცნიერული შესწავლა გასული საუკუნის 60-80-იან წლებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლები მონოგრაფიულად შესწავლილია **[გოგიტიძე, 1978; 2008]**, გარკვეული მიზეზების გამო იმ დროს მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული საკითხის დადგენა/დაზუსტება ვერ მოხერხდა. სწორედ ამ მიზნით ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ⁷⁰ განაახლა ძეგლების შესწავლა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. არქეოლოგიური ექსპედიციის მიზანს შეადგენდა დაედგინა უძველესი ადამიანის საცხოვრებელი-საარსებო გარემო, პალეოკლიმატური პირობები, მეურნეობა, ქვის ნედლეულის (იგულისხმება ობსიდიანი) მომარაგების საკითხი და მობილურობა და სხვ. ბუნებრივია, თანამედროვე არქეოლოგიისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აბსოლუტური თარიღების მიღება და, აჭარის პრეისტორიული ეპოქის ძეგლთა განსაზღვრა საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგიის პერიოდიზაციის სისტემაში. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა ძეგლთა პირველშემსწავლელების მიერ ტიპოლოგიურ-შეფარდებითი მეთოდის გამოყენებით განსაზღვრული ასაკი, რამდენად შეესაბამებოდა რადიოკარბონული მეთოდით მიღებულ აბსოლუტურ თარიღებს. ყველა ზემოთ აღნიშნული ამოცანების შესრულებისთვის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

⁷⁰ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გ. ჩხატარაშვილი (ხელმძღვანელი), ვ. მანკო (მოწვ. სპეციალისტი), ქ. ესაკია (ტრასოლოგი), მ. ჭიჭინაძე (პალინოლოგი), ნ. მუჯანაძე (სტუდენტი).

ნაშრომში წარმოდგენილია 2019-2023 წწ. მდ. კინტრიშის ხეობის პრეისტორიული ეპოქის ძეგლებზე - სოფ. ქობულეთსა და ხუცუბანში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისა და საინტერესო ლაბორატორიული კვლევის შედეგები.

გეოგრაფიული გარემო და არქეოლოგიური ბექგრაუნდი.

სოფ. ქობულეთი და ხუცუბანი წარმოადგენენ ღია ტიპის ნამოსახლარებს (სურ. 1), რომლებიც მდებარეობენ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშის ხეობაში, ამავე დასახელების სოფლებში. გეოგრაფიულად, ძეგლები კოლხეთის დაბლობს მიეკუთვნებიან, სადაც აღნიშნული ზონისთვის დამახასიათებელი სუბტროპიკული ჰავა და მცენარეებია გავრცელებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ქობულეთის შავიზღვისპირა ზოლი გამოირჩევა ხშირი ნალექებითა და მაღალი, ფარდობითი ტენიანობით. ნესტიანმა ნიადაგმა და გარემო პირობებმა დიდი პრობლემები შექმნა ძვლოვანი მასალის (ფაუნისტური და/ან ანთროპოლოგიური) დაცულობის მხრივ. სამწუხაროდ, გათხრების შედეგად ღია ტიპის ნამოსახლარებზე არასდროს აღმოჩენილა ორგანული ნაშთები. ამიტომ პრეისტორიული ეპოქის ცხოვრების რეკონსტრუქციისთვის ერთადერთი საშუალებაა ქვის იარაღებისა და მათი წარმოების ნაშთების ანალიზი.

2019-2023 წწ. კინტრიშის ხეობაში არქეოლოგიური ექსპედიციის პარალელურად ჩატარდა პალინოლოგიური ნიმუშების კვლევა, რამაც კიდევ უფრო ზუსტი ინფორმაცია მოგვცა ადრე ჰოლოცენის ხანაში იქ არსებული პალეოგარემოს შესახებ [Chkhatarashvili და სხვ., 2020; Chkhatarashvili და სხვ., 2024a].

სოფ. ქობულეთი. სოფ. ქობულეთის ნამოსახლარის პირველი არქეოლოგიური შესწავლა დაკავშირებულია ცნობილი ქართველი ქალი არქეოლოგების ნ. ბერძენიშვილისა და ლ. ნებიერიძის სახელებთან [ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1964], რომლებმაც აჭარის რეგიონის შავიზღვისპირა ზოლში XX საუკუნის 60-იან წლებში აქტიური სადაზვერვო სამუშაოები ჩატარეს. მოგვიანებით, არქეოლოგიური ძეგლის სიღრმისეული კვლევა წარმატებით განაგრძო არქეოლოგმა ს. გოგიტიძემ, რომელმაც 1973-1986 წწ. არაერთ საინტერესო საველე სეზონი ჩატარა სოფ. ქობულეთში [გოგიტიძე, 1978; 2008].

2019-2023 წწ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით განახლდა საერთაშორისო

არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი სოფ. ქობულეთში. კვლევაში არქეოლოგების გარდა ჩართული იყვნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

არქეოლოგიური ძეგლი ამჟამად სოფ. ქობულეთში მცხოვრები ინაიშვილების საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობს. მთლიანი ტერიტორია დაახლ. 1 ჰა-ს შეადგენს, სადაც მიწის სამუშაოების დროს კულტურული ფენები უმეტეს ადგილებში დაზიანებული აღმოჩნდა. განახლებული არქეოლოგიური ექსპედიციის დროს, დათვალიერდა ე.წ. საეჭვო ადგილები. გაკეთდა საკონტროლო თხრილები უძრავი კულტურული ფენის ძიებისა და, ზოგადად, ნამოსახლარის საზღვრების გავრცელების მიზნით. კულტურული ფენა გადარჩენილი აღმოჩნდა № 3 თხრილში. სულ გაითხარა 100 მ². დაფიქსირდა შემდეგი სტრატиграფია:

0 – 0,2 მ. ჰუმუსი;

0,2 – 0,3 მ. მუქი ყავისფერი ფენა;

0,3 – 0,45 მ. ყავისფერი ფენა;

0,45 – 0,65 მ. ღია ყავისფერი ფენა;

0,65 და ქვემოთ: ყვითელი თიხნარი ფენა, დედაქანი.

ყავისფერ უძრავ ფენაში გამოიკვეთა რამდენიმე შრე, რომელშიც მრავლად აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის არტეფაქტები, სხვადასხვა ფორმის და ზომის ე.წ. სამეურნეო ორმოები, საცხოვრებელი სახლის ბოძის საყრდენი ორმოები, რიყის ქვებით მოკირწყლული იატაკი და სხვ.

ხუცუბანი. ხუცუბნის ნამოსახლარის აღმოჩენა დაკავშირებულია არქეოლოგ ი. გპელიშვილის სახელთან, რომელმაც 1959 წ. ქობულეთის რაიონში დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა. შეგროვდა 58 ერთეული კაჟისა და ობსიდიანის არტეფაქტი (**ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1964: 8**). ამავე წელს, სოფ. ხუცუბანში რამდენიმე ერთეული მასალა შეაგროვა ბათუმის ინსტიტუტის მეცნ.-თანამშრომელმა ა. რამიშვილმა.

1960-1962 წწ. საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანასეულის რაზმმა მოკლევადიანი დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ხუცუბანში, რომლებმაც ახალი მასალები აღმოაჩინეს [**ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1964: 8**].

1967-1968 წწ. არქეოლოგმა სერგო გოგიტიძემ დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა კინტრიშის ხეობაში [**გოგიტიძე, 1978: 32**]. ხუცუბანში როგორც ზედაპირულად, ისე გათხრების

შედეგად მოპოვებულ იქნა კაჟისა და ობსიდიანის დაახლ. 600-მდე არტეფაქტი. მათ შორის 200-მდე იარაღი იყო.

მოგვიანებით, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 2021 წ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებითა და ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის თანადგომით საშუალება მოგვეცა გაგვეგრძელებინა საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება ხუცუბნის ნამოსახლარზე. უძრავი კულტურული ფენის ძიების მიზნით, გაკეთდა რამდენიმე საკონტროლო თხრილი. საინტერესო აღმოჩნდა თხრილი №2 (2×1 მ.), სადაც დაფიქსირდა შემდეგი სტრატиграფიული სურათი:

ჰუმუსი 0 – 20 სმ

მოყავისფრო ფენა 20 – 35 სმ

ყვითელი თიხნარი, სტერილური ფენა 35 – 45 სმ.

დედაქანი 45 სმ და ქვემოთ.

მოყავისფრო ფენა წარმოადგენს კულტურულ ფენას, რომელიც ადრე ჰოლოცენის პერიოდს განეკუთვნება. ფენაში დაფიქსირდა კაჟის და ობსიდიანის მცირე რაოდენობის არტეფაქტები, ხის დამწვარი ნახშირები, ორმოები და სხვ.

მასალა და მეთოდები.

ა) **კაჟისა და ობსიდიანის კომპლექსი.** ქვის ინვენტარის შესწავლის, ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზისა და სტატისტიკური მონაცემების დასადგენად გამოყენებული იყო სოფ. ქობულეთისა და ხუცუბანში 2019-2023 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები [ჩხატარაშვილი, 2019; 2020].

ქვის ინვენტარის შესწავლა მოხდა ჟ. ტიქსიეს [Tixie, 1974] და ხ. ამირხანოვის [Амирханов, 1987] მიერ შემუშავებული ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით. იგი მოიცავდა არტეფაქტების კატეგორიზაციას მათი ტიპოლოგიური მახასიათებლების მიხედვით.

ბ) **ტრასოლოგიური ანალიზი.** ტრასოლოგიური ანალიზი ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტში, დოქტ. ქეთევან ესაკიას მიერ. ანალიზი მოიცავდა ორ ეტაპს. პირველი ეტაპი გულისხმობდა არტეფაქტების ზედაპირის მიკროსკოპულ შესწავლას. იარაღის გამოყენების დროს მის ზედაპირზე, სავსებით კანონზომიერი, სხვადასხვა ტიპის კვალი რჩება [Семенов, 1957; Семенов, Коробкова, 1983],

რომლის შესასწავლად გამოყენებული იყო ბინოკულარული და მეტალოგრაფიული მიკროსკოპი (Olympus).

კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა არტეფაქტთა ფუნქციონალურ ანალიზს [Коробкова, 1987] კლასიფიკაციას დარგების მიხედვით და ჰისტოგრამების აგებას. ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა უძველესი ადამიანის ეკონომიკა, ძეგლის ფუნქცია, მისი გამოყენების ხანგრძლივობა და სხვ.

ტრასოლოგიური ანალიზი ჩატარდა სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ქვის ინვენტარს, რომელმაც მეტად საყურადღებო ინფორმაცია მოგვცა.

გ) **ობსიდიანის XRF ანალიზი.** სოფ. ქობულეთისა და ხუცუბნის კოლექციაში ობსიდიანი საკმაოდ რაოდენობითაა წარმოდგენილი. იგი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ჩვენი ვარაუდით, მათ განსხვავებულ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა ობსიდიანის გეოქიმიური ანალიზი.

კვლევა ჩატარდა მისურის უნივერსიტეტის რეაქტორის კვლევის ცენტრის არქეომეტრიის ლაბორატორიაში პროფ. მ.დ. გლასკოკისა და ჯ.ა. დავენპორტის მიერ. საანალიზედ შეირჩა სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის კოლექციიდან 104 ერთ. ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევი.

ანალიზი ჩატარდა Thermo Quantx ARL ლაბორატორიაზე დაფუძნებული XRF სპექტრომეტრის გამოყენებით. ინსტრუმენტს აქვს როდიუმზე დაფუძნებული რენტგენის მილი, რომელზეც ჩვენ ჩვეულებრივ ვმუშაობთ 35 კვ-ზე დენით, რათა გავზომოთ გამოსხივებული რენტგენის სხივები სილიკონის დიოდური დეტექტორით. ინსტრუმენტი სპეციალურად დაკალიბრებული იყო ობსიდიანისთვის 40 ძალიან კარგად დახასიათებული ობსიდიანის წყაროს ნიმუშების ნაკრების გაზომვით ნეიტრონების აქტივაციის ანალიზით (NAA), ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმური მასის სპექტრომეტრით (ICP-MS) და XRF-ით შემენილი მონაცემების გამოყენებით. ამ კალიბრაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მ. გლასკოკი-ს პუბლიკაცია [Glascok, 2020].

არტეფაქტებს ცალ-ცალკე ჩატარდა ანალიზი ერთი წუთის განმავლობაში, რათა გაზომილიყო ელემენტები. გაზომილი ელემენტები მოიცავს Mn, Fe, Zn, Rb, Sr, Y, Zr, Nb და Th. თუმცა, არტეფაქტების ზომისა და სისქის ცვალებადობის გამო, სანდო მონაცემები მხოლოდ Rb, Sr, Y, Zr და Nb იყო შესაძლებელი.

დ) **პალინოლოგია**. საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ნიმუშების ლაბორატორიული დამუშავება განხორციელდა სტანდარტული მეთოდის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება პალინოლოგიური და არამტვრიანი პალინომორფების (NPP) კვლევისთვის. ანალიზი შესრულდა ოთხ ეტაპად [Гричук, Заклинская 1948; Эрдман, 1952; Moore და სხვ., 1991]. პირველ ეტაპზე 100-150 გრ ნიადაგი (ან სხვა სახის ორგანული ნარჩენები) მოთავსებულია 1000 გრამიან ფაიფურის ჭურჭელში. მას ადუღებდნენ კალიუმის (ან ნატრიუმის) ჰიდროქსიდის (KOH ან NaOH) 10%-იან ხსნარში. მეორე ეტაპზე, ნიადაგის ნიმუშიდან ორგანული ნარჩენების ამოღება მოხდა მისი ცენტრიფუგაციის გზით კადმიუმის იოდიდის ხსნართან ერთად (CdI₂). მესამე ეტაპზე მოხდა აცეტოლიზი, ანუ შეღებილი მასალა. ბოლო, მეოთხე ეტაპზე, ორგანული ნარჩენები გააშრეს და გლიცერინში მოათავსეს.

ლაბორატორიული დამუშავების შემდეგ მასალა შეისწავლეს და გადაიღეს 200x-400x-მდე OMAX-ის მიკროსკოპის გამოყენებით. სტატისტიკური დამუშავება და დიაგრამის აგება განხორციელდა პროგრამით „Tilia” [Grimm, 2004], ხოლო გადაღებული მასალის საილუსტრაციო ფოტოები დამუშავდა „Corel draw”-ის პროგრამით.

კინტიშის ხეობის უმველეს მცხოვრებთა პალეოგარემოს აღდგენის მიზნით პალინოლოგიური ნიმუშები აღებულ იქნა სოფ. ქობულეთისა და ხუცუბნის ნამოსახლარებიდან. სულ შესწავლილი იქნა 7 ნიმუში.

ე) **რადიოკარბონული ანალიზი**. სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარების ზუსტი ასაკის დასადგენად გამოყენებული იყო თანამედროვე არქეოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დათარიღების მეთოდი - რადიოკარბონული ანალიზი (C¹⁴). კვლევა ჩატარდა VILNIUS RADIOCARBON-ის ლაბორატორიაში, სადაც ხორციელდება ამაჩქარებლის მასის სპექტრომეტრით (AMS) რადიოკარბონული დათარიღება. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა, მცირე ცდომილებით დათარიღდეს უმცირესი ზომის სხვადასხვა სახის ორგანული/არაორგანული ნიმუშები. იმის გათვალისწინებით, რომ სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარებზე ორგანული ნიმუშები არ შემორჩა, საანალიზედ შევარჩიეთ ხის დამწვარი ნახშირის ფრაგმენტები.

შედეგები:

ა) სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარებზე იარაღების დასამზადებლად უმეტესად კაჟია გამოყენებული. თუმცა, ობსიდიანიც საკმაო რაოდენობით გვხვდება. ქვის ინვენტარის ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზით ჩანს, რომ ძეგლებზე გავრცელებული იყო ქვის დამუშავების ხელისწევითი ტექნიკა. ამას ადასტურებს კონუსური და ფანქრისებრი ნუკლეუსები. ნუკლეუსების უმრავლესობა ბოლომდეა უტილიზებული. მონაპოვრებში რამდენიმე ნუკლეუსის ფირფიტაცაა.

სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ქვის ინვენტარი მთლიანად შედგება 2 353 ერთეულისგან (ცხრ. 1). მათგან 541 წარმოდგენს იარაღს. ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე, იარაღები შემდეგნაირად განაწილდა (სურ. 2-3).

იარაღებში დომინირებს საჭრისები, რომლებიც უმეტესად დამზადებულია ორ და სამფერდა ლამელებზე. ძირითადად მარტივი ცალგვერდა საჭრისებია, თუმცა, გვხვდება ორგვერდა ეგზემპლარებიც. აღსანიშნავია, რომ სასაჭრისე ჩამონატეხი იარაღებს ბოლომდე მიუყვება.

იარაღებს შორის მეორე ადგილს იკავებს რეტუშირებული და გვერდამოღარული ლამელები. უმთავრესად ისინი დამზადებულია ლამელების დისტალურ და პროქსიმალურ ნაწილებზე. რეტუშის ხასიათი უმეტესად ფაქიზი და წვრილია, რომელიც ძირითადად გაკეთებულია დისტალური მხრიდან. შედარებით ნაკლებია ორივე მხრიდან რეტუშის კვალი. რაც შეეხება გვერდამოღარულ ლამელებს, ამოღარვა ძირითადად გაკეთებულია ზურგის მხრიდან. ხშირ შემთხვევაში ამოღარვა ფართო არაა.

რაც შეეხება საფხეკებს, ორივე ძეგლის იარაღთა კატეგორიაში შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ტიპოლოგიურად მათში შეიძლება გამოვყოთ ოვალურსამუშაოპირიანი, მრგვალი, მაღალი, ბოლოკიდურა და სხვ. იარაღთა დასამზადებლად ორფერდა ლამელები და შედარებით მოზრდილი ანატკეცები გამოყენებული.

სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის კოლექციაში მცირე რაოდენობით გვხვდება სატეხები, სახვრეტები და სათლელები. იარაღების დასამზადებლად ანატკეცები და ვიწრო, დანისებრი ლამელებია გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ იარაღთა კატეგორიაში საინტერესო ჯგუფითაა წარმოდგენილი გვერდდაზღაგვებული მიკროლამელები. მათ დასამზადებლად უმთავრესად

მიკროლამელების მედიალური ნაწილებია გამოყენებული, რომელთა ზომები საკმაოდ მცირეა. მსგავსი მცირე ზომის იარაღები გამოიყენებოდა ნადირობაში სასროლ-სატყორცნი იარაღების ჩასართებად, რომელიც უმეტესად ძვლის ან რქის ბუდეში თავსდებოდა.

ამასთან ერთად, ხუცუბნის კოლექციაში ყურადღებას იქცევს კაშკაშოკის ტიპის იარაღები, რომლებიც კოლექციაში რამდენიმე ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (Chkhatarashvili და სხვ., 2024a). ამდენივეა, კვირიკეს ნამოსახლარზეც [Manko, Chkhatarashvili, 2023]. მათი აღმოჩენა ჩვენი რეგიონის პრეისტორიული ეპოქის ძეგლებზე ძალიან მნიშვნელოვანია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ახლო აღმოსავლეთთან აქტიურ კონტაქტებს გვიან პლეისტოცენსა და ადრე ჰოლოცენის ზღვარზე [Manko, Chkhatarashvili, 2022].

სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარებზე ქვის ინვენტარის დიდი ნაწილი წარმოების ნაშთს უკავია. ნუკლეუსებიც მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ იარაღების დამზადება ადგილზე არ ხდებოდა და იგი უკვე ადამიანებს მზა პროდუქციის სახით მოჰქონდათ ნამოსახლარზე.

ბ) მიკროსკოპის საშუალებით დათვალიერებულ იქნა სოფ. ქობულეთში 2019 წ. ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული კაჟისა და ობსიდიანის მასალა. ანალიზის მიხედვით გამოყენების კვალი დაფიქსირდა ლამელებზე, მიკროლამელებსა და ანატკეცებზე, რომელსაც ვიზუალურად არ ეტყობოდა დამუშავება. უფრო მეტიც, რამდენიმე მათგანს გააჩნდა კიდევ მეორე სამუშაო გვერდი. ბუნებრივია, ამან გაზარდა იარაღთა რაოდენობა, რაც კარგად ჩანს ტიპოლოგიურ და ტრასოლოგიურ მონაცემებში.

ტრასოლოგიური ანალიზის მიხედვით გამოიყო იარაღთა ისეთი სახეები, როგორიცაა: დანები, სახოკები, საფხეკები, საჭრისები, კომბინირებული იარაღები, სათლელისებრი იარაღები და სხვ. კვლევა აჩვენებს, რომ ძირითადი დომინანტი იარაღებია: დანები, სახოკები და საფხეკები, მაშინ როდესაც ტიპოლოგიური სურათი სავსებით განსხვავებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დაახლ. 3-ჯერ გაიზარდა დანების რიცხვი დაუმუშავებელი ლამელების და მიკროლამელების ხარჯზე. აღსანიშნავია, იარაღების ისეთი კატეგორიების რიცხვის ზრდა (საფხეკები, სახოკი, კომბინირებული იარაღი), რომელიც ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად ერთეულების სახით იყო წარმოდგენილი. ამასთან ერთად, თითქმის სრულიად გაქრა იარაღთა ისეთი ჯგუფები, რომლებიც ტიპოლოგიურად

გამოყოფილი იყო როგორც რეტუმირებული ლამელები და ანატკეცები [Эсакия და სხვ., 2020: 71-76].

ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად იარაღთა თითქმის ნახევარი დაკავშირებულია ნანადირევი პროდუქტის დამუშავებასთან (44 %). საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი შეადგინა იარაღებმა, რომლებიც ხის/ძვლის დამუშავებასთან არის დაკავშირებული (34,5 %). რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილზეა ტყავის დამუშავების საქმე (20,2 %).

როგორც ჩანს, ნანადირევი ხორცის დამუშავებისთვის გამოიყენებოდა დანები. უმთავრესად ერთპირიანი დანებია. თუმცა, არის ორპირიანი ცალებიც. მათ დასამზადებლად ძირითადად გამოყენებულია ობსიდიანის ლამელები და მიკროლამელები. უნდა აღინიშნოს, რომ ტიპოლოგიურად გამოყოფილი დანები ანალიზითაც დამტკიცდა. დანების უმეტესობაზე ჩანს გამოყენების კვალი. თუმცა, კვალი არაა ხანგრძლივი დროის მაჩვენებელი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კოლექციაში ცოტაა ისეთი დანები, რომლებზედაც გამოყენების კვალი კარგად ჩანდეს. ასეთ მათგანს მიეკუთვნება ორპირიანი დანა (საინვ. № 106). მიკროსკოპის საშუალებით შეინიშნება ორივე პირზე გამოყენების კვალი, პირები მოგლუვებულია, ჩანს სიპრიალაც.

რაც შეეხება ხის/ძვლის დამუშავებასთან დაკავშირებულ იარაღებს, მათში გამოირჩევა: სახოკები, სათლელი, სატეხი და სხვ. იარაღები ძირითადად ერთპირიანებია. სამუშაო გვერდებზე ჩანს მცირე ამონატეხები, მუცლის მხრიდან შეინიშნება ხაზოვანი კვალი. ამ ჯგუფში ბევრია კომბინირებული იარაღებიც. აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი გამოყენების კვალი თითქმის არც ერთ მათგანზე არ ჩანს. ტიპოლოგიურად ისინი გამოყოფილია როგორც რეტუმირებული იარაღები. გვხვდება ისეთებიც, რომლებიც საერთოდ არ ატარებენ მეორადი დამუშავების კვალს, თუმცა, გამოყენებულია.

მესამე ადგილს იკავებს ტყავის დასამუშავებელი იარაღები. ესენია: საფხეკები, საჭრისები, წვეტანისებრი და საფართისებრი იარაღები. ერთეული ეგზემპლარებითაა წარმოდგენილი სახვრეტები. იარაღების დასამზადებლად ლამელების და მიკროლამელების ცალი გვერდებია გამოყენებული. იშვიათია ორპირიანი იარაღები.

საფართისებრი და წვეტანისებრი იარაღები ლამელებზეა დამზადებული. აღსანიშნავია, რომ იარაღთა ამ კატეგორიების გამოყოფა შესაძლებელი გახდა უშუალოდ ტრასოლოგიური ანალიზის შედეგად. სამუშაო გვერდს ეტყობა კვალი, თუმცა, იგი ძლიერი არაა. სავარაუდოდ, მცირე ხნით ან ერთჯერადად არის გამოყენებული.

რაც შეეხება სატეხებს, მხოლოდ ერთი ცალია წარმოდგენილი. დამზადებულია ანატკეცზე. სამუშაო გვერდს კარგად ეტყობა გამოყენების კვალი. აღსანიშნავია, რომ ტიპოლოგიურად სატეხების რაოდენობა გაცილებით ბევრი იყო, რაც ტრასოლოგიურმა კვლევამ არ დაადასტურა.

კოლექციაში გვაქვს კომბინირებული იარაღებიც (8 ერთ.). მათში უმეტესად ფიგურირებს დანები, რომელთა მეორე გვერდი სხვადახვა ფუნქციით არის გამოყენებული [Эсакия და სხვ. 2020: 71-76].

უახლოეს მონაპოვრებში ერთი ცალია ქვის დასამუშავებელი რეტუმორი. მუცლის მხარეს ჩანს იარაღის დამუშავების შედეგები, პატარ-პატარა წერტილების მსგავსი ამონატეხები.

სამწუხაროდ, ხუცუბნის ქვის ინვენტარის ტრასოლოგიური ანალიზი ჯერ არ დასრულებულა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სოფ. ქობულეთის მსგავსად აქაც დომინირებს ხორცის დასამუშავებელი იარაღები, შედარებით ნაკლებია ტყავის დამუშავებისთვის საჭირო იარაღები. მიკროსკოპულად შესწავლილი იარაღების უმეტესობა არ ატარებს ხანგრძლივი გამოყენების კვალს.

გ) სოფ. ქობულეთის ობსიდიანის არტეფაქტების რენტგენოსპექტრალურ-ფლუოროცენციური (XRF) მეთოდით კვლევამ 3 ერთმანეთისგან განსხვავებული წყარო გამოავლინა (სურ. 4). კერძოდ, სოფ. ქობულეთში ობსიდიანის მომარაგება უმთავრესად ხდებოდა ჭიქიანის მთიდან, რაც პირდაპირი ხაზით ნამოსახლარიდან 180-200 კმ-ით არის დაშორებული. მეორე წყარო თანამედროვე აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ჰამამლის (სარიყამიში, „ჩრდილოეთ ჯგუფი“) ობსიდიანის საბადოა, რომელიც ასევე 2 ასეული კილომეტრითაა დაშორებული. მესამე წყაროს ზუსტი იდენტიფიცირება მაშინ ვერ მოხერხდა [Chkhatarashvili, Glascock, 2022]. უკანასკნელ პერიოდში, პროფ. მ.დ. გლასკოკმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სოფ. ქობულეთში დადასტურებული მესამე წყარო შესაძლოა იყოს ჩრდილოეთ კავკასიაში „ახშთუ“-ს ტიპის ობსიდიანის საბადო [Kuzmin და სხვ., 2023]. ამ მიზნით, 2023 წ. ხელმეორედ განხორციელდა ობსიდიანის არტეფაქტების გეოქიმიური ანალიზი, რამაც „ახშთუ“-ს ტიპის ობსიდიანის წყარო დაადასტურა (ჩხატარაშვილი, 2025).

რაც შეეხება ხუცუბნის ობსიდიანს (სურ. 5), კვლევამ აჩვენა, რომ ობსიდიანის ნედლეული მხოლოდ ჭიქიანის წყაროდან იყო მოტანილი [Chkhatarashvili და სხვ., 2024a].

დ) პალინოლოგიურმა კვლევებმა საინტერესო ინფორმაცია მოგვცა კინტრიშის ხეობის უძველესი პალეოგარემოს აღდგენის მიზნით. სოფ. ქობულეთში შემდეგი სურათი (სურ. 6) გამოჩნდა:

ნიმუში 1.

პალინოლოგიური კვლევის შედეგად ნიმუშში ხემცენარეებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით მურყნის მტვერია წარმოდგენილი, შედარებით ნაკლებია რცხილას მტვრის მარცვლები, ერთეულია ძელქვისა და თხილის მტვერი. ბალახოვნებიდან. ასტრას და ფარსმანდუკის მტვრის მარცვლები გვხვდება. პალინოლოგიურ სპექტრში მრავლადაა გვიმრის სპორებიც.

არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ნიმუშში ბევრია ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, მათ შორის ჭურჭლოვან უჯრედებსაც ვხვდებით. შედარებით ნაკლებია სოკოს სპორების ნაშთები. სპექტრში ნაპოვნია სახამებლის მარცვლები, ხავსის ნაშთები, მცენარის ეპიდერმისი და მცირე რაოდენობით ფიტოლიტები.

ნიმუში 2.

ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში ხემცენარეებიდან აღმოჩნდა ფიჭვის, მურყნის მტვერი, კაკლის და თხილის ერთეული მტვრის მარცვლები, ბევრია გვიმრის სპორები. ბალახოვნებიდან ასტრაა წარმოდგენილი.

არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფებიდან მრავლადაა დამწვარი ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, სახამებლის მარცვლები და ფიტოლიტები, სოკოს სპორები [Geel, 2011]. აღმოჩნდა ასევე, ტიპის კლანჭისა და მწერის ბუსუსის ნაშთები. ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში ვხვდებით ძვლის მარილის კრისტალსა და განუსაზღვრელ არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფებს [Chichinadze, 2013; Kvavadze და სხვ., 2010a]. ამ ნიმუშში, ასევე, სელის ქსოვილის ბოჭკოც დაფიქსირდა.

ნიმუში 3.

პალინოლოგიური თვალსაზრისით ძალიან ღარიბია. მხოლოდ გვიმრის სპორაა აღმოჩენილი. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან მრავლადაა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები. მათ შორის ფიჭვიც განისაზღვრა. ნიმუშში ასევე ბევრია სახამებლის მარცვლები, განუსაზღვრელი სოკოს სპორები, სოკოს სპორანგიუმი. ნაპოვნია წყალმცენარის და ხავსის ნაშთები, განუსაზღვრელი არაპალინოლოგიური ტიპის ნაშთები და სელის ქსოვილის ბოჭკოები.

საინტერესო სურათი დაფიქსირდა ხუცუბნის ნამოსახლარზეც (სურ. 7).

ნიმუში 1.

ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში მცენარეთა მტვრის მარცვლები საერთოდ არ არის წარმოდგენილი. არაპალინოლოგიური პალინომორფებიდან (NPP) ბევრია სახამებლის მარცვლები, ცოტაა განუსაზღვრელი ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, ერთეულია სელის ბოჭკოები და, ასევე, მცირე რაოდენობით ვხვდებით ვულკანური მინის ნაშთებს.

ნიმუში 2.

ამ ფენიდან აღებული ნიმუში პალინოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მდიდრული აღმოჩნდა. ხემცენარეებიდან მრავლადაა მურყნის (*Alnus barbata*) მტვერი, შედარებით ნაკლებია რცხილის (*Carpinus betulus*), კაკლის (*Juglans regia*), თხილის (*Corylus*) და წაბლის (*Castanea sativa*) მტვრის მარცვლების რაოდენობა. ბალახოვნებიდან ვხვდებით მიხაკისებრთა ოჯახის (*Caryophyllaceae*) წარმომადგენლების მარცვლოვნების (*Poaceae*) მტვერს. ნიმუშში გვიმრის სპორები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა, მათ შორის *Pteridium aquilinum*-ი და *Polypodium vulgare* არის განსაზღვრული.

არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფებიდან მრავლადაა სახამებლის მარცვლები, ბევრია განუსაზღვრელი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, შედარებით ნაკლებია ფიტოლიტები, ასევე მრავლადაა სოკო გლომუსის და განუსაზღვრელი სოკოს სპორები, ნაპოვნია ერთეული ტკიპის ნაშთები.

ნიმუში 3.

ამ ნიმუშში პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ნაშთები ყველაზე მრავალფეროვანია. ხემცენარეებიდან ბევრია მურყნის მტვერი, ერთეულია წაბლის, ცოტაა ხორბლის მტვრის მარცვლების რაოდენობა. მრავლადაა გვიმრის სპორები, მეორე ნიმუშის მსგავსად აქაც სახეობამდე *Polypodium vulgare* და *Pteridium aquilinum* არის განსაზღვრული.

არაპალინოლოგიური ნაშთებიდან მრავლადაა მცენარეთა სახამებლის მარცვლები და ფიტოლიტების ნაშთები, ასევე ბევრია განუსაზღვრელი სოკოს სპორები. ნიმუშში ცოტაა ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, ერთეულია ხავსის ნაშთები. ნაპოვნია ცხოველის ბეწვი, ტკიპების და მწერების ნაშთები. ქსოვილის ბოჭკოებიდან ბევრია სელის, ერთეულია კანაფის ნაშთები. ბოჭკოებს შორის ნაპოვნია ცისფერი ბოჭკოც.

ნიმუში 4.

ეს ნიმუში პალინოლოგიური კვლევის მიხედვით ყველაზე ღარიბი აღმოჩნდა. მცენარეებიდან მხოლოდ გვიმრის სპორებია წარმოდგენილი. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ბევრია ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები და სახამებლის მარცვლები. მცირე რაოდენობით ვხვდებით განუსაზღვრელ სოკოს სპორებს, კიდეც უფრო ცოტაა ხავსის ნაშთები. ე) აჭარის პრეისტორიული ხანის ძეგლთა შესწავლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი იყო აბსოლუტური თარიღების მიღება, რამაც კიდეც უფრო დააზუსტა ძეგლთა ასაკი (ცხრ. 2). ამასთან ერთად, ახალმა თარიღებმა აჩვენა, რომ ნამოსახლარები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში აქტიურად იყო ათვისებული.

დასკვნა:

ამრიგად, სოფ. ქობულეთსა და ხუცუბანში ჩატარებულმა ინტერდისციპლინურმა კვლევებმა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მოგვცა კინტრიშის ხეობის უძველეს მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. როგორც ქვის ინდუსტრიის ტექნო-ტიპოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, ორივე ნამოსახლარზე გავრცელებული იყო ქვის დამუშავების ხელის წნევითი ტექნიკა. ამასთან ერთად, იარაღები მრავალფეროვნებითა და სიმრავლით გამოირჩეოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორივე ძეგლის ქვის ინვენტარში გვერდდაბლაგვებული მიკროლამელების არსებობა და კაშკაშოკის ტიპის იარაღები, რომლებიც მკვლევართა მოსაზრებით ახლო და შუა აღმოსავლეთთან აქტიურ კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს [Manko, 2013; Manko, Chkhatarashvili, 2022]. უფრო მეტიც, გამოთქმულია მოსაზრება, რომ გვიანპლეისტოცენ-ადრეჰოლოცენის ხანაში თანამედროვე ირან-ერაყის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. მლეფაატური კულტურის მატარებელი ტომები იწყებენ მიგრაციებს, რომლის ერთ-ერთ ტალღას უნდა შემოედწია ჩვენს რეგიონში. ჩვენი აზრით, ამან საფუძველი ჩაუყარა ე.წ. „ქობულეთის კულტურა“-ს. ამ უკანასკნელში ერთიანდება სოფ. ქობულეთი, ხუცუბანი, კვირიკე, ჯიხანჯური, ანასეული I [ნებიერიძე, 1972], დარკვეთის ეხი [ნებიერიძე, 1978; Chkhatarashvili და სხვ., 2025], ბავრა, ბავრა I-II [გაბუნია, 2001], ბავრა-აბლარი [Varoutsikos და სხვ., 2017] და ა.შ.

ფაქტია, რომ ქვის ინვენტარის ახალი ნოვაციები ჩვენს რეგიონში აქტიური კონტაქტების შედეგად უნდა შემოსულიყო. მომავალში წარმოებული სამუშაოები კიდევ უფრო მეტ სიცხადეს შეიტანს აღნიშნულ საკითხში.

ტრასოლოგიური ანალიზის მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. როგორც ტიპოლოგიური, ისე ტრასოლოგიური ანალიზის მიხედვით ჩანს, იარაღთა ძირითადი ნაწილი ლამელებსა და მიკროლამელებზეა დამზადებული; 2. ტრასოლოგიურად გამოყოფილ იარაღებში დომინირებს უშუალოდ ნანადირევი ხორცის და ტყავის დამუშავებასთან დაკავშირებული იარაღები. შედარებით ნაკლებია ხის/ძვლის დამუშავების საქმე; 3. სოფ. ქობულეთი ნადირობასთან დაკავშირებული დროებითი სადგომი უნდა იყოს. ასე ვთქვთ ე.წ. ლოჯისტიკური სამონადირეო ბანაკი, სადაც ნანადირევ ხორცს იქვე ამუშავებდნენ და მიჰქონდათ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელში. წინასწარული კვლევებით, მსგავსი სურათი უნდა გვექონდეს ხუცუბნის ნამოსახლარზეც.

სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ქვის კოლექცია შედგება უმთავრესად კაჟისა და ობსიდიანისგან. კაჟი მაღალი ხარისხით გამოირჩევა, რომელშიც მოწითალო-მოვარდისფრო ფერი სჭარბობს. სამწუხაროდ, კაჟის წარმომავლობის საკითხი ჩვენს რეგიონში დღემდე არაა შესწავლილი, რადგან შავიზღვისპირა ზოლში აღმოჩენილი კაჟი ძალიან განსხვავდება ზემო აჭარაში დაფიქსირებული კაჟისგან. არაა გამორიცხული, რომ კინტრიშის ხეობის სათავეებთან კაჟის გამოსავლებიც იყოს დადასტურებული. ვფიქრობთ, სამომავლოდ, გეოლოგებთან ერთად ჩატარებული ერთობლივი სადაზვერვო სამუშაოები მეტ სიცხადეს შეიტანს ამ საკითხში.

რაც შეეხება ობსიდიანს, როგორც აღმოჩნდა, იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა კინტრიშის ხეობის უძველეს მცხოვრებთა შორის. სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ობსიდიანის სიღრმისეულმა შესწავლამ კი უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მოგვცა ქვის ნედლეულის შერჩევის სტრატეგიების ცოდნასა და მობილურობაზე. გამოდის, რომ ობსიდიანის ხელში ჩაგდების მიზნით იმდროინდელ ადამიანს რამდენიმე ასეული კმ-ის გავლა სჭირდებოდა. თუმცა, არაა გამორიცხული, ადგილი ჰქონოდა უძველეს ადამიანთა შორის „ვაჭრობასაც“.

უძრავი კულტურული ფენებიდან აღებული და შესწავლილი ნიმუშების პალეოლითური ანალიზით დგინდება, რომ ადრეპოლოცენის პერიოდში სოფ. ქობულეთში კლიმატი სხვადასხვაგვარი იყო.

პირველი ნიმუშის კვლევის თანახმად, კლიმატი თბილი და ნესტიანი უნდა ყოფილიყო, რადგან პალინოლოგიურ სპექტრში ძირითადად სითბოსმოყვარული მცენარეები მურყანი, ძელქვა და გვიმრის სპორები დომინირებენ [Kvavadze და სხვ., 2005]. ფარსმანდუკი და ასტერი სამკურნალო მცენარეებს განეკუთვნებიან [Martkoplishvili, Kvavadze, 2015; Martkoplishvili, 2017; Martkoplishvili, Kvavadze, 2017]. ნიმუშში სახამებლის მარცვლებისა და ფიტოლიტების სიუხვე დაშლილი ხორბლეულის [Kvavadze და სხვ., 2011] არსებობით შეგვიძლია ავხსნათ. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმდროინდელი ადამიანები აგროვებდნენ ველურ მარცვლეულს, სოკოებს და მათ საკვებად მოიხმარდნენ.

მეორე და მესამე ნიმუშის თანახმად, შესაძლოა კლიმატი შეიცვალა და ცოტა აცივდა, რადგან სითბოსმოყვარულ მცენარეებთან ერთად წიწვოვნებიც გამოჩნდნენ. მეორე ნიმუშის შესწავლის დროს, უძრავ ფენაში გამოვლენილი სხვადასხვა დანიშნულების ორმოებში, სახამებლის მარცვლების, ფიტოლიტების და ტკიპის ნაშთების აღმოჩენა მკვლევართა მოსაზრებით, ალბათ, შენახული ხორბლეულის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ ორმოში აღმოჩენილი ძვლის მარილის კრისტალი, შესაძლოა აქ მოხვედრილი ხორცის კვალიც იყოს [Chichinadze, 2013; Kvavadze და სხვ., 2010a]. მესამე ნიმუშშიც ასევე ბევრია სახამებლის მარცვლები, განუსაზღვრელი სოკოს სპორები, სპორანგიუმთან ერთად. ნაპოვნია წყალმცენარის ნაშთები და სელის ქსოვილის ბოჭკოები.

ანალოგიური დასკვნის გამოტანა შეიძლება ხუცუბნის ნამოსახლარზეც. აქაური კლიმატი თბილი და ნესტიანი უნდა ყოფილიყო. ნამოსახლარის ირგვლივ მურყნის ტყე ვრცელდებოდა, რასაც ნიმუშების პალინოლოგიურ სპექტრში სითბოს და ნესტის მოყვარული მურყნის მტვრის დიდი რაოდენობით და ტყისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა გვიმრის სახეობებით, ხავსის ნაშთებით დგინდება.

ნიმუშში ეწრის გვიმრის (*Pteridium aquilinum*) სპორების, და დამწვარი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედების აღმოჩენით შეიძლება ვივარაუდოთ ხანძრის კვალი. როგორც ცნობილია, ეწრის გვიმრა ხანძრის ან ტყის გაჩეხვის ინდიკატორია [Rivera და სხვ., 2012].

როგორც ცნობილია, ქვის ხანის ადამიანები საკვებად მარცვლოვნებს, თხილს, კაკალს და წაბლს გამოიყენებდნენ. ხუცუბნის ნიმუშებში ამ მცენარეთა მტვრის აღმოჩენით ამ მოსაზრებას ჩვენც ვადასტურებთ [Kang და სხვ., 2013].

ხუცუბნის კულტურული ფენებიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური კვლევის საფუძველზე სელის და კანაფის ბოჭკოებიც განისაზღვრა. თავდაპირველად სელის ქსოვილის

ბოჭკოების მიკროსკოპული ნაშთები დასავლეთ საქართველოში მდებარე ძუძუნასა და ბონდის გამოქვაბულებში იქნა ნაპოვნი. ამ კვლევის თანახმად, დადგინდა, რომ ქვის ხანის ადამიანები სელის ბოჭკოებისგან ამზადებდნენ და ლეზავდნენ ბაწარს და შემდგომ იყენებდნენ მას თოკების და ჩანთების დასამზადებლად. ამ ბაწარებისგან ქსოვდნენ ტანსაცმელსაც [Kvavadze და სხვ., 2009; 2010; 2011, Bar-Yosef და სხვ., 2011]. გამოდის, რომ ხუცუბნის მაცხოვრებლებს სელის გარდა კანაფის ქსოვილის დამზადებაც შეეძლოთ [ჩხატარაშვილი და სხვ., 2023].

სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარების ასაკი ძეგლის პირველშემწავლელმა ს. გოგიტიძემ გვიანმეზოლით-ადრენეოლითის ხანით განსაზღვრა, რაც საქართველოს არქეოლოგიური პერიოდიზაციის თანახმად ძვ.წ. IX-VIII ათასწლეულებში თავსდება. ჩვენს მიერ წარმოებული ინტერდისციპლინური კვლევების ფარგლებში მივიღეთ აბსოლუტური თარიღებიც, რომლებიც მართალია ძირითადად ემთხვევა ს. გოგიტიძისეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში უფრო აზუსტებს მათ.

ამდენად, სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის სახით გვაქვს ჯერჯერობით ერთადერთი ნამოსახლარები, რომლებიც ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაძლევენ ჩვენი რეგიონის უკანასკნელ მონადირე-შემგროვებელთა ცხოვრების შესახებ.

მადლობა.

ნაშრომის ავტორი მადლობას უხდის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმს სოფ. ქობულეთსა და ხუცუბანში საველე არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელების მიზნით საჭირო ფინანსური მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებული მადლობა ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისთვის დოქტ. მაია ჭიჭინაძეს (პალინოლოგი), დოქტ. ქეთევან ესაკიას (ტრასოლოგი), პროფ. მიხეილ დ. გლასკოკს და დოქტ. ჯეიმს ა. დავენპორტს (გეოქიმიკოსი).

ილუსტრაციების აღწერილობა:

- 1 - სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარების მდებარეობა რუკაზე;
- 2 - კაჟის და ობსიდიანის ქვის კოლექცია (სოფ. ქობულეთი);
- 3 - კაჟის და ობსიდიანის ქვის კოლექცია (ხუცუბანი);
- 4 - Rb-ის Sr-ის დაშლა სოფ. ქობულეთის ობსიდიანის არტეფაქტებისთვის. წყაროების ელიფსები ნაჩვენებია 90% ნდობის დონეზე.
- 5 - Rb-ის Sr-ის დაშლა ხუცუბნის ობსიდიანის არტეფაქტებისთვის. წყაროების ელიფსები ნაჩვენებია 90% ნდობის დონეზე.
- 6- პალეონოლოგიური ნაშთებისა და არაპალეონოლოგიური პოლინომორფების რაოდენობრივი დიაგრამა (სოფ. ქობულეთი);
- 7- პალეონოლოგიური ნაშთებისა და არაპალეონოლოგიური პოლინომორფების რაოდენობრივი დიაგრამა (ხუცუბანი);

ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი ნ., ნებიერიძე ლ.** 1964. ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბილისი, 7-16;
- გოგიტიძე ს.** 1978, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი;
- გოგიტიძე ს.** 2008. კინტრიშის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ხანის ნამოსახლარი), ბათუმი;
- გაბუნია მ.** 2001. ჯავახეთის მეზოლითური კულტურა (სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონი), *ჯავახეთი: წარსული და თანამედროვეობა*, 136-165
- ნებიერიძე ლ.** 1978. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბილისი.
- ჩხატარაშვილი გ.** 2020. 2019 წელს სოფ. ქობულეთის ქვის ხანის სადგომზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 2019 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 381-385
- ჩხატარაშვილი გ.** 2023. პრეისტორიული ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები ფიჭვნარის შემოგარენში, ფიჭვნარი VIII, ბათუმი, 9-23;
- ჩხატარაშვილი გ., მანკო ვ., ხალვაში მ.** 2023. ფეიქრობის წარმოშობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველეს მცხოვრებთა საქმიანობა (უახლესი კვლევების მიხედვით), *ჟურნ. „ქრონოსი“*, 4, 211-226;
- ჩხატარაშვილი გ.** 2025. ახალი მონაცემები სოფ. ქობულეთის ობსიდიანის მომარაგებისა და უძველესი ადამიანის მობილურობის შესახებ, შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე (სტატია გადაცემულია დასაბეჭდათ).
- Амирханов Х. А.** 1987. Чохское поселение, человек и его культура в мезолите и неолите горного Дагестана, Москва: Наука.

- Гричук В.П., Заклинская Е.Д. 1984.** Анализ ископаемых пыльцы и спор и его применение в палеогеографии, Москва
- Коробкова, 1987 Коробкова Г.Ф. 1987.** Хозяйственные комплексы ранних земледельческо-скотоводческих обществ юга СССР, Ленинград.
- Манко В. 2015.** Похождения кукрецької культури, Наукові студії, вип. 8, Київ
- Семенов С.А. 1957.** Первобытная техника, М.; Л.: МИА, АН СССР
- Семенов С.А., Коробкова Г.Ф. 1983.** Технология древнейших производств (мезолит–энеолит), Наука
- Эрдман Г. 1952.** Морфология пыльцы и систематика растения, Москва
- Эсакия К., Чхатарашвили Г, Кахидзе А. 2020.** КОМПЛЕКСНЫЙ АНАЛИЗ КАМЕННОГО ИНВЕНТАРЯ РАННЕГОЛОЦЕНОВОЙ СТОЯНКИ КОБУЛЕТИ, Tyragetia, 71, s.n., vol. XIV [XXIX], nr. 1, 71-76;
- Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Jakeli N., Bar-Oz G., Boaretto E., Goldberg P., Kvavadze E., Matskevich Z. 2011.** Dzudzuana: an Upper Paleolithic cave site in the Caucasus foothills (Georgia), ANTIQUITY, Vol. 85, Issue 328, 331-349.
- Bronk Ramsey C., Lee S. 2013.** „Recent and Planned Development of the Program OxCal. “ *Radiocarbon* 55(2–3), 720-730.
<https://doi.org/10.1017/S0033822200057878>
- Chichinadze M. 2013.** Palaeoecology and Economics of the Central Colchis Antiquity (Based on palynological studies of archaeological sites). According to Palynological Data. PhD thesis. Ilia State University
- Ckhatarashvili G., Manko V., Kakhidze A., Esakiya K., Chichinadze M., Kulkova M., Streltsov M. 2020.** South-East BlackSea Coast in Early Holocene Period (According to interdisciplinary archaeological investigations in Kobuleti site), Sprawozdania Archeologiczne, 72(2), 213-230
<https://doi.org/10.23858/SA/72.2020.2.2261>
- Chkhatarashvili G. Manko V. 2020.** Kobuleti Site. The Evidence for Early Holocene Occupation in Western Georgia. Documenta Praehistorica, XLVII, 28-35.
<https://doi.org/10.4312/dp.47.2>
- Chkhatarashvili G., Glascock M. 2022.** Obsidian at Kobuleti (WesternGeorgia): Evidence for early human contact in Western Transcaucasia during the Early Holocene, Archaeological Research in Asia, 29, 1-8
<https://doi.org/10.1016/j.ara.2021.100348>
- Chkhatarashvili G., Chichinadze M., Glascock M.D., Davenport J.A., Khalvashi M., Aslanishvili L., Rodinadze Sh. 2024a.** Interdisciplinary investigation of the Khutsubani site (Western Georgia). Revista Arheologică, serie nouă, vol. XX, nr. 1, 171-183,
https://doi.org/10.52603/RA.XX.1.2024_09
- Chkhatarashvili G., Davenport J.A., Glascock M.D., Khalvashi M., Zoidze T. 2024b.** Reconstructing Neolithic obsidian procurement in Western Georgia through an obsidian characterization study. Journal of Archaeological Science: Reports. vol. 57.
<https://doi.org/10.1016/j.jasrep.2024.104663>
- Chkhatarashvili G., Tskvitinidze N., Tsikaridze N., Davenport J.A., Glascock M.D. 2025a.** New Insights into the Mesolithic and Neolithic Layers of the Darkveti Rock Shelter in the Imereti Region, Western Georgia. Documenta Praehistorica, 52
<https://doi.org/10.4312/dp.52.2>

- Chkhatarashvili G., Tavamaishvili G., Chichinadze M., Kvavadze E., Tskvitinidze N. 2025b.** Interdisciplinary Insights into Mesolithic Life: Recent Archaeological Discoveries at Khutsubani, Kintrishi Gorge, *Studia Antiqua Archaeologica* (სტატია გადამეწეულია დასაბეჭდათ).
- Geel V. 1998.** A Study of Non-Pollen Objects in Pollen Slides (The Types as Described by Dr Bas Van Geel and Colleagues), - van Hoeve, M.L., Henndrikse, M. (Eds.), Utrecht.
- Glascocock M.D. 2020.** A systematic approach to geochemical sourcing of obsidian artefacts. *Scientific Culture* 6, 35-46.
- Grimm E.C. 2004.** TGView 2.0.2. Springfield: Illinois State Museum, Research and Collections Centre
- Kang Y., Luczaj L.J., Kang J., Zhang S. 2013.** Wild Food Plants and Wild Edible Fungi in Two Valleys Qinling Mountains (Shaanxi, Central China). *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine*, 9: 26.
- Kuzmin Y.V., Kulakov S.A., Glascocock M.D., Budnitsky S.Y., Grebennikov A.V. 2023.** „Poster presented at the International Obsidian Conference (IOC).“ *Where is the source? In search of unknown primary obsidian locale in northern Caucasus*. Engaru, Japan.
- Kvavadze, E.V., Connor, S.E. 2005.** *Zelkova carpinifolia* (Pallas) K.Koch in Holocene sediments of Georgia – an indicator of climatic optima. *Review of Palaeobotany & Palynology*, 133, 69-89;
- Kvavadze E., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T. 2009.** 30,000-year-old wild flax fibers. *Science*, 325, 1359.
- Kvavadze E., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T. 2010.** Responze to Comments on „30 000-Year-Old Wild Flax Fibres”. *Science*, 328, 1634.
- Kvavadze E; Bar-Yosef O, Belfer-Cohen A, Boaretto E, Jakeli N; Matskevich Z, Meshveliani T. 2010a.** 30,000-Year-Old Wild Flax Fibers. *Science* 11 Sep 2009: Vol. 325, Issue 5946, 1359, DOI: 10.1126/science.1175404;
- Kvavadze E., Chichinadze M., Martkoplshvili I., Bibiluri B., Bitadze L., Laliashvili Sh. 2010b.** The significance of zoological microremains in palynological samples for studying environmental change and past biodiversity. Abstracts of 4th Workshop of NPP., Besanson, France, 24;
- Kvavadze E., Meshveliani T., Jakeli N., Martkoplshvili I. 2011.** Results of palynological investigation of the material taken in the Cave Satsurblia in 2010. In: Proceedings of the Georgian National Museum, Natural Sciences and Prehistory Section, 3, 35-50.
- Manko V., Chkhatarashvili G. 2022a.** Transcaucasia and Neolithic of South of Eastern Europe, *Arheologia*, No 2, 19-52.
- Manko V., Chkhatarashvili G. 2022b.** Kvirike: The Early Holocene Site in Western Georgia. *Revista Arheologică, serie nouă*, vol. XVIII, nr. 2, 5-16.
- <http://doi.org/10.5281/zenodo.7540859>
- Martkoplshvili I., Kvavadze E. 2015.** Some popular medicinal plants and diseases of the upper Palaeolithic in Western Georgia. *Journal of Ethnopharmacology*, 166: 42-52;
- Martkoplshvili I., Kvavadze E. 2017.** Non-pollen palynomorphs of contents of archaeological vessels and household pits - an important marker of human palaeodiet 7th Workshop on Non-Pollen Palynomorphs. 12-14 June. Liverpool, UK. University of Liverpool;
- Martkoplshvili I. 2017.** Nutrition Ration and Medication of a Man of Upper Paleolithic, Neolithic and Bronze Age of Georgia According to Palynological Data. PhD thesis. Ilia State University.
- Moore P. D., Webb J. A., Collinson M. E. 1991.** *Pollen Analysis*, Oxford .
- Pelegrin J. 2012.** New Experimental Observations for the Characterization of Pressure Blade Production Techniques. In: (P.M. Desrosiers ed.), *The Emergence of Pressure Blade Making: From Origin to Modern Experimentation*, 465-500.
- Reimer, P.J., Austin, W.E.N., Bard, E., Bayliss, A., Blackwell, P.G., Bronk Ramsey, C., Butzin, M., Cheng, H., Edwards, R.L., Friedrich, M. Grootes, P.M., Guilderson, T.P., Hajdas, I., Heaton, T. J., Hogg, A. G., Hughen, K. A., Kromer, B., Manning, S.W., Muscheler, R., Palmer, J. G., Pearson, C., Plicht, J., Reimer, R. W., Richards, D.A., Scott, E.M., Southon, J.R., Turney, C.S.M., Wacker, L.,**

Adolphi, F., Büntgen, U., Capano, M., Fahrni, S.M., Fogtmann-Schulz, A., Friedrich, R., Köhler, P., Kudsk, S., Miyake, F., Olsen, J., Reining, F., Sakamoto, M., Sookdeo, A., Talamo, S., 2020. The IntCal20 Northern Hemisphere Radiocarbon Age Calibration Curve (0–55 cal kBP). *Radiocarbon* 62/4, 725-757.

<https://doi.org/10.1017/RDC.2020.41>

Rivera D., Matilla G., Obon C., Alcaraz F. 2012. Plant and humans in the Near East and the Caucasus. Vol.1. The Landscapes. The Plants: Ferns and Gymnosperms. Plant and Humans, Printed in Spain.

Varoutsikos B., Mgeladze A., Chahoud J., Gabunia M., Agapishvili T., Martin L., Chataigner C. 2017. From the Mesolithic to the Chalcolithic in the South Caucasus: New Data from the Bavra Ablari Rock Shelter. In: (A. Batmaz, G. Bedianashvili, A. Michalewicz, A. Robinson eds.), Context and Connection: Essays on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagana. Leuven: Peeters, 233-255.

ცხრილი 1. კაჟისა და ობსიდიანის კომპლექსი.

არტეფაქტი	ქობულეთი			ხუცუბანი		
	კაჟი	ობსიდიანი	ჯაშ	კაჟი	ობსიდიანი	ჯაშ
ნუკლეუსი და წარმოების ნაშთი						
ნუკლეუსი	2	1	3	2	3	5
ნუკლეუსის ფირფიტა	3	1	4	2	5	7
ლამელა	127	92	219	34	136	170
მიკროლამელა	83	76	159	2	7	9
პირველადი ანატკეცი	5	3	8	3	30	33
ანატკეცი	180	90	270	73	209	282
ანამტვრევი	156	65	221	1	9	10
ქერცლისებრი ანატკეცი	271	107	378	-	20	20
სასაჭრისე ანატკეცი	6	3	9	3	2	5
იარაღები	104	159	263	132	146	278
საჭრისი	32	32	62	79	57	136
სახოკი	6	9	15	12	34	46
რეტუმირებული ლამელა და მიკროლამელა	30	59	89	20	27	47
რეტუმირებული ანატკეცი	5	4	9	-	7	7
გვერდამოღარული ლამელა და მიკროლამელა	10	17	27	11	18	29
სახვრეტი	-	-	-	-	-	-
სატეხი	9	6	15	3	-	3
თავწაკვეთილი ლამელა და მიკროლამელა	7	12	19	1	-	1
გვერდდაბლაგვებული მიკროლამელა	5	20	25	5	3	8
კაშკაშოვკის ტიპის იარაღი	-	-	-	1	-	1

ჯამი	937	597	1534	252	567	819
------	-----	-----	------	-----	-----	-----


ცხრილი 2. სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ნამოსახლარების აბსოლუტური თარიღების სერია.

№	თარიღი (BP)	თარიღი 95.4 % (BC)	ლაბორატორიის ინდექსი	ნიმუში	ძეგლი	ლიტერატურა
1	9600±70	9231-8776	SPb-3624	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	Chkhatarashvili, 2023
2	9587±70	9227-8765	SPb-3621	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	Chkhatarashvili, 2023
3	9510±32	9121-8657	FTMC-PE65-3	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	Chkhatarashvili, 2023
4	9465±32	9111-8632	FTMC-PE65-2	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	Chkhatarashvili, 2023
5	8670±100	8171-7534	SPb-3084	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	Chkhatarashvili et. al., 2020
6	7949±70	7047-6653	SPb-3623	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	Manko, Chkhatarashvili 2022b
7	9263±42	8621-8337	FTMC-KU57-1	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	ჩხატარაშვილი, 2025
8	9250±45	8615-8309	FTMC-KU57-2	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	ჩხატარაშვილი, 2025
9	9328±44	8736-8434	FTMC-KU57-3	ნახშირი	სოფ. ქობულეთი	ჩხატარაშვილი, 2025
10	9629±37	9231-8832	FTMC-LD04-1	ნახშირი	ხუცუბანი	Chkhatarashvili et. al., 2024
11	9527±37	9129-8736	FTMC-ZL16-1	ნახშირი	ხუცუბანი	Chkhatarashvili et. al., 2024
12	9646±38	9240-8841	FTMC-ZL16-2	ნახშირი	ხუცუბანი	Chkhatarashvili et. al., 2024
13	9491±42	9121-8635	FTMC-ZS22-1	ნახშირი	ხუცუბანი	Chkhatarashvili et. al., 2025b
14	9534±45	9146-8737	FTMC-ZS22-2	ნახშირი	ხუცუბანი	Chkhatarashvili et. al., 2025b


* აბსოლუტური თარიღების გამოთვლა მოხდა OxCal 4.4.4 (Bronk Ramsey, Lee 2013) ონლაინ კალიბრაციის პროგრამის და პაულა ჯ. რეიმერის (Reimer et. al., 2020) ატმოსფერული მონაცემების გამოყენებით.




სურ. 1




სურ. 2




სურ. 3




სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

რუსუდან კობრავა
ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის
ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი
Rusudan Kobrava
Head of the History Department
Khariton Akhvlediani Museum of Ajara
DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.008>

სასტუმრო სახლის კულტურა აჭარაში
სოფელ ზუნდაგას ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით

The Culture of Guest Houses in Ajara:
Based on Ethnographic Materials from the Village of Zundaga

აბსტრაქტი

ქართველთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სტუმართმოყვარეობის ტრადიციას. ოდითგანვე საქართველოში სტუმარმასპინძლობის დაუწერელი კანონები არსებობდა. სტუმარი ქართველისათვის კულტად იყო ქცეული.

ქართულ ეთნოლოგიაში სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია სასტუმრო სახლების კვლევას.

აჭარაში და სავარაუდოდ არა მხოლოდ აჭარაში, სასტუმრო სახლები სათემო მოედნების ახლოს შენდებოდა. ღამის გამთევვი, როგორც წესი, ღამის თევასა და კვებაში საფასურს არ იხდიდა. სასტუმრო სახლების მოვლა-პატრონობა სათემო საქმე იყო. თითოეული ოჯახი ვალდებული იყო სასტუმრო სახლს მორიგეობით მომსახურებოდა. დაეცვა წესრიგი. უზრუნველყო ლოგინით, წყლით, შემით, ცხენის საკვებით, დროულად შეეკეთებინა სახურავი და ა.შ.

დაახლოებით ამგვარ სასტუმროს ცალკეული ოჯახიც აგებდა. სასტუმრო ოთახი ცალკე შენობას წარმოადგენდა და სახლთან ახლოს 10-12 მეტრის დაშორებით იდგა.

სასტუმრო სახლის გარდა სტუმრის მოსასვენებელი, კეთილმოწყობილი ოთახი საცხოვრებელ ბინაშიც იყო წარმოდგენილი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი ცალკე ასასვლელი და მხოლოდ სტუმრისათვის განკუთვნილი საპირფარეო გააჩნდა.

აჭარაში ტრადიციულ საცხოვრებელ სახლში შემავალ, სტუმრისათვის განკუთვნილ ოთახს „მეიდან ოდას“ უწოდებდნენ. გზაზე შემოდამებულ მგზავრს ნებისმიერ დროს შეეძლო ესარგებლა სასტუმრო ოთახით, მაშინაც კი თუ მასპინძელი შინ არ იყო. „მეიდან ოდას“ სტუმარი მიუხედავად მისი წარსულისა, სტუმრობის დროს ხელშეუხებელი იყო.

თანამედროვეობაში „მეიდან ოდას“ მთავარი დანიშნულება თანდათანობით მოიშალა, მაგრამ სტუმარმასპინძლობის ტრადიცია გრძელდება.

სტატიაში წარმოდგენილია მასალები ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუნდაგაში ცალკე მდგომი სასტუმრო სახლის „მეიდან ოდას“ შესახებ, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნისაა ასევე ინფორმაცია სახლზე, სადაც XIX საუკუნის 90-იან წლებში, აჭარაში ყოფნის დროს ცხოვრობდა მკვლევარი, ეთნოგრაფი, მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო სახლი, მეიდან ოდა, ზუნდაგა, ქვის ყორე, საქარავნე გზა, სტუმარი.

Abstract

In Georgian culture, the tradition of hospitality holds a special place. From ancient times, there have existed unwritten laws of guest-host relations throughout Georgia. The guest was revered, almost sacred, in the eyes of a Georgian.

Among the many aspects of hospitality explored in Georgian ethnology, the study of guest houses occupies a particularly important role. In Adjara — and presumably in other regions as well — guest houses were typically built near communal squares. Overnight guests were not expected to pay for lodging or meals. The maintenance and operation of the guest house was a communal responsibility. Each household took turns serving the guest house: maintaining order, providing bedding, water, firewood, horse feed, repairing the roof when needed, and so on.

Sometimes, individual households would also build such guest houses themselves. The guest room was typically a separate structure, located 10–12 meters from the main house. In addition to this standalone guest house, a specially arranged guest room was often located within the main residence. This room frequently had its own private entrance and a separate bathroom exclusively for the guest.

In traditional Ajarian homes, the room designated for guests was called the “Meidan Oda”. Travelers caught on the road at night could use this room at any time, even if the host was not at home. Regardless of a guest’s past, while staying in the “Meidan Oda,” they were considered untouchable.

In the modern era, the central role of the “Meidan Oda” has gradually diminished, but the tradition of hospitality continues.

This article presents ethnographic material from the village of Zundaga in Keda Municipality, describing a standalone guest house known as the “Meidan Oda,” which is over two centuries old. It also includes information about the house where, in the 1890s, during his time in Adjara, the prominent Georgian researcher, ethnographer, and writer Zakaria Chichinadze lived.

Keywords: guest house, Meidan Oda, Zundaga, dry-stone wall, caravan route, guest

ქართველთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სტუმართმოყვარეობის ტრადიციას. ოდითგანვე საქართველოში სტუმარმასპინძლობის დაუწერელი კანონები არსებობდა. სტუმარი ქართველისათვის კულტად იყო ქცეული. სულხან-საბას ლექსიკონში ტერმინ „მასპინძლის“ განმარტებაში ვკითხულობთ: „მასპინძელი სახლისა და ღვინის უფალი“. იქვე: „სტუმარი არს კაცი, ვინა სხვისას მივიდეს, ხოლო მასპინძელი იგი, ვისას სტუმარი მივიდეს“ [სულხან-საბა ორბელიანი, 1991:446]. მასპინძლის, როგორც „სახლისა და ღვინის უფლის“ უმთავრესი მოვალეობაა მოსული სტუმრისა თუ სტუმრების პატივისცემა. უამრავი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სტუმრის ღირსეულად გამასპინძლება ოჯახის ავ-კარგიანობის მთავარ განმსაზღვრელად ითვლებოდა. კარგ ოჯახად მიიჩნეოდა არა მდიდარი, მრავალშვილიანი, სახნავ-სათესიანი და საქონლიანი ოჯახი, არამედ ისეთი, რომელიც სტუმრისადმი პატივისცემითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. ძველად ყველა ოჯახს წინდაწინ ჰქონდა გათვლილი თუ სად უნდა მიეღო და მოესვენებინა მოსული სტუმარი. სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი იმდენად მძლავრი იყო, რომ სტუმრად მოსულ მტერსაც კი არაფერს დაუშავებდნენ.

ქართულ ეთნოლოგიაში სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია სასტუმრო სახლების კვლევას. ეს საკითხი გეოგრაფიულად შესაძლებელია მთელი კავკასიის არეალის მაგალითზეც გაიშალოს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ აჭარათი შემოვიფარგლები და დასმულ საკითხს სოფელ ზუნდაგის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით წარმოვადგენ. მანამდე საინტერესოა რა სახის ინფორმაცია გვაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში.

ქართულ სტუმართმოყვარეობაზე და საერთოდ, სტუმარმასპინძლობაზე არაერთ უცხოელ მოგზაურ-მკვლევარს დაუწერია ჩვენი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. სტრაბონი, არქანჯელო ლამბერტი, გიულდენშტედტი, ბარონი დე ბაი, ქრისტოფორო დე კასტელი, შარდენი, ალექსანდრე დიუმა და სხვანი და სხვანი სხვადასხვა დროს

მიუთითებდნენ სტუმრისადმი ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებ [ზარისაშვილი, 2015:II].

აჭარაში და სავარაუდოდ არა მხოლოდ აჭარაში, სასტუმროები სათემო მოედნების ახლოს შენდებოდა. ღამის გამთევვი, როგორც წესი, ღამის თევასა და კვებაში საფასურს არ იხდიდა. სასტუმრო სახლების მოვლა-პატრონობა სათემო საქმე იყო. თითოეული ოჯახი ვალდებული იყო სასტუმრო სახლს მორიგეობით მომსახურებოდა. დაეცვა წესრიგი. უზრუნველყო ლოგინით, წყლით, შეშით, ცხენის საკვებით, დროულად შეეკეთებინა სახურავი და ა.შ. [საქართველოს ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2019:463]. ჩვენი კვლევის ინტერესს სცილდება მსგავსი სასტუმრო სახლების გენეზისი, თუმცა ლოგიკურია, რომ მისი წარმოშობა, ზოგადად, მოგზაურობას, სავაჭრო საქმეს, ხალხთა შორის კომუნიკაციებს უკავშირდება.

აჭარაში სასტუმრო სახლს და ტრადიციულ საცხოვრებელ სახლში შემავალ, სტუმრისათვის განკუთვნილ ოთახს „მეიდან ოდას“ უწოდებდნენ. მას დამოუკიდებელი შესასვლელი და მხოლოდ სტუმრისათვის განკუთვნილი საპირფარეშო გააჩნდა.

რამდენ საუკუნეს ითვლის „მეიდან ოდა“? „მეიდან ოდა“ ჩანს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, თუმცა უფრო მეტი ინფორმაცია მის შესახებ მე-19 საუკუნის ბოლოდან გვხვდება. როგორი იყო ეს სახლები მე-18 საუკუნეში ან უფრო ადრე, არ არის ცნობილი. შეძლებულ ადამიანებს, ბუნებრივია, შეეძლოთ კარგი სახლების კეთება, მაგრამ რეალობაში მსგავსი სახლები და ოთახები ნაკლებად არის შემორჩენილი და ისტორიული ცნობებიც არ არის [მეიდან ოდა აჭარაში- https://www.youtube.com/watch?v=VVXTSIXZ_I4].

აჭარის სტუმართმოყვარეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გამოჩენილი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც 1874 წელს პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ნებართვითა და ხელშეწყობით იმოგზაურა გურიასა და აჭარაში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა აჭარაში ბატონობდნენ დამპყრობლები. უშუალო ცოცხალი შთაბეჭდილებები, მდიდარი ფაქტობრივი მასალა მან მეცნიერულ დონეზე გადმოსცა და გაანალიზა. „ყოველ სახლს აქვს სასტუმრო ოთახი. სტუმართმოყვარეობა აქ წმინდა საქმედ ითვლება. რა ეროვნებისა და რჯულისაგ უნდა იყოს სტუმარი, საიდანაც უნდა მოდიოდეს და როდესაც უნდა მოვიდეს, დღისით თუ ღამით, უფლება აქვს პირველსავე შეხვედრილ სახლში გაჩერდეს. ოჯახის უფროსიც რომ არ იყოს სახლში, თუნდაც სახლში მარტო ქალები იყვნენ, ვალდებული არიან მიიღონ,

გაუმასპინძლდნენ და სუფთა ლოგინი გაუშალონ, რომელსაც საგანგებოდ ინახავენ ამ შემთხვევისათვის. დიასახლისი თავის ნახევარში ფუსფუსებს და ამზადებს საჭმელს. თქვენ გესმით მისი ლაპარაკი, მაგრამ სახით ვერ ხედავთ... სუფრაზე ოჯახის პატრონი და ან ვინმე უფროსთაგანი ემსახურება, წესი არ არის ისინიც თქვენთან ისხდნენ...[ბაქარაძე, 1987:44].

1896 წელს აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა მეცნიერმა, პუბლიცისტმა და მწერალმა თედო სახოკიამ. მან ზოტიყელის საზაფხულო იაილაზე აღწერა სოფლის სასტუმრო, რომელშიც თვითონ იცხოვრა. ის წერს: „სოფლის შესასვლელთან განმარტოებითა დგას ხის დაბალი, მხარნახევრის სიმაღლე ჯარგვალი, ორ-თვალიანი. ეს გახლავთ სასტუმრო სოფლისა, მხოლოდ უსასყიდლო. ვინც აივლის და ჩაივლის, ყველა მგზავრს აქვს სრული ნება შიგ გაჩერდეს, ღამე გაათიოს და მერე გზა განაგრძოს და ღამის გასათევი სასყიდელი კი არავის მისცეს და არცა ვინა სთხოვს. სასტუმროს ერთი თვალი ადამიანისათვის არის და შიგ იქით-აქეთ ფართო, მაგრამ ძალზე დაბალი (ერთი მტკაველის სიმაღლე) ტახტებია შეკრული, ხოლო შუაში მიწურზე ცეცხლი ანთია. მეორე თვალი კი ცხენის დასაბმელად აქვს მიდგმული“ [სახოკია, 1962:145-146]. მანვე აღწერა სტუმრისათვის მისართმევი საკვები: „ერთმა გლეხმა ხონჩით მოიტანა ცხელი მჭადი, ბორა (დაჭრილი ყველი, ერბოთი მოხრაკული ტაფაზე), ხავიწი (სიმინდის მოხარშული ღერდილი, ბლომად ერბო ჩართული) და ყაიმალი (ნაღები). სუყველაფერი ერთ ხონჩაზე ეწყო. შეჭამადი ყველა სპილენძის თეფშებზე იყო, ზევიდან ხუფი ეხურათ საჭმლის გაუცივებლობისათვის.“ [სახოკია, 1962:146].

დაახლოებით ამგვარ სასტუმროს ანუ „მეიდან ოდას“ ცალკეული ოჯახიც აგებდა. სასტუმრო ოთახი ადრე ცალკე შენობას წარმოადგენდა და სახლთან ახლოს 10-12 მეტრის დაშორებით იდგა. მასაც ჰქონდა ბუხარი, ორი სექვი, ორივე მხარეს აივანი, ორი კარი (ერთი შესასვლელი, მეორე აივანზე გასასვლელი). შესასვლელი კარი დასავლეთის მხრიდან გააჩნდა [მიქელაძე, 1982:35]. სასტუმრო სახლებს შავიზღვისპირა სოფლებშიც ხშირად შეხვდებოდით და მთაშიც. დადასტურებულია შემთხვევები, როცა კარმიდამოში ორი საცხოვრებელი სახლი იდგა, რომელთაგან ერთი ოჯახის წევრთათვის, ხოლო მეორე-სტუმრისათვის იყო განკუთვნილი. ზოგჯერ სასტუმროს ერთი ოთახი მაღალი წრის, მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელი სტუმრისათვის იყო გამიზნული, ხოლო დანარჩენი ჩვეულებრივი მეთემისათვის. სახლობის უფროსი სტუმრისაგან გასამრჯელოს არ

ღებულობდა. სტუმარს პატრონზე დაუკითხავად შეეძლო ღამე გაეთია და დარჩენილიყო იქ იმდენ ხანს, რამდენსაც ის მოისურვებდა.

სასტუმრო სახლის გარდა სტუმრის მოსასვენებელი, კეთილმოწყობილი ოთახი საცხოვრებელ ბინაშიც იყო წარმოდგენილი. სასტუმრო ოთახს ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებელი ცალკე ასასვლელი ჰქონდა. სტუმარი გარეთ ამ ასასვლელით გადიოდა და შემოდისდა. სტუმარი დაუძახებლად შედიოდა სასტუმრო ოთახში. იყო შემთხვევები, რომ ოჯახის პატრონს არც სცოდნია რომ მას სტუმარი ესტუმრა. დილას მოივლიდა ოთახებს. თუ სტუმარი იქნებოდა, რა თქმა უნდა სტუმართმასპინძლობა გრძელდებოდა.

„მეიდან ოდა“ ანუ სასტუმრო ოთახი სახლის პატრონს მშენებლობის დროსვე უნდა გაეთვალისწინებინა. ის სახლს მერე არ ემატებოდა. ფანჯრიდან სტუმარს საუკეთესო ხედი უნდა ჰქონოდა. სასტუმრო ოთახს სტუმარ-მასპინძლობის გაწევის მიზნით ოჯახი შუა დერეფნის საშუალებითაც უკავშირდებოდა, მაგრამ ამ გზაზე ყოველთვის იყო კარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იკეტებოდა და სასტუმრო ოთახი სახლის სხვა ოთახებისაგან გამოყოფილი, იზოლირებული რჩებოდა. გზაზე შემოდამებულ მგზავრს ნებისმიერ დროს შეეძლო ესარგებლა სასტუმრო ოთახით, მაშინაც კი თუ მასპინძელი შინ არ იყო. ღამის გამთევი როგორც წესი, ღამის თევასა და კვებაში საფასურს არ იხდიდა. სტუმრისათვის ოთახი წინასწარ იყო მომზადებული და შეშით უზრუნველყოფილი. „მეიდან ოდას“ სტუმარი მიუხედავად მისი წარსულისა, სტუმრობის დროს ხელშეუხებელი იყო.

თედო სახოკია აქვე აღნიშნავს აქაური სტუმართმოყვარეობის შესახებ: „აჭარელს თუ კი რამ აზადია, სტუმრის პატივისცემა დიდ ნეტარებად მიაჩნია. სტუმარს ღვთის კაცად სთვლის. თუ თვითონ არა აქვს რა, მეზობელთან გადავა და იმას გამოართმევს - ეს სირცხვილად არ მიაჩნიათ. როცა მეზობელს დასჭირდება, ისიც იმავე სითამამით გადმოდის და თხოვს - სტუმარს მინდა პატივი ვცე და ესა და ეს დამაკლდაო“ [სახოკია, 1962:175] და კიდევ: „საჭმლისა და სტუმრის პატივისცემისათვის სასყიდლის შეძლევიტ აჭარელს საშინელ შეურაცხყოფას მიაყენებთ“ [სახოკია, 1962:147].

1897 წელს საქართველოში იმოგზაურა ფრანგმა ორიენტალისტმა ჟან მურიემ. მან საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოიარა ბათუმის ოლქიც და ყურადღება მიაქცია აქაურ სტუმართმოყვარეობას [მურიე, 1962:35].

მკვლევარი, ეთნოგრაფი, მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „რაც უნდა ღარიბი კაცი იყოს, მას ქალების ოთახი მაინც ცალკე უნდა ჰქონდეს, სასტუმრო ცალკე და შინაურ მამაკაცებისთვის ცალკე. სახლებს ზოგს კრამიტი ხურავს, ზოგს ყავარი და ზოგს ფიცარი. ბევრ ადგილას ორსართულიანი სახლებიც არის“ [კომახიძე, 2000:117].

დროთა განმავლობაში ხდებოდა სასტუმრო ოთახის უფრო მეტად კეთილმოწყობა და მოწესრიგება. შუა ცეცხლი თანდათანობით შეიცვალა ბუხრით. ბუხარზე კეთდებოდა ჩუქურთმები. ასევე დაიწყო სასტუმრო ოთახის ჭერისა და კედლების მოჩუქურთმება. „სასტუმრო მყუდრო, განცალკევებული დარბაზი, სტუმრების, მამაკაცების და უცხოელებისათვის არის განკუთვნილი. ამ სახლების აუცილებელი ავეჯია ლავგარდანი და ჩუქურთმებით მორთული უზარმაზარი თლილი ქვის ბუხარი. რაც უფრო მდიდარია სახლი, მით უფრო მეტად არის მორთული ბუხარი ფაქიზი ჩუქურთმით და ხის სამკაულით“ [მურიე, 1962:35].

შედარებით უფრო მოწესრიგებული და მდიდრული „მეიდან ოდა“ აღწერილია ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ზემო აჭარაში სხვადასხვა დროს ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასალებში: „ოდა ოთახის გვერდით გამართულია სასტუმრო ანუ „მეიდან ოდა“, რომელიც შინაგან მოწყობილობით ყველაზე კარგად გამოიყურება. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია მდიდარი ორნამენტები. საინტერესოა, რომ სასტუმრო ოდის კარები სხვა ოთახებსავე უშუალოდ დერეფანში კი არ გამოდის, არამედ მის გვერდით არსებულ საზაფხულო სადგომ ოთახში“ [ჩიქოვანი, 1960:101]. სასტუმრო ოთახი დაფიქსირებულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მიერ 1949 წელს ხულოში ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის მასალებში: „ყველა სახლს აუცილებლად ახლავს ერთი ან ორი სასტუმრო ოთახი, რომელიც სპეციალურად სტუმრისათვის არის განკუთვნილი. სასტუმრო ოთახის ჭერი გაფორმებულია ჭრილი ნაკეთობით [აქმ ხვ N 114:16-17].

მუსლიმური სარწმუნოების შემოჭრასთან დაკავშირებით მცირე ცვლილება შეინიშნება სასტუმრო ოთახის კონსტრუქციაში. კერძოდ მას ემატება „აბდესხანა“ (რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულების წინ ხელ-პირისა და ფეხების დასაბანად). იგი სახლის აივანზე იყო გაწყობილი. ამავე გავლენით შემოვიდა და დამკვიდა სასტუმრო ოთახის უცხო სახელწოდება - „მეიდან ოდა“. თუმცა სახლისა და საცხოვრებლის ძირითადი ტერმინოლოგია მაინც ძირძველი, ქართული დარჩა. სტუმარ ქალებს სახლის სასტუმრო

ოთახში აბინავებდნენ. მუსლიმურმა რელიგიამ აქაც საგრძნობი უარყოფითი როლი ითამაშა ქალის ყოფაში. ქალი ჩრდილში დააყენა - ქალის სახის დანახვა უცხო პირთათვის მიუღებლად ითვლებოდა, ამიტომ უცხო მამაკაც სტუმარს მომსახურებას ისევ მასპინძელი კაცები უწევდნენ, შინაურ სტუმარს კი ჩვეულებრივ ქალები მასპინძლობდნენ“ [მიქელაძე, 1982:22].

თანამედროვეობაში „მეიდან ოდას“ მთავარი დანიშნულება თანდათანობით მოიშალა, ოთახი გადაკეთდა, უფრო გაფართოვდა და ზოგ შემთხვევაში საძინებლის ფუნქცია შეიძინა. მაგრამ სტუმარმასპინძლობის ტრადიცია გრძელდება.

მიუხედავად აღნიშნულისა, აჭარაში, მაღალმთიან სოფლებში დღესაც არის შემორჩენილი ტრადიციული სახლები, სადაც სტუმრის ოთახი ცალკეა გამოყოფილი. იშვიათი შემთხვევის სახით კი ზოგან შემორჩენილია ცალკე მდგომი სასტუმრო სახლიც - მეტნაკლებად პირვანდელი სახით. ერთ-ერთი ასეთი სასტუმრო სახლი შემოინახა ქედის რაიონ სოფელ ზუნდაგაში, რომელსაც „მეიდან ოდას“ უწოდებენ.

სოფელი ზუნდაგა (სურ.1) მტირალას მთას ესაზღვრება. სწორედ ამ მთაზე გადიოდა საქარავნე გზა, რომლითაც ადგილობრივების გადმოცემით კონტრაბანდისტები და ფირალები სარგებლობდნენ. შორი გზიდან მომავალი მექარავნეები შავშეთის ქედს რომ გადმოივლიდნენ, მერისის ხეობას გადმოკვეთდნენ და ქედაში ჩამოვიდოდნენ, სოფელ ზუნდაგას გავლით იმოკლებდნენ გზას გურიისაკენ. დღესაც არსებობს ქობულეთ-ჩაქვის ტერიტორიიდან უმოკლესი გზა, რომელიც ზუნდაგაში გადადის. ასევე შემორჩენილია ქვის ყორე (სურ.2) საქარანე გზის გასწვრივ, რომელიც დაახლოებით სამასი წლისაა. სოფელი ყოველთვის განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით.

სოფელ ზუნდაგის „მეიდან ოდა“(სურ.3) დაახლოებით ორასი წლისაა. პირველი სართული ქვისაა, მეორე კი ხის. მისი მეორე სართული ორი ოთახისაგან შედგება. ერთი ვიწრო შუშაბანდია, რომლითაც დიდ ოთახში შედიხარ. კარის პირდაპირ ძველებური, ორ საუკუნეზე მეტი ხნის ბუხარია. ბუხრის გვერდზე ხის კედელზე არის ძველი არაბული წარწერა, რომელიც გაშიფრული არაა. ბუხრის გვერდით ვიწრო სარკმელია. „თუ მგზავრს დაუღამდებოდა და ამ სახლში შევიდოდა, მაგიდაზე ჭრაქი იდო ყოველთვის. მგზავრი ანთებულ ჭრაქს სარკმელთან დადგამდა. დაინახავდა ამას მეპატრონე და სტუმარს უმასპინძლდებოდა.“ [ფარტენაძე, 2020:31] აქ დღემდეა შემონახული უძველესი სკივრი, ხის მაგიდები, ჭრაქი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

ზამთრობით დიდი თოვლის გამო ხეობა იკეტებოდა. ამ დროს ზუნდაგა ყაჩაღებისა და კონტრაბანდისტების თავშესაფარი ხდებოდა. ერთხანს თურმე აქ აფარებდა თავს აჭარაში ცნობილი ყაჩაღი მეველუდ დიასამიძე. დიასამიძე ისე მოხიზლულა ზუნდაგელების მასპინძლობით, ერთ-ერთი ოჯახისათვის თოფიც კი უჩუქებია. ზუნდაგაში იყო ასეთი ტრადიცია. საიდუმლოდ ინახავდნენ სტუმრის ვინაობას და საერთოდ სტუმრის არსებობას, როდესაც აქ სტუმარი იმყოფებოდა, ორ კილომეტრის იქეთ არავინ იცოდა მისი არსებობა.

ზუნდაგას „მეიდან ოდა“, სასტუმრო სახლი, სადაც ოდესღაც მექარავნები ჩერდებოდნენ, დღეს მოუვლელია, ფუნქცია შეცვლილი აქვს. სახლის პატრონს იქ ფუტკრის სკები აქვს დადგმული, მაგრამ ეს სახლი საინტერესოა სიძველეებისა და ეთნოგრაფიული მასალების მოყვარულებისათვის.

ამავე ეზოში დგას მეორე საცხოვრებელი სახლიც, რომელიც უფრო ძველია. ამ სახლშიც არის გამოყოფილი სასტუმრო ოთახი, რომელსაც შესასვლელი აქვს სახლის დერეფნიდან. ოთახს აქვს ძველი ბუხარი და საპირფარეშო.

სახლი საინტერესოა იმ მხრივ, რომ ამ სახლში აჭარაში ყოფნის დროს ცხოვრობდა მკვლევარი, ეთნოგრაფი, მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე. ზაქარია ჭიჭინაძემ 1890, 1895 და 1897 წლებში იმოგზაურა აჭარაში. ფეხით დადიოდა აჭარის, ლაზეთის, სამცხე-ჯავახეთის სოფლებში. წიგნებს ქართველ მაჰმადიანებს ურიგებდა. თანამემამულეთა ნდობა და სიყვარული რომ მოეპოვებინა, მათთან ერთად ცხოვრობდა, მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა, გაჭრა კიდეც მისმა ძალისხმევამ. სამუსლიმანოში თავის კაცად მიაჩნდათ (სიყვარულით „ზექერიე ეფენდის“ ეძახდნენ). მას ანდობდნენ შვილების აღზრდა-განათლებას.

ზაქარია ჭიჭინაძე დაახლოებული იყო სოფელ ზუნდაგაში მცხოვრებ ხასან ვერძაძესთან. (აღნიშნული სახლის მეპატრონესთან). აჭარიდან ისე არ წავიდოდა, ხასან ვერძაძის სახლს რომ არ სტუმრებოდა (სურ.4). ამ სახლიდან არის მოტანილი ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული ნივთი -გოდორი (სურ. 5).

ამრიგად, სასტუმრო სახლის კულტურა აჭარაში უძველესი დროიდან მომდინარეობს. სასტუმრო სახლები თავდაპირველად სათემო მოედნების ახლოს შენდებოდა, სადაც სტუმარს უსასყიდლოდ უმასპინძლდებოდნენ. შემდეგ ოჯახებმაც დაიწყეს ცალკე მდგომი სასტუმრო სახლების აშენება. აჭარაში სასტუმრო სახლები ფიქსირებულია ზღვისპირა ზოლშიც და მთიანეთშიც. სასტუმრო სახლის გარდა სტუმრის მოსასვენებელი, კეთილმოწყობილი ოთახი საცხოვრებელ ბინაშიც იყო წარმოდგენილი. სასტუმრო ოთახს

აუცილებლად დამოუკიდებელი ცალკე შესასვლელი ჰქონდა. სტუმარი გარეთ ამ გზით გადიოდა და შემოდისოდა. სოფელ ზუნდაგაში არსებული ცალკე მდგომი „მეიდან ოდაც“ და საცხოვრებელ სახლებში არსებული სასტუმრო ოთახებიც მიუთითებენ ამ სოფელში სტუმარმასპინძლობის მაღალ ტრადიციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარისაშვილი გ. სტუმარმასპინძლობა საქართველოში, ნაწ. II (სტუმრისადმი დამოკიდებულება), 2015 წ. - იხ.: <http://vinoge.com/istoria/giorgi-barisaSvili-stumar-maspinZloba-saqarTveloSi-nawili-II-stumrisadmi-damokidebuleba> ნანახია: 23.11.2023
2. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი 1987
3. კომახიძე თ. რელიგია და საღვთისმსახურო ნაგებობები აჭარაში, ბათუმი 2000
4. მეიდან ოდა აჭარაში. 2020 წ. იხ.: https://www.youtube.com/watch?v=VVXTSIXZ_I4 ნანახია: 20.11. 2023
5. მიქელაძე ჯ. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი 1982
6. მურიე ჟ. ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი 1962
7. სახოკია თ. მოგზაურობანი, ბათუმი 1962
8. სულხან -საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, თბილისი 1991
9. ფარტენაძე ვ. აჭარისწყლის ხეობა(ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა ქედის მუნიციპალიტეტის მიხედვით). ბათუმი 2020
10. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. ბათუმი 2019
11. ჩიქოვანი თ. ზემოაჭარული სახლი, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. ბათუმი 1960
12. ხულოს რ-ნის კომპლექსური ექსპედიციის მასალები 1949 წ. აკმ ხვ N 114



სურ.1

სოფელი ზუნდაგა



სურ.2

ქვის ყორე



სურ.3
მეიდან ოდა



სურ.4
ხასან ვერძაძის სახლი სოფელ ზუნდაგაში



სურ. 5
გოდორი

ნარგიზ სურმანიძე

სსიპ აჭარის მუზეუმის

ამირან კახიძის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმი,

მეცნიერ-მუშაკი

ნინო ძნელაძე

სსიპ აჭარის მუზეუმის

ამირან კახიძის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმი,

უფროსი მეცნიერ-მუშაკი

მირანდა თურმანიძე

სსიპ აჭარის მუზეუმის

ამირან კახიძის აჭარის არქეოლოგიური მუზეუმი,

მეცნიერ-მუშაკი

Nargiz Surmanidze

LEPL Ajara Museum,

Amiran Kakabadze Archaeological Museum of Ajara,

Researcher

Nino Dzneldze

LEPL Ajara Museum,

Amiran Kakabadze Archaeological Museum of Ajara,

Senior Researcher

Miranda Turmanidze

LEPL Ajara Museum,

Amiran Kakabadze Archaeological Museum of Ajara,

Researcher

DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.014>

რკინის ხანის სამაროვნები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან

Iron Age Cemeteries from Southwestern Georgia

აბსტრაქტი

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი რკინის ხანის ძეგლებიდან გამოიყოფა ხუცუბნისა და მახვილაურის ძვ. წ. VII ს დათარიღებული სამაროვნები. გვხვდება როგორც ინდივიდუალური (მაგალითად სოფ. ხუცუბნის სამარხები), ასევე კოლექტიური სამარხები (სოფ. მახვილაურის კოლექტიური ორმო სამარხი). მრავალფეროვანია სამარხეული ინვენტარი. აღმოჩენილია მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი, ბრინჯაოსა და რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული სამკაული, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მძივები და რწმენა-წარმოდგენებთან, განსაკუთრებით კი დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ნივთები.

საკვანძო სიტყვები: რკინა, სამარხი, ორმო-სამარხი, კოლექტიური

Abstract

Among the Iron Age archaeological sites discovered and studied in the territory of Ajara, the cemeteries of Khutsubani and Makhvilauri, dated to the 7th century BCE, stand out. Excavations have revealed both individual burials (such as those found in the village of Khutsubani) and collective graves (notably, the collective pit burial in the village of Makhvilauri). The grave goods are notably diverse. A wide range of ceramic vessels, bronze and iron agricultural and military tools have been uncovered. Various types of jewelry made from different materials have also been found, including numerous and varied beads. Additionally, items related to beliefs and rituals—particularly those associated with burial practices—have been discovered, providing valuable insight into the spiritual worldviews and funerary customs of the time.

Key words: iron, burial, pit burial, collective

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია რკინის ხანის საინტერესო არტეფაქტები, რომელთა დიდი ნაწილი სამარხეული ინვენტარია. აჭარის ტერიტორიაზე დღემდე ცნობილი რკინის ხანის ამ ტიპის ძეგლებიდან გამოვყოფთ ხუცუბნისა და მახვილაურის სამაროვნებს, რომლებიც ძვ. წ. VII ს თარიღდება (ტაბ. I). სახეზეა როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური სამარხები. სოფ. ხუცუბანში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი 8 სამარხი ინდივიდუალურია (ძეგლი აღმოჩნდა 1944 წ., ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. იოსელიანი), რაც შეეხება სოფ. მახვილაურის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) სამაროვანს, ხუცუბნისაგან განსხვავებით, აქ როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური სამარხები გვხვდება (სხვადასხვა დროს ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ ს. გოგიტიძე, ნ. ძნელაძე).

მრავალფეროვანია სამარხეული ინვენტარი: გვხვდება სხვადასხვა ტიპის სამეთუნეო ნაკეთობები (ყურმილიანი დოქები, ზოომორფულყურმიანი კერამიკა, ჭრაქები, სასმისები, კვირისტავეები), ბრინჯაოსა და რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღი (ცულები, მახვილი, დანები, უმბონი), ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის სამკაული (სამაჯურები, სასაფეთქლე ხვები, ქინძისთავეები, კირკალი, სარტყლის ფრაგმენტები), მძივები (ოქროს, ბრინჯაოს, გიშრის, ქარვის, სარდიონის, მინის პოლიქრომული და მონოქრომული, ეგვიპტური ფაინსის, მთის ბროლის) და საკულტო დანიშნულების ნივთები (მხედარი ქალის ბრინჯაოს ფიგურა).

სოფელ ხუცუბანში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ცნობა ჯერ კიდევ 1879 წელს გაჩნდა, როდესაც ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გულო კაიკაციშვილმა მდ. კინტრიშზე (ხუცუბანსა და ქობულეთს შორის) სამხედრო ხიდის მშენებლობის დროს შემთხვევით იპოვა ბრინჯაოს ცულები და ერთი ცალი გაზეთ „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს გადასცა. 1881 წელს არქეოლოგთა მეხუთე ყრილობაზე წარდგენილ მოხსენებებში გ. წერეთელი და ა. კომაროვი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამ აღმოჩენების შესახებ. ა. კომაროვის წერილიდან ვგებულობთ, რომ ხუცუბანში გულო კაიკაციშვილს 1881 წლის შემოდგომაზე მდინარე კინტრიშის ნაპირას ჩამოშლილ მიწაში კვლავ უპოვია არაერთი საინტერესო არტეფაქტი, ხოლო შემდეგ მისი თხოვნითა და დაფინანსებით არქეოლოგიური სამუშაოებიც უწარმოებია. 1880 წელს ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები ფრანგ ჟურნალისტს ჟან მურიესაც ჩაუტარებია და ერთი ბრინჯაოს ცულიც უპოვია [იოსელიანი, 1973:30].

ხუცუბნის აღმოჩენებმა XIX საუკუნის 90-იან წლებში გრიგოლ გურიელისა და ექვთიმე თაყაიშვილის ყურადღებაც მიიპყრო. 1896 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გულო კაიკაციშვილის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები. გამოიკვეთა ნახანძრალი შრე ქვის იარაღების, რკინისა თუ ბრინჯაოს შუბისპირის ფრაგმენტებისა და კერამიკული მასალით. ექვთიმეს მიერ მოძიებული მასალა პეტერბურგში ვესელოვსკისათვის გაუგზავნია, საიდანაც შემდეგ ისინი 1899 წელს თბილისის მუზეუმში დაუბრუნებიან [იოსელიანი, 1973:29-30].

სამწუხაროდ, შემთხვევითა თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის (ბრინჯაოს ცულები, შუბისპირები, ფიბულები, სარტყლის ფრაგმენტები, სამაჯურები, ბრინჯაოს ჭურჭლის ნიმუშები, ბრინჯაოს ლომის ფიგურა, ბრინჯაოს ბალთები, მათ შორის, ცხენის თავის გამოსახულებით, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები, კერამიკული ნაკეთობანი) ადგილსამყოფელი დღემდე დაუდგენელია [იოსელიანი, 1973:23-30].

1944 წელს ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ავთანდილ იოსელიანმა. დადასტურდა გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის სამაროვანი [იოსელიანი, 1973:106-141]. მკვლევარმა დაგვიტოვა საკმაოდ საინტერესო გრაფიკული ფიქსაციის მასალები, რომლის მიხედვით თავისუფლად შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ სამარხთა ფორმებისა და სამარხეული ინვენტარის შესახებ. გათხრების შედეგად აღმოჩნდა 8 ორმოსამარხი, რომლებიც მდ. კინტრიშისა და ურიის ღელის შესართავთანაა ერთმანეთის გვერდიგვერდ განლაგებული (ტაბ. II,1,2). ესაა ინდივიდუალური, ოთხკუთხა მოყვანილობის კუთხეებმომრგვალებული ორმოსამარხები, რომელთა თავზე მოწყობილი ქვაყრილის ზომები სამარხი ორმოს ზომებს ორჯერ აღემატება (მაგ. სამარხი №1 სიგრძე 1,50 მ-ია, ხოლო ქვაყრილისა 3,70 მ).

მახვილურის ბორცვი რთული, მრავალფეროვანი ძეგლია, რაც დასტურდება დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის მქონე აღმოჩენილი მასალით. აქედან ყველაზე ადრეული ნეოლითური პერიოდით თარიღდება. თვალშისაცემია, რომ ნეოლითური ფენები დარღვეულია მომდევნო, ბრინჯაოს და რკინის ხანის ქვაყრილიანი სამარხებით. ბორცვი კვლავ იყო გამოყენებული საცხოვრებლად ანტიკურ პერიოდში (აღმოჩენილია კლასიკური პერიოდის სამარხები, რომლებიც ასევე ქვაყრილიანია და ელინისტური ხანის კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავი მცირე ზომის ქურა).

2014 წელს მახვილაურში საკონტროლო თხრილი გაივლო. მეტ-ნაკლები რაოდენობით შეგროვდა კაჟის ანატკეცები, შურდულის ქვები და საკმაოდ მრავლად მახვილაურისათვის დამახასიათებელი ცალგვერდამოდარული ბადის საძირავად გამოყენებული საწაფები, რომელთაც ჯერჯერობით პარალელი არ ეძებნება. ასევე, აღმოჩნდა საკმაოდ არქაული თიხის ჭურჭლის ნატეხები. მესამე მოყვითალო თიხანარევი ფენაში (40-45 სმ სიმძლავრე) თავი იჩინა მასიური ქვების წყობამ. საკონტროლო თხრილი გაფართოვდა და ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა წრიული მოყვანილობის კოლექტიური სამარხი (დიამ. - 4 მ), რომელიც დათარიღდა ძვ. წ. VII ს. [კახიძე, ძნელაძე, სურმანიძე, თურმანიძე, 2017:85-92]. სამარხის სიღრმე თანამედროვე ზედაპირიდან 1.30 მ. ოსტეოლოგიური მასალა არაა დადასტურებული. პრეპარაციისას გვხვდებოდა ნახშირის პატარა ნატეხები. ლითონის ინვენტარი ჩვეულებრივ მეტისმეტი ტენიანობის გამო სავალალო მდგომარეობაში, მაგრამ ამ შემთხვევაში სიმყიფე ალბათ ცეცხლში მოხვედრის შედეგი უნდა იყოს. შესაძლოა, საქმე გვქონდეს მეორადი დაკრძალვის წესთან ნაწილობრივი კრემაციით. გარდა სამარხეული ორმოსა, თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გაითხარა მოზრდილი ქვებით გამოყვანილი ნიშა მასში მოქცეული ზოომორფულყოფიერებიანი და სამკუთხა შევრონებით შემკული თიხის მოზრდილი დოქით (ტაბ. III).

მნიშვნელოვანია მახვილაურში აღმოჩენილი კერამიკული მასალა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ვისაუბროთ მომდევნო ეპოქებისათვის დამახასიათებელი ფორმების საწყისი ეტაპების შესახებ (ტაბ. IV, 1-11). პირველ რიგში, აღსანიშნავია კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ყურმილიანი ჭურჭელი. ვვარაუდობთ, რომ შესაძლოა მათი გაჩენა ამ რეგიონს დაუკავშირდეს. ყურმილიანი დოქების ფორმა სტანდარტულია: პირი გარეთკენ გადაშლილი, მკვეთრად გამოყოფილი. ყელი ცილინდრული, პირისკენ ოდნავ გაფართოებული. ფართო ტანის ზედა ნახევარი მომრგვალებული, ქვედა – სწორი, ბრტყელი ძირისაკენ თანაბრად შევიწროებული. გვხვდება სფეროსებრი ბრტყელძირიანი ფორმები. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირის ქვემოთაა მიძერწილი, ქვედა – ტანის შუაწელზე. კეცი მოშავო-მონაცრისფრო. არის სადა ეგზემპლარიც, მაგრამ დოქების უმეტესობას მხარი დაფარული აქვს ორნამენტით, მეტწილად ეს ჰორიზონტალური ღარებით შემოსაზღვრული ბადისებრი ორნამენტია, სადაც გადამკვეთი ხაზები წერტილოვანი ტექნიკითაა შესრულებული. გვხვდება ღარებით შემოსაზღვრული მცენარეული (წიწვოვანი) ორნამენტი, ბადით შევსებული სამკუთხა შევრონების ორნამენტი, რამდენიმე ეგზემპლარს

ყურის ზედა ბოლო შემკული აქვს წყვილი კოპით. დადსტურებულია როგორც უფეხო, ისე ფეხიანი ეგზემპლარები (ტაბ. II, 2).

მახვილურის სამარხი გამოირჩევა კერამიკული მასალის სიუხვით: ორყურიანი ჭურჭელი ჰორიზონტალური ზოლებით შემოფარგლული ბადისებრი ორნამენტით შევსებული სამკუთხა შევრონებით, ზომორფულყოფიანი დოქი მდიდრული ორნამენტით, სასმისები, ჭრაქისებრი ჭურჭელი, კვირისტავები.

საბრძოლო და სამეურნეო იარაღიდან აღმოჩენილია როგორც ბრინჯაოს, ისე რკინის კოლხური ცულები, მათ შორის, მინიატურული ბრინჯაოს ცული, ასევე, ქარქაშიანი რკინის მახვილი, რკინის მოხრილი დანები. ბევრი იარაღის ფორმის დადგენა გაძნელდა ცუდი დაცულობის გამო. საგულისხმოა, რომ რკინის ცულები ბრინჯაოს პროტოტიპის მიხედვითაა დამზადებული და რკინის იარაღი ჭარბობს ბრინჯაოსას (ტაბ. IV, 12-14).

საინტერესოა მხედარი ქალის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც სამარხის ცენტრში იყო მოთავსებული ვერცხლის სამაჯურებთან და ოქროს მძივებთან ერთად (ტაბ. V,1). საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პარალელური მასალიდან მასთან ყველაზე ახლოს ცაიშის №1 სამარხში აღმოჩენილი მხედარი ქალის ქანდაკებაა [პაპუაშვილი, ესებუა, ჯიქია, პაპუაშვილი, 2015:15,23]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII-VI საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი მძივ-საკიდები წარმოაჩენს მასალათა, ფორმათა და დამზადების ტექნიკურ ხერხთა მრავალფეროვნებას. აღნიშნული არტეფაქტები ნათლად ასახავს ეპოქის ესთეტიკურ გემოვნებასა და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. ამ კოლექციაში წამყვან ადგილს იკავებს ნახევრადმვირფასი ქვებისგან დამზადებული ნიმუშები, განსაკუთრებით — სანახელავო ქვები (სარდიონი, ქარვა, გიშერი) და მინის მონოქრომული თუ პოლიქრომული მძივები (ტაბ. V).

სარდიონი დომინანტური მასალაა. მისი უმეტესობა რგოლისებური ფორმისაა, ოდნავ დაბრტყელებული არხის ბოლოთი; ბირთვის დიამეტრი 1–0,6 სმ ფარგლებში მერყეობს. ხუცუბანში აღმოჩენილი ცილინდრული ფორმის ნიმუში გამოირჩევა სიგრძივ დატანილი არხითა და დაწახნაგებული გვერდებით. ბურღვითი დამუშავების კვალი არხის დასაწყისში მკაფიოდ ჩანს. გ. ლემლეინის კლასიფიკაციით, ეს ტექნიკა „მეოთხე ტიპს“ მიეკუთვნება და გავრცელებული იყო ძვ.წ. X–VI სს-ში [Леммлейн, 1947:27–28]. ანალოგიური ნიმუშები დაფიქსირებულია კოლხეთის ადრერკინის ხანის სამარხებში [მიქელაძე, 1985გვ.58],

მუხურჩისა და წითელი შუქურას სამაროვნებზე [Гогодзе, Панцхава, Дариспанашვილი, 1977:68-69; Трапш, 1970:155-156] და ნოქალაქევეში [ლომიტაშვილი, 2003:35].

მახვილურისა და ხუცუბნის სამარხებში აღმოჩენილია სარდიონის საკიდებიც, ე.წ. „ცრემლისებური“ ან „მსხლისებური“ ფორმით (სიმაღლე 0,9–0,6 სმ). ანალოგიური ნიმუშები გამოვლენილია ურეკში, ბეშთაშენსა და სამთავროში [მიქელაძე, 1985:59-60; Куфтин, 1941:43, სურ.40; შავლაყაძე, ქობალა, 2022:47, ტაბ. 5]. სარდიონის სამკაულები ცნობილია როგორც თრიალეთური ოქრომჭედლობის კომპონენტი. ნოქალაქევეში აღმოჩენილი მძივების გასაპრიალებელი ქვის იარაღი მიუთითებს, რომ მოვარდიფრო-ყავისფერი სარდიონის დამუშავება ადგილობრივად ხდებოდა [ლორთქიფანიძე, 2015]. მუხურჩის მასალებში დაფიქსირებული ნამზადი ცალებიც ამ დასკვნას ამყარებს [Гогодзе, Панцхава, Дариспанашვილი, 1977:69].

გიშრის ნიმუშები რაოდენობრივად ნაკლებია, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება სფერულ, დიდ ზომის მძივებზე ექცევა (ზომები 2,2×2,6 სმ, არხის დიამეტრი 0,4 სმ). იშვიათია „ბალიშისებრი“ და რომბული ფორმები. ანალოგები დაფიქსირებულია ძვ.წ. VIII–VII სს ერგეტისა და მუხურჩის სამაროვნებზე [ლორთქიფანიძე, 2015:182]. გიშრის საბადოები ცნობილია დასავლეთ ევროპასა და კავკასიაში; საქართველოში — განსაკუთრებით ოკრიბაში [Рехвиашვილი, 1957:43], სადაც დამუშავების ტრადიცია დღემდე ცოცხალია [მგელიაშვილი, 1991:68].

ქარვის მძივები მხოლოდ მახვილურშია წარმოდგენილი (სამი ცალი: „ბალიშისებრი“, მართკუთხა და დაზიანებული). მათი სიმცირე, სავარაუდოდ, მიუთითებს ადგილობრივ პოპულარობაზე ან მაღალი ღირებულების გამო შეზღუდულ გამოყენებაზე.

ეგვიპტური ფაიანსის მძივები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებშიც გვხვდება. ფორმები მოიცავს რგოლისებურ, ცილინდრულ, სპირალურ, ბიკონუსურ და კოპებიან ნიმუშებს. გამორჩეულია მართკუთხა ფორმის გამანაწილებელი მძივი ორმაგი სიგრძივი ნახვრეტით, ანალოგიური სამთავროსა და ზემოლისში [ლორთქიფანიძე, 2015:119]. მახვილურში აღმოჩენილი ბიპირამიდული საკიდი, ცისფერი მინის გლაზურით დაფარული, სავარაუდოდ ასევე გამანაწილებლის ფუნქციას ასრულებდა.

1970-იან წლებში მახვილურში აღმოჩნდა ანთიმონის „ბორბლისებური“ მძივები, რომლებიც გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანისთვის აღმოსავლეთ საქართველოში და ჩრდილოეთ კავკასიაში დამახასიათებელი ტიპია [ლორთქიფანიძე, 2015:124].

მინის მონოქრომული ნიმუშები მოიცავს თეთრ გამჭვირვალე, მუქ ყავისფერ, შავ გოფირებულტანიან და მწვანე რგოლისებურ მძივებს. წარმოდგენილია პოლიქრომული ნიმუში — მრგვალი, ცილინდრულნახვრეტის მძივი სამი „თვალის“, რომლებიც ყვითელი ძაფითაა შემოფარგლული. ასეთი ტიპის ტექნოლოგია ცნობილია ძვ.წ. VII საუკუნიდან [Алексеева, 1975:10-15].

მძივების კოლექცია ძირითადად თანადროულია სამარხთა სხვა ინვენტართან, თუმცა ნაწილი ადრეულ პერიოდსაც უკავშირდება. მათი ტიპოლოგიური და ტექნოლოგიური ანალიზი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII–VI საუკუნეების სამკაულების მასალებზე, დამზადების ტექნიკაზე და კულტურულ კონტაქტებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სამარხები ქვაყრილითაა დაფარული. რაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ფართოდაა გავრცელებული კოლხურ კულტურაში. არც ყოზანური კულტურისათვისაა უცხო. კონსტრუქციის მიხედვით ხუცუბნის ქვაყრილით დაფარული ორმოსამარხები ყველაზე ახლოს დგას თლიის (ცხინვალის რაიონი, ძვ.წ./), ერგეტა I (სამეგრელო, ძვ.წ. VII–VI სს), ყუმუშის (ყარაჩაი-ჩერქეზეთი), მინერალნიე ვოდის (სტავროპოლის მხარე), ნესტეროვსკაიას და მუჟიჩის (ინგუშეთი) (ძვ.წ. VI–V სს) სამარხებთან [Микеладзе, 1981:46, გობეჯიშვილი, 133]. მიუხედავად ამისა, მათ შორის ურთიერთკავშირი არ შეინიშნება.

ხუცუბანში, არც ერთ სამარხში, მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა. ორმოებში დაფიქსირებული ნაცრისა და ნახშირის დიდი რაოდენობა კრემაციის წესის არსებობას ადასტურებს. ფიქრობენ, რომ მიცვალებულები სამარხებში თანხლებ ნივთებთან ერთად ზურგზე, გამოტილ პოზაში დაწვეს [იოსელიანი, 1973:111-112, გობეჯიშვილი, :135]. ყურადღებას იქცევს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული სამარხეული ინვენტარი. მათი დიდი ნაწილი (ძირითადად ლითონი) ძლიერაა დაზიანებული და ცეცხლში ნამყოფი, მაგრამ მეორე ნაწილი - ბრინჯაოს ცული, მძივები, რომლებიც ეგვიპტური ფაიანსის, გიშერისა და სარდიონისგანაა დამზადებული - არ ატარებს ცეცხლის კვალს. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, რომ კრემაციის დროს წარმოქმნილ ტემპერატურას ვერ გაუძლებდა ეგვიპტური ფაიანსი და მარტივად განადგურდებოდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი ნივთები სამარხში მიცვალებულის კრემაციის შემდეგ ჩაედოთ. მიცვალებულთა

კრემაციაზე უნდა მიუთითებდეს 1896 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოკვეთილი სურათიც.

მიცვალებულის დაწვის წესთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გავრცელებული, სადაც ჩანს, რომ ცეცხლს, როგორც ადამიანის გამწმენდ საშუალებას, სხეულისაგან სულის განმათავისუფლებელს, სიმბოლური დატვირთვა აქვს. კრემაცია ემსახურება იმ რწმენა-წარმოდგენებს, რომლის მიხედვით მიცვალებულის ნეშტის დაწვით სხეული ღმერთს მსხვერპლად ეწირებოდა, გათავისუფლებული სული ზეცაში ადიოდა და აგრძელებდა ცხოვრებას სხვა ადგილას; კრემაციას ჰიგიენური თვალსაზრისითაც ხსნიან და ფიქრობენ, რომ მიცვალებულის დაწვა ადამიანებს იცავდა ეპიდემიისაგან [კითინავა, 2022:162-163; Клемен, 2002:35; Штернберг, 1936:338-339; Чайлд, 147].

როგორც ვხედავთ, ძირითადად გავრცელებულია მიცვალებულისა და მისი ნივთების დაწვის წესი. მსგავსი ტრადიცია არაერთ ტომშია დადასტურებული, საქართველოში კი ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება [კოვალენსკი, 1905:69-70; ჯაფარიძე, 1991:136, 138-139] და გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანაშიც არ კარგავს თავის აქტუალობას.

ლიტერატურა:

გობეჯიშვილი ნ. კოლხური და ყოზანური კულტურების ურთიერთმიმართების საკითხი სამარხ-კონსტუქციათა და დაკრძალვის წესის მიხედვით

იოსელიანი ა. (1973), ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბილისი

კახიძე ა., ძნელაძე ნ., სურმანიძე ნ., თურმანიძე მ. (2017), სოფელ მახვილას გვიანბრინჯაო-აღრერკინის ხანის სამაროვნის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. - აჭარა წარსული და თანამედროვეობა, III

კოვალენსკი მ. (1905), ოჯახისა და საკუთრების წარმოშობა და განვითარება, დედამთავრული ოჯახი და პირველი კომუნიზმი, ბათუმი

ლომიტაშვილი, დ. (2003). ნოქალაქევის სამკაულები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. სადოქტორო ნაშრომი. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.


ლორთქიფანიძე, ნ. (2015). ძველი ქართული სამკაული, თბილისი


მიქელაძე, თ. (1985). კოლხეთის აღრერკინის ხანის სამარხები. თბილისი: მეცნიერება.

მგელიაშვილი თ. (1991), საქართველოს გეოარქეოლოგია, თბ., 1991;



- პაპუაშვილი რ., ესეზუა თ., ჯიქია ლ., პაპუაშვილი ი. (2015), ცაიშის სამაროვანი, თბილისი
შავლაყაძე, ქ., ქობალაია, ნ., კახელიშვილი, თ., კუბლაშვილი, მ., სახვაძე, ა., (2022).
სარდიონის მზვები და საკიდები სამთავროს სამაროვნიდან, თბილისი
ჯაფარიძე ო. (1991), საქართველოს არქეოლოგია
Алексеева Е.М. (1975), Античные бусы Северного Причерноморья, вып. Г1-12, САИ, М.
Гогодзе Е. М., Панцхава Л.Н., Дариспанашвили М.В. (1977), Работы Носири-Мухурчской
экспедиции, სსმე, Тბ., V, 60-72;
Куфтин Б.А. (1949), Материалы к археологии Колхиды, т. 1, Тб.
Леммлейн Г.Г. (1947), Техника сверления каменных бус из раскопок на Кавказе, КСИИМК,
16, М., 23-30
Рехвиашвили, Н. Б. (1957). Месторождения и обработка гагата в Грузии. თბილისი:
Издательство АН ГрузССР.
Трапш М.М. (1969), Древний Сухуми, т. II, Тб.









გზისპირა 2014 - 2015







ოთარ გოგოლიშვილი
სსიპ აჭარის მუზეუმის
ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მმართველი,
პროფესორი

Otar Gogolishvili
LEPL Ajara Museum,
Head of the Khariton Akhvlediani Museum,
Profesor
DOI: <https://doi.org/10.52340/gmg2023.01.012>

ბათუმის ოლქი 1914-1916 წლებში
The Batumi District in 1914-1916

აბსტრაქტი

1914 წლის 14 დეკემბერს ხიჭაურში სახელმწიფოსადმი ღალატის ბრალდებით, თითქოს მოსახლეობამ შემოუშვა თურქები აჭარაში, მეგზურობას უწევდა და ამარაგებდა მათ სურსათ-სანოვავით, 192 კაცის საჩვენებელი გასამართლება იყო დაგეგმილი. დაპატიმრებულთა შორის იყო ის 13 კაციც, რომლებმაც ადრე წერილობითი აცნობეს მთავრობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და თხოვეს მიეღოთ ზომები თურქეთთან საზღვრის გასამაგრებლად და დასაცავად. დამსჯელმა ექსპედიციამ პოლკოვნიკ გუბსკის ბრძანებით, სხვადასხვა სოფლებიდან იძულებით მოყვანილი ასობით ადგილობრივის წინაშე, ორი პიროვნება: შახველებ აბდიოლლი დიასამიძე და თოფან თავდგირიძე ჩამოახრჩო, ხოლო დანარჩენები იხსნა სხალთის სასოფლო თემის კანცელარიის მწერლის სტეფანე ქემხაძის თავდადებას და შეუპოვრობამ მან უბნის უფროს ნიკოლენკოს შეახსენა „საქმე №7“, ხოლო გუბსკის წარუდგინა მასში არსებული მასალა და მოითხოვა სადამსჯელო ოპერაციის შეჩერება. მართალია, შემდეგ ჩატარებულმა სამხედრო ტრიბუნალმა გაამართლა დანარჩენები, მაგრამ ორი უდანაშაულო პატრიოტი ემსხვერპლა განუკითხაობასა და უსამართლო ბრალდებას.

საკვანძო სიტყვები: უსამართლო ბრალდება, გასამართლება, დამსჯელი ექსპედიცია, თავდადება, გამართლება

Abstract

On December 14, 1914, in the village of Khichauri, a show trial was planned for 192 individuals accused of treason against the state. They were alleged to have allowed Ottoman forces to enter Adjara, to have guided them, and supplied them with food and other provisions. Among those arrested were 13 individuals who had previously sent a written warning to the government, informing them of the potential threat and requesting that measures be taken to reinforce and defend the border with the Ottoman Empire. Acting on the orders of Colonel Gubsky, a punitive expedition was carried out. In front of hundreds of locals who had been forcibly gathered from various villages, two men — Shakhvelebi Abdyoghli Diasamidze and Tophan Tavdgiridze — were publicly hanged. The rest were spared thanks to the courage and persistence of Stephane Kemkhadze, the clerk of the Skhalta rural administration. He reminded district chief Nikolenko about “Case No. 7” and presented Colonel Gubsky with its documentation, demanding an end to the punitive operation. Although a subsequent military tribunal acquitted the remaining detainees, two innocent patriots had already fallen victim to lawlessness and unjust accusations.

Keywords: false accusations, trial, punitive expedition, dedication, acquittal

1913 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ განსაკუთრებით გააქტიურა თავისი სამხედრო ხასიათის საქმიანობა ბათუმის ოლქში . დღის წესრიგში დადგა ოსმალთა ემისრების საქმიანობის აღკვეთისა და აქაური მაჰმადიანური მოსახლეობის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხი. როგორც ჩანს, მთავრობა, ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით, მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობას მოელოდა და ამის თავის სასარგებლოდ გამოყენება სურდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე გაგზავნილ წერილში, 1912 წლის დეკემბერში წერდა : „ სახელმწიფოს ინტერესებისათვის განსაკუთრებით სასურველია ბათუმის ოლქის მაჰმადიანი მოსახლეობის ოლქიდან წასვლა. ამ ადგილების მდიდარი ბუნებრივი პირობები იძლევა იმის საშუალებას , რომ აქ ჩამოსახლდეს რუსი მოსახლეობა... და ეს უნდა მოხდეს სწორედ სამხედრო რეფორმის გატარებით“ (სდსინ, III, 2002, 343). ბათუმში მართლაც შეიქმნა ე.წ „ ბათუმის ტუხემცთა მსროლელი ბატალიონი“, მაგრამ რეფორმა ბოლომდე ვეღარ განახორციელეს. მთელი ყურადღება ახლა ოსმალეთიდან შემოგზავნილი ემისრებისა და აგენტების გაუვნებელყოფაზე იქნა გადატანილი. ისინი მოქმედებდნენ

ბარშიც და მთაშიც. აწყობდნენ დივერსიებს, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, ეძებდნენ და ავლენდნენ მერყევ და დასაყრდენ ადამიანებს. ხულოს რაიონის სოფელ ალმეში (ვაშლოვანი) გავრცელებულ პროკლამაციებში ეწერა: „უკვე დროა გაირკვეს სიმართლე, აღდგეს კანონიერება, ადგილობრივი მოსახლეობა დადგეს ოსმალეთის მხარეზე მომავალ წმინდა ომში გიაურების წინააღმდეგ. თუ იქნება ერთიანობა, ჩვენ გავიმარჯვებთ“ (სდსინ, III, 2008, 346). „მოსახლეობის უმრავლესობა აშკარა ზიზღით უცქეროდა თურქეთის აგენტებს. მათ სდევნიდა არამართო გლეხობა, არამედ ზოგიერთი სასულიერო პირიც კი“- იგონებს იმ ამბების მომსწრე და მონაწილე სტეფანე ქემხაძე და აღწერს თუ როგორ მიიყვანა მოტყუებით კანცელარიამდე ოთხი უცხოელი აგენტი ოლადაურელმა ხოჯამ- ნური ეფენდი ბერიძემ (ქემხაძე 1958: 13). ასეთი მაგალითები არაერთია მოტანილი მის მოგონებაში.

ბათუმზე შეტევის შენიღბვის მიზნით, ოსმალებმა დეზინფორმაციული ცნობა შეაპარეს რუსეთს სარდლობას, რომ აქ მხოლოდ პარტიზანული რაზმების „ჩეთეს“ მონაწილეების გამოყენებას გეგმავდნენ, ხოლო მათი მთავარი ძალები ერზრუმის მიმართულებით იყო თავმოყრილი. დეზინფორმაციამ გაჭრა. რუსეთმაც ძირითადი ძალები ერზრუმის მიმართულებით გადაიყვანა. ასე რომ, ბათუმ-ართვინის მიმართულებით ბრძოლის დაწყების წინ ოსმალთა 14 ბატალიონის წინააღმდეგ რუსეთს მხოლოდ 6 ბატალიონი ჰყავდა, არ იყო მიღებული ზომები საზღვრების დასაცავად. ოსმალთა სადივერსიო ჯგუფები, პროვოკატორები და დეზინფორმატორები თავისუფლად შემოდიოდნენ აჭარის სოფლებში. შეწუხებული მოსახლეობის აქტიურმა და გავლენიანმა წარმომადგენლებმა (დიდაჭარიდან - ალი-ალა სირაძე, თხილვანიდან - მამულაძე, სკვანიდან - ქელესა გაბაიძე, ხიხადირიდან - მოლა სინან სურმანიძე, დარჩიძებიდან - ხასან მახალაკიძე, ჭვანიდან - თუფან თავდგირიძე, ჩანჩხალოდან - აბდიოლი ქარცივაძე და კიდევ ვიღაც სამი პირი, რომელთა სახელი არ ახსოვს), როგორც სტეფანე ქემხაძე იგონებს, ომის დაწყების წინა დღეებში ხულოს უბნის უფროს ნიკოლენკოს მხარტვეს თურქულ ენაზე დაწერილი წერილი, რომელშიც მთავრობას მიმართავდნენ „ ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, თურქეთის განზრახვა აჭარაში ჩეთნიკების შემოსევის შესახებ, რასაც თან უნდა მოჰყვეს დიდძალი ჯარის შემოჭრა. ჩვენ - აჭარის გლეხობამ საჭიროდ ვცანით, ვაუწყოთ მთავრობას ამის შესახებ, რომ დროულად იქნას მიღებული ზომები საზღვრების გასამაგრებლად. ამ ზომების გატარებაში ჩვენც მზად ვართ. თუ მთავრობამ ვერ შესძლო თავის დროზე ამ საკითხის მოგვარება, შემდეგ ჩვენ ვერას გავხდებით (ქემხაძე 1958: 15). მოგონებათა ავტორის თქმით, ნიკოლენკოს დავალებით ტექსტი თურქულიდან ითარგმნა ქართულად და რუსულად და 13 კაცის ზელმოწერით (ზოგი თურქულად, ზოგი ქართულად, სახელობითი ბეჭდის დასმით, საჩვენებელი თითის, ან ცერის ანაბეჭდით) გადაეგზავნა ბათუმის ოლქის გუბერნატორს გენერალ რომანოვსკის, ერთი- ოკრუგის უფროს პოლკოვნიკ იონინს და ერთიც ჩაკერდა საქმე №7- ში (ქემხაძე 1958:16) . მოგონებათა

ავტორის თქმით, ათი დღის შემდეგ, მთავრობამ „ ვრცელი სასაზღვრო ზოლის გასამაგრებლად გამოგზავნა მხოლოდ ოცამდე ხანში შესული ჯარისკაცი, რომლებსაც თოფის ტარებაც უჭირდათ“ (იქვე, 16).. არადა, ომის საშიშროება აწარისწყლის ხეობის სოფლებს სულ უფრო უახლოვდებოდა. ოსმალებმა ბათუმის ოლქს ორი მიმართულებით შემოუტყეს : ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმზე გაჭრის და ართვინის მიმართულებით-ჭოროხის , მურღულის, ჩხალის , მაჭახლის ხეობების დაკავებით არტაანისა და ერზურუმის გზების გადაკეტვის მიზნით. ბათუმის ოლქის გენერალ- გუბერნატორი ელშინის ბორჩხაში გადასვლამაც შტაბითურთ შედეგი ვერ გამოიღო. მისმა უინიციატივობამ და უუნარობამ ოსმალებს ყველა მიმართულებით წარმატება მოაპოვებინა. ჭოროხის ხეობით აჭარისწყალზე გაჭრილი ოსმალები ნოემბრის ბოლოს ქედაში, ხოლო დეკემბრის დასაწყისში 1000 კაციანი რაზმი, თითქმის უბრძოლველად ხულოში შევიდა. ჩეთეს რაზმები გაიჭრნენ ჩაქვის მიმართულებით, ბათუმს კი ზღვიდან 15 - მდე ჭურვი ესროლეს. ყველაფერ ამას თან სდევდა მსხვერპლი, დასახლებული ადგილების აწიოკება და რბევა, მაგალითად, სოფელ ოლადაურში თურქების შემოჭრამდე ცხოვრობდა ბერძენი მჭედელი ფრანგულიდი ოჯახით. მჭედელი ბათუმში იყო წასული რკინების შესამენად. სოფელში შესულმა თურქებმა გაიგეს რა აქ ქრისტიანის ცხოვრება, აიკლეს მისი ოჯახი, დახოცეს ცოლი და 13 წლის ვაჟი, 5 წლის ბიჭუნა კი ემინ ეფენდი ქარცივამდე გადამალა. მოსახლეობის მუდარამ არ გაწრა, მათაც დიდი ზიანი მიაღდათ (ქემხაძე 1958: 28). ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა მოსახლეობაში პანიკისათვის მით უმეტეს , რომ ამის პარალელურად ოსმალო ემისრები მუშაობას ეწეოდნენ ჩეთეს რაზმებში ადგილობრივთა გასაერთიანებლად და რუს-ქართველთა ჯარის უეჭველად დამარცხებაში დასარწმუნებლად. მანამდე რუსმა გენერლებმაც „ გამოიჩინეს“ გაერთიანებისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში მონაწილეობისადმი. სამაგიეროდ არაერთი პატრიოტი ქართველი ერთიანდებოდა „ქართულ ლეგიონში“.

1914 წლის 14 დეკემბერს ხიჭაურში სახელმწიფოსადმი ღალატის ბრალდებით, თითქოს მოსახლეობამ შემოუშვა თურქები აჭარაში, მეგზურობას უწევდა და ამარაგებდა მათ სურსათ-სანოვაგით, 192 კაცის საჩვენებელი გასამართლება იყო დაგეგმილი. დაპატიმრებულთა შორის იყო ის 13 კაციც, რომლებმაც ადრე წერილობითი აცნობეს მთავრობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და თხოვეს მიეღოთ ზომები თურქეთთან საზღვრის გასამაგრებლად და დასაცავად. დამსჯელმა ექსპედიციამ პოლკოვნიკ გუბსკის ბრძანებით, სხვადასხვა სოფლებიდან იძულებით მოყვანილი ასობით ადგილობრივის წინაშე, ორი პიროვნება: შახველებ აბდიოლლი დიასამიძე და თოფან თავდგირიძე ჩამოახრჩო, ხოლო დანარჩენები იხსნა სხალთის სასოფლო თემის კანცელარიის მწერლის სტეფანე ქემხაძის თავდადებას და შეუპოვრობამ მან უბნის უფროს ნიკოლენკოს შეახსენა „ საქმე №7“ , ხოლო გუბსკის წარუდგინა მასში არსებული მასალა და მოითხოვა სადამსჯელო

ოპერაციის შეჩერება. მართალია, შემდეგ ჩატარებულმა სამხედრო ტრიბუნალმა გაამართლა დანარჩენები, მაგრამ ორი უდანაშაულო პატრიოტი ემსხვერპლა განუკითხაობასა და უსამართლო ბრალდებას. მსგავს უსამართლობასა და ტრაგედიაზე აქვს მოთხრობილი თვითმხილველების მიერ მოწოდებული ცნობების დამოწმებით ცნობილ პედაგოგსა და მოღვაწეს ვახტანგ მაკარაძეს წიგნში „გამონათლევის გამონათება“. მასში კარგად ჩანს რა უსამართლოდ და უსაფუძვლოდ დასაჯა სიკვდილით (ჩამოხრჩობა) ქედელი ლორთქიფანიძე და მერისელი ბაშაღა გოგოლიშვილი, 1914 წლის მიწურულს, სადამსჯელო ექსპედიციამ (მაკარაძე, 2006:24-36). და ასეთი რამდენი იყო. მართალია, ქართული საზოგადოებრივი აზრის, ქართველ მუსლიმანთა დეპუტაციის გამოცდილი ადვოკატების და ცალკეული პიროვნებების უკომპრომისო ბრძოლით „სახელმწიფოს ღალატით“ ბრალდებულთა რიცხვი 171-მდე შემცირდა და სიკვდილით დასჯაც სხვა სასჯელებით შეცვალეს, მაგრამ რუსეთის სამხედრო უწყება „მოღალატეთა“ საქმის აღძვრასა და შესწავლას 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგაც განაგრძობდა, ეს კამპანია ოფიციალურად შეწყდა მხოლოდ ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 26 იანვრის სპეციალური დადგენილებით და მისი ინიციატორი იყო ამ მთავრობის შინაგან საქმეთა კომისარი აკაკი ჩხენკელი.

ომმა ისე, როგორც მასში მონაწილე ქვეყნის ყველა ხალხს, აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობასაც დიდი ადამიანური მსხვერპლი და მატერიალური ზარალი მოუტანა, მაგრამ ყველაზე მძიმე და დამთრგუნველი მაინც მორალური ზარალი და ტკივილი იყო ,რომელიც მას შეითხზნილი „სახელმწიფო ღალატის“ ბრალდებით მიაყენეს, მართალია, იგი ოფიციალურად შეჩერდა 1918 წელს, მაგრამ იმპერიული ხელისუფლება ათეული წლების შემდეგაც იხსენებდა ამ ბრალდებას მისთვის მიუღებელი პიროვნებების თავიდან მოსაშორებლად.

ლიტერატურა

1. მაკარაძე ვ., 2006. გამონათლევის გამონათება, ბათუმი.
2. სდსინ 2008: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა,III , ბათუმი.
3. ქემხაძე ს., 1958. მოგონებანი, ბათუმი.